

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**GORI STATE TEACHING UNIVERSITY**



სამეცნიერო შრომების კრებული

**COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS**

№6

2014

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2013 წლის 4 ივლისს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on July 4, 2013 at NPLE-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

**სარედაქციო კოლეგია:**

გიორგი სოსიაშვილი  
გიორგი ხორბალაძე  
ალექსანდრე მღებრიშვილი  
ნუგზარ აბრამიშვილი  
ვიანორ ახალაია  
ივანე ბალახაშვილი  
ქეთევან ბარბაქაძე  
თამარ გოგოლაძე  
ციური დურული  
კლარა ელჩიბეგაშვილი  
ზურაბ ზერაკიძე  
ხათუნა კაკაურიძე  
მარიამ კობერიძე  
მალხაზ ლომსაძე  
ელდარ მამისტვალიშვილი  
ლევან მიდოდაშვილი  
ზურაბ ტიელიძე  
ჯემალ ქირია  
შოთა ქურდაძე  
პაატა ქურდაძე  
მარიკა შერაზადიშვილი  
დავით ჩოჩიშვილი  
ზურაბ ჩხიკვაძე  
ნელი ჭამპურიძე  
გედევან ხელაია  
თეა ხორგუაშვილი  
გიორგი ყაზიშვილი

**Editorial Board:**

Giorgi Sosiashvili  
Giorgi Khorbaladze  
Alexander Mgebrishvili  
Nugzar Abramishvili  
Vianor Akhalaia  
Ivane Balakhashvili  
Ketevan Barbakadze  
Tamar Gogoladze  
Tsiuri Duruli  
Klara Elchibegashvili  
Zurab Zerakidze  
Khatuna Kakauridze  
Mariam Koberidze  
Malkhaz Lomsadze  
Eldar Mamistvalishvili  
Levan Midodashvili  
Zurab Tielidze  
Jemal Kiria  
Shota Kurdadze  
Paata Kurdadze  
Marika Sherazadishvili  
David Chochishvili  
Zurab Chkhikvadze  
Neli Champuridze  
Gedevan Khelaia  
Tea Khorguashvili  
Giorgi Kazishvili

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ლინგვისტიკა

- ცისანა ასანიძე - ფრაზეოლოგიზმები თომას მანის „ბუდენბროკებში“ და მათი ქართული ეკვივალენტები – 7
- ვიანორ ახალაია - წინადადების აგების სტილური ფუნქცია მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით – 12
- მარიამ კობერიძე - ზოგი კავშირის ფუნქციისათვის მეთავე საუკუნის ქართულ სასულიერო პოეზიაში – 15
- ნიკოლოზ ოთინაშვილი - „ძველი ერისთავთა“ ენის ზოგიერთი ენობრივი ასპექტი – 18
- ელდარ ხიტირია - უარყოფა „nicht და kein“- ის მქონე სინონიმური კონსტრუქციები თანამედროვე გერმანულ ენაში – 21
- ელენე ხოჯევანიშვილი - დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამმატიკა“ და მასთან დაკავშირებული ერთი საკითხი – 24

### ლიტერატურა

- თამარ გოგოლაძე - გიორგი ერისთავის საარქივო მემკვიდრეობის შესწავლისათვის – 27
- ალექსანდრე მღებრიშვილი - სალიტერატურო ცხოვრება ცხინვალის რეგიონში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (რევაზ ფავლენიშვილი) – 32

### გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

- მზია გოგიაშვილი - მეტყველების განვითარება ადრეული ასაკის ბავშვებში – 36
- თინათინ იოსებიძე - სასწავლო პროექტი და მისი გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლებაში – 38
- ზურაბ ტიელიძე - იაკობ გოგებაშვილი გეოგრაფიის შესახებ და საგნის სწავლების ზოგიერთი თანამედროვე საკითხი – 42
- ბექა ტოლიაშვილი - არასრულწლოვანთა დაკითხვის ფსიქოლოგიური თავისებურებები – 46
- სოსო ცოტნიაშვილი - უმაღლესი მათემატიკის სწავლების მიზნებისა და მეთოდოლოგიის შესახებ – 49
- ნელი ჭამპურიძე - ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ძირითადი ასპექტები – 53

### ზ უ ს ტ ი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- მაია აზმაიფარაშვილი - დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი – 56
- ზურაბ ზერაკიძე, მალხაზ მუმლაძე, ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური - პარამეტრების ძალდებული შეფასების ცხადი სახით აგების მაგალითი – 59
- ალექსანდრე იაშვილი - ფიზიკური აღზრდის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში – 62
- გიორგი მძინარაშვილი - თავისუფალ ჭიდაობაში ტაქტიკური მომზადება და მისი გამოყენების სპეციფიკა ქარელელი მოჭიდავეების მაგალითზე – 67
- ციური ნოზაძე - თანამედროვე ტექნოლოგიებით ელექტრონული მმართველობის ორგანიზების შესახებ საქართველოში – 69

## ბიზნესი და მართვა

- დავით ბიძინაშვილი, როინ ქობლიანიძე - სოფლად კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ ფერმერთა გაერთიანებაშია – 73
- გიული გიგუაშვილი - სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის პრიორიტეტები – 76
- ნინო ლიპარტელიანი, თეა ანესაშვილი, მანია გოგიძე - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში – 80
- თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე - ონლაინ ყიდვისა და გადახდის პროცედურები და ინტერნეტით გადახდის უსაფრთხოების საკითხები – 84
- ლეილა მამულაშვილი, ირმა მახარაშვილი - გაზრდილი ფასები და საარსებო მინიმუმი საქართველოში – 88
- ლალი სადალაშვილი, ნანული ქოქაშვილი, მარინე ბუზიაშვილი - გორი და გორის რაიონი, როგორც ტურისტული ბიზნესის ობიექტი – 92
- გიორგი ცაავა - კომერციულ ბანკებში საპროცენტო პოლიტიკა, განაკვეთები, რისკები და პროცენტების დარიცხვის მეთოდები – 94
- გიორგი ხანთაძე - თავისუფალი ინდუსტრიული ზონები – მითი თუ რეალობა – 99
- თეა ხორგუაშვილი - საგარეო ვაჭრობის რეგულირება საქართველოში – 103

## სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

- ნუგზარ აბრამიშვილი - პლატონი და კალოკაგათია – 105
- ივანე ბალახაშვილი - სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი – 108
- იოსებ გაბარაევი - ძალადობის გაგება სისხლის სამართალში – 111
- გიორგი გიორგაძე - სასამართლოს დადგენილებაზე ზომების მიუღებლობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შედეგები – 114
- შალვა ვანიშვილი - ნიკო ნიკოლაძის დაცვითი სიტყვა 1879 წელს თბილისის სასამართლო პალატაში – 116
- მარიკა შერაზადიშვილი - ჟურნალისტიკის დეონტოლოგია – 120
- ელგუჯა ჭანტურია - სააგენტო ხელმეკრულეზა ინგლისურ-ამერიკულ სამართალში – 123

## CONTENTS

### *Linguistics*

- Tsisana Asanidze** - *PHRASEOLOGICAL UNITS OF THE GERMAN LANGUAGE AND THEIR GEORGIAN EQUIVALENTS ACCORDING TO "BUDDENBROOKS" BY THOMAS MANN* – 7
- Vianor Akhalaia** - *STYLISTIC FUNCTION OF MAKING A SENTENCE ACCORDING TO THE PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI* – 12
- Mariam Koberidze** - *THE FUNCTIONS OF CERTAIN CONJUNCTIONS IN THE TENTH-CENTURY RELIGIOUS POETRY* – 15
- Nikoloz Otinashvili** - *SOME LANGUAGE ASPECTS IN „MONUMENT OF ERISTAVTAS“* – 18
- Eldar Khitiria** – *SYNONYMIC CONSTRUCTIONS OF NEGATION "NICHT, KEIN" IN THE MODERN GERMAN LANGUAGE* – 21
- Elene Khojevanishvili** - *DAVIT BATONISHVILI "SMALL GRAMMAR" AND ONE QUESTION CONNECTED TO IT* – 24

### *Literature*

- Tamar Gogoladze** - *FOR THE STUDY OF ARCHIVAL HERITAGE OF GIORGI ERISTAVI* – 27
- Aleksandre Mgebrishvili** - *LITERARY LIFE IN TSKHINVALI REGION IN THE XIX-XX CENTURIES (REVAZ PAVLENISHVILI)* – 32

### *Education*

- Mzia Gogiashvili** - *DEVELOPMENT OF SPEAKING IN EARLY CHILDHOOD* – 36
- Tinatini Iosebidge** - *THE PROJECT AND ITS USE IN THE TEACHING OF NATURAL SCIENCES* – 38
- Zurab Tielidze** - *IAKOB GOGEBASVILI ABOUT GEOGRAPHY AND SOME CONTEMPORARY ISSUES OF TEACHING IT* – 42
- Beka Toliashvili** - *PSYCHOLOGICAL PECULIARITIES OF EXAMINING UNDER-AGED PEOPLE* – 46
- Soso Tsotniashvili** - *ABOUT THE TEACHING AIMS AND METHODOLOGY OF MATHEMATICS* – 49
- Neli Champuridze** - *BASIC ASPECTS OF TEACHING GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE* – 53

### *Exact and Natural Sciences*

- Maia Azmaiparashvili** - *THE TOURISM POTENTIAL OF PROTECTED NATURAL AREAS* – 56
- Zurab Zerakidze, Malkhaz Mumladze, Lela Aleksidze, Laura Eliauri** - *AN EXAMPLE OF AN EXPLICIT CONSTRUCTION OF A CONSISTENT ESTIMATE OF THE PARAMETERS* – 59
- Aleksandre Iashvili** - *THE LEVELS OF DEVELOPING SCIENTIFIC THEORIES OF PHYSICAL TRAINING IN GEORGIA* – 62
- Giorgi Mdzinarashvili** - *TACTICAL TRAINING IN FREE-STYLE WRESTLING AND THE SPECIFIC OF ITS USAGE* – 67
- Tsiuri Nozadze** - *E-GOVERNMENT ORGANIZATION WITH MODERN TECHNOLOGY IN GEORGIA* – 69

### *Business and Management*

- David Bidzinashvili, Roin Koblianidze** - *RURAL FARMERS' UNION ONLY WAY OUT OF THE CRISIS* – 73
- Giuli Giguashvili** - *SOCIAL PROTECTION NATIONAL SYSTEM OF PREFERENCES* – 76
- Nino Liparteliani, Tea Anesashvili, Mania Gogidze** - *SMALL AND MEDIUM BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA* – 80
- Tamar Makasarashvili, Lia Nadiradze** - *ONLINE PURCHASE AND PAYMENT PROCEDURES AND SECURITY ISSUES OF PAYMENT BY INTERNET* – 84
- Leila Mamulashvili, Irma Makharashvili** - *INCREASED PRICES AND THE LIVING AGE IN GEORGIA* – 88
- Lali Sadaghashvili, Nanuli Kokashvili, Marine Buziashvili** - *GORI AND THE GORI REGION AS A TOURIST BUSINESS OBJECT* – 92
- Giorgi Tsaava** - *INTEREST RATE POLICY AT COMMERCIAL BANKS, RATES, RISKS AND THE METHODS OF DETERMINING THE INTEREST RATE* – 94
- Giorgi Khantadze** - *FREE INDUSTRIAL ZONES – MYTH OR REALITY* – 99
- Tea Khorguashvili** - *REGULATION OF FOREIGN TRADE IN GEORGIA* – 103

*Social Sciences and Law*

**Nugzar Abramishvili** - *PLATO AND KALOKAGATHIA – 105*

**Ivane Balakhashvili** - *PRINCIPLE OF CONTRACT FREEDOM – 108*

**Ioseb Gabaraevi** - *DEFINITION OF VIOLENCE IN THE CRIMINAL LAW – 111*

**Giorgi Giorgadze** - *ADMINISTRATIVE-LEGAL RESULTS OF INADMITABILITY ON THE COURT DECISION – 114*

**Shalva Vanishvili** - *NIKO NIKOLADZE'S SPEECH FOR THE DEFENCE IN THE CHAMBER OF TBILISI COURT IN 1879 – 116*

**Marika Sherazadishvili** - *DEONTOLOGY OF JOURNALISM – 120*

**Elguja Chanturia** – *AGENCY CONTRACT IN THE ENGLISH-AMERICAN LAW – 123*

## ლინგვისტიკა *Linguistics*

### ფრაზეოლოგიზმები თომას მანის „ბუდენბროკებში“ და მათი ქართული ეკვივალენტები

*ცისანა ასანიძე, მოწვეული სპეციალისტი*

ყოველი ერის სიმდიდრეს მისი ლექსიკური ფონდი განსაზღვრავს. რაც უფრო მდიდარია ლექსიკა, მით უფრო გამომსახველობითი და მდიდარია ენა. გერმანულ ენას, ისევე როგორც ქართულს, უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა აქვს.

გერმანული ენის, ისევე როგორც ქართული ენის, ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმები.

ტერმინი „ფრაზეოლოგია“ ბერძნულია: phraseos - გამოთქმა და logos - მოძღვრება გამოთქმის შესახებ. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს და მათ წარმოშობა-განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში. ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა არსებითად არ გამოიყვანება კომპონენტთა მნიშვნელობიდან, მისთვის დამახასიათებელია ლექსიკური თუ გრამატიკული შეზღუდვები.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოცულობისაა ფრაზეოლოგია, რა მასალაა მისი შესწავლის ობიექტი, სხვადასხვა მეცნიერებთან სხვადასხვანაირად წყდება.

ზოგ მკვლევარს ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტად ანდაზები, აფორიზმები, ხატოვანი სიტყვები და ქცევები მიაჩნია;

ზოგი მკვლევარისათვის კი ფრაზეოლოგიის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მას გადატანითი მნიშვნელობა აქვს და ა.შ.

ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის სწორი გაგება აქვს მოცემული აკ. ვ. ვ. ვინოგრადოვს.

1947 წ. ვინოგრადოვმა გამოსცა თავისი ცნობილი ნაშრომი „ფრაზეოლოგიური ქცევების ძირითადი ტიპები რუსულ ენაში“, რომელმაც დიდი აღიარება ჰპოვა და განსჯის საგნად იქცა. კლასიფიკაციების სხვადასხვაობა განაპირობა თვით ფრაზეოლოგიზმების სიმრავლემ და მათი მნიშვნელობის მრავალნაირობამ.

ვინოგრადოვის მიხედვით ფრაზეოლოგიზმები იყოფიან:

1. იდიომებად (შენაზარდებად) [ბერძნ. idioma]... ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუშლელი გამოთქმა.

Kohldampf schieben (შიმშილი, მშიერი ყოფნა)

In dem Eimer gucken (მშრალზე დარჩენა, დარჩე მოტყუებული, პირში ჩალაგამოვლებული).

ვ. ვინოგრადოვს მხოლოდ მყარი გამოთქმა მიაჩნია იდიომად.

2. ფრაზეოლოგიური მთლიანობა. Die phraseologischen Einheiten

Das Fett abschöpfen - საუკეთესო აილო შენთვის.

Die Zelte abbrechen - ადგილსამყოფელის მიტოვება.

3. ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.

Etw. zur Diskussion/Debatte stellen (დისკუსიის, კამათის გამართვა)

Forderungen stellen, erheben - მოთხოვნების წამოყენება.

იდიომები ერთ ჯგუფად აერთიანებენ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებსა და მთლიანობებს.

რაც შეეხება ე.წ. „ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს“, მათი აზრობრივი მნიშვნელობის გაგება სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ისინი შედგებიან არსებითი სახელებისა და ზმნისაგან და არავითარი გადატანითი მნიშვნელობის მატარებელი არ არიან. მათ აზრობრივ მნიშვნელობაზე მიუთითებს არსებითი სახელი, რომლის მიმართ ზმნა ასრულებს დაქვემდებარებულ როლს; ასეთი შესატყვისებია მაგ., Zum Ausdruck bringen (= ausdrücken); im Empfang nehmen (= empfangen) და სხვ.

ფრაზეოლოგიური ერთეული, სიტყვის მსგავსად, გარკვეული მნიშვნელობის ერთეულია. ფრაზეოლოგიური ერთეული ერთი რომელიმე მნიშვნელობის შემცველია, ამის გამო ხშირად სიტყვის ტოლფასად გვევლინება. ზოგჯერ შეიძლება ფრაზეოლოგიური ერთეულის შეცვლა ერთი სიტყვით. მაგ.,

auf der Berenhaut liegen – faulenzten. მხარეთეძოზე წამოწოლა - ზარმაცობა. ქართულში მაგ., შიშის ჭამა - შემინება.

როგორც ყველა ენაში, გერმანულ ენაში ფრაზეოლოგიურ ერთეულებსაც ახასიათებს სინონიმია, პოლისემია და ანტონიმია. მაგ., Die Ohren fein machen (spitzen) – mit gespitzten Ohren horehen – ganz Ohr sein.

გერმანულში ფრაზეოლოგიურ ერთეულს auf den Beinen sein - ქართულში შეესაბამება ფრაზეოლოგიური ერთეული - ფეხზე ყოფნა (გამოჯანმრთელება). კომპონენტების მნიშვნელობები ორივე ენაში ერთი და იგივეა, ხოლო გერმანულ ენაში არსებითი სახელი გამოყენებულია მრავლობით რიცხვში, ქართულში კი მხოლოდ ერთ რიცხვში. გერმანულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში In Gelächter aufbrechen - გამოყენებულია წინდებული in, ქართულში კი - სიცილის ატეხვა წინდებული საერთოდ არაა.

როგორც ჩანს, ეს გერმანული და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულები სრულად განსხვავდებიან ფორმით, შინაარსით კი ემთხვევიან ერთმანეთს.

გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულები an Ort und Stelle - დანიშნულ ადგილზე, Bei Nacht und Nebel - ღამით, მალულად, fix und fertig - სრულიად საბოლოოდ მზად ყოფნა და სხვა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

ე.ი. გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულის სხვა ენაზე გადატანა ძირითადად სამი გზით შეიძლება მოხდეს: მეორე ენაზე ეკვივალენტის მოძებნით, ანალოგიური გამოთქმის მოძებნით და აღწერით.

გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულის ქართული ეკვივალენტის მოძებნა გულისხმობს, რომ ორივე ენაში ტოლფარდი გამოთქმა არსებობს, ე.ი. გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეული ქართულ ენაშიც იმავე სიტყვებით გადმოიცემა და აუცილებლად ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს. მაგ., Die Achseln zucken - მხრების აჩეჩვა. Der Konsul seufzte, schüttelte den Kopf und zuckte die Achseln. კონსული ოხრავდა, თავს აქნევდა და მხრებს იჩეჩავდა. Th. Mann „Buddenbrooks“.

Ich zerbreche mir nicht mehr den Kopf.

Den Kopf zerbrechen - თავის მტვრევა. მე უკვე დიდი ხანია თავს აღარ ვიმტვრევ.

გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულ ენაზე ანალოგების მოძებნა გულისხმობს, რომ გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულის შესატყვისი ფრაზეოლოგიური ერთეული ქართულ ენაშიც არსებობს, თუმცა იგი სხვა სიტყვებითაა შედგენილი.

In Tony, ... war Grünlich bis über die Ohren verschossen. ტონი კი, ... თავდავიწყებით შეუყვარდა გრიუნლიხს. (Th. Mann „Buddenbrooks“).

გერმანულ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის არსებული განსხვავება თარგმნის დროს იწვევს გარკვეულ სიმძნელებს. გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას ქართული ენა ახდენს დადებით გავლენას, მაშინ როცა ქართული და გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთმანეთს სავსებით ემთხვევიან. ასე მაგალითად: die Nase stecken - ცხვირის ჩაყოფა, die Ohren spitzen - ყურების დაცქვეტა, ხოლო ქართული ენა უარყოფით გავლენას ახდენს მაშინ, როცა ქართული და გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგ., die Hoffnung aufgeben - იმედის გადაწყვეტა, დაკარგვა. Sein Herz ausschütten - გულის გადაშლა, ins Gelächter ausbrechen - სიცილი ატყდა და სხვ.

ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს მიეკუთვნება აგრეთვე ანდაზები, ხატოვანი თქმანი, ფრთოსანი გამოთქმები, მაგრამ ისინი არ ითვლებიან არც იდიომებად და არც ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ვხვდებით რიგ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც იდიომის განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია: 1. სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი; 2. რომელიმე კომპონენტის სინონიმით შეცვლის შეუძლებლობა; 3. ამა თუ იმ კომპონენტის ამოგდება და ახალი კომპონენტის ჩართვის შეუძლებლობა.

ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულად შეიძლება გადმოიცეს:

- ფრაზეოლოგიური ერთეულით;
- ერთი სიტყვით;
- თავისუფალი შესიტყვებებით.

ფრაზეოლოგიზმების გასამარტივებლად უნდა გამოვიყენოთ თარგმნა, რადგან მათი მნიშვნელობის გახსნა ვერ მოხერხდება ვერც თვალსაჩინოებით და ვერც სიტყვის სემანტიზაციის სხვა საშუალებებით.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები თომას მანის „ბუდენბროკების“ მიხედვით.

უდიდესი გერმანელი მწერლის თომას მანის პირველმა რომანმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს კლასიკურ ლიტერატურაში.



„ბუდენბროკები“ თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ენაზე. 1929 წელს თომას მანს ამ რომანისათვის მიენიჭა ნობელის პრემია, მას მსოფლიოს კლასიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. რომანში მწერალი ნათლად ახასიათებს იმ ეპოქას, რომელშიც უხდებოდა მას მოღვაწეობა.

რომანი გადმოგვცემს „დაღლილი ცხოვრების ფსიქოლოგიას“, სადაც უხვადაა ნახმარი ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი თქმები, იდიომები, ანდაზები.

იუმორისა და ირონიის სამსახურში მწერალს მრავალი საშუალება აქვს მოხმობილი.

უმდიდრესი ლექსიკა, სტილისტურ საშუალებათა მრავალფეროვნება, ხატოვან თქმათა სიმრავლე საშუალებას აძლევს მწერალს გამოიყენოს ფრაზეოლოგიზმები, იდიომები, ანდაზები, მყარი შესიტყვებები.

ფრაზეოლოგიზმები უხვადაა წარმოდგენილი ხალხურ მეტყველებაში, აქედანაც დამკვიდრდა იგი მხატვრულ ლიტერატურაშიც. არა ერთმა მწერალმა გაამდიდრა გერმანული ფრაზეოლოგია, მათ რიცხვში გამორჩეული ადგილი უკავია თომას მანს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმნა სიმძნელესთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ისინი საკუთრივ რომელიმე ენას თავისებურად ახასიათებს და მეორე ენაზე გადატანა ზოგ შემთხვევაში სრულიად უცვლის აზრს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ტიპებს შორის ყველაზე ნაკლები ცვალებადობა ანდაზებს ახასიათებს. ისინი მყარად არიან დამკვიდრებული ენაში, დასრულებული წინადადებების ფორმით გვხვდებიან და ერთ პირს, საგანს ან მოვლენას კი არ ეხებიან, არამედ ზოგად აზრს გამოხატავენ.

თომას მანი უაღრესად დახვეწილი გემოვნების მთხრობელია. გამართული, ზომიერი, რთული სიტნაქსითა და მარტივი აზრით ენა თომას მანთან მხატვრულ ფუნქციას ასრულებს. იგი სავსეა სპეციფიკური გამოთქმებით, რომლებიც ძნელად ემორჩილებიან თარგმანს და მთარგმნელთათვის ერთგვარ სირთულეს ქმნიან.

ნიმუშის სახით განვიხილავთ რამდენიმე წინადადებას ფრაზეოლოგიზმებით თ. მანის „ბუდენბროკებიდან“ ქართული ეკვივალენტებით.

საილუსტრაციოდ მოყვანილი წინადადებები „ბუდენბროკებიდან“ დავალაგეთ ანბანური წესით ძირითადი სიტყვის მიხედვით.

განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

1. Sich nichts abgehen lassen. არაფერს იკლებენ, არაფერზე უარს არ ამბობენ.

Sich nicht versagen; gut leben.

Bsp. Der Konsul fuhr dann fort: ... Im übrigen lassen sich deine Eltern, was mich so aufrichtig freut, nichts abgehen, sie führen ein herrschaftliches Leben, wie es ihren Verhältnissen verspricht.

შენი მშობლები კი, რაც ძალიან მახარებს, არაფერს იკლებენ, ბატონკაცურად ცხოვრობენ, როგორც მათ მდგომარეობას ეკადრება ისე ირჯებიან. (II Teil, 5 Kap. S. 74).

2. Die Achsel zucken - მხრების აჩეჩვა.

Bsp. Der Konsul seufzte, schüttelte den Kopf und zuckte die Achseln.

კონსული ოხრავდა, თავს აქნევდა და მხრებს იჩეჩავდა. (II Teil, 5 Kap. S. 74).

3. Im Auge haben - აქვთ მხედველობაში

Bsp. „Liebe Tony“, sagte die Konsulin... Du kannst sicher sein, dass deine Eltern nur dein Bestes im Auge haben.

„ძვირფასო ტონი“, თქვა კონსულის მეუღლემ, ... შენ დარწმუნებული უნდა იყვე, რომ შენ მშობლებს მხოლოდ შენი სიკეთე აქვთ მხედველობაში.

4. j – n mit offenen Armen aufnehmen (empfangen) - გულლიად მიღება.

j – n freudig empfangen.

Bsp. Christian ... ward hier [im Klub] mit offenem Armen empfangen, denn wenn auch weder Kaufleute noch Gelehrte seine Geistesfähigkeiten für groß hielten, so kannte man doch seine amüsante, gesellschaftliche Begabung. (V Teil, 3. Kap. S. 342).

ქრისტიანი კლუბში გულლიად მიიღეს. მართალია, კომერსანტებს და ნასწავლ ხალხს ქრისტიანი დიდი ჭკუა-გონების პატრონად არ მიაჩნდათ, მაგრამ მის ოინბაზურ ნიჭს კი აფასებდნენ.

5. Etwas auf eigene Faust tun - პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება.

Etwas auf eigene Verantwortung machen.

Bsp. Doktor Mantelsack ließ einen Hochbegabten auf eigene Faust weiter übersetzen und hörte ebensowenig zu wie die anderen... (Th. Mann – Buddenbrooks. XI. Teil, 2. Kap. S. 698).

დოქტორმა მანტელზაკმა ახალი ტექსტი დიდად ნიჭიერ მოწაფეს წააკითხა, მაგრამ თვითონაც ისევე უყურადღებოდ უსმენდა, როგორც დანარჩენი ოცდაორი მოსწავლე. (Th. Mann – Buddenbrooks. S. 651.)

6. Ist nu ein Katzensprung (weit) - ძალიან ახლოა, ყურის ძირშია.

Es ist ganz nahe - მთლად ახლოა.

Bsp. „Oh, du [Thomas] hättest natürlich hinfahren müssen! Sagte sie [Tony] eifrig. Es ist ein Katzensprung bis Rostok“... (Th. Mann – Buddenbrooks. VIII. Teil, 2. Kap. S. 435).

„ - ჰო და აუცილებლად უნდა გაემგზავრო - ცხარედ თქვა ტონიმ, როსტოკი აგერ ყურის ძირშია“.

7. Den Kopf verlieren - თავის დაკარგვა, დაბნევა.

Die Geistesgegenwart verlieren, ratlos sein.

Bsp. „Ich habe Ihren [Grünlich] schon ausgesprochen“, sagte der Konsul... „Sie haben den Besitz meiner Tochter verschert. Und danken Sie Ihrem Schöpfer dafür... , dass sie sich ohne Abscheu von Ihnen trennt“... Hier aber verlor Herr Grünlich den Kopf. (Th. Mann – Buddenbrooks. IV. Teil, 9. Kap. S. 218).

„მე თქვენ უკვე მოგახსენეთ“, დაიწყო კონსულმა, ... ჩემი ქალიშვილი თქვენივე ქარაფშუტობით დაკარგეთ, კიდეც ღმერთს უმადლოდეთ, რომ ბავშვს არც კი ეზიზღებით, ისეთი სუფთა და მიმნდობი გული შეინარჩუნა...“

აქ კი დაკარგა გონი ბატონმა გრიუნლიხმა.

8. Einer Sache (den Gedanken) freien Lauf lassen - სრული თავისუფლების მიცემა, თავისუფლად, თამამად ლაპარაკი.

Die Gedanken nicht hemmen.

Bsp. Sein [Edmund Pfühl] Eifer war groß bis bei solchen Gesprächen, und er ließ ihm freien Lauf, den er fühlte sich zu Hause in diesem Salon. (Th. Mann – Buddenbrooks. VIII. Teil, 6. Kap. S. 470).

ასეთ საუბარში ბატონი ჰფიული დიდ აღმაფრენას იჩენდა და ჩვეულებრივ თამამად ლაპარაკობდა, რადგან ამ სალონში თავს შინაურულად გრძნობდა.

9. Aus dem letzten Loch pfeifen - სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

Dem Sterben nahe sein; sein Vermögen fast ganz durchgebracht haben.

Bsp. Sie [Tony] kehrt zu ihren Bruder zurück, küsst ihn... und sagt: „... Wir Buddenbrooks pfeifen noch nicht aus dem letzten Loch“...

იგი [ტონი] კოცნის ძმას ორივე ლოყაზე და ეუბნება, ჩვენ ბუდენბროკები ჯერ სულს არა ვღაფავთ. (Th. Mann – Buddenbrooks. VII. Teil, 2. Kap. S. 317).

10. Im Trüben fischen (Sprw). მღვრიე წყალში თევზის დაჭერა.

Aus unklarer Lage Vorteil ziehen.

Bsp. Was hatte er [der Senator] ihr [Tony] entgegengehalten? Er hatte es sehr gut und eindringlich gesagt, wie er sich erinnerte – „Unreinliche Manipulationen... Im Trüben fischen Brutale Ausbeutung“... (Th. Mann – Buddenbrooks. VII. Teil, 4. Kap. S. 446).

თვითონ რითი შეეპასუხა? როგორც ახსოვს, ძალიან კარგად და შთამაგონებლად უთხრა: „ბინძური მანიპულაცია! მღვრიე წყალში თევზის დაჭერა.“

## დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ ფრაზეოლოგიისა და ფრაზეოლოგიზმების საკითხი. გადმოვეცით ფრაზეოლოგიზმების არსებითი ნიშნები და მათი მიმართება იდიომატურ გამოთქმებთან. გამოვეკვითეთ ის ძირითადი ნიშნები, რაც განასხვავებს ფრაზეოლოგიზმებს იდიომებისაგან და რაც მთავარია, აღვნიშნეთ ის, რაც აახლოვებს ფრაზეოლოგიზმებს იდიომებთან.

ამ მიმართებით მასალა მოვიძიეთ გერმანულ, რუს და ქართულ ენათმეცნიერთა ნაშრომებიდან, სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან.

სათარგმნი მასალა საილუსტრაციოდ წარმოვადგინეთ ცნობილი გერმანელი მწერლის რომანიდან „ბუდენბროკები“.

როგორც გაანალიზებულმა მასალამ ცხადყო, ფრაზეოლოგიზმების, როგორც ენის ლექსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის, ძირითადი თვისებაა, მისი გადატანითი მნიშვნელობით ხმარება.

ფრაზეოლოგიური ერთეულის ფორმის, ხასიათისა და თავისებურებების გარკვევის მიზნით შევისწავლეთ მათი სიტყვასთან და თავისუფალ შესიტყვებებთან მიმართების საკითხი, შეძლებისდაგვარად დავადგინეთ მათ შორის მსგავსება და განსხვავებული სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები.

შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ფორმისა და შინაარსის მიხედვით გამოვყოფთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემდეგ ჯგუფებს: ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ორივე ენაში ემთხვევიან ერთმანეთს როგორც ფორმით, ასევე შინაარსით; ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც განსხვავდებიან ფორმით, ემთხვევიან შინაარსით და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

#### ლიტერატურა:

1. თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
2. გამრეკელი ნ., ჰოფმანი თ., ქადაგიძე ნ., გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1953.
3. ჟ. „საზრისი“, N16, თბ., 2005.
4. ჟ. „უცხოური ენები სკოლაში“, პერიოდული გამოცემები.
5. ლანდუროვა ი. გ., ნავეტვარიძე ლ. დ., კროიცი ნ. ი., ლაშქარაძე ა. ს., ბარამიძე დ. ს., ხუციშვილი ნ. გ., Deutsche phraseologische Wendungen und ihre Äquivalente im Georgischen, Tb., 1988.
6. Бинович Л.Э. Гришин Н.Н. Под редакции д-ра Малиге - Клаппенбах и Агрикола К. Deutsch – russisches phraseologisches Wörterbuch, М., 1975.
7. Едличко М.И., Рубинштейн А.И., Deutsche Redesarten, М., 1959.
8. Friedrich W., Moderne deutsche Idiomatik. München, 1966.
9. Paffen K.A. Deutsch – russisches Satzlexikon. Band I. II. III. VEB Verlag Enzyklopädie, Leipzig. 1970.
10. Iskos – Lenkova Lesestoffe zur deutschen Lexikologie. М., 1975.
11. Mann Th. Buddenbrooks М., 1956.
12. Виноградов В.В., Основные типы фразеологических единиц в русском языке. 1947.
13. Виноградов М. Probleme der Phraseologie. М., 1976.
14. Чернышева И. И., Немецкая фразеология и принципы ее научной систематизации, М. 1970.

### რეზიუმე

გერმანული ენის, ისევე როგორც ქართული ენის, ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმები. ფრაზეოლოგიური ერთეულის ფორმის, ხასიათისა და თავისებურებების გარკვევის მიზნით შესწავლილ იქნა მათი სიტყვასთან და თავისუფალ შესიტყვებებთან მიმართების საკითხი. დადგენილ იქნა მათ შორის მსგავსი და განსხვავებული სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები, ასევე /გერმანული და ქართული/ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის მსგავსება-განსხვავებები ფორმისა და შინაარსის მიხედვით. განხილულ იქნა გერმანულ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის განსხვავებები, როგორც ინტერფერენციის პოტენციალური წყარო. შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ფორმისა და შინაარსის მიხედვით გამოვყოფილ იქნა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემდეგი ჯგუფები: ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ორივე ენაში ემთხვევიან ერთმანეთს როგორც ფორმით, ასევე, შინაარსით; ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც განსხვავდებიან ფორმით, ემთხვევიან შინაარსით და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

სათარგმნი მასალა საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ფრაზეოლოგიზმების ქართული ეკვივალენტებით ცნობილი გერმანული მწერლის თომას მანის „ბუდენბროკებიდან“.

### PHRASEOLOGICAL UNITS OF THE GERMAN LANGUAGE AND THEIR GEORGIAN EQUIVALENTS ACCORDING TO “BUDDENBROOKS” BY THOMAS MANN

Tsisana Asanidze, Specialist under contract

#### RESUME

One of the sources of enriching the German and the Georgian language as well, is the phraseological expression. For the purpose of clarifying the form, character and characteristics of phraseological units, their relation with a word and free expressions were studied. The same and different structural-semantic signs were revealed. The similarity and the difference between the phraseological units / German and Georgian/ were studied according to the form and content. Differences between the German and Georgian phraseological units were discussed as the potential source of interpretation. As a result of comparing analysis the following groups of phraseological units were received according

to the form and content: phraseological units, which correspond to each other in both languages in form and content; phraseological units, which are different in form but are the same in content and phraseological units, which are different in both – form and content. The translated material is presented by Georgian equivalents according the book “Buddenbrooks” by famous German writer Thomas Mann.

## წინადადების აგების სტილური ფუნქცია მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით

*ვიანორ ახალაია, სრული პროფესორი*

ბ. ჯორბენაძე წერდა: მხატვრული ტექსტი წყვეტს უშუალო კავშირს კონკრეტულ მოვლენასთან და დამოუკიდებელ მონაცემად იქცევა... შესაბამისად, ენობრივად სხვაგვარ ელფერს იღებს: სიტყვები, შესიტყვებები, მთელი ფრაზა ან გაცილებით უფრო მოზრდილი სეგმენტი ტექსტისა ახალ დამატებით მნიშვნელობას იძენენ, ახლებურად ამყარებენ კავშირს და ამის საფუძველზე თვისობრივად ახალ სისტემებს აყალიბებენ. ფრაზა უფრო ტევადი ხდება სემანტიკური თვალსაზრისით (1, 10)

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „გაცილებით უფრო მოზრდილი სეგმენტი ტექსტისა“ წინადადებაა. წინადადების აგების პრინციპი კი საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მწერლის მხატვრული აზროვნების პროცესს, მის „შემოქმედებით ლაბორატორიას“, რადგან წინადადებათა სტრუქტურა, სინტაქსური მიმართებები მწერლის მეტყველების თავისებურებას ავლენენ, ხოლო მეტყველება სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური რეალიზაცია აზროვნებისა. გარკვეული სახით, შეიძლება სტილურ თავისებურებებზეც ლაპარაკი: მიხეილ ჯავახიშვილის თხრობა მუდამ უხვსიტყვიანია და ფრაზაც ტევადი. ამიტომაც ალბათ, რომ მიხ. ჯავახიშვილის პროზაში ხშირია შერწყმული და რთული წინადადებები. მაგრამ მართლაც ეს – მეტყველების თავისებურება – არ იწვევს შერწყმული წინადადების მიმართ ჩვენს ინტერესს. იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის შერწყმულია, რა პირობებში გვხვდება შერწყმულის ესა თუ ის ტიპი, ავტორი მოვლენათა მიმართ თავის დამოკიდებულებას, მხატვრული აზროვნების თავისებურებას და გმირთა ხასიათების ხატვის მანერას ავლენს.

გრ. კიკნაძე შენიშნავდა: უნდა ვიფიქროთ, რომ მეტყველების სტილის შესწავლისას, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის ის ტენდენციები, რომლებიც თავს იჩენენ სიტყვიერი მასალის განლაგებისა და შერჩევის დროს. მაგრამ, გარდა ამისა, უნდა იქნეს დახასიათებული ის შესაძლებლობანი, რომელთა შეგუება ძალუმს ენას, რათა ადამიანის ამ ტენდენციათა დაკმაყოფილება მოხერხდეს. (2.22) ჩვენ ენობრივ მასალას ვიღებთ ამოსავლად. უნდა განისაზღვროს რა ზომით ხდება შერწყმულში ერთგვარი წევრების რეალიზაცია და რა ფუნქცია აქვს ამგვარ რეალიზაციას, რათა ისიც დადგინდეს, თუ რა პრინციპს ეყრდნობა ავტორი შერწყმული წინადადების აგების დროს. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ – შემთხვევითი ხასიათისაა მისი გამოყენება, თუ რაიმე კანონზომიერებას აქვს ადგილი.

მორფოლოგიური შემადგენლობის მიხედვით მიხ. ჯავახიშვილთან გვხვდება ძირითადად სახელისა და შემასმენლის მიხედვით შერწყმული წინადადება. შეიძლება ერთგვარ წევრად იყოს მიმღეობაც, მაგრამ იქ, სადაც მიმღეობებია, აუცილებლად იქნება სხვა ერთგვარი წევრიც. ამიტომ მისი სინტაქსური ძალა ცოტა შესუსტებულია. ერთგვარ წევრთა მიხედვით შერწყმულ წინადადებას ვყოფთ სახელად და შემასმენლურ შემადგენლებად. სახელად შემადგენლად იმიტომ, რომ ამ სახელის სინტაქსურ დანიშნულებას არავითარი სტილური ღირებულება არ გააჩნია – არავითარი თავისებურება არ შეინიშნება იმის მიხედვით, ქვემდებარეა ერთგვარი წევრი, დამატება თუ განსაზღვრება. ამიტომ ყველა სახელური წარმომავლობის წევრი ერთნაირი ღირებულებისაა შემასმენელთან დაპირისპირებით.

ა) ჯერ გავეცნოთ შემასმენლის მიხედვით შერწყმულს. აქ გვხვდება ვერბალურ ფორმათა როგორც ტრადიციული, ისე ორიგინალური გამოყენება. მაგ., ტრადიციულია ამგვარი სახის შერწყმული:

„მაგრამ ყოველივე წავიდა, გაჰქრა, გათავდა!“

ერთგვარ წევრებს შინაარსიც იმდენად საერთო აქვთ, რომ ლამის სინონიმებად იქცნენ, მაგრამ, ისინი სინონიმური დანიშნულებით არ არიან გამოყენებულნი. მწერალს სურს ხაზი გაუსვას მოვლენის ღირებულებას გმირისათვის, რასაც სამჯერ მსგავსი ლექსიკური ერთეულის გამოყენებით აღწევს. ამგვარი ხასიათის ნიმუშებია.

„და კანჭა ბიჭიც კანჭა მწევარივით იჭიმება, ლოდებიან

გზაზე კაკაჭკვივით მიჰხტის და თვალთ ზომავს გრძელ მანძილს. ხარბად სჭამს, სვამს, ამოკლებს“  
(III, 55)

„ - ნება მიბოძეთ, ბინამდე მიგაცილოთ

- თუ გნებავთ...

- მნებავს კი არა, მსურს, მწყურია, მშიან“. (III, 324)

სამივე ნაწყვეტში შემასმენლის მიხედვით შერწყმას ის დანიშნულება აქვს, რომ ხაზი გაუსვას, გაამწვავოს სათქმელი. გარდა ამისა, მას დინამიურობა შეაქვს მეტყველებაში. ეს ნიმუშები სინტაქსური კონვერგენციის აშკარა მაგალითებია, რადგან „სინტაქსურ კონვერგენციას უწოდებენ ფუნქციურად ერთნაირი ელემენტების ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთი და იმავე სინტაქსური დამოკიდებულებით მათზე დაქვემდებარებული სიტყვის ან წინადადების მიმართ. ეს შეიძლება იყოს ერთგვარი, იგი ხაზს უსვამს, ე.ი. აძლიერებს იმას, რაც ამ სიტყვით ან სხვა მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით აღინიშნება“. (3, 112)

გარდა ამისა, „სიტყვა ფლობს მნიშვნელობის ღირებულებით კომპონენტს, თუ იგი გამოხატავს დადებით ან უარყოფით მსჯელობას იმაზე, რასაც იგი აღნიშნავს“. (2, 108) ამდენად, წინადადებაში სიტყვის არსებობა მისი ან ღირებულებითი ან ექსპრესიული კომპონენტით უნდა განისაზღვროს. მიხ. ჯავახიშვილთან ის ემოციური დამუხტულობა, რაც სიტყვას გააჩნია საერთოდ, შერწყმულ წინადადებაში შენარჩუნებულია, მაგრამ იგი უფრო ექსპრესიულ ბუნებას ავლენს. ვიდრე ღირებულებით, რადგან მის ღირებულებით მნიშვნელობას სხვები ანეიტრალებენ. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების ფუნქციური ღირებულება კიდევ უფრო დაბალია. ამაზე ზემოთ მოყვანილი ორი ნიმუშიც მეტყველებს. სახელი, მაშინაც კი, როცა იგი ქვემდებარეა, სხვა სახელებთანაა გათანაბრებული, რაც მის ემოციური დამუხტულობის ძალას, რა თქმა უნდა, ანეიტრალებს. ამ მდგომარეობას თითქოს აუმჯობესებს ის, რომ მას მსაზღვრელი ახლავს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება, რადგან ასეთივე მსაზღვრელი ახლავს ერთგვარ წევრთაგან ყველას. ამდენად, თითოეული წევრის პოტენციური შესაძლებლობის განეიტრალება ავტორს საშუალებას აძლევს სრული ინფორმაცია მოგვაწოდოს, თან ფრაზის რიტმს ქმნის.

რიტმის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა მეორე ნიმუში. ერთგვარი წევრების წყვილად შერწყმა და ამ წყვილების და კავშირით შეერთება შინაგან ჰარმონიას და მუსიკალურობას აძლიერებს, რაც სათქმელის ხასიათითაც უნდა იყოს განპირობებული: ინფორმაცია შინაგანად მოკლებულია ემოციურობას, მშვიდი და ჩვეულებრივია. ჩვენ შემთხვევაში სინტაქსური კონვერგენციის ნიმუშად მხოლოდ ზმნური ერთგვარი ფორმები თუ გამოდგება, რადგან გარემოებები, განსაზღვრებები და ა.შ. გვხვდებიან შერწყმულ წინადადებაში, მაგრამ მათი სტილური ღირებულება მხოლოდ სხვა ერთგვარ წევრებთან მიმართებით შეიძლება განისაზღვროს.

ბ) სულ სხვა ხასიათისაა და დანიშნულებისაა სახელით შერწყმული წინადადებები. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლად სახელები არ გვხვდებიან თითქმის, მუდამ მათ განსაზღვრება ახლავთ, ხოლო თუ არიან დამოუკიდებლად, ეს აუცილებლად ზედსართავი სახელები, ე.ი. რაღაც ნიშნის განმსაზღვრელებია და, ამასთანავე, მათი ჩამოთვლაც წყვილების სახელით ხდება:

„... იქვე ოქროთი მოვარაყებული ნიშნები მოჩანს

ძალაუფლების და სასჯელის: სამეფო გვირგვინი, ორთავიანი არწივი,

კანონთა კრებული და ლამაზი რომაული კონა როზისა“. (V, 284)

„ეხლანდელი მარგო უკვე დედაკაცია, ნამდვილი დედაკაცი

- დასრულებული და დამწიფებული, ფერწერული და ატლასოვანი,

ღონიერი და ჩაფუთქნული, ამაყი და თავმომწონე“. (I, 366)

შერწყმულ წინადადებაში რაიმე ერთგვარი წევრის არსებობა უკვე იმას ნიშნავს, რომ ცალკე აღებული ამ წევრის პოტენციური შესაძლებლობანი დაქვეითებულია, რომ საჭიროა მსგავსი ლექსემების მოხმობა იმისთვის, რომ ამ წევრით გადმოსაცემი ინფორმაცია სრულად იქნეს მოწოდებული.

რაც შეეხება ერთგვარ წევრთა დამოუკიდებელ ღირებულებას, აქაც ზუსტად ის ვითარებაა, რაც წინა ნიმუშში: რადგან აღარ შეიძლება ერთგვარ წევრს მსაზღვრელი ჰყოლოდა (ის თვითონაა განსაზღვრება), ხოლო ავტორს არ სურს ერთგვართაგან რომელიმე სიტყვას მეტი ემოციური დატვირთვა მისცეს, იგი მათ სინტაქსურ წყვილებად ჰყოფს. მაერთებელი კავშირით დაკავშირება კიდევ უფრო

აახლოვებს მათ მნიშვნელობებს, რითაც ცალკეული ლექსების ემოციური დამუხტულობა კიდევ უფრო ნეიტრალდება.

გ) შერწყმული წინადადების სტილური ღირსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ისეთ შემთხვევებზე, როცა ერთგვარ წევრებად არა ცალკეული წევრებია წარმოდგენილი (დამოუკიდებლად ან გავრცობილი რაიმე სიტყვით), არამედ სხვადასხვა შინაარსის, ემოციური მუხტის, მაგრამ ერთგვარი მორფოლოგიური ღირებულების მქონე სინტაგმატური წყვილები:

„სენი კი ისევ ჟინიანობს: სიცხეს უმატებს და პატარა რეჯანს ყვეითლებს, თოვლივით ადნობს და წყალივით ჰლევის“. (III, 67).

„თეიმურაზი იმ დღეს პირველად გრძნობს მარტოობის სიმწვავეს, ეულობის ტკივილსა და უპატრონობის გაუსამლისობას“. (I, 333).

ეს და ამ ტიპის ნიმუშები სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებენ. ჩვეულებრივ, გაბმულ მეტყველებაში არ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა რამდენიმე ლექსემა ერთი მოქმედების ან მდგომარეობის ამხსნელი იყოს. მით უმეტეს, უცნაურად ჟღერს ფრაზა, თუ რამდენიმე ასეთ ერთგვარ წევრს კიდევ დამატებით თავისი განმმარტებელი ეახლება, თანაც ისე მჭიდროდ დაკავშირებული საზღვრულთან, რომ ქმნიდნენ ერთ სინტაგმატურ რგოლს, რომლის დაშლა არ შეიძლება. ეს სტილურ თავისებურებას ქმნის, რომელიც ავტორის მეტყველებას წარმოგვიდგენს როგორც მოწესრიგებულ რიტმულ თხრობას, ამ რიტმსა და ჰარმონიას კი ქმნის სინტაქსური წყვილების მონაცვლეობა წინადადებაში. გარდა ამისა, შერწყმულის ეს ტიპი ავტორის მხატვრული აზროვნების კიდევ ერთ თავისებურებას უსვამს ხაზს - ესაა ერთი წინადადების ფარგლებში მოვლენის შესახებ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება.

#### ლიტერატურა:

1. ბ. ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხი, ქსკს, წ. V, თბ., 1983.
2. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 32.
3. Арнольд И.В., Стилистика современного английского языка, М., 1973, გვ. 232.

### რეზიუმე

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თავის ნაწარმოებებში შერწყმული წინადადებების ხშირი გამოყენება აძლიერებს აზრის ემოციურ ძალას, შინაარსის მხატვრულ წარმოსახვას, ექსპრესიულობას.

### STYLISTIC FUNCTION OF MAKING A SENTENCE ACCORDING TO THE PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI Vianor Akhalaia, Full Professorf RESUME

Frequent use of rich sentences in the creative works by Mikheil Javakhishvili strengthens emotional power of idea, literary portray and expressionism of a content.

## ზოგი კავშირის ფუნქციისათვის მეთავე საუკუნის ქართულ სასულიერო პოეზიაში

*მარიამ კობერიძე, სრული პროფესორი*

ქართული რთული წინადადების აგებულების, მისი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლა კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების ფუნქციის გარკვევას უკავშირდება. „მით უფრო გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კავშირები (ამ ცნების ფართო გაგებით) რთული წინადადების გრამატიკული დახასიათებისათვის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს“ (შ. ძიძიგური, 1969, გვ. 6).

რომელი მართებული და მაქვემდებარებელი კავშირები დასტურდება მეთავე საუკუნის სასულიერო პოეზიაში? რა დანიშნულება აქვთ მათ? გვხვდება თუ არა ერთი და იგივე კავშირი სხვადასხვა სემანტიკით და რატომ? რა მეტყველების ნაწილი შეეფარდება მაქვემდებარებელ კავშირს მთავარ წინადადებაში კორელატის სახით?

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაჯგუფებელი კავშირი და აკავშირებს როგორც წინადადების ცალკეულ სიტყვებს, ისე მთელ წინადადებას. „პირველ შემთხვევაში იგი შერწყმული წინადადების კავშირად გვევლინება, მეორე შემთხვევაში და თანწყობილი წინადადების კონსტრუქციისათვის არის დამახასიათებელი“ (შ. ძიძიგური, 1969, გვ. 22).

შერწყმულ წინადადებებში და კავშირი გვხვდება ერთნაირი წევრების - შემასმენელების, ქვემდებარეების, დამატებებების, განსაზღვრებებისა და გარემოებების დასაკავშირებლად. მაგ.: „**მაშინ იწყო მარხვად და ლოცვად** სიმრავლემან მორწმუნეთამან“ (იოანე მინჩხი, 330); „**მარადის იქცეოდენ კრძალულად, სიმართლით, და სიმდაბლით, და სიწმინდით** წინაშე ღმრთისა“ (იოანე მინჩხი, 331); „**ილოცვიდეს დაუდუმებლად სამ დღე და სამ ღამე** ცრემლითა“ (იოანე მინჩხი, 332); „**მშვიდობაა** მოსრული და **დიდებაა** ზეცისათა კაცთა შორის, აღმოფხურად **წყევლა და ნერგვად** კურთხევად“ (იოანე მტბევარი, 335); „**უბიწოთა მით სისხლითა მოიყიდე და დაიწინდე** ეკლესიაა წარმართთა“ (მიქელ მოდრეკილი, 338).

ზოგჯერ „და კავშირი პირველი შემასმენლის შემდეგ იმდენჯერ მეორდება, რამდენი ზმნა-შემასმენელიც მოსდევს მას“ (შ. ძიძიგური, 1969, გვ. 22). მაგ.: „**გონებითა მიიცვალე** შენ უზეშთაესსა ცხოვრებასა წმინდათა შეერთებასა და ბოროტთა შეძინებაა საცოფედ **შეპრაცხე და სთქუ** აღმამაღლებულს ღმერთს მამათა ჩუენთაო“ (კურდანაა, 3488); „**აღჰმალღდი** ზეცად თანამფლობელი მამისა და სულისაა და **შეაერთე** კაცებაა ღმრთეებასა, მოწყალე და **აღიყვანე** საღმრთოსა დიდებასა ადამ დანთქმული ნათესავითურთ!“ (იოანე მინჩხი, 330). და გამოყენებულია აგრეთვე თანწყობილ წინადადებებშიც. მაგ.: „**შეიყვარა მან ღმერთი და ღმერთმან შეიყვარა იგი**“ (იოანე მინჩხი, 331); „**ღმერთი გამოჩნდა** კორცითა და მამისა საყდართა არაა დააკლდა“ (იოანე მტბევარი, 334).

მეთავე საუკუნის სასულიერო პოეზიაში იშვიათად „და გამოიყენება რომ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით“ (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 173). მაგ.: „ქრისტემან, ღირსო თევდოსი, მოგცა მწყემსად სამწყსოთა თუსთა, და გამხიარულდეს დღეს“ (იოანე მინჩხი, 333).

ეს მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ფაქტორითაა ახსნილი. ჩანს, აქ გასათვალისწინებელია ამ კავშირის გამოყენება სხვა შეთხვევებშიც. კერძოდ, როცა „და“ კავშირი მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირის ფუნქციითაა (ვ. ახალაია, 2011, გვ.321).

და კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადებებიდან შესაძლებელია გამოიყოს „ისეთი კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს დაპირისპირებულ წინადადებას. ფუნქციურად და ამგვარ ვითარებაში **ხოლოს** ეტოლება, მისი შინაარსის გამომხატველია“ (შ. ძიძიგური, 1969, გვ. 26). მაგ.: „**ვინ არს, რომელსა ჰნებას ცხოვრებაა და უყუარან მას ხილვად**“ (იოანე მინჩხი, 331); „**სულმან წმიდამან არწმუნა** ურწმუნოთა მაღლი შენი ნათლის-მიცემად ბარბაროზთა სანატრელო, და განათლებულნი იტყოდეს: „**კურთხეულ ხარ, ღმერთო, ტაძარსა მას სიწმიდისა მისისა!**“ (ეზრა, 345).

შეინიშნება ისეთი შემთხვევაც, როდესაც და კავშირი გამოყენებულია მაგრამ დაპირისპირებელი კავშირის ნაცვლად: „**აცურე ქრისტე, ცუარ ცხოველ-მყოფელი, უნაყოფოსა სულსა ჩემსა, სახიერ, და დაშრიტე აწ შემწუველობაა ცოდვისაა**“ (მიქელ მოდრეკილი, 338).

მეთავე საუკუნის სასულიერო პოეზიის ენაში ხშირად გამოიყენება დაპირისპირებელი **ხოლო** კავშირი. მაგ.: „**აღმოცენებით აღმოჰედ ძირთაგან იესეთა სიწმინდით, ხოლო** დღეს იორდანეს ძღვევით შეჰმუსრე თავი ვეშაბისა“ (იოანე ქონქოსისძე, 349); „**სიკუდილდ მისცა სტეფანე პავლე მოციქულმან, ხოლო** ერმან უმჯულომან, კრებულმან ამომან, ქვაა დაჰკრიბა უწყალომან“ (სტეფანე სანოსძე, 350);

„ელა ამხედრდა საშინელთა ეტლთა ცეცხლისათა და ჯორცითა აღვიდა უჯორცოთა თანა, ხოლო ნაწილნი შენნი, ღირსო ევთჳმი, მოგუენიჳნეს წყლულებათა ჩუენთა საკურნებლად“ (ეზრა, 344).

მაპირისპირებელი კავშირი **არამედ** წინადადებას აძლევს უარყოფით შინაარსს: „ქრისტემან მოგცა მადლი სასწაულთაცა საქმედ და ესრეთ პატივ გცა საწუთროსა ამას, **არამედ** შემდგომად სიკუდილისა უფროდ გადიდა წინაშე მისსა, პატივცემულ მეფეთა თანა საუკუნესა!“ (იოანე მინჩხი, 331); „**არამედ** სულითა დამდაბლებული ჰმსახურებდი ღმერთსა, შესცვალე ტალანტი შენთა სათნოებათა!“ (იოანე მინჩხი, 333); „არაჲ შეიცვალა ერთობაჲ ბუნებითაჲ, არცა საუცარ ყო განკაცებაჲ, **არამედ** კაც არს“ (იოანე მტბევარი, 334).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს **რაჟამს** კავშირი. ასეთი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის უსწრებს მთავარ წინადადებას. მაგ.: „**რაჟამს** მოხუედი ზეცით ქუეყნად, მკსნელო ჩუენო, და ინებე შენ შობაჲ საშოასაგან უბიწოსა ცხოვრებისათჳს ადამის ნათესავისა შეცთომილისა, მრავალმოწყალე!“ (იოანე მინჩხი, 329); „**რაჟამს** მოხვიდე განშჯად, მსაჯულო სიმართლისაო, მიკსენ, სახიერ, სასჯელთა მათგან საუკუნეთა“ (იოანე მინჩხი, 330); „**რაჟამს** იყო ურვასა შინა, უმწყემსოვებისა ზრუნვასა, ერი იგი სამწყყო ქრისტესი, **მაშინ** მოვიდა მათა კაცი ღმრთისაჲ, რომელი ეტყოდა“ (იოანე მინჩხი, 330).

ასეთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებას რაჟამს კავშირი იწყებს. მთავარ წინადადებაში იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს მისათითებელი ზმნიზედა **მაშინ** (წვერ-კავშირი). ერთადერთი შემთხვევა შეგვხვდა, როცა მთავარ წინადადებას იწყებს წვერ-კავშირი, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში გამოტოვებულია **რაჟამს** კავშირი, მაგრამ მისათითებელი სიტყვა გვავარაუდებინებს დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.: „**მაშინ** იწყო მარხვად და ლოცვად სიმრავლემან მორწმუნეთაგან, ერთობით კმობდეს ქრისტეს მიმართ“ (იოანე მინჩხი, 330).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „რა კითხვითი ნაცვალსახელისა და ჟამ-სიტყვის ნაზავად მიჩნეულია რასჟამს. უმეტეს შემთხვევაში რა-სთან მიცემითის ნიშანი ს დაკარგულია და ამრიგად მიღებულია რაჟამს.... ბუნებრივია, რომ ამ სიტყვას მავრცობი ა არ ახლავს (რასჟამსა), რამდენადაც ზმნიზედური ფორმისათვის იგი არაა ნიშანდობლივი. ზოგიერთ ძეგლში (მაგალ., ოთხთავის C რედაქციაში) გვხვდება რასჟამს“ (შ. მიძიგური, 1969, გვ. 385). ა. შანიძის ვარაუდით, იგი გაჩენილია გრაფიკულ ნიადაგზე, ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ანალოგიით (ა. შანიძე, 1945, გვ. 45).

**რამეთუ** კავშირი გამოხატავს მიზეზს („რადგანაც“): „იხარებდეთ ყოველი დაბადებული, **რამეთუ** ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა“ (იოანე მტბევარი, 334); „**რამეთუ** საყდართა სამეფოთა ბრძანებითა მამისაჲთა, სიყვარულითა ძისაჲთა, სულისა წმინდისა ნებით ღირს იქმნა დაჯდომად თევდოსი“ (იოანე მინჩხი, 332); „**რამეთუ** ცხოვრებაჲ ჩემი ქრისტე არს და სიკუდილი შესადინელ არსა, ესრეთ ჰგმობდი, მოწამეო, წინაშე უშჯულოთა მძლავრთა და მისთჳს დასთხიენ სისხლი შენნი“ (მიქელ მოდრეკილი, 343).

ძველ ქართულში „რამეთუ-ს ზოგჯერ რომ კავშირის მნიშვნელობა აქვს“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 146). **რამეთუ** გვხვდება რომ კავშირის სემანტიკით ქართულ სასულიერო პოეზიაშიც: „აჰა საიდუმლოჲ სიბრძნისა საღმრთოსა, **რამეთუ** ბეთლემი სამოთხჳ იქმნა დღეს“ (იოანე მტბევარი, 334).

**რათა** გამოხატავს მიზანს: „მე უღირსი შეგივრდები, რათა ვიყო მათთანავე შენგან უმაგ“ (იოანე ზოსიმე, 329); „**რათა** ჩვენც ვიხარებდეთ შუენიერად დატკობილნი, კმათა მათთა სიმრავლითა, გალობითა ბრწყინვალითა, შესხმითა მით წმიდაჲთა, რომლითაცა იდიდები შენ სახიერ“ (იოანე ზოსიმე, 329).

რომელიც მიმართებითი ნაცვალსახელი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით დასტურდება ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში: „**რომელმანცა** ენით უძღურითა, ვითარცა-ღა ლამპრითა ცეცხლისაჲთა, შეწუნა ეკალნი გმობისანი სულისა წმინდისა მადლითა, მღდელთ-მოდღუარსა ბასილის ყოველნი ვაკურთხევთ“ (იოანე მინჩხი, 337); „**რომელმანცა** მიანიჳა კლიტენი სასუფეველისა ცათასანი ბასილის, ვითარცა ეკლესიათა თავსა და ბრძენთა მთავარსა, ქრისტეს ვაკურთხევდით უკუნისამდე!“ (იოანე მტბევარი, 337); „**რომელმან** იორდანეს ნათლისღებითა განმანათლე, აწცა სული სიბრძნისაჲ განმიახლე ჯეროვნად შემამკობლად გამოკსნისა კრებასა“ (იოანე ქონქოზისძე, 346); „**რომელი** იქმენ პირმშო მკუდართა და გზაჲ სიკუდილისაჲ, წყარო ცხოვრების ჰყავ მორწმუნეთათჳს, დღეს შენთჳს მიიღო სასუმელი იგი“ (იოანე ქონქოზისძე, 347).

**სადაც** მიმართებითი ზმნიზედა ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება ც ნაწილაკ მოკვეცილი ფორმით: „ქრისტემან, ღირსო თავდოსი, მოეც მწყემსად სამწყსოთა თჳსთა, და განმხიარულდეს დღეს, რამეთუ **ჰემმარიტად, სადა** არნ მწყემსი კეთილი, მუნ მხიარულ არ სამწყსო იგი“ (იოანე მინჩხი, 335); „უჯორცოთას თანა დამამკვიდრა შენ, **სადა** თჳთ ნათობს ნათელი მისი!“ (იოანე მტბევარი, 337).



მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში გვხვდება „ისეთი წინადადება, რომელსაც შედარება უდევს საფუძვლად და ამავე დროს, ვითარების გარემოებასაც გამოხატავს, ვითარებით-შედარებითი წინადადების კონსტრუქციას ქმნის“ (შ. ძიძიგური, 1969, გვ. 146). ასეთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში გვხვდება **ვითარ** კავშირი: „ვითარ შვა ქალწულმან, ვისწავოთ, და (ვითარ) ცეცხლი საღმრთოა წიაღითა იტყრთა დღეს“ (იოანე მტბევარი, 334).

საანალიზო მასალებში უმეტესად დასტურდება ცა ნაწილაკიანი ფორმები: „**ვითარცა** რა უბიწომან აბელ შეწირა უფლისა მსხუერპლი ცხოველი, ეგრეთვე შენ, ნეტარო, შესწირე თავი შენი მსხუერპლად უსისხლოდ ქრისტესა“ (იოანე მტბევარი, 336).

**ვითარცა**: „**ვითარცა** კიდობანი, ეკლესიაა წყლით-რღუნასა უღმრთოთასა შეუცდომელითა სარწმუნოვებითა შეჰმზადე და შეჰკრიბენი მორწმუნენი მას შინა და ასწავე ქებას სამებისაი!“ (იოანე მტბევარი, 336); „**ვითარცა** რა მარგალიტი ურიცხვსა სასყიდლისა, ჩუენ მოგუეცა მორწმუნენო“ (იოანე ზოსიმე, 329); „**ვითარცა** რა უბიწომან აბელ შეწირა უფლისა მსხუერპლი ცხოველი, ეგრეთვე შენ, ნეტარო, შესწირე თავი შენი მსხუერპლად უსისხლოდ ქრისტესა“ (იოანე მტბევარი, 336).

როთული ქვეწყობილი წინადადების გამოყენება მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში მეტად ხშირია, ერთდროულად გვაქვს ქვეწყობა და თანწყობა. თანწყობილი წინადადება ხშირად მთავარია, რომელსაც ახლავს რამდენიმე ერთგვარი, ან არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება: „ქრისტემან, ღირსო თევდოსი, მოგვა მწყემსად სამწყსოთა თქსთა, და განმხიარულდეს დღეს, **რამეთუ**, ჰემმარიტად, სადა არნ მწყემსი კეთილი, მუნ მხიარულ არნ სამწყსოა იგი“ (იოანე მინჩხი, 332); „იხარებდით ცანი ქუეყანისათა თანა, **რამეთუ** დამზადებელი იხილვა დღეს ქუაბსა სინა შეხუელი სახუევლითა, **რათა** შეცოდებათა ჩუენთა საკრველნი განჰკსნეს წყალობით და წარმიძლეს ჩუენ“ (იოანე მტბევარი, 335); „უცხო არს სახც შენისა სახიერებისაი, **რამეთუ**, **რომელი** ღმერთი ხარ ბუნებითა, იქმენ კაც ნეფსით და შეიმოსე ხატი, რომელი დაჰზადე და აცხოვნე, მოწყალე“ (იოანე მტბევარი, 335).

როგორც ჩანს, მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში გამოყენებული ზოგი კავშირი სხვადასხვა სემანტიკით დასტურდება. საფიქრალია, მათი პოლისემიურობა მწერლის სტილისტური საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული.

#### ლიტერატურა:

1. ვ. ახალაია, და კავშირი და პროსოდიული და „ვეფხისტყაოსანში“: გორის სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, გორ., 2011.
2. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
3. ა. შანიძე, წინასიტყვაობა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945.
4. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
5. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946.
6. ზ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.

#### რეზიუმე

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაჯგუფებელი კავშირი და გამოიყენება შერწყმულსა და თანწყობილ წინადადებაში. შეინიშნება და კავშირის გამოყენება სხვა სემანტიკური მნიშვნელობით, კერძოდ, **ხოლო** მაპირისპირებელი და **რომ** მაქვემდებარებელი კავშირის ნაცვლად.

მაქვემდებარებელი კავშირებიდან დასტურდება **რაჟამს**, **რამეთუ**, **რათა**. **რამეთუ** კავშირი **ზოგჯერ** ნაცვლება **რომ** კავშირს.

მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში გამოყენებული ზოგი კავშირი სხვადასხვა სემანტიკით დასტურდება. საფიქრალია, მათი პოლისემიურობა მწერლის სტილისტური საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული.

## THE FUNCTIONS OF CERTAIN CONJUNCTIONS IN THE TENTH-CENTURY RELIGIOUS POETRY

**Mariam Koberidze**, Full Professor  
**RESUME**

The observation on the material has shown that the coordinative conjunction “da” (and) is used in a complex sentence as well as a sentence with homogeneous parts. The conjunction “da” (and) is obviously used with another semantic meaning replacing the conjunctions “kholo” and “rom”.

The usage of some subordinate conjunctions, such as “razhams”, “rata”, “rametu” is obviously ascertained. The conjunction “rametu” sometimes replaces “rom”.

Some certain conjunctions of the different semantics were used in the tenth-century religious poetry. It is supposed that the polysemous feature of those conjunctions is resulted from the writer’s stylistic needs.

### „ძეგლი ერისთავთა“ ენის ზოგიერთი ენობრივი ასპექტი

*ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე „ძეგლი ერისთავთა“ 1849 წლის თებერვალში ისტორიკოს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსესათვის გადაუცია, რომელიც ამ უკანასკნელს მოუთავსებია სხვადასხვა შინაარსის მასალებს შორის. ძეგლის ხელნაწერი ამჟამად დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.

როგორც ამ საინტერესო საგვარეულო მატთანადან ირკვევა, ძეგლი შექმნილია ქსნის ერისთავის ვირშელ მესამის ცხოვრების დროს 1348-1400 წლებს შორის, ამ დროს ცნობილი მოღვაწის, მწიგნობრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ.

ძეგლის სხვადასხვა ნიუანსებს რამდენიმე მეცნიერი შეეხო, მათ შორის ცნობილი მკვლევარი შოთა მესხია, რომელმაც ქრონიკა 1954 წელს გამოაქვეყნა (მასალები, ნაკ. 30).

XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ასეთი სახის მატთანე ბევრი არ მოგვეპოვება. მიზეზთა შორის მთავარია შემოსევები, განსაკუთრებით კი ჯერ ხვარაზმელებისა, შემდეგ მონღოლებისა, რომელთა ბატონობა საქართველოში დიდხანს გაგრძელდა.

ამიტომ „ძეგლი ერისთავთა“ იმ მრისხანე დროს ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია, რომელიც კარგად ასახავს მტრების თარეშს და მატთანის დაწერას უძნელეს პერიოდში.

XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების საუკუნეა, ამ დროს ერისთავები ეუფლებიან ქსნის ხევის ცენტრალურ ადგილებს – ლარგვისსა და ქვენიფნევს. ქვენიფნევში ერისთავებმა ააშენეს სასახლეები და ციხეები, ხოლო ქვენიფნეველ ვირშელის ძემ „აღაშენა ქვენიფნევს ეკლესია და დარბაზოვანი დიდ-დიდად და შუენიერი (ძეგლი ....., გვ. 352).

XIII საუკუნის დასასრულისათვის მეფე ვახტანგ მესამემ ერისთავს შალვა ქვენიფნეველს უწყალობა უკვე დაუფლებული ხევ-ხევეები: თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეეთე, არახვეთი, ხანდო, ყანჩაეთი, აბაზას ძეთა მამული, მაგნაკორანი, დილუამი, გავაზი, აწერისხევი, ბეხუშე (ძეგლი ....., გვ. 348). აღნიშნული პუნქტები მდებარეობენ არაგვის ხეობიდან დასავლეთით ლიახვამდე. ამ ტერიტორიაზე მრავალი მცხოვრები, ასეულობით ციხე-სიმაგრეა, რომელთა მოპოვება და დაცვა ერისთავებს ხმლით უხდებოდათ.

ამ მნიშვნელოვანი მატთანის ფურცლებზე აღწერილია ჩვენთვის საინტერესო ერისთავებისა და მათ მფლობელობაში მყოფი ხალხის ცხოვრება როგორც ქსნის, ისე დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, თრუსოში, მადრან-დვალეთსა და სხვა მიმდებარე ადგილებში.

ძეგლის გადაკითხვისას თვალში საცემია ენობრივი მოვლენები, რომელთა მიხედვით დგინდება, რომ ისინი ძეგლი ქართულის კუთვნილებაა, მაგრამ გვიანდელი მოვლენები ახალ ქართულის საწყისებსაც შეიცავს, რომელთაც გამომზეურება და შესწავლა ესაჭიროებათ.

ამჯერად წარმოვადგენთ რამ ნაცვალსახელის განსაზღვრას და ფუნქციას ძეგლის მიხედვით, ასევე გავრცობის ა-ს ხმარებას, რომელიც ასე რელიეფურად არის წარმოდგენილი.

ასევე ითქმის ზოგიერთ თანდებულებიან ფორმებზე. რად ნაცვალსახელს ძველ ქართულში რამდენიმე ფუნქცია ჰქონდა, მათ შორის კითხვითი, მიმართებისა, ასევე განსაზღვრებითი ნაცვალსახელებისა „თითოეულისა“ და „ყველას“ ფუნქციით.

„ძეგლი ერისთავთაში“ კვითხულობთ: „ჰრქუა ერმან როსტომს: რად გნებავს, რაითა ვყოთ შენთვის“. აქ ბუნებრივია იგულისხმება კითხვითი ნაცვალსახელი რა გნებავს შენთვის?

ძეგლიდან: „ამათ უბრძანა რადთა შემდგომით მეფისა იყუნენ მორჩილნი“. აქ გვხვდება განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, უბრძანა ყველას.

ძეგლიდან: „დაუსუნებდეს და ევედრებოდეს“, აქაც გვხვდება განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, ევედრებოდეს ყველას.

ძეგლიდან: „მაშინ ვირშელმან ერისთავმან იხილნა რად ესრეთ უღონოქმნილნი უბრძანა არახოცად მათდა“. აქ განსაზღვრებითი ნაცვალსახელია: იხილნა თითოეული

ძეგლიდან: „მომეცით რად პირუტყვი, იხილონ ლაშქართა მათთა“. ნაცვალსახელის შემდგომ იგულისხმება განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „ყოველი“.

როგორც ჩანს რად ნაცვალსახელის განსაზღვრებითად გამოყენება შეიძლება შეენაცვლოს თითოეულს და ყველას. რად-ს ამ ფუნქციით ხმარება „ძეგლი ერისთავთაში“ მოულოდნელი და უცნაური არა ჩანს. ამ შემთხვევაში სიტყვას და წინადადებას აკონკრეტებს.

ძველ ქართულში საზოგადო სახელები მხოლოდითი რიცხვის მიცემით, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში, ხოლო თანიანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში, ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაირთავს - ა ხმოვანს.

„ძეგლი ერისთავთას“ ტექსტზე დაკვირვებიდან ცხადი ხდება, რომ ემფატიკური ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს.

ა ხმოვანი ვლინდება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებში.

ა ხმოვანი გვხვდება გეოგრაფიულ სახელებთან.

ა ხმოვანი დასტურდება ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელის სახით.

ა ხმოვანი ვლინდება ხმოვანზე და თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებში და სხვა ფორმებში.

ძეგლიდან: „მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი და თქუეს: არა გვინდა მეფე მჯდომარე ქვეყანასა ჩუენსა“. აქ გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა. სავრცობი დაერთვის საზოგადო ხმოვანფუძიან სახელს და პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში.

„და მოსწრაფე იყუნეს ყოველნი შენებასა ლარგვისისასა...“ პირველი კომპონენტი საწყისი გვხვდება გავრცობილი ფორმით დაკავშირებულ საკუთარ გეოგრაფიულ სახელთან, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმითაა წარმოდგენილი.

„ადიყვანეს და მოახსნეს ხევსა ისროლისასა, ციხესა გრუისისა“. აქაც საზოგადო და საკუთარი სახელები გვხვდება გავრცობილი ფორმით ნათესაობით ბრუნვაში (ისროლისასა, გრუისისა).

„რომელნი მკვიდრ არიან შუა არაგუისა და ლიახუსა...“ ჰიდრონიმები წარმოდგენილია ნათესაობით ბრუნვაში გავრცობილი ფორმით.

„მაშინ დავით მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა...“ ზედსართავები წარმოდგენილია ნათესაობით ბრუნვაში გავრცობილი ფორმით. საზოგადო სახელები, ძირითადად, პირველ კომპონენტად გვხვდება მიცემით ბრუნვაში: ღამესა ბნელსა, ციხესა დარიელასა, მთასა ლომისისა, ციხესა ბეხუმესასა, ბეხუმეს ციხესა, ქვეყანასა ჩვენსა და სხვ.

ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში სავრცობით ა თითქმის ყველგან დაცულია. ასევე ითქმის ზოგიერთ თანდებულებიან ფორმებთან:

კერძო - გარნა შენ შემოქმენ მარჯუენით კერძო საკურთხევისა

წინაშე - ბრძანა მოწოდება წინაშე მათსა საკურთხევისა წინაშე წმიდისასა

ზედა - მოვიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესასა და სხვ.

„ძეგლი ერისთავთა“ არის ჩვენი ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების ქვეყნარტი ძეგლი, რომლის შესწავლა ყოველთვის საპატიო და აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია.

### ლიტერატურა:

1. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, თბ., 1954.
2. „ძეგლი ერისთავთა“, 1954, გვ. 352.
3. „ძეგლი ერისთავთა“, 1954, გვ. 348.

4. ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, გვ. 219-220, (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, ვ. თოფურიას რედაქციით), თბ., 1956.

### რეზიუმე

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაზე „ძეგლი ერისთავთა“ 1849 წლის თებერვალში ისტორიკოს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსესათვის გადაუცია და წერილშიც აღნიშნავდა თუ როგორ მოიპოვა აღნიშნული მატიაზე. ძეგლის ხელნაწერი ამჟამად დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.

ძეგლი შექმნილია ქსნის ერისთავის ვირშელ მესამის დროს 1348-1400 წლებში ცნობილი მწიგნობრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ.

„ძეგლი ერისთავთა“ შექმნილია საქართველოში ავბედობის დროს და ამიტაც იგი ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია.

ძეგლში თვალსაყვამია ძველი ქართულის ენობრივი მოვლენები, რომელთა მიხედვით დგინდება, რომ ისინი ძველი ქართულის კუთვნილებას, მაგრამ გვიანდელი მოვლენები ახალი ქართულის მოვლენებსაც შეიცავს, რომელთაც გამომზეურება და შესწავლა ესაჭიროებათ.

ამჯერად წარმოვადგენთ რამ ნაცვალსახელის განსაზღვრას და ფუნქციას, ასევე მავრცობი ა-ს ხმარებას, რომელიც რელიეფურად არის წარმოდგენილი. ასევე ითქმის ზოგიერთ თანდებულიან ფორმებზე.

რამ ნაცვალსახელს ძველ ქართულში რამდენიმე ფუნქცია ჰქონდა. მათ შორის კითხვითი, მიმართებისა, ასევე განსაზღვრებითი ნაცვალსახელებისა „თითოეულისა“ და „ყველას“ ფუნქციით. ასეთი მაგალითები გვხვდება „ძეგლი ერისთავთაში“:

- რამ გნებავს, რამ ვიყოთ შენთვის. აქ იგულისხმება კითხვითი ნაცვალსახელი რამ გნებავს?

ძეგლში ემფატიკური ა დაცულია ყველგან, სადაც კი მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს. მაგალითი:

- და მოსწრაფე იყუნეს ყოველნი შენებასა ლარგვისისასა.

თანდებულიანი ფორმები:

კერძო - გარნა ვერ შემიმშენ მარჯუენით კერძო საკურთხეველისა.

ძეგლის შესწავლა საპატიო და აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია.

## SOME LANGUAGE ASPECTS IN „MONUMENT OF ERISTAVTAS“

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

### RESUME

Family records named „Monument of the Eristavis“, in February, 1849, was given to a French scientist Mari Brose by a historian Dimitri Megvinetukhutsesishvili where he described, how he was able to get that record. The document is kept in Petersburg Oriental Institute at the moment.

The document is made by Avgaroz Bandaisdze, the famous researcher in 1348-1400, during the reign of Virshel III being the Eristavi of Ksani.

The document was made at the time when Georgia had a lot of internal and outer problems and in this regard, it is one of the most unique documents.

In the document we can see the language events of Old Georgian and according to it we can make a conclusion that they belong to the Old Georgian language tout the later ones include the examples of the New Georgian language. And these facts must be studied carefully. At present we represent the definition and the function of rat – pronoun as well as the use of as. So can be said about some prepositions.

Rat pronoun had some functions in Old Georgian. Such as the functions of interrogative, attributive and relative pronouns. It had the function of „each“. Such examples we find in these records, e.g. meaning „What do you want?“ (Raat gnebvavs).

We can see the examples of emphatic pronouns (da mostsrape ikunen kovelni shenebasa) and some others.

## უარყოფა „nicht და kein“- ის მქონე სინონიმური კონსტრუქციები თანამედროვე გერმანულ ენაში

*ელდარ ხიტრია, მოწვეული სპეციალისტი*

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა თანამედროვე გერმანული ენის სინტაქსში სინონიმური საშუალებების სიმდიდრე, მათი სისტემურობა და გერმანული ენის სინტაქსში სინონიმური რიგები.

სინონიმურობა დიდი ხანია მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს. განსაკუთრებით ღრმადაა შესწავლილი ლექსიკური სინონიმია. ტერმინის „სინონიმია“ ენის სხვა ასპექტების მიმართ გამოყენება მოწმობს ლინგვისტური ლიტერატურის ისეთი ტერმინებით გამდიდრებას, როგორცაა: „ბგერითი სინონიმები“, „გრამატიკული სინონიმები“, „ფრაზეოლოგიური სინონიმები“, „სიტყვაწარმოებითი სინონიმები“ და სხვ.

ტერმინი „სინტაქსური სინონიმია“ პირველად შემოიტანა პროფ. ა. მ. პეშკოვსკი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინის მრავალგვარი განსაზღვრა არსებობს. ვეყრდნობით რა ენათმეცნიერთა გამოკვლევებსა და დაკვვნებს სინონიმის საკითხებში (ა. მ. პეშკოვსკი, ვ. ვ. ვინოგრადოვი, ვ. გ. ადმონი, ე. ი. შენდელსი და სხვ.) ვიზიარებთ შემდეგ განსაზღვრას: სინტაქსური სინონიმები ისეთი სინტაქსური კონსტრუქციების (წინადადებების, ქცევების, შესიტყვებების) მოდელურია, რომლებსაც აქვთ ერთი და იგივე აზრობრივად მიახლოებული და ადეკვატური გრამატიკული მნიშვნელობა, გამოხატავენ მსგავს სინტაქსურ დამოკიდებულებას და გარკვეულ კონტექსტში შეიძლება ერთმანეთს ჩაენაცვლონ.

სინონიმისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს „სინონიმური რიგი“. სინტაქსში სინონიმურობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ენაში მოცემული მიმართების გამოსახატავად არსებობს ორი ან მეტი სინტაქსური კონსტრუქცია. ასეთი სახის თანაბარი მნიშვნელობის ან ეკვივალენტურ კონსტრუქციათა ერთობლიობა შეადგენს სინტაქსურ სინონიმურ რიგს. ამა თუ იმ სინონიმურ რიგში წევრთა რაოდენობა სხვადასხვაა. ყველაზე გავრცელებულია ორ ან სამ წევრიანი სინონიმური რიგი, თუმცა გვხვდება ოთხ, ხუთ ან მეტ წევრიანიც.

სინონიმური რიგი შეიძლება განვიხილოთ როგორც მიკროსისტემა ენის სინტაქსის სინონიმურ სისტემაში. ამ მიკროსისტემას აქვს სპეციფიკური თავისებურებები, რომლებსაც განაპირობებს შესაძლებლობა, ერთი და იგივე სინტაქსური დამოკიდებულება გამოხატოს გრამატიკული კონსტრუქციებით.

სინტაქსური ერთეულების რაოდენობრივი და თვისებრივი გავრცობის გზებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ენის სინტაქსური წყობის გამოკვლევის, ისე მისი სინონიმის შესწავლის თვალსაზრისით. სინტაქსურ ერთეულებში გამოიყოფა ძირითადი ერთეულები, რომლებიც წარმოადგენს სინტაქსის ისეთ სტრუქტურული ელემენტების ბაზას, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სტრუქტურული ელემენტებისაგან სხვა სინტაქსური ერთეულების წარმოქმნას.

გამართლებულად მიგვაჩნია ძირითად სინტაქსურ ერთეულებში „სიტყვის, შესიტყვების, განკერძოებული ქცევისა და ელემენტარული წინადადების“ გამოყოფა. ვ. გ. ადმონის მიხედვით, ელემენტარული წინადადება წარმოადგენს ყველა სახის სინტაქსურ წარმონაქმნებს, რომლებიც განეკუთვნებიან წინადადების ერთ–ერთ ლოგიკურ გრამატიკულ ტიპს, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებს გაშლილ მეტყველებაში მოცემული ელემენტარული წინადადება სხვა ელემენტარული წინადადებების მიმართ, ე.ი. წარმოადგენს თუ არა ეს წინადადება მთავარ, დამოკიდებულ ან დამოუკიდებელ წინადადებას ან რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტს.

როგორც ცნობილია, უარყოფის გამოხატვის ყველაზე გავრცელებულ და უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს ნაწილაკი „nicht“, რომელიც შეიძლება განეკუთვნებოდეს წინადადების ამა თუ იმ წევრს, ხოლო წინადადების იმ წევრის წინ, რომელიც გამოხატულია არსებითი სახელით, ჩვეულებრივ გამოიყენება „kein“.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, თანამედროვე გერმანულ ენაში შეიმჩნევა კონსტრუქციების „kein+არსებითი სახელი“ და „nicht ein-eine-ein+არსებითი სახელი“-ს სინონიმურობა, სადაც „nicht ein-eine-ein+არსებითი სახელი“-ს კონსტრუქცია უფრო მეტად არის გავრცელებული, თუმცა ხმარების სიხშირით იგი ჩამორჩება კონსტრუქციას „kein+არსებითი სახელი“.

მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კონსტრუქცია „nicht ein-eine-ein“ უმეტეს შემთხვევაში იხმარება დროის საზომი ერთეულების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან, მაგრამ ეს შესიტყვება უარყოფის გამოსახატავად შეიძლება იდგეს სხვა მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელების წინაც.

მაგ.: 1. Nicht eine Minute hätte er es länger im Wagen ausgehalten. (B.Kellermann. Totentanz, Berlin, 1952, S.499.)

2. Dabai ließ sie Fabian nicht eine Sekunde aus den Augen (B.kellermann.Totentanz,Berlin, 1952, S. 51)

3. Es gibt nicht einen Fall, von dem Sie sagen könnten ,er berechtigte Sie zu seiner Lüge. (Groß.Der Mann aus dem anderen Jahrtausend, Berlin, 1961,S.137)

4. Von dem mysteriösen Ingenieur Nabou entdeckte ich nicht eine Ausnahme,die ihn erkennen ließ. (Krupkat. Nabou, Berlin, 1968, S.248)

ჩვენი აზრით, კონსტრუქციაში „nicht ein-eine-ein+არსებითი სახელი“ უარყოფა უფრო ნათლად გამოიხატება, ვიდრე კონსტრუქციაში „kein+არსებითი სახელი“. ნაცვალსახელ „kein“-ის შესუსტებისა და მისი გრამატიკულ უარყოფად გადაქცევის საერთო ფონზე, შესიტყვება „nicht ein-eine-ein“ უფრო მკაფიო და აქცენტირებულია და თავისი მნიშვნელობით უტოლდება ნაცვალსახელ „kein“-ს მისი განზოგადოებული მნიშვნელობით, ე.ი. „არც ერთი“.

მაგ: Eine Rasenfläche, in der auch nicht das kleinste Unkraut geduldet wurde.

Th.Mann.Zauberberg,Berlin,1962, S.44

უმეტესწილად, ეს უარყოფითი ქცევები გამოიყენება არსებით სახელებთან, რომლებიც გამოხატავენ უთვლად ცნებებს, მაგრამ ეს ქცევები შეიძლება შეგვხვდეს განყენებულ არსებით სახელებთანაც და წარმოადგენდნენ უარყოფის უფრო ძლიერ საშუალებას, ვიდრე „kein“

შევადართ:

keinen Zweifel haben – nicht den geringsten Zweifel haben

keinen Hunger haben--nicht den wenigsten Hunger haben

სინონიმური შეიძლება იყოს შესიტყვებები „kein+აბსტრაქტული არსებითი სახელი“.

მაგ: 1. Bienkopp hat nicht Zeit,sich um Mampes giftige Müßiggängerreden

aufzuregen „E.Strittmatter. Ole Bienkoppf, Seite-258“. შეადართ: hat keine Zeit.

2. Die Allte hatte nicht Hunger und sie legte sich zu Bett. (E. Strittmatter. Dienstag 1971, Seite 95)

შევადართ: : er hatte keinen Hunger

3. Aber er spürte, nicht Erwartung mit zwanzig Jahren kaum noch Lust am Dasein. (D. Noll. Die Abenteuer des Werner Holt, Berlin, 1960, S – 463) შეადართ: er spürte keine Freude, keine Erwartung.

როგორც ცნობილია, აბსტრაქტული არსებითი სახელები ასეთ კონტექსტში გამოიყენება არტიკლის გარეშე, ამიტომაც სინონიმურობის ეს შემთხვევა წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი მაგალითის ნაირსახეობას. keine Minute /nicht eine minute.

„kein“ და „nicht“ სინონიმურები არიან ერთმანეთის მიმართ ამა თუ იმ არსებით სახელთან შესიტყვებაში. თუ არსებითი სახელი გამოდის პრედიკატივის როლში. მაგ: Er war nicht Jude, nicht Christ,nicht Semit,nicht Arier, er war laryngologe, Wissenschaftler. (Lion Feuchtwanger, Oppermann, Berlin, S. 46)

„kein“-ით გამოხატულ არსებით სახელთან და „nicht“-ით გამოხატულ შემასმენელთან, სინონიმური შესაძლებელია იყოს ისეთი წინადადებები,რომლებშიც იცვლება სიტყვათა წყობა და უარყოფის გამოხატვის საშუალებების გამოყენება.

აქვე უნდა ავლიწნოთ ისიც, რომ სიტყვათა პირდაპირი წყობისას, ჩვეულებრივ, იხმარება „kein+არსებითი სახელი“, ინვერსიის დროს კი ნაწილაკი „nicht“, რომელიც განეკუთვნება შემასმენელს.

მაგ.: 1. Aber sie hat keinen Hang zum Sentimentalen.(Christa Wolf. Der geteilte Himmel, 1969, S 116.

2. Ein bestimmtes Ziel hatte ich nicht. (Krupkat. Nabou,Berlin, 1968, S. 12)

შევადართ: Ich hatte kein bestimmtes Ziel.

სიტყვათა წყობის შეცვლას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ „kein“ განეკუთვნება არსებით სახელს – დამატებას. თუ კი „kein“ გენეკუთვნება არსებით სახელს – ქვემდებარეს, მაშინ სინონიმურ წინადადებებში შეიცვლება უარყოფის გამოხატვის საშუალებების გამოყენება, სიტყვათა შეუცვლელი წყობის შენარჩუნებით.

მაგ.: Ein Kellner war nicht zu sehen (B.Kellermann. Der 9. November, M, 1954 S.272)

შეადართ: Kein Kellner war zu sehen, kein Mensch war zu sehen (W.Brennecke. Der Ritt in die Berge. B, 1967, S. 110

ძალზე საინტერესოა „kein“- ის დისტანცირება არსებითი სახელისაგან, რომელსაც იგი განეკუთვნება და მისი გადატანა წინადადების ბოლოში.

მაგ.: 1. „Hund haben Sie keinen“, flüsterte Wenzlov. (D. Noll. Die Abenteuer des Werner Holt, Berlin, 1965.

2. Äußere Gründe hat er keine (Lion Feuchtwanger. Die Brüder Lautensack, S. 242 )

ასეთი წინადადებები სინონიმურია ჩვეულებრივი ნეიტრალური სიტყვათა წყობის მქონე წინადადების.

მაგ.: Sie haben keinen Hund

Er hat keine äußeren Gründe

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „kein“ ხშირად გამოიყენება იქ, სადაც ნორმა მოითხოვს უარყოფა „nicht“-ის გამოყენებას ან პირიქით, ნაწილაკი „nicht“ გვხვდება იქ, სადაც ნორმირებულია „kein“-ის ხმარება. მაშასადამე „kein“ და „nicht“-ის გამოყენება აქ ზოგიერთ პოზიციაში წარმოადგენს ჩვეულებრივ, ხოლო სხვა პოზიციაში კი უჩვეულო მოვლენას. სახელდობრ, უარყოფის გამოხატვის ამ საშუალებების უჩვეულო პოზიციით, მიიღწევა ექსპრესიულობის სტილისტური ეფექტი და ამგვარი სინტაქსური ერთეულების განსაკუთრებული გამოხატვა. ამ კონსტრუქციების სინონიმურობა წარმოიშობა უარყოფის გამოხატვის საშუალებების სინონიმურობით. სინონიმურ შესიტყვებებად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე უარყოფითი წყვილი კავშირები: „weder...noch“ და „nicht...noch“.

მაგ.: Dafür habe ich weder Zeit noch Geld. (Wörter und Wendungen, Leipzig, 1963, S. 722)

Das war nicht Weg noch Steg. (Wörter und Wendungen, Leipzig, 1963 S, 424)

მაშასადამე, თანამედროვე გერმანულ ენაში, ელემენტარული წინადადების ფარგლებში გამოიყოფა უარყოფითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სინონიმური რიგები:

1. შესიტყვებები: keine Minute – nicht eine Minute

2. შესიტყვებები: keinen Zweifel- nicht den geringsten Zweifel

3. კონსტრუქციები: Sie hat kein Ziel – ein Ziel hat sie nicht.

4. კონსტრუქციები: Er hat keine Gründe – Gründe hat er keine.

5. კონსტრუქციები: weder Baum noch Haus-nicht Baum noch Haus

ნეიტრალური შესიტყვებები და კონსტრუქციები უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ჩვეულებრივ და, მაშასადამე, წარმოადგენს დასახელებული რიგების დომინანტს.

#### ლიტერატურა:

1. Булах Н. А., Средство выражения отрицания в немецком литературном языке, Ярославль, 1962, стр. 194.
2. Адмони В.Г., Введение в синтаксис современно го немецкого языка, М, 1955.
3. Wörter und Wendungen. Leipzig 1963, S, 722
4. Kellermann, Bernhard. Totentanz. B, 1952, S 493
5. Groß, R. Der Mann aus dem anderen Jahrtausend. B. 1961, S, 137
6. Krupkat, G. Nabou. B., 1968, S 248
7. Mann, Thomas Der Zauberberg. B., 1962, S 44
8. Strittmatter, Erwin. Ole Bienkopp. S. 258
9. Noll, Dieter. Die Abenteuer des Werner Holt. II Berlin und Weimar, 1965, S, 463
10. Feuchtwanger, Lion. Oppermann. B. S. 46
11. Wolf, Christa. Der geteilte Himmel. Reklam, 1969, S, 116
12. Kellermann, Bernhard. Der 9. November. M. S. 272

#### რეზიუმე

ნაშრომში „უარყოფა „nicht და kein“- ის მქონე სინონიმური კონსტრუქციები თანამედროვე გერმანულ ენაში“ განხილულია ამ კონსტრუქციების გავრცელების არეალი და მათი გამოყენების სიხშირე.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ექსპრესიულობის სტილისტური ეფექტი ამგვარ კონსტრუქციებში მიიღწევა უარყოფის გამოხატვის საშუალებების პოზიციით.

ნაშრომში გამოყოფილია უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სინონიმური რიგები გერმანულ ენაში.

## SYNONYMIC CONSTRUCTIONS OF NEGATION “NICHT, KEIN” IN THE MODERN GERMAN LANGUAGE

Eldar Khitiria, Specialist under contract  
RESUME

In labour, “nicht and kein” are synonymous negative structures in modern German this research deals with their usage and also, stylistic expressive effect, expressed by their unusual position. The negative synonymous structures in modern German are emphasized in this work.

### დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამატიკა“ და მასთან დაკავშირებული ერთი საკითხი

*ელენე ხოჯევანიშვილი, სრული პროფესორი*

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერებით პირველად მარი ბროსე დაინტერესებულა და სწორედ მათი საშუალებით დაუწყო მას ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლა, ხოლო თავად ამ ხელნაწერთა შესახებ ცნობები მას სხვადასხვა დროს სტატიების სახით გამოუქვეყნებია „სააზიო ჟურნალის“ წიგნებში. შემდგომში ეს ხელნაწერები ორჯერ აღუწერია ალ. ხახანაშვილს, ერთხელ „ივერიაში“, ხოლო მოგვიანებით, უფრო ვრცლად, ჟურნალ „მოამბის“ 1898 წლის პირველ ნომერში სათაურით: „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერები“ (5, 1-20)

1908 წელს პარიზში ფრანგულად დაბეჭდილია „აღწერა ნაციონალურ ბიბლიოთეკის სომხურ და ქართულ ხელნაწერებისა“, ცნობილი არმენისტის ფრედრიკ მაკლერის მიერ შედგენილი, რომელიც ქართული ხელნაწერების აღწერისას მარი ბროსეს უთითებს და ალ. ხახანაშვილის მიერ ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ ცნობებსაც ემყარება.

მოგვიანებით, კერძოდ 1922 წელს, აღნიშნულ ხელნაწერთა კიდევ ერთხელ აღწერა ექვთიმე თაყაიშვილს გადაუწყვეტია, რადგან მას უკვე არსებულ აღწერილობებში არაერთი ხარვეზი და უზუსტობა აღმოუჩენია. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში ალ. ხახანაშვილის მიერ ბროსეს მონაცემების არაზუსტ გადმოცემას თავი უჩენია მაკლერის შრომებში. აი, რას წერს ექვთიმე თაყაიშვილი: „ხშირად, ალ. ხახანაშვილი ბროსეს მიერ სწორად წაკითხულს ამახინჯებს, და მაკლერი მას იმეორებს“. [3, 238].

„ქართული ენის გრამატიკა ქართულად შედგენილი ბატონიშვილის დავითის-მიერ“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დასახელებულ მკვლევართა მიერ აღწერილ ხელნაწერთა შორის, „ეს წიგნი ერთი საუკეთესო ეგზემპლარია დავით ბატონიშვილის ღრამატიკისა, თვით დავითისავე ნაქონი“, წერს ექვთიმე თაყაიშვილი [3, 284], ხოლო თვით ხელნაწერის თავფურცელზე თეიმურაზის მიერ გაკეთებული წარწერა-ანდერძი გვამცნობს მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ღრამატიკაჲ ესე, არს ქართულისა ენისა შა ურჩეულესი“. საყურადღებოა ისიც, რომ მარი ბროსე, 1834 წელს გამოცემულ წიგნში „L'art liberal ou grammaire georgien“ – „ხელოვნება აზნაურებითი გინა ქართული ენის თვითმასწავლებელი“, - დავით ბატონიშვილის გრამატიკას ეყრდნობა, ანტონის და მაჯოს გრამატიკებთან ერთად.

დავით ბატონიშვილის გრამატიკა მოკლედ აქვს მიმოხილული ალ. ცაგარელს, ხოლო მოგვიანებით, ვრცლად განიხილავს მას ალ. ფოცხიშვილი და როგორც იგი აღნიშნავს, დავითის გრამატიკის ექვსი ხელნაწერიდან ერთ-ერთი, კერძოდ E-174, რომელიც მას განხილული აქვს, „ბროსეს გადაწერილი პირია იმ ეგზემპლარისა, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონს პარიზის სააზიო საზოგადოებისათვის უჩუქებია 1832 წელს. ეს პირი მარი ბროსეს თავისი ხელით გადაუღია და რუსეთში ჩამოუტანია. ხელნაწერის დედანი, რომელიც ახლა პარიზის სააზიო საზოგადოებაში ინახება, ავტოგრაფი უნდა იყოს“. [6, 309] ჩვენ, პარიზში დაცული ხელნაწერი გრამატიკის მიკროფირების ქსეროასლის მოპოვების საშუალებით მასზე მუშაობის შესაძლებლობა მოგვეცა. ამ გრამატიკასთან დაკავშირებული რიგი საკითხების განხილვისას ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ პარიზში დაცული ავტოგრაფიული ნუსხა და ალ. ფოცხიშვილის მიერ განხილული პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული E-174-ე ეგზემპლარის სათანადო მონაკვეთები. ამ შედარების საფუძველზე თავი იჩინა სხვადასხვა ტიპის



განსხვავებებმა როგორც გრამატიკაზე დართული ვრცელი შესავალი ნაწილის წარწერა-მიმართებებში, ასევე მის ძირითად ნაწილში. კონკრეტულად, გრამატიკის იმ ნაწილში, რომელშიც სახელება განხილული, დაფიქსირებული განსხვავებანი შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად.

სახელსა და ზმნას შორის განსხვავება დავითის გრამატიკის პარიზულ რედაქციაში ასეა განმარტებული: „სახელი **ჰნიშნავს** არსებასა და ზმნა არსებისა ქმნათა და **ვნებათა**.“ [2, 14] ხოლო E-174-ე<sup>1</sup> რედაქციაში ვკითხულობთ: „სახელი **დაჰნიშნავს** არსებასა და ზმნა არსებისა ქმნათა და **ვითარებათა**“. [6, 317]. ასევე განსხვავებაა არსებითი სახელის განსაზღვრისას: არსებითი სახელი არის, რომელიც „თავთ თვისით **მდგომობდეს**“... [2, 14] , „თავით თვისით **მდგომარე**“ [6, 317] ე.წ. კერძობით (საკუთარ) სახელთა ბრუნების ცალკე გამოყოფას დავით ბატონიშვილი ასე ასაბუთებს: „არცა ერთისა **ზემო-გარდაცემულისა სახელისა ბრუნვასაში** აღიყვანებინ. მეორედ **რ ამას უკუჲ აკლს** ბრუნვა **წოდებითისა**“. [2,23]. იგივე განმარტება E-174-ე ეგზემპლარიდან ასეთი სახითაა მოცემული: „არცა ერთისა **ზემო-გადმოცემულისა სახელის ბრუნვისადმი** აღიყვანებინ, **რამეთუ მათ უკვე აკლთ** ბრუნვა **წოდებითი**“. [6, 320]

ა. ფოცხიშვილი E-174-ე რედაქციის მიხედვით არსებითი სახელების სამ ჯგუფს ასახელებს: ზოგებითს, კერძობითს და **შემკვრელობითს**. [6, 217]. ჯგუფების დასახელება ამავე სახით მეორდება სხვა შემთხვევაშიც. [6, 217]. ავტოგრაფში კი ვკითხულობთ: არსებითი სახელი „იწალებს სამად: ზოგებითად, კერძობითად და **შემკვრელობითად**“ [2, 14].

ავტორის განმარტება ე.წ. „შემკვრელობითი“ სახელებისა უეჭველს ხდის, რომ იგი ამ ტერმინის ქვეშ სწორედ სახელთა „შეკრებას“ გულისხმობს: „იგი არს რელიც მრავალსა საქმესა შეკრებით შეერთებულსა ვა ერთსა რამესა **ჰნიშნვდეს**“. [2, 15] ცხადია, ეს ორი ტერმინი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობისაა.

აღ. ფოცხიშვილის მიერ E-174-ე ეგზემპლარის მიხედვით ჩამოთვლილ ბრუნვათა დასახელებაში ავტოგრაფისაგან განსხვავებულადაა წარმოდგენილი ორი ბრუნვის დასახელება. კერძოდ, **ნათესავობითი** და **შემსამენელობითი** [2, 20] ნაცვლად არის **ნათესაობითი** და **შემსამენელობითი**.

დასახელებულ ორ რედაქციაში სხვაობა გამოვლინდა ემფატიკური ა-ს გამოყენებაში: მაგ.: „რელიცა“, [2, 13] „არსებისა“, [2, 14], „ნათესავობითისა“ [2, 22], „არს-ყოფისა“ [2, 23] გვხვდება „რომელიც“ [6, 317] , „არსების“ [6, 317] „ნათესაობითის“ [6, 319] „არს ყოფას“ [6, 320].

ერთსა და იმავე ფორმებთან განსხვავებულადაა წარმოდგენილი ზმნისწინები: მაგ.: უზმნისწინო ფორმა „ჰნიშნავს“ [2, 14] ზმნისწინითაა გაფორმებული: „დაჰნიშნავს“ [6, 317], მო= ზმნისწინი შეცვლილია მი= ფორმით: „მოღებად“ [2, 16], „მიღებად“ [6, 317]; შეცვლილია სიტყვა: „ჰნიშნვიდეს“ [2, 14] – „ჰნიშნავს“ [6, 317], „ზემო გარდაცემულისა“ [2, 23] – „ზემო გადმოცემულისა“ [6, 319]. „ამას“ [2, 23] – „მათ“ [6, 320]... სიტყვებში გადანაცვლებულია ასოები: „დანიშნვასა“ [2,16] „დანიშვნასა“ [6, 318], „სხმით-გარდასლვით“ [2, 16] – „სხმით-გარდასვლით“ [6, 318], „ათრვამეტათ“ [2, 16] – „ათვრამეტათ“ [6, 318]... არის ასოს შეცვლის შემთხვევები: „ანგელოს“ [2,16] – „ანგელოზ“ [6, 318], „აკლს“ [2, 23] – „აკლთ“ [6, 320], არის ასოკლების, ან მარცვლის დაკლების შემთხვევები: „კერპითა“ [2,16] – „კერპთა“ [6, 318], „ერთისა“ [2,22] – „ერთსა“ [6, 320], „უცვალბელად“ [2, 23] – „უცვალბლად“ [6, 320]; „საეპისკოპოსო“ [2,16] – „საეპისკოპო“ [6,318], „წოდებითისა“ [2, 23] „წოდებითი“ [6, 320]; მხოლობითის ფორმა წარმოდგენილია მრავლობითით: „სათვთო“ [2,22] – „სათვითონი“ [6, 319]; შეცვლილია პირის ნიშნები: „მიიღებდენ“ [2,16] – „მიიღებდენ“ [6, 318]. ავტოგრაფში ერთად დაწერილი კომპოზიტი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი: „თვსზედა“ [2,16] – „თვის ზედა“ [6, 318], „წრფელადრე“ [2, 23] – „წრფელ ადრე“ [6, 320]. დედანში დეფისით წარმოდგენილი სიტყვა უდეფისოდაა წარმოდგენილი, ხან ერთად დაწერილი, ხან ცალ-ცალკე: „პლ-სახედ“ [2, 16]. „პირველ სახედ“ – [6, 318], „ესე-ვითარნი“ [2, 16] – „ესევითარნი“ [6, 318].

არ არის დაცული „ა“, „კ“, „წ“ და „ჟ“- ს გამოყენების შემთხვევები: „რავესა“ [2, 14] „რაივესა“ [6, 318], „რაიმე“, [2, 16] „რაიმე“ [6, 317], „ანგელოსებად“ [2, 16] – „ანგელოსებაი“ [6, 318], „რამსათვს“ [2, 23] – „რამსათვის“ [6, 320], „თვთ“ [2,14]. „თავით“ [6, 317], „თვსსა“ [2, 16] „თვისსა“ [6, 318], „უკუჲ“ [2, 23] „უკვე“ [6, 319], „იწალებს“ [2,14] – „იწვალბის“ [6, 317], „სხჟათაგან“ [2, 15] – „სხვათაგან“ [6, 318], „განსხვავებული“ [2, 16] – „განსხვავებული“ [6, 318]...

ასევე არ არის დაცული დედანში გამოყენებული ქარაგმები და მთავრული ასოები: „ხ“ [2, 14] – „ხოლო“ [6, 317]. „რ“ ლისამე – „რომელსამე“ [6, 320] „რ“ [2, 16] – „რამეთუ“ [6, 318], „ყ“ [2, 16] – „ყოველი“ [6, 318], „პლ“ [2, 16] – „პირველ“ [6, 318]. „შა“ [2, 31] – „შინა“ [6, 320]... სიტყვები „და მეზრ სხნი“ [2, 16], ხან გამოტოვილია, ხან შეცვლილია: „და მეზრ სხჟანი“ [2, 16] - და მრავალი სხვა.

<sup>1</sup> E-174-ე ეგზემპლარზე ჩვენ ვმსჯელობთ ალ. ფოცხიშვილის მონოგრაფიაზე დაყრდნობით.

როგორც ვხედავთ, დავით ბატონიშვილის პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფილიალში დაცული გრამატიკის ავტოგრაფიული ნუსხის და ალ. ფოცხიშვილის მონოგრაფიაში - „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ - გამოყენებული E-174-ე ეგზემპლარიდან მოყვანილი ამონარიდების შესაბამისი მონაკვეთების შედარებისას ირკვევა, რომ მართალია, ისინი აზრობრივად თანხვედრილია, მაგრამ განსხვავებანი გამოვლინდა ცნებათა დეფინიციებში, ტერმინოლოგიაში, სიტყვათა დაწერილობაში, დიაკრიტიკულ ნიშანთა, მთავრულ ასოთა და ქარაგმების გამოყენებაში. უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილი „მცირე ღრამმატიკაში“ თავისი ეპოქის შესაბამის ცოდნას ავლენს ქართულ ენაში, იგი იზიარებდა მის დროს არსებულ ნორმებს, რაც ტიპობრივია მისი გრამატიკისათვის, ხოლო აღნიშნულ რედაქციებს შორის არსებული განსხვავებანი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ან მარი ბროსეს გადაწერილ E-174-ე ნუსხაში არ არის დაცული დავითის გრამატიკის ავთენტურობა, ან ამ ეგზემპლარიდან მოყვანილი ამონარიდების ციტირებისას არ არის დაცული მათი სიზუსტე.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საკითხს ნათელი მოეფინება მას შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფილიალში დაცული ხელნაწერის გაცნობა და დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამმატიკის“ გამოქვეყნება.

### ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები. თბ., 1970.
2. ბატონიშვილი დ., „მცირე ღრამმატიკა“, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ნუსხა, 1790.
3. თაყაიშვილი ე., „დაბრუნება“, ემიგრანტული ნაშრომები, თბ., 1991.
4. ლაბუჩიძე დ., დავით ბატონიშვილი - ემიგრაციაში ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწე, სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, თბ., 2013. №1.
5. ჟურნალი „მოამბე“, 1898 წ. №1.
6. ფოცხიშვილი ალ., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
7. Цагарели А. Л., О грамматической литературе грузинского языка, С.П., 1872.

### რეზიუმე

დავით ბატონიშვილის პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფილიალში დაცული გრამატიკის ავტოგრაფიული ნუსხის და ალ. ფოცხიშვილის მონოგრაფიაში - „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ - განხილული E-174-ე ეგზემპლარიდან მოყვანილი ამონარიდების შესაბამისი მონაკვეთების შედარებისას ირკვევა, რომ ისინი აზრობრივად თანხვედრილია, მაგრამ რიგი განსხვავებანი ვლინდება ცნებათა დეფინიციებში, ტერმინოლოგიაში, სიტყვათა დაწერილობაში, დიაკრიტიკულ ნიშანთა, მთავრულ ასოთა და ქარაგმების გამოყენებაში. უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილი „მცირე ღრამმატიკაში“ თავისი ეპოქის შესაბამის ცოდნას ავლენს ქართულ ენაში, იგი იზიარებდა მის დროს არსებულ ნორმებს, რაც ტიპობრივია მისი გრამატიკისათვის, ხოლო აღნიშნულ რედაქციებს შორის არსებული განსხვავებანი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ან მარი ბროსეს გადაწერილ E-174-ე ნუსხაში არ არის დაცული დავითის გრამატიკის ავთენტურობა, ან ამ ეგზემპლარიდან მოყვანილი ამონარიდების ციტირებისას არ არის დაცული მათი სიზუსტე.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საკითხს ნათელი მოეფინება მას შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფილიალში დაცული ხელნაწერის გაცნობა და დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამმატიკის“ გამოქვეყნება.

### DAVIT BATONISHVILI “SMALL GRAMMAR” AND ONE QUESTION CONNECTED TO IT

Elene Khojevanishvili, Full Professor

### RESUME

Comparing Davit batonishvili's Authographic List of Grammar which is stored at Paris National Library of The Department of Manuscripts with the extracts from E-174 copy of “ The History of the Georgian Linguistics” by Alexander Potskhishvili, confirms that their contents are the same, though a number of differences occur in the definition of the concepts, terminology, writing of the words and in using of the diacritical marks, mtavruli alphabet

and allegory. It is worth mentioning that Davit Batonishvili had certain knowledge of the Georgian Grammar which was appropriate to the epoch he had to live in, he shared the norms existing that time, which is typical for his grammar, and the differences mentioned above, arise a doubt that authenticity of Davit's Grammar in E-174 list which was rewritten by Mari Brose or the exactness of the extracts from this copy while quoting them, were not protected. This makes us think that this item will have become clear after studying of the manuscript stored at the Department of Oriental Studies at Petersburg University and publishing of Davit Batonishvili's "The Brief Grammar".

## ლიტერატურა *Literature*

### გიორგი ერისთავის საარქივო მემკვიდრეობის შესწავლისათვის

*თამარ გოგოლაძე, სრული პროფესორი*

ქართული თეატრის ფუძემდებლის, პოეტისა და დრამატურგის გიორგი ერისთავის საარქივო მემკვიდრეობა ძირითადად გაფანტულია გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, სახელმწიფო ლიტერატურულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. თავის დროზე, კერძოდ XX საუკუნის 30-იან წლებში, გ. ერისთავის თხზულებათა სრული გამოცემისათვის მზადების პროცესში, მკვლევარმა შალვა რადიანმა შეაგროვა მასალები საქართველოს თეატრალურ მუზეუმში, ლიტერატურულ მუზეუმსა და დავით ერისთავის პირად არქივში.

უფრო სრული მუშაობა ჩაატარა 60-იან წლებში მკვლევარმა ოთარ ურიდიამ გ. ერისთავის პიესების ავტოგრაფების მოძიების თვალსაზრისით. მან 1966 წელს გამოსცა გ. ერისთავის თხზულებათა სრული კრებული შენიშვნებითა და ლექსიკონით. XX საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული, ჩვენს მიერ ჩატარდა გ. ერისთავის პოეზიის არქივის სრული შესწავლა, რაც წარმოდგენილია კიდევ წინამდებარე ნაშრომში. გარდა ამისა სულ ახლახანს შესწავლილი იქნა გ. ერისთავის მიერ დრამად გადაკეთებული შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და „ევროპაში მოგზაურობის“ ჩანაწერების წიგნაკი.

გ. ერისთავის ხელნაწერები მკვლევართათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს. ჯერჯერობით დადგენილია გ. ერისთავის ხელნაწერთა 191 ვარიანტი. ამათგან ზოგი ავტოგრაფია, ზოგი კი გადაწერილი სხვადასხვა პირების მიერ. 1936 წლისა და 1966 წლის გამოცემებში მოცემულ ხელნაწერთა ვარიანტულ შედარებას აქ არ მოვიყვანთ. წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ მიმოვიხილავთ მიკვლეულ ლექსთა ხელნაწერებს და მოვახდენთ ზოგიერთის შედარებას.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია გ. ერისთავის ლექსთა ოთხი ავტოგრაფ-კრებული, ამათგან მხოლოდ ერთია გადაწერილი, უფრო სწორად, დამუშავებული პოეტის მიერ. დანარჩენები ლექსთა ერთადერთი ავტოგრაფებია. კვლევამ გვიჩვენა, რომ პოეტი ნაკლებად მუშაობდა რედაქციებზე. ზოგჯერ ლექსი თვით ერთადერთ ეგზემპლარშია ჩასწორებული. სხვა დროს (სხვა ფერის მელნით). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გადაწერილი ვარიანტები ხშირად ლექსის სხვადასხვა რედაქციებია.

ხელნაწერების ძირითადი ნაწილი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

1. ლექსი „ყაზახისადმი“ ხუთი ვარიანტის სახით არსებობს, აქედან 3 ავტოგრაფულ რედაქციას წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა წარმოდგენილ კრებულში, S 4589. კრებული გადაწერილია უცნობი პირის მიერ. მასში შედის გ. ერისთავის 14 ლექსი და, მათ შორის, „ყაზახისადმი“. შევუდარეთ რა იგი ავტოგრაფ-კრებულში 18032 დაცულ ლექსის ხელნაწერს, დადგინდა, რომ იგი ახლოს დგას მასთან და გადაწერილი უნდა იყოს მისგან. ხელნაწერს ქვევით უზის თარიღი და ავტოგრაფი (ადგილის მიუთითებლად): „15 იანვ. 1836 წ. გ. ერისთავი“.

მხოლოდ სათაურით განსხვავდება იგი ყველა დანარჩენი ვარიანტებისაგან: „ყაბახსა ზედა“ (დანარჩენ ვარიანტებშია „ყაბახისადმი“ და „ყაბახი“).

2. ლექსი „აიუდალი“ დაცულია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ავტოგრაფ-კრებულ 18032 ერთადერთი ვარიანტის სახით.

სათაური:

აიუდალი: ყირიმის სონეტი მიცკევიჩისა.

ბოლოში უზის: კორინთას. თი. გ. ერის. 11 ივნისი 1839 წელს.

ლექსი შიგვეა ჩასწორებული. ეტყობა, იგი პოეტის მიერ შექმნილი ლექსის პირველი რედაქცია უნდა იყოს.

მაგ.:

შეგონახვენ გვრგვინსა

რომლისათვის უკუნნი დაგადგენ თავსა გვირგვინსა. (გადახაზუ).

„კიტთაგან“ გადახაზულია და ზევიდან აწერია „ნიანგთაგან“.

3. „აკერმანის მინდორნი“

ლექსი შედის ავტოგრაფ-კრებულში 18032 ერთადერთი ვარიანტის სახით.

4. „უფალა ბიშპინგს, რომელმან მთხოვა დავუწერო რაიმე ქართულად“.

არსებობს ამ ლექსის სამი ავტოგრაფული რედაქცია.

5. „კურთხევა პეტრარკიდან“

არსებობს სამი ავტოგრაფული რედაქცია და ერთიც, გადაწერილი ვარიანტი. (საქ. ხელ. ეროვ. ცენტ. 5279).

6. „ბაღისარაია“

არსებობს სამი ავტოგრაფული რედაქციის სახით.

7. „პატოცკას საფლავი“

არსებობს ორი ავტოგრაფული რედაქცია.

მესამე ხელნაწერი S 4589 დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ეს ხელნაწერიც დღემდე არ გამხდარა მკვლევართა შესწავლის საგანი. გადაწერილი უნდა უყოს უცნობი ვარიანტიდან.

შევუდაროთ ორივე ავტოგრაფს.

განსხვ. ტაეპი 8,12: მხოლოდ კი მოყვასთ უკუც დამფლან აქა  
საფლავეში - S 4589

2,12 მხოლოდ კი მოყვასთ ახლოს აქა დამფლან  
საფლავეში - 1815

15,12 მხოლოდ კი მოყვასთა უტევე დამფლან აქა  
საფლავეში - 18032.

ეს ხელნაწერი უფრო ახლოს დგას ხელნაწ. 18032-თან.

8. „კნეიჟნა სოფიო ერისთავისას“.

არსებობს ორი ავტოგრაფული რედაქციის სახით.

გარდა ამისა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არის დაცული ხელნაწერი H 2545ა. ხელნაწერის აღწერილობის ავტორთა აზრით, ეს ხელნაწერი გ. ერისთავს უნდა ეკუთვნოდეს. (წარმოდგენილია ცალკე ფურცლის სახით).

სათაური: H 2545ა ს.

ცისკარი

18032 - კნეიჟნა სოფიო ერისთავისას

18015 - კნიაჟ. სოფი... ერის...

ერთი

1,13 H 2545ა - მიხვდი მიზეხსა! რომე ტაროსი დღეს არს შეცვლილი.

21,13, 18032 - იცით ტაროსი ამა დილით რად არს შეცვლილი.

18,13, 18015 - იცით ტაროსი დღესა რისთვის არის შეცვლილი.

1,+ , H 2545ა წვიმაც მეორე დღეს იყო.

21,13,18032 - ამ დილით წვიმდა.

ლექსს ბოლოში ხელმოწერა აქვს: გ. ერისთავ.

ვფიქრობთ, იგი უნდა წარმოადგენდეს ლექსის „კნეიჟნა სოფიო ერისთავისას“ - ერთ-ერთ ავტოგრაფულ ვარიანტს.

9. „თეოდოსია მირეცკაიას“

არსებობს სამი ავტოგრაფული რედაქციის სახით. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი A 1610ა და S 5279. ხელნაწერში A 1600ა ცალკე ფურცელზეა ლექსი სათაურით „ქალო“, ბოლოში ხელმოწერით „გ.ერ.“ ხელნაწერი რამდენიმე ადგილას ჩასწორებულია ფანქრით და სხვა ფერის მელნით.

მაგ.: ჯერეთ

----- 2 3 1

სიჭაბუკე, შენი მთვარეს ჯერეთ (გადახაზულია) ახალს ემსგავსების.

1,14 A 1610ა გულს ჰსურს ტრფობა და შენი ეს არს მისთვის ესე მდელვარება.

23,14,18032 - გულს სურს ტრფობა და ეშენის ეს არს შენი მდელვარება.

საფიქრებელია, რომ იგი არ უნდა იყოს ავტოგრაფი, თუმცა იქნებ ავტორის მიერ გადამუშავებულიდანაა გადაწერილი?

10. „ალბომში“ (შენი გული ჰგავს)“.

ამ ორტაეპიანი ლექსის ერთადერთი ხელნაწერი დაცულია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის კრებულში 18032.

„შენი გული ჰგავს ამ ქაღალდს სპეტაკსა დაუწერელსა  
ნეტარ მას ვინცა ამაზედან დასწერავს თვისსა სახელსა“

ლექსი ხელმოუწერელია, შინაარსობრივად, გ. ერისთავის მიერ ალბომში ჩაწერილი სხვა ლექსების ანალოგიით, იგი პოეტის კალამს უნდა ეკუთვნოდეს (ხელი ავტორისაა).

11. „№.... მე შენ არ გეტრფი“.

არსებობს სამი ვატოგრაფული ხელნაწერის სახით.

12. „K. M.... მ. (ჭ. საყუარელო)“.

ეს ლექსი არსებობს ერთადერთი ავტოგრაფული ხელნაწერის სახით (საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერში 18032).

ეს ლექსი არაა შესული არცერთ გამოცემაში მოგვყავს ლექსის ტექსტი ხელნაწერ 18032-ის მიხედვით.

„ჭ. საყუარელო, ვის მიერ ძვირფას მიჩენს - სიცოცხლე.  
ვის დღენი დამწარებულნი წყნარ ღიმილთა მინათლე?“

ვიდრემდის ტანჯვით ვითმენდე, შენგან სიშორის სიმწარეს;  
და ვიდრე ცრემლით შორითგან ვუმზერდე სასურველს მხარეს?  
სანატრელ ჟამი შეყრისა, როს მოვალს სიმტკბოებითა?  
ცათ შეჭმუხვნილმან ჩემდამი როს მოიდარებს შვებითა?  
ან გული რით ვერ მივიწყებს ჩემის სიცოცხლის ბუნებას,  
რომ უგრძნობლობით ქუაქმნილი, ვერ ჰსცნობდეს თვისსა ობლობას?

თავით სიშორეცა შემექმნა ეშყის ცეცხლზე ცეცხლ დამმართი,  
მიკუირს ესდენ სიყვარულსა, ვითა იპყრობს გული ერთი!  
ვსცან: ტანჯვთ არ გამქრალა გულს შენატრფობა ნამდვილი,  
თვარა აქამდის სიმწრით შემამშრებოდა მე ცრემლი!

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშყის ცეცხლისა,  
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი, უზომო სიყვარულისა“<sup>1</sup>  
ქვევით მიწერილი აქვს: „დეკნბერს 13 1835 წელსა თი  
გ. ერ..... ი... რიგა“.

13. „მაიორ მიცევიჩს“

არსებობს ორი ავტოგრაფული ხელნაწერის სახით, გარდა ამისა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ნომრით S 4589 დაცულ კრებულში, არის გადაწერილი ლექსი („ანტონ მიცევიჩს“). შედარებამ დაადგინა, რომ ეს უკანასკნელი ახლოს უნდა იყოს ავტოგრაფთან 18032.

14. „არამხანის საფლავნი“

წარმოდგენილია სამი ავტოგრაფული ხელნაწერის სახით.

15. „მ... კ. ო.ო.-ს“

ცნობილია ორი ვარიანტული ხელნაწერი: ერთი ავტოგრაფი, მეორე – გადაწერილი, დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ინსტიტუტის ხელნაწერთა კრებულში S 5279. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კრებულში S 4589 აღმოვაჩინეთ დღემდე უცნობი მესამე ვარიანტი. ხელნაწერში ლექსი უსათაუროდაა წარმოდგენილი. შედარებამ დაადგინა, რომ იგი ახლოს დგას ავტოგრაფ 18032 დაცულ ლექსთან.

16. „მიბაძვა პუშკინისა“

არსებობს ამ ლექსის ორი ავტოგრაფული ხელნაწერი. ერთი სავსებით სხვა რედაქციაა - S5190 და მეორე S4589. ეს უკანასკნელი, დღემდე გამოქვეყნებული, 18032 -დან უნდა იყოს გადაწერილი.

17. „მოგონება“ (მიცკევიჩი“)

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ამ ლექსის ორი ავტოგრაფული ხელნაწერი, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტში ერთი ხელნაწერი S 4589.

18. „ერთის მინუტის სიჭაბუკე“

არსებობს ამ ლექსის სამი ავტოგრაფული ვარიანტი და, ერთიც, დღემდე ყურადღებადმიუქცეველი ხელნაწერი S 4589.

9,80 S4589 - წარსული გრძნობა ძველებურად წინ მიჭრელდება,

მაგრამ იისებრ ისე აღარ მიფერადდება.

39,80,18032 - წარსული გრძნობა ძველებურად წინ მიქროლდება

მაგრამ ირისებრ ისე აღარ მეფერადდება.

19. „ახალ მოდის იამბიკო“

ლექსი ორი ვარიანტის სახით არსებობს: ერთი ავტოგრაფული – 18032 და მეორე – ხელნაწერ S 4589 სახით. არც ეს ლექსი და არც მისი ვარიანტები არაა შეტანილი 1966 წლის გამოცემაში. იგი მხოლოდ 1936 წლის გამოცემის ავტორსა აქვს აღნიშნული.

20. „გაზაფხული“

ლექსი საერთოდ არცერთ გამომცემელს (1936 წლიდან) არ აქვს შეტანილი კრებულში. არც მისი ვარიანტებია განხილული პოემა „შეშლილი“ ანალიზისას. არსებობს ამ ლექსის ოთხი ვარიანტი, ამათგან ერთი ავტოგრაფული 18032, სამი დანარჩენი – ხელნაწერ კრებულებში.

ხელნაწერი S4589 გადაწერილი უნდა იყოს 18032-დან.

შევუდაროთ ერთმანეთს ხელნაწერი H2589 და 18032.

14,40,18032 - სრულ ჭაბუკდება.

14,120,H2559 - სულ ჭაბუკდება

18,40,18032-ტანს გახრწნილების

18,120 H2559 - ტან გახრწნილების

21,40,18032 - რად ამმოვარდა სიცოცხლისა ბეჭდის აღმასი

რისთვის წამერთო ნეტარების მე სავსე თასი

21,120 H2559 - რად ამმოვარდა სიცოცხლისა ბეჭდის აღმასი

რისთვის წამერთო ნეტარების მე ესე თასი.

ხელნაწერში ლექსი უსათაუროდ და ხელმოუწერლადაა წარმოდგენილი.

ხელნაწერი A1610ა წარმოდგენს ორად მოკვიცილ ფურცელს, რომლის ერთ გვერდზე წერია „გაზაფხული“, მეორეზე „ერთის მინუტის სიჭაბუკე“. „გაზაფხული“ აქ სულ სხვა რედაქციითაა წარმოდგენილი.

მოგვყავს ლექსი სრულად:

### გაზაფხული

გაზაფხულო,

ვხედავ ქვეყანა იქმნა ახალი

იმოსა მწვანით

ტყეთ სიხარულით, იმაღლეს ტანით

ვისაც აქვს ენა

მაშ მე რად მშორავს ეს სიხარულება

ბინდი ჭმუნვისა გულს რად მომეფინება?

იცით საბრალოს ჩემს გულს რა ეწუხება?

ხედავს სოფელი და ბუნება სულ ჭაბუკდება

და მე მთარგვნი ღვთისა ქმნილების  
არ მაქვს უფლება განცხოველების  
სულ წამივიდა სიჭაბუკის მე გაზავხული.  
მეორე გვერდზე:

რად მყო წელთაგან გამოცდითა გულდაჩაგრული  
ვით ამომვარდა სიცოცხლისა ბეჭდის აღმასი  
რისთვის წამერთო ნეტარების მე სავსე თასი.

...

### 35. „კოცნა“

არსებობს ერთადერთი ხელნაწერის სახით კრებულში 18032. არაა შესული არცერთ გამოცემაში. მოგვეყავს ლექსის ტექსტი სრულად:

### კოცნა

„ამაო კოცნით მხურვალ ტუჩებით  
თეთრ ყელსა მკერდსა ხშირად ჰსცათებენ  
მაგ გვარის კოცნით ცეცხლი მათ ტრფობის  
გულებთა შა არ აღეგზნების.  
\*“

არცაღა ხვევნა აღუმრავს გულსა  
თუმც უცემთ გული, ვით დაღალულსა  
ამგვარი კოცნა არს უმარილო  
და არის ცივი ვით მარმარილო.  
\*“

გულის ბილივი არის სხვა-გვარი  
გული კოცნითა მაშინ არს მტკბარი  
თუ რომ მიჯუნური შეყვარებულნი  
მხურვალის ბაგით შეწებებულნი  
ურთერთს ცეცხლებრ მოედებიან  
და თვით სულნი მათნი იკოცნებიან“.<sup>2</sup>

სტატიაში წარმოდგენილი ტექსტოლოგიური კვლევა ცხადყოფს, თუ როგორ მუშაობდა ავტორი ხელნაწერებზე, როგორ სრულყოფდა მას, რაც, ბუნებრივია, აფართოებს გ. ერისთავის შემოქმედების შესწავლით დაინტერესებულ ლიტერატურათმცოდნეთა კვლევის არეალს.

### ლიტერატურა:

1. გ. ერისთავი, თხზულებანი, შ. რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., ფედერაცია, 1936.
2. გ. ერისთავი „პიესები“, შ. რადიანის რედაქციით და შესავალი წერილით, თბ., სახელგამი, 1950.
3. გ. ერისთავი, თხზულებანი, ო. ურიდიას რედაქციით, თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.
4. ნ. საღირაშვილი, გ. ერისთავის „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“ - კრებ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1974 წ. №4.
5. თ. გოგოლაძე, „პ. მიცვევიჩის გ. ერისთავისეული თარგმანები“ გაზ. „გამარჯვება“ (გორი) 1974 წ. 19 იანვარი.
6. თ. გოგოლაძე „ერთი მოტივის ისტორიისათვის“ გ. ერისთავის შემოქმედებაში“, გსსი სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1997.
7. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდების, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული არქივის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერები.

<sup>2</sup> საქ. ლიტ. მუზ. ფონდები, ხელნაწ. 18032, გვ. 109

## რეზიუმე

პოეტისა და დრამატურგის, ქართველი თეატრის მოამაგის, გიორგი ერისთავის (1813-1864) საარქივო მასალების შეგროვების პროცესი დაიწყო 1867 წლიდან 1936 წლამდე, როდესაც ლიტერატურათმცოდნე შალვა რადიანიამ გამოსაცემად მოამზადა თხზულებათა კრებული და გამოწვლილვით შეისწავლა გ. ლეონიძის ლიტერატურულ მუზეუმში, ხელნაწერთა ინსტიტუტში ლიტერატურულ არქივსა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმებში სხვადასხვა პირთა არქივებსა, თუ დავით ერისთავის ფონდში გაბნეული ხელნაწერები. ეს პროცესი სრულყო და, სხვადასხვა ნუსხების ავტოგრაფებთან შეჯერებით, ტექსტოლოგიური კვლევებით, მოამზადა გიორგი ერისთავის თხზულებათა სრული კრებული 1966 წელს პროფესორმა ოთარ ურიდიამ.

ჩვენეული კვლევა მიზნად ისახავდა გიორგი ერისთავის ლექსთა თითქმის სრული არქივის შესწავლას ხელნაწერთა სხვადასხვა ფონდებში დაცული ავტოგრაფების, ნუსხების მიხედვით.

აღნიშნული სახის სამუშაო შესრულდა სხვადასხვა ფონდებში დაცული 76 ლექსის ხელნაწერის მაგალითზე, რაც, ჩვენი აზრით, დაეხმარება მკვლევართ გ. ერისთავის ხელნაწერებსა თუ გამოცემებზე მუშაობის პროცესში.

## FOR THE STUDY OF ARCHIVAL HERITAGE OF GIORGI ERISTAVI

Tamar Gogoladze, Full Professor

### RESUME

The process of archival materials of a poet and dramatist Giorgi Eristavi (1813-1864), began in the period of 1867-1936, when a literary critic Shalva Radiani prepared complete works for edition and made a detailed study of manuscripts scattered in various museums and such as: G. Leonidze Museum of Literature, Institute of Manuscripts, Museums of Theatre, Music, Cinema and Choreography and in the private archives of different persons and in David Eristavi Fund. In 1966 professor Otar Uridia fulfilled this process by combining the works of various authors and prepared by textual researches the complete edition of the works of Giorgi Eristavi .

The goal of our research is to study nearly complete archive of Giorgi Eristavi above the various lists and autobiographies in manuscripts.

The mentioned work was done on the example of manuscripts of 76 poems kept in different funds. We are sure this will be of great help for researchers in the process of working on Giorgi Eristavi's manuscripts and editions.

## სალიტერატურო ცხოვრება ცხინვალის რეგიონში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (რევაზ ფავლენიშვილი)

*ალექსანდრე მღებრიშვილი, სრული პროფესორი*

ცხინვალის რეგიონის სამწერლო ტრადიციების გაღრმავებაში თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი რევაზ ფავლენიშვილს. სამწუხაროდ, მშობლიურ კუთხეშიც კი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის მისი სახელი დღემდე უცნობია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის მოღვაწეთა შესახებ აკაკი წერდა: „ვიტყვიტ გულწრფელად, ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ნაწყვეტებით მამლის ყვილივით განთიადის წინამორბედი არიან ჩვენს ცხოვრება-ლიტერატურაში“ [1].

მიუხედავად ამისა, ეს მონაკვეთი ქართულ მწერლობაში ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ვ. ცისკარიძის „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების“ მიხედვით „თუკი ქართულ ლიტერატურაში არსებობს სადმე უმისამართოდ მივიწყებული უბანი, ეს უეჭველად XIX საუკუნის 90-



900-იანი წლებია, მხოლოდ 1965 წელს ვ. წოწელიას მიერ იქნა გამოცემული მათი თხზულებები მოკლე ბიოგრაფიული ცნობებითა და კომენტარებით. მკვლევარებსაც კი დავიწყებითა მათი არსებობა“ [2].

სწორედ ამ პერიოდის მკვლევართა შორისაა რევაზ ფავლენიშვილიც. მას მოღვაწეობა მეთად რთულ გარემოში უხდებოდა. ეს იყო XIX-XX საუკუნეების გასაყარი. ეს გახლდათ პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ შეხვედებოდათ წარსულის მოგონებას დამსგავსებულ თავადაზნაურობას, პარალელურად დამკვიდრებას ცდილობს ბურჟუაზია და თანდათანობით ყალიბდება მუშათა და გლეხთა კლასი.

რ. ფავლენიშვილის მოთხრობები: „მოტყუებულნი“, „ევა“, „გიორგი ქელესსაშვილი“, „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“, „არ ვიზამ არა!“ და ა.შ. ატარებენ ხალხოსნობის იდეურ-თემატიკურ თავისებურებებს. ასახავენ სოფლის დუხჭირ ცხოვრებას, ხასიათდებიან გამოსავალი გზების ძიების მცდელობებით.

რ. ფავლენიშვილის მოთხრობებს დასაწყისშივე გამოეხმაურნენ: კ. აბაშიძე თავის „სალიტერატურო მიმოხილვაში“ [3], პ. ჭარია [4], ხოლო ალ. ხახანაშვილს კი თავის ფუნდამენტურ შრომაში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ [5] რ. ფავლენიშვილი რამდენჯერმე ჰყავს მოხსენიებული ან. ფურცელაძის, იაკვალაძის, ან. ერისთავ-ხომტარიას და მ. ჯავახიშვილის გვერდით.

ილიამ „ივერიაში“ დიდი ადგილი დაუთმო რ. ფავლენიშვილის თარგმნილ მოთხრობას „ტოკერი და ვერონიკა“ [6]. მის შესახებ არაერთხელ წერდნენ ცხინვალის ერთადერთ ქართულენოვან გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ [7] და სხვ.

მწერლის შემოქმედება განიცდის ი. ჭავჭავაძის, შ. არაგვისპირელის გავლენას. ამ უკანასკნელის ზეგავლენა აშკარაა სათაურთა შერჩევასა. მისი მოთხრობების სათაურები ღრმააზროვნადაა ჩაფიქრებული, გადმოგვცემს მოთხრობის შინაარსთან ერთად მის იდეასაც.

რ. ფავლენიშვილი ავტორია არაერთი კორესპონდენციისა, რომლებიც „ივერიაში“ პერიოდულად იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „კვიმატი“, „ერედველი“, „ვინც გგონივართ, ის არ ვარ“, „უსახური“.

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თუკი რაიმე ვიცით წინა საუკუნის წლების ცხინვალისა და ერედვის ყოფასა და ცხოვრებაზე, ამაზე პირველ რიგში ჩვენს თანამემამულეს რ. ფავლენიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ“ [8].

მწერლობისადმი სიყვარული და მამულიშვილური მოღვაწეობა საერთოდ დამახასიათებელია ერედველი ფავლენიშვილებისათვის. თავად მიხ. ფავლენიშვილს ნათარგმნი ჰქონია შექსპირის „ჰამლეტი დანიის პრინცი“, პუშკინის „საოცარი სიზმარი“, ლერმონტოვის „ანგელოზი“, „ანდერძი“ და ა.შ. თარგმანები გარკვეული პერიოდულობით იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“. იგი ავტორი გახლდათ ორიგინალური ლექსებისა: „ჩივილი“, „სიზმარი“, „უხილავი ძალები“ და სხვ.

გიორგი და ნიკოლოზ ფავლენიშვილები თანამშრომლობდნენ გაზ. „დროებაში“, ბეჭდავდნენ წერილებსა და კორესპონდენციებს.

1902 წელს „ივერია“ იუწყებოდა მღვდელ-მონაზონი ბესარიონ ფავლენიშვილის შესახებ: „ბერული, მძიმე მოღვაწეობის ტვირთს გარდა, ბესარიონი მწიგნობარაც იყო. ორი ღვთის მეტყველების წიგნი, მისგან დაწერილი, დაცულია წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ საცავში №1117“ [9]. სწორედ ბესარიონ ფავლენიშვილს უძღვნა ალ. ყაზბეგმა შესანიშნავი მოთხრობა „მომღვარი“ და ილიამ კი „განდეგილი“.

რ. ფავლენიშვილმა, როგორც ბელეტრისტმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მოთხრობებით, რომლებიც ჟურნ. „მოამბის“ გზით მიეწოდებოდა მკითხველს. ისინი გახლდათ: „მოტყუებულნი“ [10], „ევა“ [11], „გიორგი ქელესსაშვილი“ [12], „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“ [13] და სხვ.

ამ მოთხრობებიდან სამი: „ევა“, „გიორგი ქელესსაშვილი“, „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“ შევიდა მოგვიანებით ვ. წოწელიას რედაქტორობით გამოცემულ მოთხრობების კრებულში.

რ. ფავლენიშვილი ერთ-ერთი აქტიური მებრძოლია ცხინვალსა და სოფ. ერედვიში სკოლებისა და სამკითხველოების დაარსებისა. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ საგაზეთო მასალაში „სოფელი ერედვი“ იგი მადლობას უცხადებს მათ, ვინც ცხინვალის სამკითხველოს აღმოუჩინა დახმარება: „პატივცემულ იაკობ გოგობაშვილს, რომელმაც შესწირა თავისი ნაწერების გარდა, სამი მანეთისა სხვა წიგნებიც ყველა სამკითხველოსთვის და რასაკვირველია დაბა ცხინვალის სამკითხველოსაც ხვდა წილად. „მწყემსის“ რედაქტორს მამა ღამბაშიძეს, რომელიც ეს მეორე წელიწადია უსასყიდლოდ უგზავნის თავის გაზეთს. „ივერის“, „კვალის“ რედაქტორებს, რომლებიც თითო ეგზემპლარს უსასყიდლოდ უგზავნიან. არსენ კალანდაძეს, რომელმაც შემოსწირა შოთა რუსთაველის სურათი, ნატალია კლოხოვსკაიამ ორი მანეთი, იოსებ მაჭავარიანმა ორი მანეთი და აღგვითქვეს ორ-ორი მანეთი იოსებ ბასიევმა და სიკო კასრაძემ. ყველა ზემოთ აღნიშნულს დამხმარებელთ უგულითადეს მადლობას მოახსენებენ დაბა ცხინვალის სამკითხველოს კომიტეტის წევრნი“ [14].

დიდი ილიას ვერაგული მკვლევლობით აღმფოთებულმა რ. ფავლენიშვილმა „ისარის“ რედაქციას გაუგზავნა სტატია „მხეცთა მსხვერპლი“, რომელშიც წერდა: „ადამიანის სიმხეცე, სიბოროტე,

საზიზღრობა თუ იქამდისინ მივიდოდა, რომ მხეცად გააფთრებულ-გაგაჟებულ და გაცოფებულ ტყის ნადირად გადაიქცეოდა და შეახებდა თავის ბილწს, მურდალის ხელს სამოცდაათი წლის მოხუცს, ერის დიდებულ მუშაკს, ერის სათაყვანებელ ადამიანს, ამას კი ვერ წარმოვიდგენდი, უწმინდურებმა და მარჯვენა შეჩვენებულმა ცხელის ტყვიით გაუგმირეს დიდებულ მოხუცს, დიდებული შუბლი. სრული ორმოცდაათი წელიწადი ლამპარით გზას გვინათებდა და გვიკვლევდა ეკლიან გზას! მაღლიანის ნაწარმოებითაც არა ერთი და ორი ახალგაზრდა აღზრდილა, არა ერთი და ორი აღფრთოვანებულა მისის მაღლის, კაცთმოყვარულის აზრებით, მამულისა და ხალხის სიყვარულით!...

განაღა დარჩა რამ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ჭირ-ვარამი, სატკივარი, რომ მის მაღლიანს, ძალუმს კალამს გადარჩენოდეს რამე?! არ შეხებოდეს თავისი ძალუმთან ნიჭით და ნათელი არ მოეფინოს? განაღა გვყავდა ანდა გვყავს ვინმე იმისთანა დარაჯი, როგორც იყო ვერაგულად მოკლული ილია, ჩვენი ქვეყნის მტერთა წინაშე?! ვინ აძლევდა პასუხს გამკითხველთ?! ილია!.. ვინ ედგა სათავეში ჩვენ ღარიბ მწერლობას?! ილია!... ვინ ედგა სათავეში ჩვენს საზოგადო საქმეს?! ილია!... ვის მაღლიანმა აზრმა, ენამ და კალამმა გამოზარდა ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვა მრავალნი?! ილიამ, ილიამ, იმ ილიამ, რომელსაც დღეს დასტირის მთელი შეგნებული ნამდვილი ქართველობა...

ნუთუ ერთხელ მაინც არ დაეკითხნენ თავიანთ სინდისს რას ვჩადივართო? ვის, ვის რად დასჭირდა მოხუცი ადამიანის შეგინება, შელახვა და მასთან მთელი ერისა?! რად, რისთვის?! ვის რა დაუშავა?!

ჩვენ გვყვანან მტრები შინაურიც და გარეულიც, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ დაამხონ, პირქვე დასცენ ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ვინაობა, ჩვენი არსებობა და ნიადაგიც მომზადებული გახლავთ... რად გინდათ გადაშალეთ საპოლიტიკო, სამეცნიერო გაზეთი „ქარიშხალი“ და იქვე ამოიკითხავთ შედეგს ჩვენი თანამედროვის მეცნიერ-პუბლიცისტების სიტყვებს: „საქართველო და ქართველები კი არა, მთელი კავკასიაც რომ არ იყოს, ამით ქვეყანას არა დააკლდება რაო“...

წყეულიმც იყვნენ ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე მათი მისხი, მათი შთამომავალნი, მათი ჯილაგი... რომელთაც გამოგვაცალეს ხელიდან დიდებული და შესანიშნავი ადამიანი ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ცარიელი სიტყვით, კრულვით, შეჩვენებით, არა გამოვა რა... ყველამ... მივიღოთ მონაწილეობა და აღმოვაჩინოთ ის ბნელი ძალები, რომელთაც ჩაიდინეს ისეთი საშინელი, საზარელი, სამარცხვინო ბოროტება, რომელიც არ მომხდარა არც ერთ ქვეყანაში.

მშვიდობით დიდებულო ჩვენო მოამაგე, დარაჯო, ჩვენო მოჭირნახულე მამაო ილია! მოწიწებით მუხლმოდრეკილი, შენი ნაწერებით აღზრდილი, ვემთხვევი შენს გაცივებულ გვამს“ (ი. ჭავჭ. ფონდი №344).

რედაქციას რატომღაც არ დაუბეჭდავს ეს წერილი, აღშფოთებული რ. ფავლენიშვილი ვ. გველესიანს სწერდა: „თუკი ზოგისა სამ-სამი წერილი და ლექსი მოათავსეთ, რატომ ჩემი ერთი წერილი არ დაბეჭდეთ. მიზეზი უადგილობა კი არ არის, ჩემო კარგო, არამედ ჩვენი ქართველური უყურადღებობა... ვინ და რა მხეცებმა შეახეს ხელი სამოცდაათი წლის მოხუცს და ისიც როგორ მოხუცს, რომლისთანა ძნელად რომ კიდევ დაგვებადოს. მაგისთანა კაცები საუკუნოებით იბადებიან და არა ყოველთვის, მეათასედმაც არ იცის რა იყო ჩვენთვის და ვინ იყო“ [15].

ამრიგად, რ. ფავლენიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი საინტერესო პუბლიკაციები სისტემატურად იბეჭდებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის მთავარ გამოცემებში. ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე საგულისხმო პროცესებს და ყოველთვის ეკავა პროგრესულად მოაზროვნე, პატრიოტი მოქალაქის პოზიცია.

რაც უმთავრესია, რ. ფავლენიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობის, უფრო კონკრეტულად კი ცხინვალის რეგიონის სამწერლო ტრადიციების გაღრმავებისა და განვითარების საქმეში.

#### ლიტერატურა:

1. ა. წერეთელი, განთიადი, გაზ. „კვალი“, 1896, №21.
2. ვ. ცისკარიძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972, გვ. 67.
3. კ. აბაშიძე, 1895 წლის სალიტერატურო მიმოხილვა, გაზ. „ივერია“, 1896, №4.
4. გაზ. „კვალი“, 1896, №181.
5. ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტ. 4, თბ., 1906 (რუს.).
6. გაზ. „ივერია“, 1899, №279-280.
7. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1964, 12/IV; 1966, 8/V; 1968, 21/X.
8. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 8/V.
9. ს. მერკვილაძე, მღვდელ-მონაზონი ბესარიონ ფავლენიშვილი, გაზ. „ივერია“, 1902, № 103.

10. ჟურნ. „მოამბე“, 1895, №11, №12.
11. ჟურნ. „მოამბე“, 1896, №1.
12. ჟურნ. „მოამბე“, 1896, №4.
13. ჟურნ. „მოამბე“, 1896, №6.
14. გაზ. „ივერია“, 1894, №35.
15. ვ. წოწელია, რ. ფავლენიშვილი, თბ., 1965, გვ. 205.

## რეზიუმე

ცხინვალის რეგიონის სამწერლო ტრადიციების გაღრმავებაში თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი რევაზ ფავლენიშვილს. სამწუხაროდ, მშობლიურ კუთხეშიც კი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის მისი სახელი დღემდე უცნობია.

რ. ფავლენიშვილის მოთხრობები: „მოტყუებულნი“, „ევა“, „გიორგი ქელეხსაშვილი“, „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“, „არ ვიზამ არა!“ და ა.შ. ატარებენ ხალხოსნობის იდეურ-თემატიკურ თავისებურებებს, ასახავენ სოფლის დუხჭირ ცხოვრებას, ხასიათდებიან გამოსავალი გზების ძიების მცდელობებით.

რ. ფავლენიშვილის მოთხრობებს დასაწყისშივე გამოეხმაურნენ: კ. აბაშიძე თავის „სალიტერატურო მიმოხილვაში“, პ. ჭარია, ხოლო ალ. ხახანაშვილს კი შრომაში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ რ. ფავლენიშვილი რამდენჯერმე ჰყავს მოხსენიებული ან. ფურცელაძის, ია. ეკალაძის, ან. ერისთავ-ხომტარიას და მ. ჯავახიშვილის გვერდით.

ამრიგად, რ. ფავლენიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი საინტერესო პუბლიკაციები სისტემატურად იბეჭდებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის მთავარ გამოცემებში. ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე საგულისხმო პროცესებს და ყოველთვის ეკავა პროგრესულად მოაზროვნე, პატრიოტი მოქალაქის პოზიცია.

რაც უმთავრესია, რ. ფავლენიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობის, უფრო კონკრეტულად კი ცხინვალის რეგიონის სამწერლო ტრადიციების გაღრმავების და განვითარების საქმეში.

## LITERARY LIFE IN TSKHINVALI REGION IN THE XIX-XX CENTURIES (REVAZ PAVLENISHVILI)

Aleksandre Mgebrishvili, Full Professor  
RESUME

Revaz Pavlenishvili made a considerable contribution in the business of intensifying Tskhinvali region literary traditions. Unfortunately, his name is still unknown for some part of the population of his hometown.

R. Pavlenishvili stories: “Deceived”, “Eva”, “Giorgi Kelekhshashvili”, “Even the weather is against us”, “I won’t do it, I won’t!”, and etc. These stories convey peoples’ ideological and thematic peculiarities, depict the difficulties of the village life and the attempt to solve the problems.

From the beginning, K. Abashidze made a response to R. Pavlenishvili stories in his work “Literary Review” and P. Charia as well. Though Aleksandre Khakhanashvili mentioned R. Pavlenishvili together with Anton Purtseladze, Ia Ekaladze, Eristav-Khoshtaria and Mikheil Javakhishvili in his work “History of Georgian Literature”.

Thus, R. Pavlenishvili actively participated in the social life of his period. His interesting publications were systematically published in the main editions at the turn of XIX-XX centuries. His stories commented on the important processes, that took place in the country and he always held a position of a progressive thinker and a patriot citizen.

The most important is that R. Pavlenishvili played a great part in developing and intensifying Georgian Literature, particularly, Tskhinvali Region literary traditions.

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა E d u c a t i o n

### მეტყველების განვითარება ადრეული ასაკის ბავშვებში

*მზია გოგიაშვილი, აკადემიური დოქტორი*

ადრეული ასაკი ბავშვის მეტყველების განვითარების მნიშვნელოვანი ხანაა.

„ადამიანის მიერ ენის პრაქტიკული გამოყენების პროცესს წარმოადგენს მეტყველება. მეტყველება კონკრეტული, ცალკეული ადამიანის აქტივობაა, რომელიც ენის გამოყენებით ხორციელდება და საფუძვლად ედება ადამიანთა სოციალურ ურთიერთობას.“ (1.40)

„ბავშვი მეტყველებას მაშინ იწყებს, როცა მას მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროება აიძულებს სხვას მიმართოს დახმარებისათვის. როგორც ყველგან, მეტყველების დროსაც საჭიროა ურთიერთგაგებინება. უფროსი უნდა მიხვდეს ბავშვის ნათქვამის მნიშვნელობას, რათა მას სურვილი შეუსრულოს. მაგრამ თვითონ ბავშვსაც უნდა ჰქონდეს უფროსის ზემოქმედების გაგების უნარი. მეტყველება ხომ ცალმხრივი პროცესი არ არის, რომ სულ ბავშვმა ილაპარაკოს“ (2.197)

ადრეული ასაკის ბავშვთა მეტყველების განვითარებაზე მუშაობის წამყვანი ფორმაა თამაშ-მეცადინეობები, რომლებიც მიმდინარეობს აღმზრდელის ხელმძღვანელობით. თამაშის დროს ბავშვი იღებს საჭირო ცოდნას, ამიტომ ყოველი ყოფითი პროცესი უნდა გამოიყენებოდეს მეტყველების განვითარებისათვის. საბავშვო ბაღებში მეტყველების განვითარება ხორციელდება ბავშვების აღმზრდელთან კონტაქტის შედეგად, ამიტომ აღმზრდელი უნდა ეცადოს ბავშვებს მიმართოს კითხვით, რადგან ეს მეტყველების განვითარების ერთ-ერთი ეფექტური ხერხია. ბავშვები მეტყველებენ მაშინაც, როცა თამაშობენ დამოუკიდებლად, საუბრობენ სათამაშოებთან თუ საკუთარ თავთან.

აღმზრდელმა უნდა დააინტერესოს, გამოიწვიოს დადებითი ემოცია და კმაყოფილების გრძნობა ბავშვებში. მიწოდებული მასალა პატარებისათვის უნდა იყოს საინტერესო. ბავშვების ინტერესი და აქტიურობა ნებისმიერმა მეცადინეობამ უნდა გამოიწვიოს. ამიტომ, აღმზრდელი კარგად უნდა იცნობდეს ჯგუფის ბავშვებს, მათ განვითარების დონეს, ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებს. ეს აღმზრდელს დაეხმარება სწორად შეარჩიოს მეცადინეობებისა და თამაშებისათვის მასალები და შეძლოს გამოიყენოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამაში სწავლების წამყვანი ფორმაა ადრეულ ასაკში. ბავშვს ბევრი რამე აინტერესებს, ათვალთვებს სურათებს, შინაურ ცხოველებს, უფროსების მოქმედებას. აუცილებელია ბავშვის ინტერესების დაკმაყოფილება, საუბარი, თვალსაჩინოების გამოყენება. საჭიროა, ბავშვმა გაიგოს სხვისი მეტყველება, მიზანობა მას. ადრეულ ასაკში ვითარდება ბავშვისა და უფროსის ურთიერთდამოკიდებულება, წარმოიშობა პირველი განზოგადებული სიტყვები. (1-დან 2 წლამდე ასაკი)

უკვე ორი წლიდან ბავშვმა უნდა შეძლოს უფროსის მიერ მიცემული დავალების შესრულება. მარტივი მოთხოვნის შინაარსის გაგება, სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება. უნდა ესმოდეს შეკითხვა და რაც მთავარია შეძლოს სწორი პასუხის გაცემა რამოდენიმე წინადადებით. შეძლოს არსებითი სახელის მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში ხმარება, ზმნის, ნაცვალსახელისა თუ ზედსართავი სახელების გამოყენება.

ვიცი, რომ ადრეული ასაკის ბავშვთა აზროვნება კონკრეტულია, ცოდნა საკმარისი არ აქვთ, განზოგადებას კი გარკვეული ნიშნით ახდენენ. მაგრამ სწორედ ადრეულ ასაკში იხვეწება განზოგადებისა და საგნის ურთიერთგანსხვავების უნარი. ისინი ცნობენ ფერის, ფორმის და ზომის მიხედვით საგნებს. ბავშვებს შეუძლიათ შეასრულონ სიტყვიერი დავალებები, გაიგონ მარტივი მოთხოვნები ილუსტრაციის გარეშე. გაგებასა და აქტიურ მეტყველებას შორის იცვლება ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. მიმზიდველობის საფუძველზე სწრაფად მიდრეკება ლექსიკა, სამი წლისთვის ბავშვი უკვე ფლობს მეტყველების ნაწილებს. არსებით სახელს, ზმნას, ზმნიზედას, რიცხვით სახელს, დამხმარე სიტყვებს. ასევე იწყებენ ადგილის, დროის, ვითარების ზმნიზედების (აქ, იქ, მერე, ასეთი, როგორ და ა.შ.) ხმარებას. საერთოდ კი ამ ასაკში ბავშვების მეტყველება დასახვეწია. ეშლებათ სიტყვების ერთმანეთთან შეთანხმება, ბრუნვის ნიშნები და სხვ. ამ ასაკის ბავშვთა ნაკლოვანებები გამოწვეულია სამეტყველო ორგანოების

თავისებურებებით (ენა, კბილები, ტუჩები, ყბები). აღმზრდელი უნდა ეცადოს ბავშვებმა სწორად დაუკავშირონ სიტყვები ერთმანეთს, მარტივი და გავრცობილი წინადადებით გაუმდიდროს მეტყველება, ასწავლოს სურათზე გამოსახული ამბის თხრობა ორი სამი წინადადებით.

მშობლიური ენის სწავლების სისტემაში დიდი ადგილი უკავია მეტყველების ბგერითი კულტურის აღზრდას. მეტყველების ბგერითი კულტურის აღზრდისათვის საჭიროა სმენითი აღქმის განვითარება, ხმის აპარატის სწორი გამოყენება, მეტყველების სიჩქარის, ხმის შეცვლა, გამომეტყველებითი ინტონაციური საშუალებების გამოყენება.

„ბავშვის მეტყველების ჩასახვისა და განვითარების ძირითად ფაქტორს სოციალური გარემო წარმოადგენს. ბავშვი ცალკეული სიტყვების წარმოთქმას უფროსების მიბაძვით ახერხებს, ხოლო იმის შემდეგ, რაც სიტყვის სიმბოლურ მნიშვნელობას ხვდება, თვითონ ღებულობს ზომებს ახალი საგნების სახელების გასაგებად“. (3.208)

ბავშვებში გარემოს გაცნობის მიზნით ტარდება სურათებისა და ილუსტრაციების დათვალიერება. სურათის საშუალებით აღმზრდელი ცდილობს ბავშვებს გაუმდიდროს ლექსიკა, დაეხმაროს საგნის ნაწილების დანახვასა და დასახელებაში, სურათის მიხედვით სიუჟეტის გაგებას, ხოლო მასზე ასახულის შესახებ აზრის გამოთქმას. ასევე ასწავლის სურათის შესახებ მოთხრობის შედგენის უნარის გამომუშავებას. გარემოს გაცნობისას ბავშვები სწავლობენ საგნების, მათი თვისებების, მოქმედების დასახელებას. ასე ამყარებენ კავშირს საგნებსა და მათ ნაწილებს შორის. ამ დროს აღმზრდელი ათვალიერებინებს ბავშვებს საბავშვო ბაღის შენობას, მიწის ნაკვეთს, სურათებს, სათამაშოებს, უფროსების შრომას. ამით აღმზრდელი აქტიურად რთავს ბავშვებს მეცადინეობაში, ის ყურადღებას ამახვილებს ჯერ საგანზე, შემდეგ მის ცალკეულ ნაწილებზე. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს გარემოს გაცნობას მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს, დააკვირვებს ბუნებაზე, უსვამს კითხვებს და იღებს პასუხებს.

როგორც ვიცით, სურათს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აზროვნებასა და მეტყველების განვითარებაში. მათი უპირატესობა სათამაშოებთან განსხვავებით ისაა, რომ ბავშვები ათვალიერებენ სურათებს და საუბრობენ. ბავშვებს სათამაშოთი უნდათ თამაში, ხოლო სურათთან ურთიერთობისას ლაპარაკი. ადრეულ ასაკში ბავშვებს იზიდავთ ლამაზი სურათები. სურათ მასზე დახატული სათამაშოს ალება. უფროსების დახმარებით ბავშვი ამყარებს კონტაქტს საგანს, გრაფიკულ გამოსახულებასა და მის შესაბამის დასახელებას შორის. ამით ბავშვი ემზადება პირველი წარმოდგენებისა და აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. აღმზრდელი მეცადინეობას სიუჟეტური სურათებით ატარებს, ამიტომ ამ სურათების შინაარსი უნდა იყოს მარტივი, მასზე ერთი საგანი უნდა იყოს გამოსახული, ხოლო შემდგომ გამოიყენებს რთულ სიუჟეტურ სურათებს.

ადრეული ასაკის ბავშვებში ასევე დიდ როლს თამაშობს მხატვრული ნაწარმოების გაცნობა. ამ დროს ბავშვებს უმახვილდებათ სმენითი ყურადღება, მოსმენის უნარი, რაც ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას. ორ წლამდე ასაკის ბავშვებს აღმზრდელი უკითხავს ისეთ ლიტერატურას, სადაც ძირითადად ნაცნობია ყველაფერი. კარგია ბავშვებს გავაცნოთ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლებიც გამდიდრებული იქნება თვალსაჩინო მასალით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სამეტყველო სუნთქვის გამომუშავებაზე ვარჯიში, რადგან, როგორც ვიცით, ორ წლამდე ასაკის ბავშვების სამეტყველო ორგანოები განვითარებული არ არის. მათ არ შეუძლიათ ხმადგობა ლაპარაკი, ლაპარაკობენ ხმამაღლა, ამიტომ აღმზრდელმა უნდა ავარჯიშონ, რომ ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვა სიძლიერით წარმოთქვან, ეს კი მათ დაეხმარებათ ინტონაციის დაუფლებაში.

სმენით აღქმაზე მუშაობისას აღმზრდელი ავარჯიშებს გარკვეული ობიექტის ხმის მიმბაძველობაზე. აგრეთვე ასწავლის სიტყვების გარკვევით და მკაფიოდ წარმოთქმას. უკითხავს ზღაპრებს. (4.193)

აღმზრდელი ყოველდღიური ურთიერთობისას მეცადინეობის გარეშე ყურადღებას უნდა აქცევდეს ბავშვების მეტყველებას. სამეტყველო ორგანოების განვითარებასთან ერთად აღმზრდელი ინდივიდუალურ მიდგომასაც იყენებს. სამეტყველო ორგანოების გავარჯიშებას ეთმობა სპეციალური მეცადინეობები. აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს იმეტყველონ ნელა, აუჩქარებლად. კარგად დაყენებული სამეტყველო სუნთქვა ხელს უწყობს ბგერათა წარმოთქმას, სიტყვების ფრაზების შერწყმულ და თანმიმდევრულ გადმოცემას.

2-დან 3 წლამდე ბავშვები ცდილობენ უფროსებივით იმოქმედონ, თუმცა საჭიროებენ დახმარებას. ბავშვები ყურადღებით ისმენენ აღმზრდელის ახსნილს და კითხვებსაც უსვამენ. იღებენ ახალ შთაბეჭდილებებს, რაც წარმოადგენს მათი ფსიქიკური განვითარების აუცილებელ პირობას. ამ ასაკში ბავშვები ურთიერთობენ თანატოლებთან, უფროსებთან, რაც ხელს უწყობს მათ მეტყველების განვითარებაში, უკითხავს ლექსებს წლის სხვადასხვა დროებზე, აჩვენებს ცხოველებს და ფრინველებს,

ასწავლის მათი სხეულის ნაწილებს. სამი წლის ბავშვი ანსხვავებს სურათზე გამოსახულ ცხოველებს, იცნობს შინაურ ცხოველებს და ფრინველებს.

სკოლამდელი დაწესებულების ძირითადი მიზანია 5 წლის ასაკამდე ბავშვებს ვასწავლოთ სწორად წარმოთქვან მშობლიური ენის ყველა ბგერა, ილაპარაკონ ინტონაციით, გამოთქმით, არ იჩქარონ.

და ბოლოს, ადრეულ ასაკში ბავშვის მეტყველების განვითარებაზე მუშაობის დაწყება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რამეთუ ამ ასაკში ბავშვს უნდა შეეძლოს ბგერებისა და სიტყვების სწორად წარმოთქმა, აღმზრდელის მიერ წაკითხული მასალის (ლექსის, მოთხრობის, ზღაპრის) მოსმენა და კითხვების საშუალებით მარტივი შინაარსის გადმოცემა. ყოველივე ეს კი საფუძველს ქმნის იმისას, რომ ბავშვი თანდათანობით მომზადდეს სკოლაში წასასვლელად, რათა არ გაუჭირდეს სკოლაში მიცემული დავალებების მიღება და შესრულება.

#### ლიტერატურა:

1. ლომსაძე ც., პიროვნების ფსიქოლოგიის კურსი, ნაწ. II, 1998.
2. ყოლბაია მ., ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1998.
3. საქართველო და ბავშვის უფლებათა კონვენცია, თბ., 2011.
4. საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის, თბ., 2000.

### რეზიუმე

სკოლამდელ ასაკში აღმზრდელი ყურადღებას უნდა აქცევდეს ბავშვის მეტყველების განვითარებას. ამიტომ მეტყველების განვითარებაზე მუშაობა უნდა ხდებოდეს მეცადინეობებსა და ყოველდღიურ ურთიერთობაში. მეცადინეობაზე სწავლებისას აღმზრდელმა ბავშვს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გარემოზე და გაუმდიდროს მეტყველება. ბავშვმა უნდა შეძლოს აღმზრდელის მიერ წაკითხული მასალის მოსმენა და მარტივი შინაარსის გადმოცემა. ეს საფუძველი იქნება იმისა, რომ ბავშვი მომზადდეს სკოლაში წასასვლელად.

## DEVELOPMENT OF SPEAKING IN EARLY CHILDHOOD

Mzia Gogiashvili, Ph.D.

### RESUME

A teacher should pay attention to speaking development in preschool period of a child. So, the work of speaking development should be done during the activities and in everyday communication. During the teaching process, the teacher should give a child the information about surroundings and make his/her speech more fluent. A pupil should be able to listen to the material read by the teacher and tell its content in an easy way. This will be the basis of child's preparation for school.

### სასწავლო პროექტი და მისი გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლებაში

*თინათინ იოსებძე, ასოცირებული პროფესორი*

ბუნებისმეტყველების სწავლების ძირითადი მიზანია მისცეს მოსწავლეებს ელემენტარული ცოდნა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების, მასში მიმდინარე მოვლენების გამომწვევ მიზეზებსა და ურთიერთდამოკიდებულებებზე, რაც მოითხოვს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორებიცაა:

- დაკვირვება, აღწერა;
- აღრიცხვა;

- კლასიფიკაცია;
- გაზომვა;
- კომუნიკაცია;
- მონაცემების ინტერპრეტაცია;
- განჭვრეტა/ჰიპოთეზის გამოთქმა;
- ცდის დაგეგმვა;
- ცდის ჩატარება;
- ველზე მუშაობა.

დაკვირვება, ცდა და ექსპერიმენტი, სასწავლო თამაშები, ექსკურსია და ექსპედიცია, ილუსტრაციებზე, რუკებზე და მონაცემებზე მუშაობა, საბუნებისმეტყველო საკლასო დისკუსია, პროექტი და სხვა ეს ის სასწავლო მეთოდებია, რომელიც განავითარებს მოსწავლის ზემოთ აღნიშნულ უნარ-ჩვევებს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სასწავლო პროექტზე. დღეისათვის ბუნებისმეტყველებაში სწავლების თანამედროვე მეთოდებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვანად სასწავლო პროექტი ითვლება. იგი, როგორც მეთოდი, განათლებაში მე-20 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა და საშუალებას იძლევა აქტიური და მიზანმიმართული სწავლისა. პროექტით სწავლება იწვევს მოტივაციის გაძლიერებას და ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას. პროექტი მოზარდს ამავე დროს ეხმარება რეალურ ცხოვრებაში, რათა მიღებული ცოდნა-გამოცდილება გამოიყენოს დასახული მიზნის მისაღწევად.

სასწავლო პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებაზე მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. ნებისმიერ პროექტს გააჩნია რესურსები, რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული პროექტის აღწერაში.

პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები რეალური პრობლემების გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ, ხალისით ერთვებიან და ასევე ხალისით ასრულებენ სამუშაოს. ამდენად, მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებლის მხრიდან საუკეთესო გამოსავალია სასწავლო პროექტებში მათი დაკავება, ხოლო მასში გუნდური მუშაობა კი პროდუქტულობის წინაპირობაა.

სასწავლო პროექტში შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ეტაპები:

- იდეის ჩამოყალიბება (დაგეგმვა);
- მომზადება;
- განხორციელება;
- შედეგების წარდგენა.

პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინო და დამაჯერებელი იქნება. ის შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ერთი ან რამდენიმე საგნის ფარგლებში. ქვემოთ მოგვყავს პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

- პრობლემის იდენტიფიცირება;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
- ინფორმაციის მოძიების უნარი;
- კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების ინფორმაციის კლასიფიკაციის და ინტერპრეტაციის უნარი;
- კვლევის შედეგების ანალიზის უნარი;
- პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
- გადაწყვეტილებების მიღება;
- წარმოდგენილი ნამუშევრის ორგანიზება;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.

სასწავლო პროექტად შეიძლება იქცეს ნებისმიერი ღონისძიება, თემა, თუ იგი აქტუალურია და ემსახურება კონკრეტული მიზნის მიღწევას ან არსებული პრობლემის მოგვარებას. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს საქმიანობა პროექტად იქცეს?

ავიღოთ ნებისმიერი თემა სასწავლო პროგრამიდან, მაგალითად მოსწავლეები ეცნობიან მცენარეთა სამყაროს, მაგრამ უჭირთ საკვებ და ველურ მცენარეთა გარჩევა, რაც ხშირად მიზეზი ხდება ბავშვების მოწამვლისა. საჭიროა მოსწავლეებმა უფრო უკეთ შეისწავლონ მხამიანი მცენარეები და ვნახოთ, როგორ

შეიძლება ეს თემა ვაქციოთ პროექტად. თავიდან ჩნდება მხოლოდ იდეა - უსაფრთხოების მიზნით მოსწავლეებმა აუცილებელია იცოდნენ შხამიანი მცენარეები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორგანიზმის მოწამვლა. შემდეგ მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას ამახვილებს შხამიან მცენარეებზე, რომლებიც თავის ცხოველქმედების პროცესში გამოიმუშავენ ადამიანისა და ცხოველების მომწამვლელ შხამებს.

ადამიანის გარემომცველ სამყაროში დიდი რაოდენობით არის ის ნივთიერებები, რომელიც თავისი ტოქსიკურობის გამო პოტენციურად საშიშია ჯანმრთელობისათვის. ეს ნივთიერებები პირობითად შეიძლება დავყოთ რამოდენიმე ჯგუფად, მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი შხამიანი მცენარეებია. საშიშია ზოგიერთი მათგანის ქერქი და ნაყოფი, სამაგიეროდ უვნებელია ფოთლები და ყვავილები, საშიშია ზოგიერთი მცენარის ფოთლები, არიან მცენარეები, რომელთა ფესვებსა და ფესურებში ჭარბობს შხამიანი ნივთიერებები და ა.შ. მოწამვლა უმეტესად ხდება ნაყოფისა და ფესურისგან. რაც შეეხება მცენარეთა სხვა ნაწილებს -ფოთოლი, ღერო, ქერქი, მათგან ადამიანი შეიძლება მოიწამლოს მაშინ, თუ ის მიმართავს თვითმკვლელობას სხვადასხვა მცენარეული ნაყენითა და ნახარშით.

ბავშვები სოფელში ზოგჯერ იწამლებიან ლენცოფისგან, ლემისგან, ძაღლყურძენისგან და სხვ. დედამიწაზე გავრცელებულ მცენარეთა 300 ათასზე მეტი სახეობიდან 700-ზე მეტ სახეობას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ან ცხოველის მიმე ან სასიკვდილო მოწამვლა. შხამიანი მცენარეებია: ტილჭირი, უცუნა, ლემა, ხაშხაში, აბუსალათინი, ციკუტი, სურო, ურთხელი, ანწლი, ნიუკა, კვიდო, მაჯალვერი, დათვის კენკრა, ცხრატყავა, ფითრი, შროშანი, ძაღლყურძენა, ხარისთვალა და სხვ.

შხამიანი მცენარეები აღწერილია სოკოებში, შვიტებში, გვიმრებში, შიშველ და ფარულთესლოვან მცენარეებში და სხვ. თუმცა მრავალი მცენარეული შხამი მცირე დოზებში წარმოადგენს ძვირფას სამკურნალო პრეპარატს (მორფინი, სტრიქნინი, ატროპინი და ა.შ.).

საშიშია ველურად მზარდი ზოგიერთი მცენარის კენკრა, რაც შეიძლება ბავშვის მოწამვლის მიზეზი გახდეს. სწორედ ამ მიზნითაა აუცილებელი თითოეული მოზარდი კარგად გაეცნოს შხამიან მცენარეებს და ისწავლოს მათი გამოცნობა.

რა არის შხამიანი ველური მცენარეების შესწავლის მიზანი? მოსწავლეები როცა დაასრულებენ მუშაობას, აღმოჩნდება, რომ საკმაოდ ბევრი რამ შეიძლება იყოს მასწავლებლის მიზანი, მაგ.: მოსწავლეები შეძლებენ მოიპოვონ ინფორმაცია და შეისწავლონ შხამიანი მცენარეები, ეცოდინებათ რა განსხვავებაა საკვებ და შხამიან მცენარეს შორის, მცენარის რომელი ნაწილი შეიცავს შხამს, რომელი მცენარეა უფრო მეტად გავრცელებული მათი საცხოვრებლის ახლოს. მოსწავლეებს გაუჩნდებათ სურვილი, მეტი ინფორმაცია მოიძიონ ამ მცენარეების შესახებ; ეცოდინებათ პროფილაქტიკა მოწამვლის თავიდან ასაცილებლად.

პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია თითოეული საქმიანობისთვის განისაზღვროს დაწყებისა და დასრულების სავარაუდო დრო, რესურსები, მოსწავლეებს გაუნაწილდეთ დავალებები და უზრუნველყოფილები იქნენ შესაბამისი რესურსებით.

პროექტი ასეთ სახეს მიიღებს:

1. **პროექტის სახელწოდება:** შხამიანი ველური მცენარეები
2. **პროექტის მთავარი იდეა:** მოსწავლემ გაარკვიოს მის გარშემო შხამიანი მცენარეები და ისწავლოს მისგან თავის დაცვა.
3. **პროექტის აქტუალობა:** მოსწავლეებს ეცოდინებათ სასარგებლო და შხამიანი მცენარეების გარჩევა.
4. **პროექტის მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ შხამიანი ველური მცენარეების გარჩევა, მოძიება გაარკვიონ მათი შემადგენლობა და თავის დაცვა.
5. **მოსწავლის ასაკი:** მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეები
6. **ვადები:** 10-12 დღე.
7. **მოსალოდნელი შედეგები:** შექმნიან ამ მცენარეების ფოტოალბომს, მოიძიებენ ინტერნეტიდან მასალებს, აიტვირთება ბლოგზე, მოეწყობა პრეზენტაცია.
8. **პროექტის რესურსი:** ფოტოაპარატი, კომპიუტერი, ფურცლები, ფორმატი, მარკერი, ფლომასტერები და ალბომი.
9. **პროექტის მსვლელობა:** ბავშვებს ევალებათ საცხოვრებელთან ახლოს ან სოფლის მიდვრებსა და ტყეებში (თუ არის ხელმისაწვდომი) მოიძიონ შხამიანი მცენარეები, გადაუღონ სურათები, ინტერნეტსა და წიგნებში მოიძიონ ინფორმაცია ამ მცენარეების მორფოლოგიაზე, ქიმიურ შემადგენლობაზე, ცხოვრების ნირზე, გამრავლებაზე. შექმნან პრეზენტაცია, თუ რამდენად აუცილებელია ისინი ბუნებაში. გააკეთონ ამ მცენარეებისაგან პატარა ალბომი ჩანაწერებით.



მნიშვნელოვანია პრეზენტაციას ესწრებოდეს სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იხილავს პროექტს, თუ რა გამოვიდა კარგად და რისი გაუმჯობესება შეიძლება მომავლისათვის. ამ საქმიანობათა შედეგად, პროექტი „შხამიანი ველური მცენარეები“ წარმატებით დასრულებულად ჩაითვლება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა განმავლობაში სასკოლო, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს უვითარებს ევროკავშირის მიერ აღიარებულ საკვანძო კომპეტენციებსა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის საჭირო 21-ე საუკუნის უნარებს.

დღეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კომპიუტერულ ტექნოლოგიებს აქტიურად მოიხმარს. ზედმეტი იქნება იმის შესახებ მსჯელობა, თუ როგორ გაამდიდრებს სასკოლო პროექტებს ქართული და უცხოენოვანი ინტერნეტ-რესურსების გამოყენება და როგორ მრავალფეროვანს გახდის მათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტები: ტექსტური რეფერატები, დიაგრამებითა და ვიზუალური მასალით გაამდიდრებული პრეზენტაციები, მედიაფაილები, თამაშები, გამოკითხვები და სხვ.

ამრიგად, მასწავლებელმა პროექტისთვის სასურველია შეარჩიოს ისეთი თემები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი პრობლემური საკითხების გადაჭრის საქმეს, მუდმივი ძიებისათვის მოსწავლეთა სტიმულირებისა და პროდუქტიული აზროვნების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირებას. მუშაობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს: ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებაში, შეფასებასა და გამოყენებაში; თანატოლებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაში; სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურად ჩართვასა და მათთვის საკუთარი უნარების გამოვლენის შესაძლებლობის მინიჭებაში.

#### ლიტერატურა:

1. გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე, ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები, თბ., 2011.
2. ვ. თ. მეგრელიძე, დ. ვ. მეგრელიძე, ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1998.
3. რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი და სხვ., სწავლება და შეფასება, ნაწ. 2, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
4. ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლინი და სხვ., სასწავლო და პროფესიული გარემო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ნაწ. 3, 2009.
5. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ტრენინგების მასალები, თბ., 2007.
6. ინტერაქტიული გაკვეთილის ელემენტები, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ნაწ. I-II, 2006.

#### რეზიუმე

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სასწავლო პროექტზე. დღეისათვის ბუნებისმეტყველებაში სწავლების თანამედროვე მეთოდებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად სასწავლო პროექტი ითვლება. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები რეალური პრობლემების გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოტივაციის გაძლიერებას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას. პროექტი მოზარდს ამავე დროს ეხმარება რეალურ ცხოვრებაში, რათა მიღებული ცოდნა-გამოცდილება გამოიყენოს დასახული მიზნის მისაღწევად.

პროექტი შხამიან ველურ მცენარეებს: ლემა, ტილჭირი, უცუნა, ხაშხაში, აბუსალათინი, სურო, ურთხელი, ანწლი, ცხრატყავა, ფითრი, შროშანი, ძაღლყურძენა, ხარისთვალა და სხვ. ეხება, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული და მათ უარყოფითი როლის გარდა მედიცინაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

მასწავლებელმა პროექტისთვის სასურველია შეარჩიოს ისეთი თემები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ უსაფრთხოების პრევენციას, პრობლემური საკითხების გადაჭრას, მუდმივი ძიებისათვის მოსწავლეთა სტიმულირებისა და პროდუქტიული აზროვნების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირებას.

## THE PROJECT AND ITS USE IN THE TEACHING OF NATURAL SCIENCES

Tinatin Iosebidge, Associate Professor

### RESUME

The work focuses on the study project. Nowadays in natural sciences the modern methods of instruction is considered one of the most important methods for the study project. Students working on the project using skills and acquired knowledge to solve real life problems. The study project involves motivation and increases their responsibility. The project at the same time helps the teenager in real life, so that knowledge - Experience in the use of the set goals. The project is about poison wild plants (*Datura*, *Aconitum Nasutum* Fisch, *Colchicum*, *Papaver somniferum*, *Ricinus communis*, *Hedera colchica*, *Táxus baccáta*, *Sambucus* and others). In addition to their negative role in medicine are widespread and occupy a lot of space. The teacher for the project, it is desirable to select the topics that will enhance their problem solving issue and safety prevention. The constant search for student stimulation, productive thinking and practical skills formation.

### იაკობ გოგებაშვილი გეოგრაფიის შესახებ და საგნის სწავლების ზოგიერთი თანამედროვე საკითხი

*ზურაბ ტიელიძე, სრული პროფესორი*

დიდი ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტისა და სახალხო მწერლის იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ხალხურობის იდეა ანუ ეროვნულობა. ხალხურობის პრინციპში გოგებაშვილი გულისხმობდა თავისი სამშობლოს, მისი ხალხის - ქვეყნის ხერხემლისა და ძალ-ღონის, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებას სწავლებასა და აღზრდაში, საერთოდ, სახალხო განათლებაში. ხალხურობის ანუ ეროვნულობის ცნებაში იგი გულისხმობდა აგრეთვე მთელი საზოგადოების საყოველთაო სწავლებასა და განათლებას. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავდა სწავლებას მშობლიურ ენაზე, სწავლებასა და განათლებაში მშობლიური ხალხის სულიერი კულტურის გამოყენებას, სწავლების შინაარსში ხალხის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებების, ერის ისტორიის წარსულისა და აწმყოს ამსახველი მასალების ჩართვას და, რა თქმა უნდა, მშობლიური ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნებისა და გეოგრაფიული თავისებურებების გამოყენებას. გოგებაშვილის აზრით, ისტორიაში არ მოიძებნება მაგალითი, რომ ერს ელაღატოს თავისი ეროვნულობისათვის და იგი არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს დედამიწის ზურგიდან. დიდმა ქართველმა მოაზროვნემ ხალხურობის იდეის ფრთებშესხმა ბრწყინვალედ განახორციელა თავის შესანიშნავ სახელმძღვანელოებში: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865 წ.), „ბუნების კარი“ (1868 წ.), „დედა ენა“ (1876 წ.), „რუსკოე სლოვო“ (1887 წ.).

იაკობ გოგებაშვილი ეხებოდა რა რეალური და კლასიკური განათლების საკითხებს, მას კლასიკური განათლების ნაკლად ის მიაჩნდა, რომ გიმნაზიის მოწაფეებს ტვინს უტენიან ბერძნული და ლათინური გრამატიკის ნაგლეჯებით, ანუ „ძველი ენების კანკლედობანით და უღვლილებანით“. „ასეთ შემთხვევაში“- აღნიშნავდა იგი, - „თუ მოსწავლე შუაზე გაწყვეტს სწავლებას, იგი მერე უძლური აღმოჩნდება რეალური ცოდნის შეძენაში. "სულ უსწავლელი უფრო ადვილად შეითვისებს ამ სწავლას, ვიდრე ის, ვისაც თავი გამოტენილი აქვს ძველი ენების გრამატიკების ნაფლეთებითა“ (1. გვ. 290).

რეალური განათლების შესახებ კი აღნიშნავდა: „მე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა, იგი მიმაჩნია ყველა ერისათვის უფრო ნაყოფიერ სისტემად, მეტადრე ქართველებისათვის“ (1. გვ. 248). მისი აზრით, საჭიროა „ზურგი... შევაქციოთ ყალბს ცოდნას, ფორმულირების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტი ცოდნისას, ხოლო ამ გვარ ცოდნას იძლევა რეალური სისტემა განათლებისა. ამ სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კლასიკური

სისტემის წინაშე. პირველად, რეალური სისტემა ამ ფორმალურ განვითარებას ანიჭებს მოწაფეს, რომელიც შეადგენს ერთად-ერთ ღირსებას კლასიკურის სისტემისას, და ამას გარდა, ნამდვილ ცოდნითაც ამდიდრებს“ (1. გვ. 293).

იაკობ გოგებაშვილი აღიარებს რეალური განათლების სხვა დადებით მხარეებსაც, კერძოდ იმას, რომ რეალური განათლება თეორიული სწავლების პრაქტიკასთან, შრომასთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ იგი დიდ სარგებლობას ხედავდა ბუნებისმეტყველების შესწავლაში, რადგან ბუნების მოვლენების შესწავლა გააადვილებს სამეურნეო ამოცანების შესწავლას. გოგებაშვილის აზრით, ბუნება ემორჩილება მხოლოდ იმას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის შეიარაღებული, მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვისაც ბუნების ძალებისა და რესურსების გამოყენება შეუძლია. ბუნების შესწავლით, დაასკვნის იგი, რეალური სკოლები აიარაღებენ მოსწავლეებს ისეთი ზოგადი განათლებით, რომელიც ხელს უწყობს მათ სამეურნეო ცოდნით დასპეციალიებას. სამეურნეო ცოდნას კი იგი საქართველოსათვის მიიჩნევდა ერთ-ერთ უსაჭიროეს ფენომენად. მისი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „ჩვენ არ ვიცით ჩვენი მდიდარი ბუნების მოვლა, მისი მოვლა და სარგებლობა სხვებმა იციან და ფულის მეშვეობით ცდილობენ ხელიდან გამოგვაცალონ მიწა-წყალი, მიწა-წყლის დაკარგვას მოყვება ერის გაქრობა... რადგან "მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, ისე ერთი ილუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“ (1. გვ. 294).

აქედან გამომდინარე აღვნიშნავ, რომ დღეისათვის საქართველოს უპირველესი ბუნებრივი რესურსის - სასოფლო-სამეურნეო მიწების განუკითხავად გადაცემა უცხოელების (ინდოელების, ჩინელების, თურქების, სამხრეთ აფრიკელებისა და სხვათა ხელში), რა მიზნითაც არ უნდა იყოს იგი განპირობებული და რა ერთჯერადი ეკონომიკური სარგებელიც არ უნდა მოუტანოს მან ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტს, მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ და ამაზე საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დროზე უნდა იფიქროს, მიუხედავად იმისა, თუ რა უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდება ჩვენი ქვეყნისა და აღნიშნული ფაქტის მიმართ მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას (მსოფლიოს არც ერთი ნორმალური სახელმწიფოს საზოგადოება ვერ შეეგუება საკუთარი მიწა-წყლის ისე უმოწყალოდ გასხვისებას სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება).

ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიის შესწავლა და გამოყენება კი გეოგრაფიით იწყება და გეოგრაფიით მთავრდება (ანუ როგორც იყო ტერიტორია, ამას გვიჩვენებს გეოგრაფია - რუკის ენის საშუალებით და როგორია ამჟამად იგი ამაზეც გეოგრაფია მიგვანიშნებს იგივე მეთოდით). სწორედ ამიტომ, იაკობ გოგებაშვილი 1871 წლის 31 დეკემბრის თავის მიერ შედგენილ სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის პროექტში მიუთითებდა, რომ გეოგრაფია როგორც შინაარსის, ისე ფორმის ნაირგვარობითა და სირთულით ჩვენი აღსაზრდელებისათვის ყველაზე ძნელია შესათვისებლად. თითქმის ყოველ ახალ გაკვეთილზე, აღნიშნავდა იგი, მოსწავლეს საქმე აქვს მისთვის უცნობ ახალ გამოთქმებთან, რომლებიც მას არ ხვდება სხვა საგნებში. ამიტომ ხშირად მასწავლებელი იძულებული ხდება მიღებული სახელმძღვანელოდან ერთი არცთუ დიდი გაკვეთილი გაყოს ორ და სამ გაკვეთილად, რათა შრომა შეუფარდოს აღსაზრდელის ძალებს. ამის გამო ჩვენს სასწავლებლებში გეოგრაფიის მასწავლებლებს საესებით დამაკმაყოფილებლად სწავლა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ გაკვეთილების რაოდენობა გაორკვედება. ამასთან აუცილებელია, აღნიშნავდა იგი, ზოგად გეოგრაფიას წარვუმძღვაროდ სამშობლოსმცოდნეობა, რომელსაც უნდა მიეცეს ორი კვირეული გაკვეთილი მეორე კლასში.

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი ხედავდა რა გეოგრაფიის სწავლების აუცილებლობას, თბილისის სასულიერო სასწავლებელში აღნიშნულ საგანს, ისევე როგორც საღმრთო ისტორიას, მათემატიკასა და ქართულ ენას სასწავლებლის მაღალ კლასებში უთმობდა 12 საათს, თბილისის სამაზრო სასწავლებლის მაღალ კლასებშიც, ასევე ანალოგიურად საღმრთო ისტორიისა, მათემატიკისა და ქართული ენისა, 12 საათი ეთმობოდა.

იაკობ გოგებაშვილი მიესალმება ყრმათათვის საკითხავ ყოველთვიურ სურათებიან ჟურნალში „ნობათი“ გეოგრაფიული განყოფილების შეტანას და მეტად გონივრულსა და მოსაწონს უწოდებს აღნიშნულ ფაქტს. იაკობს მიაჩნია, რომ ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიყვარებს თავის სამშობლოს, როდესაც კარგად ექნება იგი გაცნობილი. მისი აზრით, ეს კარგად ესმოდათ ყველა ქვეყნის დაწინაურებულ პედაგოგებს და ამიტომაც ისინი სახალხო სკოლის ცენტრად სახავდნენ და ახლაც სახავენ სამშობლო ქვეყნის შესწავლას.

დიდი პედაგოგი ეხება ბ. ვაჩნაძეის ორ გეოგრაფიული შინაარსის წერილს და მაღალი დონის კანონიერი ქართული ენის მიუხედავად კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს წერილების ავტორს ბავშვებისათვის გამოუსადეგარი შინაარსისათვის. სინტეტიური, დედუქციური მეთოდი, საზოგადო მიმოხილვა, საზოგადო ფრაზები ყოველად გამოუსადეგარნი არიან აქა; აღწერითს ფორმას უნდა ერიდოს

ყოველი დამწერი გეოგრაფიული წერილებისა, რადგან ეს ფორმა ძნელია და ნაკლებად ახალისებს ბავშვსა. ანალიტიკური, ინდუქციური მეთოდი, კონკრეტული, კერძო მოვლენათა დახატვა ბავშვის თვალ-წინა, მოთხრობითო ფორმა, აი, რა არის საჭირო ამ გვარი წერილებისათვის, აღნიშნავს იგი და აქვე დასძენს: სხვა განათლებულ ქვეყნებში ამჯობინებენ მოგზაურობის ფორმასა, რომელიც მარჯვე ღონისძიებას აძლევს მწერალს, ანალიზი, კონკრეტული აღწერა მოთხრობის ფორმაზედ გადაბმული და შესისხლხორცებული და დრამატული ელემენტი (რომელიც ისეთი მიმზიდველია მეტადრე ბავშვებისათვის) ერთად შეაერთოს სამშობლოს გაცნობისათვის, გეოგრაფიული ფაქტორების ახსნისათვის.

საილუსტრაციოდ იგი მიანიშნებს, რომ ორივე წერილი ვაჩნადისეულისა უხერხული მეთოდითა და ფორმით არის დაწერილი და ღარიბია შინაარსით. „სწორედ უნდა გითხრა“, სწერს წერილების ავტორი თავის მეგობარს, - „კახეთისთანა მშვენიერი მხარე არა მგონია დედამიწის ზურგზედ კიდევ იყოს“ და იგი კახეთს, აღნიშნავს იაკობი, „ამქვეყნიურ სამოთხედ“ მოიხსენიებს და რით ამართლებს პატარა მკითხველის თვალში ამისთანა გაზვიადებულ ქებასა? არა ფაქტების წარმოდგენით, არა სურათების დახატვით, არამედ იმისთანა საზოგადო, ფშუტა ფრაზებით: ბუნება ამ მხარეში ფრიად მდიდარია, - რომ იტყვიან, - ღმერთს თავისი უხვი კალთა აქ დაუბერტყიაო, სწორედ კახეთია. რომელი მცენარე, რა გვარის ხე, რა ნაირი ფრინველი, როგორი მდებარეობა და რა ხასიათის სურსათი გინდა ბუნებისა, „რომ კახეთში არ იყოს“ (2. გვ. 343). ასეთი შექება კახეთისა, გოგებაშვილის აზრით, პატარა მკითხველის გონებას არაფერს ხელმოსაჭიდს არ ეუბნევა, არც ერთს რეალურ წარმოდგენას არ ჰზადებს მასში და მხოლოდ ამაო სიტყვების ბრაზა-ბრუხია მისთვის. მისივე აზრით, სიმშვენიერე ქვეყნისა დასკვნაა, რომელიც ბავშვმა თვითონ უნდა გამოიყვანოს რეალური, კონკრეტული სურათებისაგან და ეს სურათები მას თვალ-წინ უნდა დაუხატოს ავტორმა. მხოლოდ აქაც საჭიროა, როგორც სამშობლო ისტორიაში, რომ ავტორი ბევრს არ გამოუდგეს... ჩვენ რომ ვაჩნადიელისა ვყოფილიყავით კახეთის საზღვრებსა და საზოგადო მიმოხილვას კი არ გამოუდგებოდით (ეს სახელმძღვანელოს საქმეა და მის მოვალეობას ჟურნალი ვერ იკისრებს), ავიღებდით მარტო თელავსა და ერთ წერილში ვეცდებოდით ისე აგვეწერა იგი, რომ სრული წარმოდგენა გამოგვესახა ბავშვის გონებაში; მეორე წერილში გავაცნობდით, ვსთქვამთ, ალაზანსა, მესამე წერილში კახურსა რთველსა, მეოთხეში - ალავერდობასა და სხვებსა.... ჯერ იმიტომ, რომ უკეთესი ღონისძიება კარგი აღზრდისათვის ჭემმარიტებაა, სინამდვილეა, მეორე იმიტომ, რომ სიყალბეს ბავშვის ბუნება ადვილად გრძნობს და ადვილად შეუძლია შეიძულოს ის, რაც გინდა სიყალბით მას შეაყვარო და მესამედ იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლო ქვეყანა, ჩვენი ისტორიასავით, იმდენად მდიდარია ყოველ-გვარი საუკეთესო სურათებით და სანახაობით, რომ ფერ-უმარილი მას სრულიად არ ეჭირვება. (2. გვ. 344).

ზემოთ მოტანილი მაგალითიდან ჩანს თუ რა როლს ანიჭებს იაკობ გოგებაშვილი გეოგრაფიის მომავალი თაობის მიერ საკუთარი სამშობლოს უკეთესად შესწავლაში და მან არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდევ გეოგრაფიის სწავლების მეთოდები და ფორმები თავის წიგნში „ეთნოგრაფიული და ისტორიული ნაწარმოებები“ (ჩვენი აზრით წიგნის უფრო სწორი სახელწოდება იქნებოდა „ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწარმოებები“). აღნიშნულ შრომაში, სადაც თავმოყრილია მოთხრობები და მეცნიერულ-პოპულარული სტატიები, ასახულია საქართველო და მისი ნაწილები.

თავდაპირველად იგი განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს და მის ნაწილებს. კერძოდ კახეთს, მის საზღვრებს, მოსახლეობას. ცალ-ცალკე მიმოხილავს შიგნით კახეთს, ქიზიყს, ალავერდის ტაძარს, წმინდა ნინოს ტაძარს ბოდბეში; შემდეგ - საინგილოსა და თუშეთს, გარე კახეთს, თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთს.

ახასიათებს ქართლს საზღვრებითა და მცხოვრებთა რიცხვით, ხაზგასმულია ხენა-თესვა ქართლში, სიღარიბე და ზნე ქართველთა, აღწერილია თბილისი და სიონის ტაძარი, მცხეთის ტაძარი, სამთავრო ტაძარი და მონასტერი მცხეთაში, სხვა ქალაქნი და დაბანი ქართლისანი. დასავლეთ საქართველოში განიხილავს ჯერ ზოგადად (ქუთაისი და ბათუმის გუბერნია), შემდეგ კი კერძო ნაწილებს: იმერეთი (გელათით), რაჭა, გურია, სამეგრელო, სვანეთი, სამურზაყანო. სამხრეთ საქართველოსაც ჯერ განიხილავს ზოგადად (მველი მესხეთი), შემდეგ კი აკეთებს კერძო განხილვას ახალციხის მხარისა და ჯავახეთისა. აღწერს აჭარას, ქობულეთსა და თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს ისეთ ძირძველ ისტორიულ მხარეებს, როგორცაა შავშეთი და ერუშეთი, ლივანა და ჭანეთი.

რაც შეეხება აფხაზეთს, მისი წმინდაწყლის გეოგრაფიული ხასიათის აღწერა იაკობ გოგებაშვილს წარმოდგენილი აქვს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ წერილში „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“ (2. გვ. 366-399), სადაც იგი ცდილობს მუქი ფერებით დახატოს აფხაზეთის კლიმატური პირობები და ჰავის რუს და ზოგიერთ ქართველ ტომებზე მავნე ზემოქმედების

დასაბუთებით ცდილობს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის თავიდან აცილებასა და აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოს ფარგლებში შენარჩუნებას.

იაკობ გოგებაშვილს საქართველოს აქ ჩამოთვლილი ცალკეული ნაწილების გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, რელიეფის თავისებურებანი, ჰავა, ხმელეთის წყლები (მდინარეები, ტბები, ჭაობები და ა. შ.), ნიადაგები (სასოფლო-სამეურნეოდ გამოსაყენებელი მიწები), ბუნებრივი მცენარეული საფარი, მცხოვრებთა რიცხვი (მოსახლეობა) და მისი ისტორია და ნირი, მეურნეობის დარგების განვითარების მდგომარეობა და ა. შ. ისეთი თანამიმდევრობითა და სრულყოფილებით აქვს წარმოდგენილი და დახასიათებული, რომ თანამედროვე გეოგრაფ-მკვლევარებსაც კი შეშურდებათ.

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში, კერძოდ, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში გეოგრაფიის სწავლებას სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა. შეიზღუდა გეოგრაფიულ სპეციალობებზე აბიტურიენტთა მიღება. ეს გარემოება კი მკვეთრად უარყოფით როლს თამაშობდა და თამაშობს რეგიონის (და არა მხოლოდ) საჯარო და კერძო სკოლების გეოგრაფიის (ასევე ბიოლოგიის, ქიმიის და ა. შ.) მასწავლებლებით უზრუნველყოფის სფეროში, რადგან აღნიშნული სპეციალობის პედაგოგთა დეფიციტი უკვე აშკარად იგრძნობოდა და დღესაც იგრძნობა. 1985 წელს ჩატარებული ჩვენი გამოთვლებით, საქართველოს საშუალო სკოლებიდან 600-მდე სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა არასპეციალისტი (არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობა იყო ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლებით სკოლების უზრუნველყოფაში). საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, ერთხანს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობაზე, რესპუბლიკის მასშტაბით ისეთი წამყვანი ენათმეცნიერის ინიციატივით, როგორცაა პროფესორი თედო უთურგაიძე და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, აუცილებელ ერთსემესტრიან სასწავლო დისციპლინად შეტანილ იქნა საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, რადგან, პროფესორის აზრით, თურმე, აღნიშნული სპეციალობის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტებიც კი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ ხევს - ხევსურეთისაგან, თუშეთს - მთიულეთისაგან; ვერ ერკვეოდნენ ჯავახეთისა და ლეჩუმის გეოგრაფიულ მდებარეობაში და ა. შ. თუმცა საქართველოს გეოგრაფიის შემოტანას ვერ შეეგუა ფაკულტეტის მაშინდელი დეკანი და უნივერსიტეტის პარტორგი და სულ მალე აღნიშნული საგანი შეიცვალა „მეცნიერული კომუნიზმით“ და ამაზე პროტესტს ვილა გამოსთქვამდა...

აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან გორის უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაში შეტანილია საგანები „ბუნებისმეტყველება I“ და „ბუნებისმეტყველება II“, ასევე - „საქართველოს გეოგრაფია“. ამ საგნებში შემავალი თემატიკის საკითხების სწავლება კი გათვალისწინებულია განათლების სახელმწიფო პროფესიული სტანდარტების მოთხოვნით. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სპეციალობების ავტორიტეტის აღსადგენად ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო არა მხოლოდ კათედრების, ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა მხრიდან, არამედ სახელმწიფოს დონეზეც, რადგან საჯარო თუ კერძო სკოლებში პროფესიონალ პედაგოგთა დეფიციტი, მით უმეტეს საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში, მომავალში დადებითად არ წაადგება და აუცილებლად წინააღმდეგობაში მოვა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან. ამიტომ, მომავალში გეოგრაფიის მასწავლებლებისა და საერთოდ საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა სფეროში სკოლის პედაგოგების მომზადება აუცილებლად უნდა იკისროს სახელმწიფომ.

#### ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, 1952.
2. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზ., ტ. 1. 1989.
3. ი. გოგებაშვილი, საგანძური, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1986.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, 1978.

#### რეზიუმე

ნაშრომში წარმოჩენილია სახალხო მწერლის, დიდი ქართველი პედაგოგისა და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის როლი საქართველოს იმდროინდელ სასწავლებლებში, გეოგრაფიის სწავლების ხელშეწყობის გაძლიერების სფეროში.

ავტორი ნაშრომში ეხება ასევე გეოგრაფიის სწავლების ზოგიერთ თანამედროვე საკითხს.

## IAKOB GOGEBASVILI ABOUT GEOGRAPHY AND SOME CONTEMPORARY ISSUES OF TEACHING IT

Zurab Tielidze, Full Professor  
RESUME

This work presents Iakob Gogebashvili - the great teacher, and founder of Georgian pedagogic role in encouraging teaching Geography at Georgian schools of those days.

The author also mentions some contemporary issues of teaching Geography.

### არასრულწლოვანთა დაკითხვის ფსიქოლოგიური თავისებურებები

*ბექა ტოლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

არასრულწლოვანთა დანაშაულის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ ფსიქიკურ დეფექტებსა და გარესამყაროს უარყოფითი ფაქტორების გავლენას. არასრულწლოვანი დამნაშავესათვის დამახასიათებელია შემეცნებითი ინტერესების დაბალი დონე. ისინი არიან კონფლიქტურნი და მოუწესრიგებელი აქვთ ადამიანურ ურთიერთობათა სისტემა. ასოციალურ მოზარდებს აქვთ ფსიქოპათიური თვისებები და ნიშნები, გამოირჩევიან დიდი შთაგონებითა და აგრესიულობით. მათი პიროვნული თვისებებიდან გამოყოფენ: სიჯიუტეს, ნეგატივიზმს, ტყუილებისადმი მიდრეკილებას, ღირებულებებისადმი, ნორმებისადმი, შრომისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. ისინი უხეშები, თავხედები და ცინიკოსები არიან. ეს თავისებურებები ყველაზე ხშირად გარდამავალ ასაკში ვლინდება.

არასრულწლოვანი ექვმიტანილის, ბრალდებულის, მოწმის და დაზარალებულის დაკითხვას გააჩნია ზოგიერთი თავისებურება, რომელიც განპირობებულია დასაკითხთა ასაკით, სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური მიზეზებით. არასრულწლოვნები შეცდომებს უშვებენ მანძილის, დროის მონაკვეთის, მოქმედებისა და მოვლენების თანამიმდევრობის განსაზღვრისას. ისინი საკმაოდ მალე ივიწყებენ აღქმულ მოვლენებსა და ფაქტებს, სამაგიეროდ ზუსტად აღიქვამენ და დიდხანს ინახავენ მეხსიერებაში იმ მოვლენებს, რომლებმაც მათი ინტერესი გამოიწვია. არასრულწლოვნებს ახასიათებთ მაღალი ემოციური აგზნებადობა, ხასიათის გაუწონასწორობლობა, განწყობისა და ქცევის ფორმების სწრაფი ცვლილებები, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ჩვენების მიცემის პროცესზე.

არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესი მიმდინარეობს მისი კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის თანდასწრებით, 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა ხდება მხოლოდ მშობლის (მისი არარსებობის შემთხვევაში მეურვის) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესის მოსამზადებლად გამომძიებელმა გარკვეულ ღონისძიებებს უნდა მიმართოს, რათა უზრუნველყოს დაკითხვის ნორმალური მიმდინარეობა. პირველ რიგში მოსაგვარებელია არასრულწლოვნის დაკითხვის ადგილის შერჩევა. მოწმის დაკითხვა, რომლის ასაკიც 14-16 წელია, სასურველია გამომძიებლის სამუშაო კაბინეტში, რამეთუ ოფიციალური სამუშაო გარემო ხაზს უსვამს დაკითხვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და განაწყობს მოზარდს სრული და რეალური ჩვენების მისაცემად. მცირეწლოვანი მოწმის დაკითხვა სასურველია მიმდინარეობდეს იმ გარემოში, რომელიც ჩვეული და ნაცნობია ბავშვისათვის – სკოლა, სახლი, საბავშვო ბაღი. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია დაკითხვა ჩატარდეს უშუალოდ იქ, სადაც ბავშვი აკვირდებოდა მომხდარს. არასრულწლოვანი ექვმიტანილის (ბრალდებულის) დაკითხვა, როგორც წესი, მიმდინარეობს სამუშაო კაბინეტში ან დროებითი მოთავსების იზოლატორში.

მნიშვნელოვანია დაკითხვისათვის დღისა და დროის განსაზღვრა. არასრულწლოვანი მოწმე საჭიროა დაკითხოს რაც შეიძლება მალე, რადგან მისი აღქმის პროცესი ზედაპირულია და წარმოდგენები, რომლებიც შენახულია მის მეხსიერებაში (ფაქტები, მოვლენები), ახალი წარმოდგენების ზემოქმედებით მალე იკარგება. გარდა ამისა, დროული დაკითხვა მნიშვნელოვანია იმით, რომ არასრულწლოვნები, განსაკუთრებით მცირეწლოვანები, ზედმეტად შთაგონებადები არიან და იოლად

შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი აღქმული სხვა ადამიანების მოსაზრებების მოსმენისას. ზოგჯერ არასრულწლოვანი მოწმე აღქმული მოვლენის სიმძიმის შედეგად ფსიქოლოგიურ კრიზისში შეიძლება აღმოჩნდეს და ჩვენებას ვერ იძლეოდეს. ამ შემთხვევაში დაკითხვა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა არ სტაბილიზირდება. არასრულწლოვანი ექვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვა არაა მიზანშეწონილი გაგრძელდეს შესვენების გარეშე ორ საათზე მეტი, ხოლო მთელი დღის განმავლობაში ოთხ საათზე დიდხანს.

იმისათვის, რომ დამყარდეს ფსიქოლოგიური კონტაქტი და განისაზღვროს არასრულწლოვნის დაკითხვის სტრატეგია, საჭიროა დადგინდეს მისი დამოკიდებულება თანატოლებთან, ხასიათის თვისებები (სიჯიუტე, ტყუილებისადმი მიდრეკილება, კონფორმულობა და ა.შ.), ინტერესებისა და გატაცებების წრე, ამასთანავე ის სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია არასრულწლოვნისათვის. ამიტომ საჭიროა გამომძიებელმა დეტალურად შეისწავლოს საქმე და დაკითხოს ბავშვის მშობლები და კანონიერი წარმომადგენლები.

არასრულწლოვნის დაკითხვის დროს პედაგოგის შერჩევა უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა ასაკისაა დასაკითხი. თუ მცირეწლოვანია ბავშვი, საჭიროა მოწვეულ იქნეს პედაგოგი, რომელიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობს ან დაწყებითი კლასის მასწავლებელია, ხოლო დაბალი და მაღალი კლასების მოსწავლეთა დაკითხვის დროს, სასურველია შესაბამისი კლასის მასწავლებლის მიწვევა. სექსუალური დანაშაულის შემთხვევაში, გამომძიებელმა უნდა მიიწვიოს მხოლოდ იმ სქესის პედაგოგი და ფსიქოლოგი, რა სქესისაცაა დასაკითხი ბავშვი, რადგანაც სირცხვილის გრძობამ, რომელიც დაკითხვის პროცესში შეიძლება განიცადოს ბავშვმა, არა მარტო გავლენა მოახდინოს ჩვენების სისწორეზე, არამედ გარკვეული მორალური ტრავმა მიაყენოს მცირეწლოვანს.

არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესის დაწყებამდე, საჭიროა გამომძიებელმა გარკვეული მოქმედების გეგმა მოამზადოს, რადგან ყველაზე რთული მისთვის ბავშვთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება იქნება. არასრულწლოვანი, მიუხედავად მისი გამოუცდელიობისა, მაინც ყოველთვის გრძნობს არაგულწრფელ დამოკიდებულებას მისდამი, ამიტომ დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა შეისწავლოს ბავშვის ინტერესებისა და მისწრაფებების სფერო და უნდა დაარწმუნოს არასრულწლოვანი, რომ პატივს სცემს მის შეხედულებებს. ასევე მნიშვნელოვანია გააზრებულად დაიგეგმოს ბავშვისათვის მისაცემი კითხვები, ისინი უნდა იყოს გასაგები და არაორაზროვანი, დაუშვებელია მიმანიშნებელი კითხვების დასმა, კითხვის მიცემისას გარკვეული ინტონაციის გაკეთება, ხმის ტონალობის ამაღლება ან დაწვევა, კითხვის დასმასთან ერთად კონკრეტული ჟესტების გამოყენება.

გარკვეული თავისებურებები ახასიათებს დაკითხვის შემდგომ საფეხურს, ესენია: თავისუფალი თხრობა და კითხვებზე პასუხის გაცემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი გამოკვლევა ჩატარდა ფსიქოლოგების მიერ. შედეგად დადგინდა, რომ ჩვენების სისწორეზე თვალსაჩინო გავლენა აქვს თუ როგორ იძლევა სუბიექტი ჩვენებას, თავისუფალი თხრობის შემთხვევაში შეცდომათა რიცხვი 6% აღმოჩნდა, ხოლო გამოკითხვის წესმა (კითხვებზე პასუხის გაცემა) ეს რიცხვი 33%-მდე ასწია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ გამოკითხვის დროს შთაგონებას ეძლევა გასაქანი, იგი იძულებული ხდება იმაზეც ილაპარაკოს, რაც შესაძლებელია სრულიად არ ახსოვდეს. თავისუფალი თხრობისას კი სუბიექტი მხოლოდ იმის შესახებ იძლევა ჩვენებას, რაც შედარებით უკეთ ახსოვს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნის თავისუფალი თხრობის პროცესი, როგორც წესი, წყვეტილია და არათანამიმდევრული, ამიტომ გამომძიებელმა უნდა გამოიყენოს გარკვეული ტაქტიკური ილეთები, რათა ბავშვმა არ დაკარგოს თხრობის ლოგიკურობა. კითხვის დასმისას გამომძიებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არასრულწლოვანმა სწორად გაიგო კითხვის შინაარსი. თუ პასუხი არ შეესაბამება კითხვას, მას შეუძლია შეცვალოს კითხვის ფორმა ან დაყოს აღნიშნული კითხვა რამდენიმე შედარებით კონკრეტულ და მარტივ კითხვებად. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანმა მისცა სწორი, მაგრამ არასრული ან არაზუსტი ჩვენება, გამომძიებელი აძლევს მას დამაზუსტებელ, დამასრულებელ და შემახსენებელ კითხვებს. ეს კითხვები უნდა იყოს მარტივი, ზუსტი, გასაგები, კონკრეტული, არაორაზროვანი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ტერმინებს, რომლებიც ბავშვისათვის გაუგებარია. ზოგჯერ არასრულწლოვნის სწორ ჩვენებაზე გავლენას ახდენს ის ინტონაცია, რითაც დაისვა კითხვა. თუ გამომძიებელი მყარი ინტონაციით სვამს კითხვას, დიდი ალბათობაა, რომ დადებითი პასუხი მიიღოს ბავშვისაგან. დამაზუსტებელი კითხვების დასმის დროს გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვანები ამორჩევით იმახსოვრებენ მოვლენებსა და ფაქტებს და ამიტომ მომხდარის სრული აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ არ არსებობს მოწმე, თვითმხილველი, რომ მისი ჩვენება 100%-ით ნდობის ღირსი იყოს. სასურველი შედეგის მისაღებად შემახსენებელი

კითხვების გამოყენებისას, გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არასრულწლოვანი იმ დეტალებს, რომლებსაც ვერ იგონებს, საბოლოოდ საკუთარი წარმოსახვით შეავსებს. არასრულწლოვანებისთვის უფრო იოლია იცნონ ესა თუ ის ობიექტი და გაიხსენონ მათთან დაკავშირებული მოვლენები, ამიტომ შედარებით სრული და ზუსტი ჩვენების მისაღებად, უკეთესია დაკითხვა ჩატარდეს იქ, სადაც ბავშვმა განიცადა მოვლენა, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენება აქვს მისაცემი.

არასრულწლოვანი მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს, შეესაბამება თუ არა ფსიქიკური განვითარების დონე მიცემულ ჩვენებას. თანამიმდევარი, თითქოსდა ნასწავლი, ასაკისათვის შეუსაბამო ტერმინებით გადმოცემული, უშეცდომო ჩვენება, საზოგადოდ, არაა დამახასიათებელი ბავშვისათვის. წინააღმდეგობები და სხვაობები თავისუფალ თხრობასა და კითხვებზე გაცემულ პასუხებს შორის, შესაძლოა მიუთითებდეს იმას, რომ არასრულწლოვანი ჩვენებას იძლევა ვიდაცის ზეგავლენით. ამიტომ გამომძიებელმა საჭიროა დაადგინოს, თუ ვინ გამოკითხა მოზარდი, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა მას და მოუყვა იმ გარემოებებს, რასთან დაკავშირებითაც იძლევა ჩვენებას, დაარიგა თუ არა ვინმემ, როგორი პასუხები გაცეა კითხვებზე, ისაუბრეს თუ არა სხვა პირებმა მისი თანდასწრებით მიებისთვის საინტერესო საკითხებზე და ა.შ.

თუ არასრულწლოვანი იძლევა მცდარ ჩვენებას, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს კონკრეტული მიზეზები (შიში, სირცხვილი, მუქარა თანამონაწილეების მხრიდან და ა.შ.) და შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით გამოიყენოს ტაქტიკური მეთოდები, რათა შეცვალოს დაკითხვაზე ბავშვის მიერ დაკავებული პოზიცია. საყურადღებოა, რომ არასრულწლოვანის ჩვენების ფორმირების პროცესზე გავლენა შეიძლება მოახდინოს როგორც სუბიექტურმა, ასევე ობიექტურმა ფაქტორებმა (აღქმისა და მეხსიერების თავისებურებები, ყურადღების წარმართვა, ფსიქიკისა და ნერვული სისტემის პათოლოგიური დეფექტები, მოვლენის აღქმის დროს შექმნილი გარემოებები და ა.შ.). ამიტომ, საჭიროა გაირკვეს დაკითხვის პროცესში გამოვლენილი უზუსტობები ხომ არაა გრძნობის ორგანოთა დეფექტის, ნერვული აშლილობის და მოზარდის ირგვლივ შექმნილი გარემოთი განპირობებული.

იმ არასრულწლოვანის დაკითხვისას, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, ეფექტურია გამომძიებელმა აქცენტი გააკეთოს მოზარდის პიროვნულ თვისებებზე. საგამომძიებო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა გამომძიებელმა მოხერხებულად გამოიყენა არასრულწლოვან დამნაშავეთათვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებები (გამბედაობა, მაქსიმალიზმი, ლიდერობისაკენ სწრაფვა და ა.შ.), სწორი და სრული ჩვენების მისაღებად. გამომძიებლის მიერ ბავშვის უარყოფით თვისებებზე ყურადღების გამახვილება, როგორც წესი, იწვევს მოზარდის ჩაკეტვას და ჩვენების მიცემაზე უარის თქმას.

#### ლიტერატურა:

1. ნ. ახალაშვილი, „იურიდიული ფსიქოლოგია“, თბ., 2009.
2. დ. უზნაძე. „ზოგადი ფსიქოლოგია III-IV ტ.“ თბ., 1998.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2006.
4. გ. დეკანოზიშვილი, „დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში“, თბ., 2010.
5. Васильев В.Л., Юридическая психология, М., 1991.

#### რეზიუმე

დღეისათვის ყველა ქვეყანა დანაშაულის ზრდის ტენდენციის წინაშე დგას. დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის სულ უფრო ხშირად ბავშვები და მოზარდები ხვდებიან. არასრულწლოვან დამნაშავესთან მოპყრობას კანონი განსაკუთრებული წესით და ფორმით ავალდებულებს სამართალდამცველებს. სრულწლოვანისა და არასრულწლოვანის დაკითხვის ფორმა განსხვავებულია, კანონში არასრულწლოვანთა დაკითხვის პროცედურებში გარკვეული ცვლილებები დროდადრო შედიოდა, მაგრამ დღევანდელი დაკითხვის ფორმასა და წესზე მნიშვნელოვანი არის გამომძიებლის კომპეტენცია, კერძოდ, იმ ფსიქოლოგიური ცოდნის ფლობა, რომელიც ბავშვის ან მოზარდის ფსიქიკის გაგების საშუალებას იძლევა. აღნიშნული ცოდნა კი გარანტიაა ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების სისწორისა და ზოგადად, დაკითხვის პროცესის წარმატებით შესრულებისა.



## PSYCHOLOGICAL PECULIARITIES OF EXAMINING UNDER-AGED PEOPLE

Beka Toliashvili, Associate Professor

### RESUME

Nowadays all countries is standing of increasing crime tenency. Among this crime makers are often getting children and adults. The low obliges policy to treat guilty children especially. There are difference between form of questioning minors and adults. Process of interrogatory of minors aded changes from time to time, but now it's more important investigator's competence then form and rule of interrogatory, in particular knowledge of psychology, which can help us to understand children's or adult's psyche. This knowledge is a guarantee correctness that children give in testify and generally speaking, to accomplish process of interrogatory successfully.

## უმაღლესი მათემატიკის სწავლების მიზნებისა და მეთოდოლოგიის შესახებ

*სოსო ცოტნიაშვილი, სრული პროფესორი*

უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანს წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ამდენად ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გათვალისწინებული იქნას სწავლების პროცესში.

ჩემი, როგორც მასწავლებლის მიზანია ვასწავლო სტუდენტს თუ როგორ ისწავლოს, მივაჩვიო ისინი დამოუკიდებელ აზროვნებას, დავებმარო რომ განავითარონ საკუთარი თავის რწმენა და თავიანთი შესაძლებლობების შეფასების უნარი, განუვითარო ორგანიზატორული ნიჭი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. იმისათვის, რომ სწავლების პროცესი იყოს სტუდენტზე ორიენტირებული მე, როგორც მასწავლებელმა, უნდა უზრუნველყო სტუდენტების უშუალო მონაწილეობა სწავლის პროცესში და შევექმნა გარანტია იმისა, რომ სტუდენტს ექნება სწავლისათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემო. ჩემი მიზანია, სტუდენტში გავაღვიძო სურვილი იმისა, რომ მათ დაუსვან საკუთარ თავს ისეთი ტიპის შეკითხვები, რომლებიც განუვითარებენ მათ მათემატიკური იდეების გაგების უნარს და, საერთოდ, დაეხმარება მათ გარემომცველი სამყაროს აღქმაში. ასეთნაირად აღზრდილი სტუდენტები შეძლებენ ჩვენი საზოგადოების განვითარებასა და გაუმჯობესებას. გამოიმუშავენ რა კრიტიკული აზროვნების უნარს, ამით სტუდენტები შეიძენენ ძალიან ღირებულ ჩვევას, რომელიც გამოადგებათ მთელი ცხოვრება, თუნდაც დაავიწყდეთ ყველა ფორმულა თუ განტოლება. მე მწამს, რომ სწავლა არის აქტიური პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება სწავლისადმი, უმრავლესობა მაინც სწავლობს, როდესაც აქტიურად მონაწილეობს სწავლების პროცესში. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზანი და გამოწვევა არის ის, რომ სტუდენტებს გავუღვიძო სწავლის მოტივაცია. სტუდენტების უმრავლესობა, როდესაც სვამ აუდიტორიაში ამოცანას, ფიქრობენ, რომ ამოცანის უკან რაღაც დევს. მაგრამ, როდესაც ისინი ტოვებენ კლასს და მსგავს პრობლემებს აწყდებიან ცხოვრებაში, ხშირად არ იციან რა გააკეთონ, როგორ გამოიყენონ ის, რაც კლასში ასწავლე. დაზეპირება არ არის სწავლების უპირველესი ამოცანა. მე არც კი მოვთხოვდი ჩემს სტუდენტებს, რომ ზეპირად იცოდნენ ყველა ფორმულა გამოცდისათვის. სწავლების პროცესი არ არის დამახსოვრება წესებისა და ფორმულების, მაგრამ არის პასუხის გაცემა კონკრეტულ შეკითხვებსა და ამოცანებზე. მაგალითების მოყვანა არის საუკეთესო გზა პრობლემების გადასაწყვეტად. როდესაც სტუდენტები რაღაცას მეკითხებიან მე, პირიქით, ვპასუხობ შეკითხვებით იმ მიზნით, რომ მივიყვანო ისინი სწორი აზროვნების პროცესის გავლით სწორ პასუხამდე. როგორც წესი, მოკლე ლექციებს ვკითხულობ, რომლებსაც შესაბამისად მოჰყვება ამოცანების ამოხსნა. სტუდენტები ჯერ მუშაობენ ამოცანის პირობებზე, იძლევიან პასუხებს. თუ ვხედავ, რომ უმრავლესობა იგებს და შესაბამისად პასუხობს შეკითხვებს, გადავდივარ შემდეგ საკითხზე. მე ვებმარები მათ, რომ თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, ხელს ვუწყოფ, იმუშაონ გუნდურად. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ გუნდური მუშაობა უმეტესწილად სასარგებლოა, რადგან ვინც იცის, ის იმეორებს, ხოლო ის, ვინც არ იცის – სწავლობს. როცა სტუდენტი დამოუკიდებლად ხსნის ამოცანას, იყენებს ძირითად გზებს, თვითონვე აღმოაჩენს სიახლეს ამოხსნის გზებში.

საუკეთესო, რაც შემიძლია გავიხსენო, არის ის პრობლემები, რომლებიც მე თვითონ მქონდა როდესაც ვიყავი სტუდენტი. ეს მეხმარება გავუგო სტუდენტებს. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს ის სირთულეები, რომლებიც თვითონ გამოიარა სტუდენტობისას. ასევე უნდა ითვალისწინებდეს, რომ თავიდან არანაირი მასალა არ არის ცხადი სტუდენტებისთვის. ყოველთვის, როდესაც იგებ რაღაც ახალს, შენ გარდაიქმნები, იზრდები როგორც პიროვნება, ამიტომ საუკეთესო გზა იმისთვის, რომ სხვას აუხსნა და ასწავლო ის, რაც შენ კარგად იცი და გესმის, არის ის, რომ გაიხსენო შენი თავის იქამდე, სანამ გაიგებდი ამა თუ იმ საკითხს. და თუ ადამიანს შეუძლია ეს განახორციელოს, მართლაც კარგი მასწავლებელია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს არა მარტო ის, თუ რას ასწავლი, არამედ ვის ასწავლი, გაითვალისწინო სტუდენტის ინდივიდუალურობა. სწავლა დინამიური პროცესია. მიუხედავად იმისა, რამდენად დაგეგმილი და გააზრებული გაქვს წინასწარ სასწავლო პროცესი, როდესაც ახალ კლასში შედიხარ, გიხდება შენი გეგმების შეცვლა. ხშირად ეს ცვლილება საჭიროა მოხდეს კლასშივე, მომენტალურად. ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ არის კლასში, ანუ სტუდენტების შემადგენლობაზე. ამიტომ კარგად უნდა იცნობდე მათ.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ის, რომ მასწავლებელში სტუდენტები ხედავდნენ პიროვნებას, ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც შეიძლება შეცდომაც კი მოუვიდეს. მე არ ვუმაღლავ ჩემს სტუდენტებს, როდესაც შეცდომას ვუშვებ. საუკეთესო გზა სწავლებისთვის არის ის, რომ აჩვენო სტუდენტებს თუ როგორ ხვდები, რომ შეცდი და მერე ასწორებ ამ შეცდომას. ეს სტუდენტებს ანიჭებს გარკვეულ კომფორტის შეგრძნებას. იმის გააზრება, რომ მასწავლებელსაც შეიძლება რაღაც შეეშალოს, ხსნის დამაბულობას კლასში. ის ფაქტი, რომ ადამიანს არ ეშინია შეცდომების დაშვების და აქვს უნარი მათი გამოსწორების არის ძალიან მნიშვნელოვანი მაშინ, როცა საქმე ეხება პრობლემის გადაჭრას.

როგორც აღვნიშნეთ, უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებისათვის მათემატიკის სწავლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მაგრამ თუ ეს მიზანი გახდა ერთადერთი, თუ სტუდენტმა ვერ დაინახა, რომ მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებს, მაშინ მათემატიკა სტუდენტისთვის მძიმე უღელი ხდება, რადგან არც ერთ სტუდენტს (და საერთოდ, არავის) ეჭვი არ ეპარება, რომ ის მათემატიკის გარეშე მშვენივრად აზროვნებს ლოგიკურად. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების დასმასა და მათ ამოხსნას. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

**ლოგიკური კავშირების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას**

თუ სამივეო ტერმინებს შორის დაწვერთ „AND“ იძებნება ორივე ერთად

თუ „OR“ იძებნება ცალკეც და ერთადაც

თუ სამივეო ტერმინის წინ „NOT“ - ის ტერმინი არ მოიძებნება

**მაგალითი:**

გორის AND საქართველოს AND უნივერსიტეტი

(გორის OR საქართველოს) AND უნივერსიტეტი

გორის უნივერსიტეტი NOT ჰუმანიტარული ფაკულტეტი.

**რიცხვითი მწკრივების გამოყენება**

**მაგალითი:** რას უდრის კრედიტის ღირებულება  $L$ , თუ მისი სიდიდეა  $A$ , ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი  $n\%$ , კრედიტის დაფარვის ვადა  $m$  წელი, კრედიტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად ერთი და იგივე სიდიდის თანხით.

ამოხსნა: ყოველთვიურად კრედიტის დასაფარავად შესატანი თანხაა  $B = \frac{A}{m \times 12}$ . პირველ თვეში

შესატანი თანხაა  $a_1 = B + A \times \frac{n}{100}$ , მეორე თვეში -  $a_2 = B + (A - B) \times \frac{n}{100}$ , მესამე თვეში შესატანი

$a_3 = B + (A - 2B) \times \frac{n}{100}$ , და ასე შემდეგ  $a_{12m} = B + [A - (12m - 1)B] \times \frac{n}{100}$ .

აქედან გამომდინარე, კრედიტის ღირებულებაა

$$A \times \frac{n}{100} + (A - B) \frac{n}{100} \times (A - 2B) \times \frac{n}{100} + \dots + (A - (12m - 1)B) \times \frac{n}{100} =$$

$$= \frac{n}{100} \{A + (A - B) + (A - 2B) + [A - (12m - 1)B]\} =$$

$$= \frac{n}{100} \{12mA - [B + 2B + \dots + (12m - 1)B]\}$$

თუ გავიხსენებთ არითმეტიკული პროგრესიის ჯამის ფორმულას, გვექნება:

$$B + 2B + \dots + (12m - 1)B = \frac{12m - 1}{2} 12mB = (72m^2 - 6m)B.$$

აქედან

$$L = \frac{n}{100} [12mA - (72m^2 - 6m) \frac{A}{12m}] = \frac{n}{100} (6m + \frac{1}{2})A.$$

**მაგალითი:** სახელმწიფომ გადაწყვიტა ეკონომიკის სტიმულირების მიზნით შემოიღოს საგადასახადო შეღავათები. ვთქვათ, ადამიანმა მიიღო საგადასახადო შეღავათი 600 ლარი და დახარჯა თანხის 80%. ვთქვათ, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ დახარჯულ თანხას იღებს ჯამურად, როგორც ხელფასის ნაწილს, ხარჯავს მის 80%, ასევე, ადამიანთა სხვა ჯგუფი, რომელიც იღებს ჯამურად, როგორც ხელფასის ნაწილს, წინა დახარჯულ ჯამურ თანხას, ხარჯავს ამ თანხის 80% და ასე გრძელდება უსასრულოდ. გამოვთვალოთ ერთი 600-ლარიანი საგადასახადო შეღავათის ეკონომიკური ეფექტურობა.

**ამოხსნა:** ყველა იმ ადამიანის მიერ დახარჯულ ჯამური შრომის ღირებულება, რომლებიც დასაქმდნენ 600-ლარიანი არაპირდაპირი ინვესტიციით, შეიძლება წარმოვადგინოთ უსასრულოდ კლებადი  $a_1 + a_2 + a_3 + \dots + a_n + \dots$  გეომეტრიული პროგრესიის ჯამის სახით, რომლის პირველი წევრია  $a_1 = 0,8 \cdot 600 = 480$ , ხოლო მნიშვნელი -  $q = 0,8$ .


თუ გავიხსენებთ უსასრულოდ კლებად გეომეტრიული პროგრესიის ჯამის ფორმულას, გვექნება:

$$a_1 + a_2 + a_3 + \dots + a_n + \dots = \frac{a_1}{1 - q} = \frac{480}{0,2} = 2400.$$

მაშასადამე, ერთი 600-ლარიანი საგადასახადო შეღავათი იწვევს 2400 ლარი ღირებულების დახარჯული შრომის რაოდენობის ანაზღაურებას და შესაბამისი ნამატი პროდუქციის შექმნას.

**ორი ცვლადის ფუნქციის ექსტრემუმის გამოყენება**

**მაგალითი:** ვთქვათ, უნდა დამზადდეს ყუთი, რომლის მოცულობა იქნება 48 კუბ. დეციმეტრი და შედგენილი იქნება ორი განყოფილებისაგან, რომლებიც გაყოფილია ერთმანეთისაგან ტიხრით. ვიპოვოთ იმ მასალის მინიმალური რაოდენობა, რომელიც საჭიროა ყუთის დასამზადებლად.



**ამოხსნა:** მასალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ყუთის დასამზადებლად, ტოლია სიდიდის:

$M = xy + 2xz + 3yz$ . ყუთის მოცულობა  $V = xyz$ . უკანასკნელი ტოლობიდან განვსაზღვროთ  $z$ ,

გვექნება  $z = \frac{48}{xy}$ . აქედან

$$M = xy + 2x \frac{48}{xy} + 3y \frac{48}{xy} = xy + \frac{96}{y} + \frac{144}{x}.$$

გამოვთვალოთ  $M(x, y)$  ფუნქციის კრიტიკული წერტილები. ამისათვის ამოვხსნათ განტოლებათა

სისტემა: 
$$\begin{cases} \frac{\partial M(x,y)}{\partial x} = y - \frac{144}{x^2} = 0 \\ \frac{\partial M(x,y)}{\partial y} = x - \frac{96}{y^2} = 0 \end{cases}$$

მივიღებთ:  $x = 6, y = 4$ ,

$$A = \frac{\partial^2 M(x,y)}{\partial x^2} \Big|_{x=6} = \frac{288}{x^3} \Big|_{x=6} = \frac{288}{216} = \frac{4}{3}, B = \frac{\partial^2 M(x,y)}{\partial x \partial y} \Big|_{x=6, y=4} = 1,$$

$$C = \frac{\partial^2 M(x,y)}{\partial y^2} \Big|_{y=4} = \frac{192}{y^3} \Big|_{y=4} = \frac{192}{64} = 3$$

და აქედან გამომდინარე  $z = \frac{48}{xy} = 2$ ,  $A = \frac{4}{3} > 0$ ,  $\Delta = AC - B^2 = 4 - 1 = 3 > 0$ . ეს კი ნიშნავს, რომ საქმე

გვაქვს მინიმუმის წერტილთან. ამგვარად, ყუთი რომ დავამზადოთ მინიმალური რაოდენობის მასალით, საჭიროა მისი ზომები იყოს: სიგრძე  $x = 6$  დმ, სიგანე  $y = 4$  დმ, სიმაღლე  $z = 2$  დმ.

**მაგალითი:** ფირმა უშვებს  $x$  ათას  $A$  ტიპის პროდუქტს და  $y$  ათას  $B$  ტიპის პროდუქტს. პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის ფუნქციაა:  $R(x, y) = 2x + 3y$ , ხოლო ხარჯების ფუნქცია:  $C(x, y) = x^2 - 2xy + 2y^2 + 6x - 9y + 5$ . რა რაოდენობით უნდა დამზადდეს თითოეული ტიპის პროდუქტი, რომ ფირმამ მიიღოს მაქსიმალური მოგება?

**ამოხსნა:** ფირმის მოგების ფუნქცია ტოლია:

$$P(x, y) = R(x, y) - C(x, y) = -4x - x^2 + 2xy - 2y^2 + 12y - 5.$$

მისი კრიტიკული წერტილების მოსაძებნად ამოვხსნათ განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} \frac{\partial P(x,y)}{\partial x} = -4 - 2x + 2y = 0, \\ \frac{\partial P(x,y)}{\partial y} = 2x - 4y + 12 = 0. \end{cases}$$

მივიღებთ:  $x = 2, y = 4$ . აქედან  $A = -2, B = 2, C = -4$ ,  $\Delta = AC - B^2 = 8 - 4 > 4, A < 0$ .

მაშასადამე, საქმე გვაქვს მაქსიმუმის წერტილთან. ამგვარად მაქსიმალური მოგების მისაღებად ფირმამ უნდა დაამზადოს 2000 ცალი  $A$  ტიპის და 4000 ცალი  $B$  ტიპის პროდუქტი.

**ლიტერატურა:**

1. Ken Bain, What the Best Vollege Teachers Do, Cambridge, 2004
2. Richard L. Faber, Marvin I. Fridman, James L. Kaplan., Applied calculus. "West publishing company". New York, 1986.
3. Kenneth H. Rosen. Discrete Mathematical and its Application, International Edition, 2007
4. მ. მუმლაძე, ს. ცოტნიაშვილი, კ. ცერცვაძე, ბიზნესის მათემატიკა, თბ., 2009.

## რეზიუმე

მოხსენებაში განხილულია მათემატიკის სწავლების მიზნები და განხორციელების გზები უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა აკადემიური პროგრამების სტუდენტებისათვის. ასევე აღწერილია მომხსენებლის გამოცდილება და შეხედულება სწავლების მიზნებისა და მეთოდოლოგიის შესახებ. განხილულია პრაქტიკული ხასიათის ამოცანები.

### ABOUT THE TEACHING AIMS AND METHODOLOGY OF MATHEMATICS

Soso Tsozniashvili, Full Professor

### RESUME

The paper discusses the aims of teaching mathematics for students of various academic programs and the ways of its realization. It also describes the speaker's the experience and opinions about the teaching aims and teaching methodology of mathematics. In addition, the paper discusses practical mathematical problems.

### ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ძირითადი ასპექტები

*ნელი ჭამბურიძე, სრული პროფესორი*

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართული ენის მომზადების პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება. ეს არის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, კერძოდ, მსმენელმა უნდა:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;
- ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება, კერძოდ პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
- ამავე დროს, ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და მისი დაცვა მნიშვნელოვანია საერთო კულტურულ ცხოვრებაში მათი სრულყოფილი მონაწილეობის, ურთიერთნდობისა და სამოქალაქო ერთობის განცდის მისაღწევად. კანონი ზოგადი განათლების შესახებ უზრუნველყოფს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ნეიტრალურობას და ხელს უწყობს არადისკრიმინაციას, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას. საჭიროა მათთვის ისეთი პროგრამების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს პირველ ეტაპზე მოტივაციის ამაღლებას და შემდგომ მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაა. ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა სახელმწიფოს მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცება. მულტილინგვური განათლების პროგრამის განხორციელება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციურ მასწავლებლებს ითხოვს. მასწავლებლები არა მხოლოდ

თავისუფლად უნდა მეტყველებდნენ სამიზნე ენაზე, არამედ პლურინგვალიზმის პროპაგანდას საკუთარი პიროვნების მაგალითზე უნდა ეწეოდნენ. მასწავლებლები მომზადებული უნდა იყვნენ მრავალმხრივი სამუშაოსათვის, ღია - ახალი იდეების და მეთოდოლოგიისათვის და გააჩნდეთ განვითარებული მულტილინგვისტური კომპეტენციები.

ბილინგვალაია ადამიანი, „რომელიც, სიტუაციათა უმრავლესობაში, კომუნიკაციის საშუალებად თავისუფლად იყენებს ორ ენას და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ერთიდან მეორე ენაზე გადასვლა.“ [1, 50] „ნამდვილი ბილინგვალაია პიროვნება, რომელსაც ორი სხვადასხვა, ენობრივად დაახლოებით ერთნაირი, სოციალური და კულტურული დონის მქონე ჯგუფი, თავისიანად მიიჩნევს.“ [1, 51] ამ გამონათქვამების შეჯამების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბილინგვიზმის ანუ ორენოვნების იდეალური გაგებით, განმარტება არის ორი ენის დაახლოებით თანაბარ დონეზე ფლობა. ბილინგვური პროგრამები მეორე ენის სრულყოფას ხელს უნდა უწყობდეს მეორე ენაზე აკადემიური საგნების სწავლების საშუალებით. თუ მეორე ენა სკოლაში ისწავლება როგორც საგანი, მაშინ ვერ ვილაპარაკებთ ბილინგვურ განათლებაზე. საგნის პედაგოგები გაკვეთილზე როგორც სწავლების ენას მხოლოდ მეორე ენას უნდა იყენებდეს მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში. მოსწავლეები ერთდროულად სწავლობენ საგანს და ინდუქციურად ითვისებენ ენას, რომელიც სჭირდებათ, რომ მოიძიონ და გამოთქვან მოსაზრებები აკადემიურ საგანთან მიმართებაში. იმავდროულად, ისინი შეისწავლიან მეტ აკადემიურ ენას. ენა ასევე ყოველდღიური ინტერაქციის შემადგენელი ნაწილი მასწავლებელთან და სხვა მოსწავლეებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეები შეისწავლიან ენას სკოლაში სოციალური და აკადემიური საქმიანობის განმავლობაში. საგნის მასწავლებლებს ბილინგვურ პროგრამებში ერთობ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ - ერთი მხრივ, ისინი არ წარმოადგენენ ენის მასწავლებლებს და, შესაბამისად, არ უნდა ასწავლიდნენ ენას, არამედ აკადემიურ შინაარსს. მეორე მხრივ კი, ისინი უნდა აცნობიერებდნენ მოსწავლეების ენობრივ სირთულეებს, აფასებენ შესაბამისად, იმავდროულად უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ გააზრებას და ხელს უწყობენ ენის განვითარებას. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბილინგვურ პროგრამაში ჩართული მასწავლებლები თვითონ ხდებიან ენის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითები და ენის პედაგოგები.

მუდმივ კონტაქტში მყოფი განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობა ინტერკულტურული დიალოგია. მისი საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება არ არსებობს. 2006 წლის ნოემბერში ევროპის საბჭომ შემდეგი დეფინიცია შემოგვთავაზა: ინტერკულტურული დიალოგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის შეხედულებათა ღია, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გაცვლას, რასაც განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის სიღრმისეულ გააზრებამდე მივყავართ. იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაციაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ აღნიშნულია, რომ კულტურულად „მრავალფეროვან საზოგადოებებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განსხვავებული, ცვალებადი და დინამიური იდენტობების მქონე ხალხებსა და ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედებისა და მათი თანაცხოვრების უზრუნველყოფას.

ადამიანს, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური და ნაყოფიერი წვლილის შეტანა შეუძლია, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა, პრობლემების გამოკვეთა, მათი გადაჭრის მრავალი საშუალების დანახვა, სტრატეგიების შერჩევა, გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა და, რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად დაუცხრომელი ქმედება მოეთხოვება. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, არამედ მათი ტრადიციების, ფასეულობების, ცხოვრების წესისა და ა.შ. შესწავლა, „მათ მიმართ ფსიქოლოგიური მიმდებლობის განვითარება და ამ თვალსაზრისით სამოქალაქო ცნობიერების დონეზე ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნების გააზრება.“ [2, 46]

ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის შესწავლა საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ მშვიდობის მშენებლობაზე არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ მთლიანად რეგიონის მასშტაბით. მშვიდობა მუდმივი ქმედების პროცესია და ამიტომაც, იგი მოითხოვს ჩვენგან მუდმივ, დინამიურ განვითარებას დემოკრატიის კუთხით. „რადგანაც, თანამედროვე კულტურა ორიენტირებულია დინამიურობაზე, ღიაობაზე, შემოქმედებაზე. კრიტიკული აზროვნება მიღებულია და წახალისდება. არავითარი ავტორიტეტი არაა აბსოლუტური. თვითდაჯერებულ მონოლოგზე გაცილებით მეტად ფასობს დისკუსია, დიალოგი. სხვა კულტურების დადებითი მონაპოვარი ადვილად შეითვისება და მოცემული კულტურის ნაწილად იქცევა. ითვლება, რომ მომავალი ცვლილებას ექვემდებარება და მასზე ზეგავლენა თითოეული ინდივიდის ძალისხმევას შეუძლია მოახდინოს.“ [3, 48] დემოკრატიული სისტემა

დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიური მოქალაქეების არსებობაზეა დამოკიდებული. ყოველი ახალი თაობა გააზრებულად უნდა დაეთანხმოს ამ დაუწერელი სოციალური კონტრაქტს პირობებს, რითაც საზოგადოების ღირებულებებს გაიზიარებს. მულტილინგვისტური განათლების დანერგვა საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ისეთი ძირეული ამოცანები, როგორცაა: დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების დანერგვა, სამოქალაქო ინტეგრაცია, ტოლერანტული ცნობიერების ჩამოყალიბება.

#### ლიტერატურა:

1. „ბილინგვური განათლება“, თბ., 2011, №5, ინტერკულტურული მგრძობელობის გაზომვა ქართველ სტუდენტებში.
2. გ. ნიჟარაძე, რ. მშვიდლობაძე, თ. ასათიანი, თ. ციხისთავი, კონფლიქტები, თბ., 2010.
3. „მულტილინგვისტური განათლების გზით უცირესობათა ინტეგრაციის კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა“, თბ., 2008.

### რეზიუმე

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, არამედ მათი ტრადიციების, ფასეულობების, ცხოვრების წესისა და ა.შ. შესწავლა, მათ მიმართ ფსიქოლოგიური მიმდებლობის განვითარება და ამ თვალსაზრისით სამოქალაქო ცნობიერების დონეზე ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნების გააზრება. ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის შესწავლა საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ მშვიდების მშენებლობაზე არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ მთლიანდ რეგიონის მაშტაბით. მშვიდობა მუდმივი ქმედების პროცესია და ამიტომაც, იგი მოითხოვს ჩვენგან მუდმივ, დინამიკურ განვითარებას დემოკრატიის კუთხით.

### BASIC ASPECTS OF TEACHING GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE

Neli Champuridze, Full Professor

#### RESUME

Due to the social integration of the ethnic minorities of Georgia ,it's very important to teach them not only the state language, but also the country's traditions, values, life-styles and etc. Also, developing psychological acceptability towards them and in terms of this considering the level of understanding of the country's ethnic diversity. Studying the state language by the national minorities will give us an opportunity to speak about peace-building not only inside the country but also throughout the region. Peace is constant action process and therefore, it requires from us constant, dynamic development of democracy.

**ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**  
***Exact and Natural Sciences***

**დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი**

*მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ეკოლოგიური ტურიზმი მიეკუთვნება ბუნებრივი ტურიზმის ფართო, საყოველთაოდ მიღებულ ტიპს. ასეთი მტკიცებულების საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბუნება ეკოლოგიურ ტურიზმში არის მიზანიც, საბაზი მოგზაურობისათვის და გარემოც, სადაც უშუალოდ იმყოფება ეკოტურისტი ეკოტურის შესრულების დროს. ამ მოცემული კრიტერიუმით ეკოტურიზმი განსხვავდება ტურიზმის სხვა ტიპებისაგან. მაგ.: საქმიანი, ფესტივალების, შეხვედრების და სხვ. ეკოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ ტურიზმის სხვა ტიპებს მიაკუთვნებენ საქმიანობის ფართო დიაპაზონს - ხანგრძლივი მეცნიერულ-შემეცნებითი ეკოტურებიდან გამოსასვლელი დღის ხანმოკლე მარშრუტებამდე.

ბოლო ათწლეულში საქართველოში ტურიზმი აქტიურად ვითარდება, მაგრამ ისეთი მიმართულება, როგორც ეკოტურიზმია, განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. სწორი მენეჯმენტის პირობებში ეკოტურიზმს შეუძლია უზრუნველყოს არსებითი შემოსავლების მიღება, ხოლო წარმატებული განვითარების შემთხვევაში ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

ბუნება ადამიანის მიერ მატერიალური და სულიერი საჭიროებების დაკმაყოფილების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ ფაქტის შეგნებას ადამიანი ბუნებისადმი პატივისცემისა და სიყვარულისაკენ მიჰყავს. ამიტომ საჭიროა მიზანმიმართულად ჩამოვაყალიბოთ ბუნების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება, აღზარდოთ ადამიანებში მაღლიერების გრძნობა იმ როლისათვის, რომელსაც იგი ასრულებს ახლანდელი და მომავალი თაობების ცხოვრებაში. ამ მიმართებით ეკოლოგიურ ტურიზმს რეალური პოტენციალი გააჩნია, რომელიც თავისი უზარმაზარი რეკრეაციული და შემეცნებითი შესაძლებლობებით მოწოდებულია ჩამოაყალიბოს ბუნების დაცვაზე, ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურ გამოყენებაზე მიმართული საზოგადოებრივი შეგნება. ეკოლოგიური ტურიზმი ცდილობს ადამიანებამდე მიიტანოს გარემოს დაცვის საკითხების გადაუდებლობა და აუცილებლობა (გოგელია, 2010).

ეკოლოგიური ტურიზმი არის ტურიზმის სახეების და რეკრეაციის თვითმყოფადობა, იგი უშუალოდ დაკავშირებულია ბუნების გამოყენებასთან, რომლის მიზანია ეკოლოგიური განათლება, ბუნების შეცნობა, ეკოლოგიური კულტურის ამაღლება, თვალყურის დევნება ფლორასა და ფაუნაზე, გაჯანსაღება ბუნებრივი საშუალებების გამოყენებით, ფიზიკური სრულყოფა, საკუთარი წვლილის შეტანა ეკოსისტემების დაცვის საქმეში და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემა. ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპებია: ბიომრავალფეროვნება, ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკოლოგიური განათლება, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება.

ეკოტურიზმზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების დაარსების აუცილებლობა. დღეისათვის სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენს ეკოტურიზმის ძირითად ობიექტებს. განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები მიეკუთვნება საერთო სახელმწიფოებრივ ღირსშესანიშნავ ობიექტებს, სადაც განლაგებულია ბუნებრივი კომპლექსები, ობიექტები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული კულტურული, ესთეტიკური და რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა.

განსაკუთრებით დაცულს მიეკუთვნება ის ბუნებრივი ტერიტორიები, რომლებზეც მათი ბუნებრივი თავისებურებისა და მახასიათებლების შენარჩუნების მიზნით ბუნებრივი ობიექტების მართვა და გამოყენება რეგულირდება სპეციალური ნორმატიული აქტებით. დაწესებულია ბუნებათსარგებლობის სპეციალური რეჟიმი, რომელიც მოიცავს სრულ ან ნაწილობრივ, მუდმივ ან დროებით შეზღუდვებს ბუნებით სარგებლობაზე, ხოლო რიგ შემთხვევებში გულისხმობს ბუნებით



სარგებლობისათვის განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას ან აღდგენითი ღონისძიებების გატარებას.

განასხვავებენ დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს: 1. სახელმწიფო ნაკრძალი; 2. ეროვნული პარკი; 3. ბუნებრივი ძეგლი; 4. აღკვეთილი; 5. დაცული ლანდშაფტი; 6. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996).

პირველ ორ კატეგორიას ბუნების დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დაცული ტერიტორია წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად შექმნილი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორიას და (ან) აკვატორიას, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან, მყარ სამართლებრივ საფუძველზე.

დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელი წარმოადგენს ბიორეზერვაციების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, დაკვირვების, ზრუნვისა და ფინანსური ხელშეწყობის სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიების ქსელს, რომლებიც იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და სპეციფიკური ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დასაცავად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

დღეს ევროპის ბევრმა ქვეყანამ შემოიღო ბუნებრივი და ისტორიული ღირებულებების პასპორტიზაცია, რაც საშუალებას აძლევს გაატაროს სწორი კურსი ტურიზმის განვითარებასა და ეროვნული სიმდიდრის დაცვის საქმეში. ბოლო წლებში რიგ ქვეყნებში შემოიღეს მკაცრი ზომები, რომლებიც მიმართულია ბუნების დაცვისკენ, იქმნება ახალი ეროვნული პარკები და ნაკრძალები, ხდება ბუნებაზე მოხდენილი ზეწოლის მეცნიერული განსაზღვრის მცდელობა და ა.შ.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აისახა მისწრაფებაზე გაანეიტრალოს მძლავრად განვითარებადი საერთაშორისო ტურიზმის მიერ გამოწვეული ნეგატიური მხარეები და ამავდროულად შექმნას მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია, შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს ბუნებრივ გეოგრაფიული სიტუაცია. ქალაქების გამწვანება, ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლა და სისუფთავის დაცვა ტურიზმის განვითარებისათვის ცნობილი მოთხოვნაა.

ტურიზმის უარყოფითი გავლენა, პირველ რიგში, აისახება ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე ან მასობრივი დასვენების და მოგზაურობის ადგილებზე. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს ტყის ნატურალური ლანდშაფტი. მართალია, ტყის ხანძარი რომელიც უკავშირდება დანთებულ კოცონს, მიეკუთვნება მოვლენას, რომელიც ახასიათებს შიგა ტურიზმს და არა საერთაშორისოს, რადგან საზღვარგარეთელი ტურისტების მარშრუტები კომფორტულადაა მოწყობილი და, როგორც წესი, არ ხდება საჭმლის კოცონზე მომზადება.

ეროვნული პარკი ერთ-ერთი მიმზიდველი ობიექტია ტურისტებისათვის. მაგალითად აშშ-ის ეროვნული პარკების სტუმრობის წლიური რაოდენობაა 90 მლნ, ამიტომ რაც უნდა მოერიდონ ბუნებას მოგზაურობის ორგანიზატორები, შეზღუდულ ტერიტორიაზე ხალხის ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა მაინც იწვევს ცხოველების დაფრთხობას და მცენარეების გასრესვას. ტურისტებისათვის სრულყოფილი სერვისის შექმნისა და გაზრდილი შემოსავლის მისაღებად ნაკრძალის ტერიტორიაზე აშენებული სავაჭრო ცენტრები და სასტუმროებიც ხელს უშლიან პირველქმნილი ლანდშაფტის შენარჩუნებას.

ტურიზმის მასიური განვითარება მალავს ბევრ საშიშროებას ცხოველთა სამყაროსთვისაც, რადგან ზოგიერთი ტურისტი არ კმაყოფილდება დათვალიერებით, ფაუნის წარმომადგენლების კინოფოტოგადაღებით და ცდილობს, რომ ცხოველის მოკვლით მიიღოს სიამოვნება ნადირობაში, ცოტას ფიქრობს იმაზე, თუ რა დანაკლისს აყენებს ბუნებას.

ეკოტურიზმისათვის მნიშვნელოვანია მოგზაურთა რაოდენობა და მათი მოტივაცია, მაგრამ ეს ფაქტორები არ არის გადამწყვეტი. ეკოტურიზმის შედეგი უნდა გახდეს არა მარტო ახალი ინფორმაციის მიღება და გარემოს სილამაზით ტკბობა, არამედ ბუნებისადმი დამოკიდებულებების შეცვლა გამოყენებითიდან მის მოვლაზე, ამას გარდა, ის უნდა გულისხმობდეს გარემოს დაცვის გაუმჯობესებას.

ეკოლოგიური ტურიზმი უნდა ითვალისწინებდეს ეკოლოგიურ განათლებას. ტურფირმებისა და გიდი ექსპურსიამძღოლებისაგან იგი მოითხოვს ეკოლოგიის საფუძვლების ცოდნას, რაც დღეისთვის აუცილებელია. ამ გაგებით ეკოლოგიური ტურიზმი არის ერთდერთი საშუალება კაცობრიობის

გადასარჩენად იმ გარემოში, რომელიც თვითონ გახადა სიცოცხლისათვის შეუსაბამო. სამწუხაროდ, დღეისათვის ასეთი ცოდნა ტურფორმების თანამშრომლებს საკმარისად არ გააჩნიათ (გოგელია, 2010).

ეკოტურიზმით დაინტერესებული სხვადასხვა ავტორებისა და ორგანიზაციების მიერ გაჩნდა მრავალი ახალი განსჯა და განხილვა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტერმინის დიდი პოპულარობის მიუხედავად, თვით „ეკოტურიზმის“ მნიშვნელობა საქართველოში და საზღვარგარეთ განიხილება მეტად თვითნებურად. მასში ყოველი მათგანი საკუთარ აზრს დებს: მეცნიერები - ერთს, პრაქტიკოსები - მეორეს, ოფიციალური პირები - მესამეს, რაც ხელს უშლის ერთმანეთის გამოცდილებების გაზიარებას და გამოყენებას. წარმოქმნილი კამათი და უთანხმოება აფერხებს ეკოტურიზმის განვითარებას და ბალებს დაბნეულობას მისი გაგების ცნებაში (ბირჟაკოვი, 2004).

ბუნებრივი და კულტურული რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას უფრო რეალური პერსპექტივა აქვს, რადგანაც „გარედან“ მოსული მეწარმეები მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის (რაც შეიძლება სწრაფად) მიღებით არიან დაინტერესებულნი. ადგილობრივი მოსახლეობა სავარაუდოდ უფრო იზრუნებს ტრადიციებისა და ადგილისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილის შენარჩუნებაზე. ორივე მხარის თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კონსერვაციის წესების დარღვევის (ბრაკონიერება, ტყის გაჩეხვა) თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეცეს საკუთარი რესურსების დაფასებისა და შეფასების საშუალება, რომ ისინი ტურიზმის განვითარების პროცესს არც ფიზიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით არ ჩამოშორდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა შეძლოს საკუთარი რესურსით სარგებლობა და გართობა (გოგელია, 2010).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

1. ეკოლოგიური ტურიზმი უზრუნველყოფს გარემოს შენარჩუნებას, ეკოლოგიურ განათლებას, გარემოს მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა-განახლებას, ეკოლოგიურ კანონდარღვევებზე კონტროლის გამძლიერებას;
2. ეკოლოგიურ ტურიზმზე მოთხოვნის საპასუხოდ იქმნება სხვადასხვა სახის დაცული ბუნებრივი ტერიტორიები, რომლებიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ;
3. ტერიტორიის ეკოტურისტული პოტენციალის შეფასება შეიძლება მოხდეს ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების, ტერიტორიის საშუალებებისა და პირობების გაანალიზების საფუძველზე;
4. ეკოტურისტული საქმიანობის დაგეგმვა გულისხმობს ეკოტურისტული საქმიანობის მიზნის განსაზღვრას, ეკოტურიზმის განვითარების მიმდინარე სიტუაციისა და პოტენციალის ანალიზს;
5. ეკოტურიზმის წარმატებული განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენებისათვის მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და რეგულირებული ტურისტული ნაკადების მოცულობა დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში, უნდა მოხდეს ტერიტორიის ზონირება, მარშრუტი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და კონტროლის პრინციპებიდან გამომდინარე, ხოლო განთავსების ადგილების მშენებლობა უნდა განხორციელდეს მიმდებარე ტერიტორიებზე;
6. გამოარჩევენ ეკოტურიზმს განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიის ფარგლებში და ეკოლოგიურ ტურიზმს განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფარგლებს გარეთ. ასევე გამოარჩევენ პასიურრეკრეაციულ და აქტიურ-რეკრეაციულ ეკოტურიზმს;
7. ეკოლოგიური ტურიზმის კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვითაა შესაძლებელი: ტერიტორიული ნიშანი, ეკოტურის ორგანიზაციის ხასიათი, ტურისტული ნაკადების ინტენსივობა, ეკოტურისტების განთავსების ხერხი, ჯგუფის შემადგენლობა, მოგზაურობის ვადა, დაფინანსების წყარო;
8. ადმინისტრაციის მხრიდან დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ეკოტურების ჩატარებისას აუცილებელია მკაცრი კონტროლი. ბუნებრივი ტერიტორიების მონახულებისას აუცილებელ პირობად გვევლინება მყარი ტურისტული საქმიანობა, ქვევის გარკვეული წესებისა და რეკრეაციული ტევადობის ნორმატივების დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ ეკოსისტემის დიგრესია.

#### ლიტერატურა:

1. ბირჟაკოვი მ., „ტურიზმის თეორია“, გამომცემლობა შპს „ფოტონი“, თბ., 2004.
2. ჩარლზ რ. გელდენერი; ჯ.რ. ბრენტ რითჩი, „ტურიზმი - საფუძველები - პრაქტიკა - თეორია“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო, 2013.
3. გოგელია მ., „ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, ქუთაისი, 2010.

- მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა, (ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები), თბ., 2008.
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996 წ. 7 მარტი #136 – III.

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბუნებრივად დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი. დღეისათვის სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენს ეკოტურიზმის ძირითად ობიექტებს. განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები მიეკუთვნება საერთო სახელმწიფოებრივ ღირსშესანიშნავ ობიექტებს, სადაც განლაგებულია ბუნებრივი კომპლექსები, ობიექტები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული კულტურული, ესთეტიკური და რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა.

## THE TOURISM POTENTIAL OF PROTECTED NATURAL AREAS

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

### RESUME

The article discusses eco-tourist potential of natural protected areas. Ekoturizm increase the demand for the establishment of national parks and protected areas in need. At present, these areas represent a major eco-tourism facilities. Especially protected natural areas belonging to the general public remarkable properties, which are located in natural complexes, the objects, which have exceptional cultural, aesthetic and recreation - recreational value.

### პარამეტრების ძალდებული შეფასების ცხადი სახით აგების მაგალითი

*ზურაბ ზერაკიძე, სრული პროფესორი  
მალხაზ მუმლაძე, სრული პროფესორი  
ლელა ალექსიძე, ასოცირებული პროფესორი  
ლაურა ელიაური, ასოცირებული პროფესორი*

მოვიყვანოთ ზოგიერთი განსაზღვრება (იხ. 1-4):

**განსაზღვრება 1.** სტოქასტურ სისტემასთან დაკავშირებული სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება შემდეგ ობიექტს  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ .

**განსაზღვრება 2.** სტოქასტურ სისტემასთან დაკავშირებულ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება ორთოგონალური (სინგულარული), თუ  
$$(\forall i)(\forall j)(i \in A \& j \in A, i \neq j) \Rightarrow \mu_i \perp \mu_j.$$

**განსაზღვრება 3.** სტოქასტურ სისტემასთან დაკავშირებულ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება სუსტად განცალკევადი, თუ მოიძებნება ისეთი  $S$ -ზომადი  $X_i (i \in A)$  სიმრავლეები, რომ შესრულებულია შემდეგი პირობები:

$$(\forall i)(\forall j)(i \in A, j \in A, \Rightarrow \mu_i(X_j)) = \begin{cases} 1, & \text{თუ } i = j \\ 0, & \text{თუ } i \neq j \end{cases}$$

**განსაზღვრება 4.** სტოქასტურ სისტემასთან დაკავშირებულ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება ძლიერად განცალკეადი, თუ არსებობს ისეთი წყვილ-წყვილად თანაუკვეთადი  $S$ -ზომადი  $X_i \in S$  სიმრავლეები, რომლებსთვისაც სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\forall i, i \in I, \Rightarrow \mu_i(X_i) = 1.$$

**განსაზღვრება 5.** სტოქასტურ სისტემასთან დაკავშირებულ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება განცალკეადი, თუ არსებობს ისეთი  $S$ -ზომადი  $X_i \in S$  სიმრავლეები, რომლებსთვისაც სრულდება შემდეგი პირობები:

1) ყოველი  $i \in I$  და  $j \in I, i \neq j \Rightarrow \text{card}(X_i \cap X_j) < 2^{\chi_0}$ , სადაც  $\chi_0$  თვლადი სიმრავლის სიმძლავრეა;

$$2) \mu_i(X_j) = \begin{cases} 1, & \text{თუ } i = j \\ 0, & \text{თუ } i \neq j \end{cases}$$

**შენიშვნა 1.** (იხ. 3): თუ  $\text{card}E = c$  მაშინ მაქსიმალური ოჯახი ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურების არის  $2^{2^c}$ , სუსტად განცალკეადის არის  $2^c$ , ხოლო ძლიერად განცალკეადისა კი  $c$ . ე.ი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

განვიხილოთ  $E = R$  და  $S = B_R$ . განვიხილოთ  $(R, B_R)$ -ზე ნორმალური სტანდარტული განაწილება  $N(0,1)$  და ყოველ  $[n, n+1)$ ,  $\forall n \in Z$  ინტერვალზე შემოვიტანოთ ალბათური ზომა  $\mu_n$  შემდეგი

$$\text{ფორმულით } \mu_n(A) = \frac{\int_A e^{-\frac{x^2}{2}} dx}{\int_{[n, n+1)} e^{-\frac{x^2}{2}} dx} \quad \forall A \subseteq [n, n+1).$$

განვიხილოთ, შემდეგი სტატისტიკური სტრუქტურა  $\{R, B_n, \mu_n, n \in Z\}$  ვაჩვენოთ, რომ ეს სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალკეადია. განვიხილოთ სიმრავლეები  $A_n = [n, n+1)$   $n \in Z$  ყოველი

$$n \neq m \quad A_n \cap A_m = \emptyset \text{ და ეს სიმრავლეები } B_n \text{ ზომებია და გარდა ამისა } \mu_n(A) = \frac{\int_A e^{-\frac{x^2}{2}} dx}{\int_{[n, n+1)} e^{-\frac{x^2}{2}} dx} = 1, \quad \forall n \in Z.$$

ე. ი. სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალკეადია.

ვთქვათ  $I$  პარამეტრების სიმრავლეა, ხოლო  $B(I)$ -მინიმალური  $\sigma$ -ალგებრაა  $I$  სიმრავლეების ქვესიმრავლეებიდან.  $B(I)$  შეიცავს  $I$  სიმრავლის ყველა სასრულ ელემენტთან ქვესიმრავლეებს.

**განსაზღვრება 5.** ჩვენ ვამბობთ, რომ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებას, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი  $g$  ასახვა  $g: (E, S) \rightarrow (I, B(I))$ , რომ სრულდებოდეს შემდეგი პირობები  $\mu_i\{x: g(x) = i\} = 1, \forall i \in I$ . ჩვენ შემთხვევაში უცნობი პარამეტრებია

$$i_n = \int_{[n, n+1)} x \mu_n(dx) \text{ ცნობილია შემდეგი თეორემა (იხ. 2).}$$

**თეორემა 1.** იმისათვის, რომ სტატისტიკური სტრუქტურა  $\{E, S, \mu_n, n \in Z\}$  უშვებდეს პარამეტრების ძალდებულ შეფასებას, აუცილებელი და საკმარისია, რომ ეს სტატისტიკური სტრუქტურა იყოს ძლიერად განცალკეადი.

ჩვენ შემთხვევაში მოცემულია შემდეგი ძლიერად განცალკეადი სტატისტიკური სტრუქტურა  $\{R, B_n, \mu_n, n \in Z\}$ . განვიხილოთ ასახვა  $g: (E, S) \rightarrow (I, B(I))$  განსაზღვრული შემდეგი ფორმულით  $g(x) = i_n$ , თუ  $x \in [n, n+1) \forall n \in Z$ . ასე განსაზღვრული  $g(x)$  ზომადი ასახვაა  $g: (E, S) \rightarrow (I, B(I))$ -

ზე.  $A_n$  -ით აღვნიშნოთ შემდეგი სიმრავლეები  $A_n = [x : g(x) = i_n]$ ,  $\forall n, n \in Z$ . ცხადია, რომ  $A_n \in B(R)$ -  
ზომადია  $\forall n \in Z$  და  $\mu_n(A_n) = \mu_n[x : g(x) = i_n] = 1$ ,  $\forall n \in Z$ . ე. ი.  $g(x)$  არის  $i_n$  პარამეტრების  
ძალდებული შეფასება. ცნობილია, რომ (იხ. 2) შემდეგი თეორემა.

**თეორემა 2.** თუ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ  
შეფასებას, მაშინ ეს სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალკეებადია.

**შენიშვნა 2.** ზოგადად შებრუნებული დებულება სწორი არაა. ე. ი. თუ სტატისტიკური სტრუქტურა  
ძლიერად განცალკეებადია და ამ სტატისტიკური სტრუქტურის სიმძლავრე კონტინუუმია, მაშინ აგებულია  
მაგალითი იმისა, რომ ასეთი სტატისტიკური სტრუქტურისათვის არ არსებობს პარამეტრების  
ძალდებული შეფასება.

**შენიშვნა 3.** თუ  $g$  პარამეტრების ძალდებული შეფასებაა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ  
ალბათური ზომები პარამეტრთა სივრცეზე  $(I, B(I))$ -ზე ფორმულით  $\{P_i g^{-1}, i \in I\}$ . ეს ალბათური  
ზომები განსაზღვრულია  $(I, B(I))$ -ზე და თითოეული  $P_i g^{-1}$  ზომა თავმოყრილია  $i$  წერტილში.

**განსაზღვრება 6.**  $\sigma$ -ქვესიმრავლეების  $A_1 \subset S, A_2 \subset S$  ეწოდებათ დამოუკიდებლები  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$   
სტატისტიკურ სტრუქტურაში, თუ სრულდება შემდეგი ტოლობები:  
 $\mu_i(B \cap C) = \mu_i(B) \cdot \mu_i(C)$ ,  $\forall B \in A_1, \forall C \in A_2$ .

**განსაზღვრება 7.**  $\sigma$ -ქვეალგებრას  $A_1 \subset S$  ეწოდება თავისუფალი ( $i \in I$  პარამეტრის მიმართ), თუ  $\mu_i$ -  
თვის  $i \in I$  ყველა ზომების შეზღუდვა  $A_1$ -ზე ერთმანეთს ემთხვევიან.

**განსაზღვრება 8.** ჩვენ ვამბობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  დაშლადია, თუ  
არსებობს ისეთი ორი  $\sigma$ -ქვეალგებრები  $A_1 \subset S, A_2 \subset S$ , რომ

- 1)  $A_1$  - არის საკმარისი  $\sigma$ -ალგებრა;
- 2)  $A_2$  - არის თავისუფალი  $\sigma$ -ალგებრა;
- 3)  $A_1 \cup A_2$  წარმოქმნის  $S - \sigma$ -ალგებრას.

**თეორემა 3.** თუ  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების  $g$  ძალდებულ  
შეფასებას და  $(g^{-1}(B(I)), A_2)$  სტრუქტურის დაშლაა, მაშინ  $g^{-1}(B(I))$  და  $A_2$   $\sigma$ -ქვეალგებრები  
დამოუკიდებლებია.

დამტკიცება. განვიხილოთ ასახვა  $f \rightarrow u(f) = \int_E f(x) \mu_i(dx)$ ,  $f \in B(E, S)$ . ეს ასახვა არის წრფივი და

დადებითად განსაზღვრული, რომელიც მოქმედებს  $B(E, S) \rightarrow B(I, B(I))$ . ადვილი საჩვენებელია, რომ  
 $\|u\| = 1$ . ვთქვათ  $g$  პარამეტრების ძალდებული შეფასებაა. განვიხილოთ ასახვა  $g^* = \eta \circ g$ , სადაც  
 $\eta \in B(I, B(I))$ . ადვილი საჩვენებელია, რომ  $g^*$ -არის იზომეტრული იზომორფიზმი  $B(I, B(I))$  სივრცისა  
 $B(E, S)$  სივრცეში. ცხადია, რომ

$P = g^* \circ u$  არის პროექტორი განსაზღვრული  $B(E, S)$ -ზე და ამ პროექტორის მნიშვნელობებია  
 $B(E, g^{-1}(B(I)))$  გარდა ამისა,  $U^{-1}(0) = P^{-1}(0)$  და ამიტომ  $Pf = E_i(f / g^{-1}(B(I)))$ , რომელიც არაა  
დამოკიდებული  $i \in I$ -ზე. ამრიგად  $g^{-1}(B(I))$  საკმარისი სტატისტიკაა. ვთქვათ  $B \in g^{-1}(B(I))$  და  
 $C \in A_2$ . ცხადია, რომ ყველა ალბათური  $\{\mu_i, i \in I\}$  ზომების შევიწროება  $g^{-1}(B(I))$   $\sigma$ -ალგებრაზე  
დებულობს მხოლოდ ორ მნიშვნელობას 0 და 1. განვიხილოთ ორი შემთხვევა.

- 1) თუ  $\mu(B) = 0$ , მაშინ  $\mu_i(B \cap C) \leq \mu(B) = 0$  და ამიტომ  $\mu_i(B \cap C) = \mu_i(B) \cdot \mu_i(C)$ ,
- 2) თუ  $\mu(B) = 1$ , მაშინ  $\mu_i(\bar{B} \cap C) = 0$  და  $\mu_i(B \cap C) = \mu_i(B \cap C) + \mu_i(\bar{B} \cap C) = \mu_i(C) = \mu_i(B) \cdot \mu_i(C)$ .

ამით, თეორემა დამტკიცებულია.

#### ლიტერატურა:

- 1) И. Ш. Ибрахалилов, А. В. Скороход, Состоятельные оценки параметров случайных процессов. Киев, Наук думა, 1980.

- 2) Z. S. Zerakidze, A family of measures admitting consistent estimates. New trends in probability and statistics. V.1. VSP/Mokslas 1991.
- 3) Z. S. Zerakidze, On weakly divisible and divisible families of probability measures. Bull. Acad. Georgia SSR 1/3, 1984.
- 4) Ж. Л. Соле, Основные структуры математической статистики, Мир, 1972.

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია და აგებულია ძლიერად განცალკეობადი სტატისტიკური სტრუქტურა  $(R, B_R)$ -ზე და ამ ოჯახისათვის აგებულია ცხადი სახით პარამეტრების ძალდებული შეფასებები. აგრეთვე დამტკიცებულია თეორემები ძალდებული შეფასებების არსებობის შესახებ. კერძოდ,  $(R, B_R)$ -ზე განსაზღვრულია სტანდარტული გაუსის ზომის გამოყენებით ძლიერად განცალკეობადი სტატისტიკური სტრუქტურის მაგალითი და ამ მაგალითისათვის აგებულია ძალდებული შეფასება.

### AN EXAMPLE OF AN EXPLICIT CONSTRUCTION OF A CONSISTENT ESTIMATE OF THE PARAMETERS

**Zurab Zerakidze**, Full Professor  
**Malkhaz Mumladze**, Full Professor  
**Lela Aleksidze**, Associate Professor  
**Laura Eliauri**, Associate Professor

### RESUME

The article considers the statistical structure of a strongly separated on  $(R, B_R)$  and for this structure explicitly constructed consistent estimate parameters. Proved theorems about existence consistent estimates. On  $(R, B_R)$  determined by standard Gaussian measures strongly separated statistical structure and built a consistent estimator for this example.

### ფიზიკური აღზრდის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში

*ალექსანდრე იაშვილი, სრული პროფესორი*

ქართული ფიზიკური აღზრდის თეორია იყო და არის ქართული პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ქართველ მოღვაწეთა შეხედულებანი, რომელიც ეხებოდა ეროვნული სპორტის პრობლემებს, აქტიურ დასვენებას, მშობლისა და სკოლის როლს მოზარდთა ფიზიკურ აღზრდაში ყოველთვის ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე.

ფიზიკური აღზრდის მიზანი და ამოცანები ყოველთვის გამომდინარეობდა და უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების უპირველესი მოთხოვნებიდან, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანებიდან.

„მეტი სისულელე და უმეცრება რა იქნება, - შენიშნავდა ჟურნალი „ცისკარი“ 1865 წელს (№10), - ვინც დავით აღმაშენებლისა და თამარის დროებას ესაყვედურებთან იმისათვის, რომ იმ დროების საზოგადოება ცდილობდა, რომ კარგი ცხენოსნები და ვაჟკაცები ყოფილიყვნენ! ის კი აღარ მოიფიქრეს,

თუ რამ აიძულა იმ დროის საზოგადოების ამგვარი ქმედება? რადგან მტრები ყოველი მხრით ქართველებს მოსვენებას არ აძლევდნენ, ამიტომაც მაშინდელი ვაჟკაცობისათვის და ცხენოსნობისათვის ვერ ვუსაყვედურებთ“.

ფიზიკური აღზრდის მიზანი უფრო მაღალი იდეალებისათვის მომზადებას უნდა ითვალისწინებდეს, კერძოდ, მისი დახმარებით უნდა აღიზარდოს საზოგადოების აქტიური წევრი, მებრძოლი ადამიანი, რომელიც აქტიურად იბრძოლებს ქვეყნის პროგრესისათვის. ამგვარი ადამიანი, „დიდი სწავლულიც რომ არ იყოს, მაინც ბევრს სარგებლობას მოუტანს ქვეყანასაცა და თავის თავსაც“ („სასოფლო გაზეთი“, 1869, №15). სასკოლო ფიზიკური აღზრდა ისე უნდა იყოს წარმართული, რომ მისი დახმარებით ყმაწვილს „შეთევოსოს მაღალი ზნე და მაგარი აგებულება, რომ შემდეგ გახდეს ყოველისფრით სასარგებლო კაცი თავისი ქვეყნისათვის“ („დროება“, 1866, №26). სწორედ ამის გამოა, რომ თუ ირღვევა ჰარმონია ბავშვთა აღზრდაში, თუ ფიზიკური აღზრდა გაუფასურებულია აღზრდის საერთო სისტემაში, „მაშინ ამგვარი აღზრდა იქნება მავნებელი და უსარგებლო მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც“ („დროება“ 1870, №8). თუ გვინდა, რომ ფიზიკურმა აღზრდამ დადებითი მისია შეასრულოს ქვეყნისათვის ადამიანთა მომზადებაში, იგი ადრიდანვე უნდა ჩავრთოთ ადამიანთა ყოფაცხოვრებაში, თორემ ზოგიერთი „ნასწავლი, განათლებული კაცი, როცა პირს სიბერისაკენ იზამს, მაშინ მოვა ხოლმე გონს, მაშინ-ღა მოაფიქრდება და გაცოცხლებული ეკითხება თავის თავს: სად ვიყავი აქამდის? რას ვაკეთებდი, რასა ვგრძნობდი და ვფიქრობდი? მერე ცდილობს არგოს რამ თავის ქვეყანას, მაგრამ დაგვიანებული გამოუდის ცდა: ცუდუბრალოდ მოღლილის ჯანითა და ტვინით იმდენს ვეღარ არგებს, რასაკვირველია, თავის ქვეყანას, რამდენიც შეეძლო ერგო, თუ კი იმ თავითვე ხეირიანს გზას დასდგომია“ („ივერია“, 1980, №147).

ფიზიკური აღზრდის მიზანი, რაც უნდა კარგად იყოს იგი გაგებული, განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება იზრდება ჯანსაღ საზოგადოებაში, ჯანსაღ წრეში; იგი გარკვეული კოლექტივის წევრი უნდა იყოს, იღებდეს და ითვისებდნენ მისი საუკეთესო წარმომადგენლის იდეალებს. ჯანსაღ საზოგადოებაში აღზრდილი ბავშვი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი აღიზრდება. „როგორც წაბლნარში ან მუხნარში ყოფილი ხე უფრო მაგარი და ჯანმრთელია, აგრეთვე თავის თანატოლებთან, თავის ტოლ-ამხანაგებში გაზრდილი ყმაწვილი უფრო კარგი და ჯანითაც და გონებითაც მთელი შეიქმნება, ვიდრე კაცი, განმარტოებულად გაზრდილი“ („დროება“, 1881, №223). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პრესა ბევრ რამეში იზიარებდა ჟან-ჟაკ რუსოს იდეებს, ამ საკითხებში იგი სამართლიანად არ დაეთანხმა დიდ განმანათლებელს, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნდა ბავშვის სწორი გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდა განმარტოებულად, საზოგადოების გარეშე. დიახ, კოლექტივში, კერძოდ, კოლექტიურ თამაშებში ამხანაგებთან ურთიერთობა იძლევა ნაყოფიერ ზნეობრივს საზრდოს, სერიოზულად აცოცხლებს გონებას, აკეთილშობილებს და აცხოველებს მას.

ფიზიკური აღზრდის დამახინჯებულად გაგებას ვერ ურიგდებოდა ქართული პრესა, განსაკუთრებით კი ჟურნალი „განათლება“ და მისი რედაქტორი ლუარსაბ ბოცვაძე. იგი იზიარებდა ზოგიერთი უცხოელი პედაგოგის აზრებს და შენიშნავდა: სჯობს გაუნათლებელი დარჩე, ვიდრე მიიღო განათლება და ფიზიკურად დამახინჯდე სკოლაში, სადაც უგულვებელყოფილია ფიზიკური აღზრდა. რატომ არის რომ სკოლა „ამდენს ფიზიკურად მახინჯს არსებებს - ბეცებს, სისხლ-ნაკლულებს, სუსტ გულმკერდიანებს, ნერვებაშლილებსა და ბრაზიან არსებათა გვაძლევს?“ ეს შედეგია იმისა, რომ აღზრდა სკოლაში „მრუდე გზით მიდის“.

არ დარჩენილა სპორტის არცერთი სახე, რომელსაც შეფასება არ მიეღო ქართული პრესის ფურცლებზე. ცალკეული სახეობის შინაარსის გადმოცემასა და ქართულ კულტურაში მისი ადგილის განსაზღვრასთან ერთად, პრესა აშუქებდა მათს სასარგებლო მხარეებს და ურჩევდა მკითხველს სკოლაში თუ სკოლის გარეთ სპორტის სასარგებლო სახეობების ფართოდ დანერგვას.

მოდრავი თამაშების მთელი თეორია შექმნა ჟურნალმა „განათლებამ“. იგი გვასწავლის, რომ „თამაშობანა იპყრობს მთელი ბავშვის არსებობას, აძლევს მას დიდ სიამოვნებას და აყენებს ფიზიკურ განვითარების სწორ გზაზე“. (1915, №7, გვ. 467). „ბავშვთა ფიზიკურად განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თამაშობას. თამაშობა ავარჯიშებს და ავითარებს არა მარტო ადამიანთა სხეულს, არამედ ხელს უწყობს სულიერი ძალების განვითარებასაც“, „ყოველნაირი თამაშობა, რომელიც ართობს ბავშვებს, იწვევს მათში საქმიანობას, შრომისმოყვარეობას, ენერგიას და ისახება მათში და იწყებს გამაგრებას ის ძალა, რომელიც შემდეგში მათ გზათ და ხიდად გამოადგებათ“ (1915, №7, გვ. 468); „ყველა თამაშობას და უფრო ქართულ სათამაშოებს თავისი წესი აქვთ, რასაც ბავშვები იცავენ, მაგრამ არც ერთი თამაშობა არ არის ისეთი, რომლის დროსაც ბავშვის ფანტაზია არ მუშაობდეს“ (1908, №7-8, გვ. 146);

„განათლება“ დიდ ადგილს უთმობდა ა. წერეთლისა და სხვა მოღვაწეთა შეხედულებებსაც, რომელთა მიხედვით ქართულ მოძრავე თამაშობებს ტანვარჯიშზე წინ აყენებდნენ.

ფიზიკური აღზრდა ავითარებს სასარგებლო ფიზიკურ თვისებებს და ქმნის სასურველ საფუძვლებს ადამიანთა გონებრივი განვითარებისათვის; ფიზიკური აღზრდა, როგორც „საქართველოს მოამბე“ მიუთითებდა (1863, №7), ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ „ჩვენი სხეული იყვეს ღირსეული ჭურჭელი ღვთის სულისა“. მართალია, ზოგიერთი ქართული გაზეთი და ჟურნალი, განსაკუთრებით კი „დროება“, უფრო ღრმად წვდება საკითხს და ზოგჯერ სამართლიანად შენიშნავს, რომ ცნობილი გამოთქმა „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ ყოველთვის არ არის გამართლებული, მაგრამ მის ფურცლებზე მაინც იმარჯვებს აზრი იმის შესახებ, რომ „სპეციალისტი სწავლულის შრომის ნაყოფი დამოკიდებულია იმის სხეულზე და სიმრთელეზე. მრთელი და მაგარი გული ისე რიგათ არის საჭირო ადვოკატისათვის და სახელმწიფო კაცისათვის, როგორათაც განათლებული გონება“ („დროება“, 1867, №22).

ქართულ პრესას ფიზიკური აღზრდა მიაჩნია მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის საუკეთესო საშუალებად. „უკეთესი წინდი რიგიანის ზნეობრივის განათლებისა და ფიზიკურად ჯანსაღად აღზრდას ყმაწვილისა“, - 1899 წელს (№277) სავსებით გაიზიარა ილიას „ივერია“ საფრანგეთში შექმნილი ერთი სპეციალური კომისიის ეს დასკვნა.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ს. მესხი, რომელიც განსაკუთრებით აფასებდა სიბრძნეს ანტიკური გამოთქმისას „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, ხშირად მიუთითებდა, რომ ფიზიკური სისუსტე დედაა უზნეობისა, რომ „ფიზიკურ სისუსტეს, სიმდაბლეს, უეჭველად ჩვენს ზნეობით მხარეხედაც თავისი შესამჩნევი გავლენა აქვს. სუსტი, უღონო, დამბლა კაცი, თითქმის ყოველთვის გაიმკვრობითა და ემშაკობით გამოდის, თავისი ენერჯისა, ძალის, მხნეობის იმედი რომ არა აქვს, ძალა-უნებურად გაიმკვრობას, მელა-კუდობას უნდა მიმართოს, თუ უნდა, რომ ცხოვრებაში რამ მოიპოვოს“.

პრესა ცდილობდა ეჩვენებინა ხალხისათვის ეროვნული სპორტის უდიდესი როლი ადამიანის საუკეთესო თვისებების განვითარებაში. იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სახალხო დღესასწაულები, რომელთა პროგრამის ძირითად ნაწილს სპორტული გამოსვლები შეადგენდა, „სასარგებლო სკოლაა ერისათვის“, ხალხური ფიზიკური ვარჯიშობებით სისტემატური სარგებლობა ანვითარებს ისეთ თვისებებს, როგორცაა „კეთილშობილური, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა“, „მამაცობა, ვაჟკაცობა, სარაინდო მოქმედება“, „ხელ-ფეხის სიმარდე“, სახალხო სპორტულ დღესასწაულებში მონაწილეობით ქართველი „მოიკრება ძალას, ღონეს, გააცხოველებდა ბუნებას, გააღვიძებდა გრძნობათ, აღამაღლებდა საუკეთესო თვისებებს“.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო მივიწყებას მიეცა ქართული ხალხური სპორტი, რომლის ერთ-ერთ მიზეზად ქართული პრესა მოიხსენიებს მაღალი ფენების ამპარტავნობას, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „ჩვენებური ყეენობა, ჯირითი, ბურთაობა და თუნდაც მუშტი-კრივი ბარბაროსული და გაუნათლებელი ხალხის ჩვეულება და დროს გატარებააო“ ასეთ ადამიანებს „დროება“ „უკუდო ევროპაძეებს უწოდებდა“. ქართულმა პრესამ თავის ფურცლებზე რამდენჯერმე გამოაქვეყნა და მსჯელობის საგნად აქცია ის გზები, საშუალებები და კონკრეტული წინადადებები, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელი გახდებოდა ერის საგანძურის - ფიზიკური ვარჯიშებისა და სათამაშოების, აგრეთვე სახალხო სპორტული სანახაობების აღდგენა. აი, ეს წინადადებები:

1. სპორტის ეროვნული სახეების აღდგენისათვის ბრძოლა უნდა გადაიქცეს მთელი ერის სისხლხორცეულ საქმედ. საკუთარი სპორტული „მე“ თუ არა აქვს, ამით ერს აკლდება თვითმყოფობის გარკვეული ნიშანი: „ფრანცუზს ყველაფერში ფრანცუზობა უნდა ეტყობოდეს, ინგლისს ინგლისობა, რუსს რუსობა, ქართველს ქართველობა“;

2. ხელისუფლებამ აკრძალოს ხალხური სპორტის უსამართლო დევნა. „უმალესმა პოლიციურმა მთავრობამ გამოუცხადოს წვრილალ პოლიციის მოხელეებს, რომ არ აღუკრძალოს ხალხს ისეთი მშვიდობიანი და უვნებელი დროს-გატარება, როგორც მაგალითად, ბურთაობა, ჯირითი, ზურნის დაკვრა, ყეენობა და სხვა ამგვარები“;

3. ხალხურ სპორტს და სახალხო დღესასწაულებს გაუჩნდეს გულისხმიერი პატრონი; შეიქმნას საზოგადოება, „რომელიც დაიდება მიზნად ნაციონალური თვისებების და ჩვეულებების დაცვას“, კერძოდ, ჩამოყალიბდეს „ქართულ სახალხო დროს გატარებათა საზოგადოება“, ამ საზოგადოებასთან „შეიქმნას კორპორაციები თოფის მსროლელთა, ცხენოსანთა, მობურთავეთა, მოჭიდავეთა და ა.შ.“;

4. ჯერ კიდევ შემორჩენილი სპორტული ღონისძიებანი ჩატარდეს მაღალორგანიზებულიად, რათა ისინი გადაიქცნენ შემდეგში ხალხის მოზიდვის საშუალებად. („არც ერთი დღეობა არ გავა, რომ უბედურებაც თან არ მოჰყვებს: აქ იმას გაჰყვებენ ჯირითის დროს, იქ მოსტეხენ რასმე ვინა? ლხინის მოთავენი“. „დროება“, 1881, №107);



5. ყველა ღონე უნდა იყოს ხმარებული იმისათვის, რომ შეჯიბრების ორგანიზაცია ხალხურ სპორტში ხელთ არ იგდონ კერძო მესაკუთრებმა;

6. ქართული ეროვნული სპორტის აღდგენისას დაცული უნდა იყოს პროგრესული პრინციპი: აღვადგინოთ ძირითადად სასარგებლო და თანამედროვე პირობებში გამოსაყენებელი ვარჯიში და მოხდენილად გავამდიდროთ სპორტული არსენალი ასევე სასარგებლო უცხო საშუალებებით. „დავუბრუნდეთ ჩვენს სიმღერებს, ჩვენს დროს გატარებას! ნუ დავივიწყებთ ჩვენს ხასიათს და ვეცადნეთ იმათ შევთანხმობთ, დავუნათესავოთ ევროპული განათლება და ამგვარი ჩვენი მოქმედება, მეცადინეობა გააძლიერებს ჩვენს წინმსვლელობას, ზნეობით აღვამაღლებს, ეს იქნება ჩვენი განათლება“.

ქართული პრესა სისტემატურად აქვეყნებს რჩევა-დარიგებებს მშობლებისა და პედაგოგებისათვის. აღსაზრდელში აღმზრდელი პირველ რიგში უნდა ხედავდეს თანასწორუფლებიან პიროვნებას და არა ამა თუ იმ სოციალური ფენის წარმომადგენელს. დემოკრატიული ხასიათის ეს ლოზუნგი წამოაყენა ჟურნალმა „ცისკარმა“ ჯერ კიდევ 1866 წელს: „ყმაწვილების აღზრდაზედ ერთი პირობა უნდა გახსოვდეს: იმათი სიმართლე და ხასიათი სულ ერთია და ერთი და იგივე კანონით იხსენებინ, თუნდ კეთილშობილნი იყვნენ და თუნდ უკანასკნელ მუშისანი“ (№6, გვ. 175).

მშობლები და პედაგოგები კარგად უნდა ერკვეოდნენ აღზრდის საკითხებში, იცნობდნენ პედაგოგიკას, რომელიც გვასწავლის „თუ რა რიგათ უნდა გაზრდა ყმაწვილს, ან რა თვისების ყმაწვილის ნოჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოეპყრა ყმაწვილს, ან რა გარემოებაში უნდა ჩადგეს ყმაწვილი, რომ იმას შეეთვისოს მაღალი ზნე და მაგარი აგებულება“. („დროება“, 1866, №26).

პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი გარემოს მიეკუთვნება, მემკვიდრეობის როლი უკანა პლანზე გადადის. ეს კარგად უნდა იცოდნენ მშობლებმა. „რასაკვირველია, უბრალო კაცისაგან მასწავლებელს ვერ შეუძლიან შეადგინოს, ანუ აღზარდოს ღერკულესი, მაგრამ ეს კი შეუძლიან შეადგინოს, რომ სუსტი ბუნებითი, მოძრაობით გამოიყვანოს ღონიერი.

მართალია, პიროვნების ჩამოყალიბებაში მემკვიდრეობას შედარებით ნაკლები როლი ენიჭება, მაინც ეს არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ არ გავითვალისწინოთ. მშობლებმა უნდა იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე, რადგან იგი ბავშვთა ჯანმრთელობის თავისებური საწინდარია. „ბავშვის სიმრთელეზედ და საზოგადოდ ბედნიერებაზედ უნდა იზრუნოს არამც თუ მის შობის შემდეგ, არამედ ჯვარისწერის წინადავეც კი. მშობლის ფიზიკურს, გონებითს და ზნეობითს განვითარებაზედ და მდგომარეობაზედ არის დამოკიდებული შვილის სიცოცხლის ავ-კარგიანობა. მაშასადამე, თუ მშობელი წინადავე მოიწადინებს, შეუძლიან, თუ სრულიად არა, ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს მოსალოდნელი სატანჯველი“. („დროება“, 1885, №61). „იშვიათია, რომ ჭირიან და სულით ავადმყოფ დედ-მამას სრულებით საღი და ძიერი აგებულების შვილები ეყოლოთ, შვილს თუ არა, შვილიშვილს მაინც უწევს დედ-მამის ცოდო“ („განათლება“, 1914, №2, გვ. 108); ან კიდევ: „თუ დედ-მამა ტან-მრთელი და უნაკლო ადამიანები არიან, მაშინ უმეტესად საღი და უნაკლო შვილები ეყოლებათ“, თუ მშობლები ქორწინებამდე არ აქცევენ ყურადღებას საკუთარ ფიზიკურ განვითარებას, ამით ისინი დანაშაულს სჩადიან „თავიანთ შვილებისა და შთამომავლობის წინაშე“ („ნობათი“, 1884, №2).

მშობლები და პედაგოგები გააზრებულად უნდა ერეოდნენ ბავშვთა თამაშობებსა თუ ფიზიკურ ვარჯიშობებში და ცდილობდნენ ამ პროცესის სწორად წარმართვას. „თამაშობას და ცელქობას მხოლოდ მაშინ აქვს კარგი შედეგი, როდესაც ისინი გონივრულად ამორჩეულები არიან. დედას უჭირავს ამ შემთხვევაში პირველი ადგილი“ („სასოფლო გაზეთი“, 1871, №24).

აღმზრდელმა თავის პრაქტიკული საქმიანობიდან უნდა განდევნოს ფიზიკური დასჯა. „რა ყმაწვილის აღმზრდელი გეთქმის, თუკი ყმაწვილს - თუ არ წყრომით ან ხელის და ჯოხის შემწეობით არა, ვერაფერს ასწავლი ან კეთილს რამეს ვერ შთააგონებ?“

ფიზიკური დასჯა, როგორც „ივერია“ შენიშვავს, ყმაწვილს უკარგავს „ბუნებითს ნიჭს და ჭკუას“, „ლოყები ლილასავით უხდება“ და, რაც მთავარია, უკარგავს ზნეობრივ სისპეტაკეს, „მაიმუნსავით იქცევა გაკვეთილებზედ“ (1878, №5), როზგითა და მუშტით „სიყმაწვილეში შეშინებულ ყმაწვილს თავის დღეში ვერ გახდი თამამ და გამბედავ კაცად“, „ამიტომ მშობლებს და მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ცემა-ტყეპით მეტს სიკეთეს ვერ მოუტანენ ყმაწვილებს“ (ივერია“, 1884 №4-8, გვ. 132).

მშობლები უნდა მოერიდონ ბავშვის აზიზად აღზრდას, მიაჩვიონ „ბავშვი ფეხ-შიშველა სიარულს, ცივ წყალში ბანაობას, შესაფერ ფიზიკურ ვარჯიშობას“, ეცადონ, „რომ ბავშვი ყოველთვის მსუბუქად იყოს ჩაცმული“ („განათლება“, 1916, №1, გვ. 48), გახადონ ბავშვი კოლექტიური თამაშების აქტიური მონაწილე, ნუ შეაშინებთ რაიმე მოსალოდნელი ხიფათი, „მშობლებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ არ გაანებივრონ თავიანთი საყვარელი შვილი, ამყოფონ იგი ფიზიკურად და სულიერად საღ ბავშვებში, თუნდ ეს ბავშვი სრულიად სხვა წრეს ეკუთვნოდეს“ („განათლება“, 1991, №9, გვ. 513).

მშობლებმა ფიზიკური აღზრდა ბავშვთა ყოფის შემადგენელ ნაწილად უნდა აქციონ, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ აღზრდის სხვა მხარეთა შორის მას თავისი კუთვნილი ადგილი დაუმკვიდრონ; მეშინურად ნუ მიუდგებიან მას, ბავშვთა ყოველმხრივი აღზრდის საქმეს ნუ დააყენებენ საფრთხის წინაშე. „მაშინ, როდესაც ჩვენ გვჭირდება იმგვარი კაცები, რომელნიც ყოველს შემთხვევაში გამოსადეგნი იყვნენ, ჩვენს საუკეთესო ყმაწვილს თაობას შეუწირავს თავი მარტო წიგნებისათვის და წიგნებს იქით არა საქმეში გამოსადეგნი არ არიან. ჩვენ, ქართველებს, მოგვაქვს თავი ვაჟკაცობითა და დღითი დღე გამოდის ჩვენის გულიდამ და მალე თვითონ ჩვენის ჩრდილისვე გვეშინება... ჩვენ მარტო წიგნები ვერ გვაცხოვრებენ, როგორც ვერ ვიცხოვრებთ უწიდნურადაცა, ჩვენ გვიჭირს ჯანის სიმრთელეცა, ვაჟკაცობაცა და სხვ. ამის გამო ჩვენი მარტო წიგნი არ უნდა იყოს“ („დროება“, 1867, №37). პრესას არც ის მოსწონს, რომ ზოგ ოჯახში მომდურებულნი არიან წიგნზე და მხოლოდ ვარჯიშობას არიან გადაყოლილნი, რის გამოც იზრდება „საუკეთესო შვილის მაგიერ ფუქსავატი და ჩიტი-რეკია, რომელიც თავის სიცოცხლით სავსე სიჭაბუკეს ქაღალდის თამაშობასა და ნადირობაში ატარებს“ („ივერია, 1892, №250). მაშ, მშობლებსა და პედაგოგებს ყოველთვის უნდა ეკავოთ თანაბარი პოზიცია აღზრდის მიმართ.

დიდმა ქართველმა მოღვაწეებმა გ. წერეთელმა, ლ. ბოცვაძემ, ს. მესხმა, ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ თავიანთი შეხედულებანი ფიზიკური აღზრდის შესახებ არაერთხელ გამოაქვეყნეს ქართულ პრესაში, რითაც დასაბამი მისცეს ქართული ფიზიკური აღზრდის თეორიის განვითარებას, მათი იდეები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გააგრძელეს ქართველმა გამოჩენილმა მეცნიერებმა პროფესორებმა: მ. გორგაძემ, ვ. ელაშვილმა და ა. ციბაძემ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ქართული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიას.

#### ლიტერატურა:

1. გორგაძე მ., „ფიზიკური კულტურის ისტორია“, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1965.
2. ცაბაძე ა., „ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია“ თბ., 1991.
3. ძაგანია ჯ., „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
4. ძაგანია გ., ქართული სპორტის მატთანე, თბ., 2012.
5. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები, თბ., 2002.
6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები, თბ., 2004.
7. სპორტის თეორია, თბ., 2007.
8. [www.msy.gov.ge](http://www.msy.gov.ge)

#### რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ფიზიკური აღზრდის თეორიის მეცნიერული განვითარების ეტაპები XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან XX საუკუნის ბოლომდე, რომელიც ძირითადად ეყრდნობა იმდროინდელ ქართულ პრესას, სადაც გაშუქებული იყო ფიზიკური აღზრდისა მიზანი, საშუალებანი, ფიზიკური აღზრდის როლი აღზრდის პროცესში, ეროვნული სპორტის აღდგენის პრობლემები, მშობლისა და სკოლის როლი მოზარდთა ფიზიკურ აღზრდაში.

ნაშრომში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ქართველ მოღვაწეთა შეხედულებებს ფიზიკური აღზრდის თეორიის მეცნიერული განვითარების საქმეში.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს საქართველოში სპორტის ისტორიისა და ფიზიკური აღზრდის თეორიის განვითარების შესწავლით დაინტერესებულ ადამიანებს.

#### THE LEVELS OF DEVELOPING SCIENTIFIC THEORIES OF PHYSICAL TRAINING IN GEORGIA

Aleksandre Iashvili, Full Professor  
RESUME

In the work are shown the stages of physical development theory from 50<sup>th</sup> of XIX century up to the end of XX century. The facts mainly depend on the press, where the aim, role and ways of physical development, the problems of national sports renewal and the role of school in adults physical development was highlighted.

Also the ideas of Georgian scientists, who worked on physical development theories, are taken into consideration.

This work will help every person who is interested in Georgian sports history and physical development.

## თავისუფალ ჭიდაობაში ტაქტიკური მომზადება და მისი გამოყენების სპეციფიკა ქარელელი მოჭიდავეების მაგალითზე

*გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ჭიდაობის ტაქტიკა - ეს არის მოჭიდავის მიერ დროული და რაციონალური ტექნიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვისებების გამოყენება მოწინააღმდეგის თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ხვდება მას სხვადასხვა სიტუაციებში - საწვრთნო შეხვედრაზე ან შეჯიბრზე.

სპორტული ჭიდაობის ტაქტიკა დღითიდღე ვითარდება. იცვლება ეტაპობრივად ჭიდაობის წესები - იცვლება ტაქტიკაც, შესაბამისად ერთი ტაქტიკური მოქმედება კარგავს ეფექტურობას, მეორე კი იძენს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უნდა გაითვალისწინოს მწვრთნელმა და ასწავლოს მოჭიდავეებს სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას.

სამწუხაროდ, ეს ესე არ არის, ბევრი მწვრთნელი გარდა იმისა, რომ სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას თავის აღსაზრდელებს ასწავლის მხოლოდ რამდენიმე ტექნიკურ ილეთს ჭიდაობის დიდი არსენალიდან, ნაკლებად აქცევს ყურადღებას ტაქტიკურ მომზადებას.

ბოლო დროის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასთან მიმართებაში როგორც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, ასევე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში.

სპორტის ხელმძღვანელების აზრით, ჭიდაობამ დაკარგა სანახაობრიობა, გულშემატკივართა ინტერესი - ასე ვთქვათ გახდა ერთფეროვანი. ჭიდაობის ბედი 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დადგა სასწორზე!

ხშირად ხდება ჭიდაობის წესების შეცვლა. ეს არის განპირობებული იმით, რომ ჭიდაობის სპეციალისტები ცდილობენ გაამრავალფეროვნონ და სანახაობრივად ლამაზი გახადონ ჭიდაობა.

მოჭიდავეები ამ წესებს ბუნებრივად ხვდებიან. მაღალი დონის მოჭიდავეებისათვის, ჩვენი აზრით, ეს არ უქმნის დიდ დისკომფორტს. ისინი სწავლობენ და ამუშავებენ ილეთებს და აწყობენ შეხვედრას ამ წესების მიხედვით.

საბოლოოდ, შეჯიბრებებზე შეხვედრებს აწყობენ საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე თავის სასარგებლოდ - მათი უმთავრესი მიზანია მოგება.

შეჯიბრებებზე ყოფნის დროს, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვეძლევა შესაძლებლობა ვიხილოთ სანახაობრივად ლამაზი და ეფექტური ორთაბრძოლები. ხშირად ჭიდაობა ჰგავს ცრუ სიტუაციურ თამაშს.

ამ სფეროში მოღვაწე ყველა წარმომადგენელმა უნდა გაითვალისწინოს და მოახერხოს საჭიდაო ორთაბრძოლის ხარისხის ამაღლება, რომელიც შესაძლებელია სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვის დროს საფუძვლიანი კორექტივების შეტანის ხარჯზე.

ჩვენი აზრით, სასწავლო პროცესში როგორც დაწყებით საფეხურზე, ასევე საშუალო და მაღალ საფეხურებზე უნდა ვასწავლოთ სპორტსმენებს და გამოვუმუშაოთ უნარი, ჩაატარონ სხვადასხვა ეფექტური ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებები.

ილეთის მომზადების ტაქტიკას სასწავლო-საწვრთნო პროცესში ჩვენ ვასწავლიდით მაშინ, როდესაც შემსწავლელთა მიერ ყველა კონკრეტული ტექნიკური მოქმედება იყო ათვისებული უნარის გარკვეულ დონემდე, ე.ი. ჩნდებოდა იმის პირობა, რომ მოჭიდავეს შეეძლო შეესრულებინა ილეთი სასწავლო შეხვედრაში თანაბარი ძალის მოწინააღმდეგესთან. ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაში ჭიდაობის საკითხებზე ნათლად აღინიშნება ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების მჭიდრო კავშირი.

მოჭიდავის მიერ ათვისებული ყოველივე ახალი ტექნიკური მოქმედება ზრდის მის ტაქტიკურ შესაძლებლობებს, ტაქტიკური ოსტატობის სრულყოფა კი, თავის მხრივ, სტიმულირებას ახდენს ახალი ტექნიკური მოქმედებებისა და ელემენტების ასათვისებლად.

თავის ნაშრომებში ა. ნ. ლენცმა ჭიდაობის ტაქტიკაში გამოყო სამი განყოფილება: 1) შეტევითი ტექნიკური მოქმედებების ჩატარების ტაქტიკა; 2) შეხვედრის ჩატარების ტაქტიკა; 3) შეჯიბრში მონაწილეობის ტაქტიკა. პრაქტიკამ დაამტკიცა ასეთი კლასიფიკაციის ობიექტურობა.

შეტევითი ილეთების ტაქტიკის ჩატარების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს სასურველი შეტევისათვის სიტუაციის გამოყენება, რომელიც წარმოიქმნება ან სტიქიურად, ან მისი წარმოქმნისათვის გამოიყენება სხვადასხვა მოსამზადებელი ოპერაციები.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ პირველ რიგში, მოჭიდავე სწრაფად უნდა აფასებდეს და შესაბამისად სწრაფად იღებდეს საპასუხო გადაწყვეტილებას შეხვედრაში, მეორე შემთხვევაში კი ფლობდეს მოსამზადებელი ოპერაციების ეფექტურ არსენალს.

ჩვენ მუშაობაში მოჭიდავის ტაქტიკური მომზადება ითვალისწინებდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. მოსამზადებელი ოპერაციების სპექტრის გაზრდა შეტევითი ილეთების შესასრულებლად, ამისათვის გამოყენებული იყო ორი ან სამი მოსამზადებელი ოპერაცია;

2. ყალიბდება კავშირი ერთი მოქმედებიდან მეორესთან, მეორესი - მესამესთან და ა.შ. თავისუფალ ჭიდაობაში ყველა ილეთის ფლობა არ ნიშნავს იმას, რომ გაიმარჯვებ. მთავარია დროულად შეასრულო ესა თუ ის ილეთი. ხშირად მოჭიდავე ბრწყინვალედ ასრულებს გდებას, მაგრამ ვერ ასწრებს მოწინააღმდეგის გაჩერებას კრიტიკულ სიტუაციაში და სუფთაზე დაწვენას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოჭიდავის გონებაში ამ ორ მოქმედებას შორის არ არსებობს ფსიქო-მოტორული კავშირი. ამისთვის მან ეს უნდა აკეთოს და ისწავლოს ვარჯიშზე და მოხდეს ამ კავშირის დამყარება.

3. ხდებოდა ყველა აღნიშნული უნარისა და ჩვევის სრულყოფა საწვრთნო, საკონტროლო და საშეჯიბრო შეხვედრებში. ტაქტიკის სწავლება და სრულყოფა ხდებოდა დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით.

სასწავლო-საწვრთნო პროცესში ჩვენ ვიყენებდით მრავალფეროვან ტაქტიკურ ხერხებს, რომელიც არსებობს თავისუფალი ჭიდაობის თეორიასა და პრაქტიკაში: წონასწორობიდან გამოყვანის სხვადასხვა ხერხებს, გახსნას, მანევრირებას, მუქარას, უცბათობას (მოულოდნელობას), შებოჭვას, გამეორებით იერიშს, გამოწვევას, ყურადღების გამოთიშვას.

ჩატარებულმა სამუშაომ და აღნიშნულმა მიდგომამ მოგვცა დადებითი შედეგი როგორც სასწავლო-საწვრთნო პროცესში, ასევე შეჯიბრზე.

ჩვენმა ქარელელმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს მრავალი გამარჯვება რეგიონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

### ლიტერატურა:

1. Палковский Н.М., Катумин А.З., «Спортивная борьба», М., ФиС, 1968, с. 584.
2. Ленц А.Н., Новиков А.А., Пилоян Р.А., Изучение тактико-технической подготовки борцов. – Теория и практика физической культуры, 1972, №12.
3. Оленник В.Г., Тактика в соревнованиях. В ежегод. «Спортивная борьба», М., ФиС, 1971, с. 19-22.
4. Пилоян Р.А., Контроль за технико-тактической подготовкой борцов, В ежегод. «Спортивная борьба», М., ФиС, 1971, с. 125-135.
5. Преображенский С.А., Когда прекратить совершенствование приёма? В ежегод. «Спортивная борьба», М., ФиС, 1984, с. 44-48.

### რეზიუმე

ჭიდაობაში ტაქტიკურ მომზადებას აქვს უდიდესი როლი. მწვრთნელმა სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვისას მოსწავლეებს დროულად უნდა შეასწავლოს ტაქტიკური მოქმედებები. შეტევითი ილეთის ტაქტიკის შესწავლა შესაძლებელია მაშინ, როდესაც თვითონ ილეთი არის შესწავლილი მყარი უნარის დონეზე. ტექნიკასა და ტაქტიკას შორის უნდა დამყარდეს ძლიერი და ეფექტური კავშირი.

**TACTICAL TRAINING IN FREE-STYLE WRESTLING AND THE SPECIFIC OF ITS USAGE**  
**Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor**  
**RESUME**

In wrestling the importance of tactical preparing is great. The trainer must teach all kinds of tactical activities to his trainees on time. Teaching all methods to attach is effective when the method itself is studied very well. There must be strong and permanent link between technical and tactical training. And only in this case it will be possible to achieve success.

**თანამედროვე ტექნოლოგიებით ელექტრონული მმართველობის ორგანიზების  
შესახებ საქართველოში**

*გიორგი ნოზაძე, ასოცირებული პროფესორი*

საქართველოში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სულ უფრო მზარდი გამოყენების პარალელურად რეალური ხდება ელექტრონული მთავრობის იდეის განხორციელება. ელექტრონული მთავრობა განიხილება, როგორც საქმიანობის ყველა დონესა და სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიით მმართველობის ორგანიზების პრინციპი და მოიცავს მმართველობის ორგანოს საქმიანობის კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, ამ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ადმინისტრაციული და საფინანსო ოპერაციების ჩატარებასა და მათ კონტროლს, აგრეთვე საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმირებასა და ანგარიშგებას.

ელექტრონული მთავრობა, როგორც მმართველობის ორგანოს ორგანიზების პრინციპი, გულისხმობს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონალურ და სტრუქტურულ გარდაქმნებს, რათა უფრო თანმიმდევრული, მარტივი და მიზანმიმართული, ინდივიდუალიზებული და საბოლოო ჯამში გაცილებით ეფექტიანი გახდეს ურთიერთქმედებები მოქალაქეებთან, მეწარმეებთან, თვით საჯარო მოსამსახურეებთან და აგრეთვე სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს შორის.

ელექტრონული მთავრობის ორგანიზების საშუალებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებული მიღწევები იძლევა. ამ მიღწევების შედეგია, რომ დღეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში - აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა, თანამედროვე მმართველობის სისტემები და სტრუქტურები ეფუძნებიან საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. პრაქტიკულად კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებულია მათი დოკუმენტბრუნვა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება და გადაგზავნა, გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედებები მოსახლეობასთან, საკუთარ თანამშრომლებთან - საჯარო მოსამსახურეებთან და ერთმანეთთან.

ამ ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ელექტრონული მმართველობის ორგანიზებისათვის საჭიროა სამი აუცილებელი პირობის არსებობა:

- *ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობა:* მმართველი ერთეული უზრუნველყოფილია სათანადო ინფოკომუნიკაციების სამივე კომპონენტით - კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებულია;
- *ინსტიტუციური პირობა:* მმართველი ერთეული ფუნქციურად და სტრუქტურულად წარმოადგენს ლოგიკურ სისტემას, ანუ როგორც მისი საქმიანობა, ასევე ამ საქმიანობის განხორციელების პროცედურები, აგრეთვე ორგანიზაციული აგებულება აღწერადი უნდა იყოს მათემატიკური ალგორითმით. პრაქტიკულად ელექტრონული მთავრობის არსებობისათვის აუცილებელია მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციები, ადმინისტრაციული პროცედურები და ორგანიზაციული სტრუქტურა.
- *საინფორმაციო გარემოს არსებობის პირობა.* მმართველობის ორგანო საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინფორმაციულ სივრცეში ფუნქციონირებს. თუ ეს

სივრცე სათანადოდ ინფორმაციზებული არ არის, ე.ი. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო პროცესები საზოგადოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე არ მიმდინარეობს, მაშინ ელექტრონული მთავრობაც წესით აზრს კარგავს.

ელექტრონული მმართველობის განხორციელების წინაპირობა საინფორმაციო საზოგადოების არსებობაა, რომლის დროსაც ხელისუფლებისა და საჯარო ორგანოების მიზანი ხდება არა მხოლოდ ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, არამედ თითოეული მოქალაქის მოსახერხებელი გათვალისწინება, რათა ყველასათვის იქნას მიღწეული საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაცია.

შესაბამისად, შესაძლებელია ინფორმაციზაციის პროცესი როგორც მმართველობის, ასევე სხვა საზოგადოებრივი სფეროს (ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, კულტურის და სხვ.) ინფორმაციზაციითაც დაიწყოს და შემდგომ პარალელურ რეჟიმში განვითარდეს. ამ თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვაგვარი სცენარები მოიაზრება და სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი სცენარები განხორციელებულია კიდევ, თუმცა ეს ინფორმაციზაციისა და ელექტრონული მთავრობის არსს არ ცვლის. მიუხედავად იმისა, თუ ვინ - საზოგადოება თუ მმართველობა არის უფრო მზად მოწინავე ტექნოლოგიების თავისი საქმიანობის ბაზისად გადასაქცევად, ელექტრონული მთავრობა ყველასათვის მოსახერხებელი, ერთნაირად მიმზიდველი, ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტაა. ელექტრონული მთავრობის გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია ცივილიზაციის ახალი ეტაპის - საინფორმაციო საზოგადოების ზღურბლთან მდგარი მოწინავე ქვეყნების არსებობა და განვითარება.

საქართველო, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა, საინფორმაციო საზოგადოების მმართველობის პრინციპის განხორციელებისაგან ჯერ კიდევ შორსაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ამოცანა, ელექტრონული მთავრობა მმართველობის სისტემის რეფორმირების ყველაზე მარტივი, ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტა იქნება.

საქართველოში ელექტრონული მთავრობის განხორციელებისათვის პრინციპული ხასიათის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პრობლემა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინფოკომუნიკაციები უკვე დიდი ხანია არსებობს, მაგრამ პრობლემაა როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის ქართულად ადაპტირება, ასევე მმართველობის ორგანოების უზრუნველყოფა თანამედროვე ინფოკომუნიკაციებით. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ არ შექმნილა ისეთი კონცეფცია და პროგრამა, რომელიც მმართველობის ორგანოსა თუ საჯარო დაწესებულების საქმიანობის სრულ ინფორმაციზაციას ითვალისწინებს.

პრაქტიკაში ხდება ამა თუ იმ დაწესებულების კომპიუტერიზება, ზოგჯერ უზრუნველყოფილია კომუნიკაციები და ხელმისაწვდომია ინტერნეტიც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საუკეთესო შემთხვევაში ინფორმაციზებულია საქმიანობის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული და ძალზე ვიწრო სფერო, რაც საერთო მდგომარეობას ვერ ცვლის და სრულიადაც არ ნიშნავს დაწესებულების ელექტრონული საშუალებების ბაზაზე ორგანიზების პირობათა შექმნას.

ელექტრონული მთავრობის შესაქმნელად საქართველოსათვის ყველაზე პრობლემატურია ინსტიტუციური პირობის უზრუნველყოფა. რეალურად ძალზე იშვიათია საჯარო დაწესებულება, რომლის საქმიანობა რაციონალური სქემის ჩარჩოებში შეიძლება მოთავსდეს. ჩვეულებრივ, დაწესებულების ფორმალური სტრუქტურა შეუთავსებელია როგორც ამ დაწესებულების რეალურად არსებულ ფუნქციებთან, ასევე საქმიანობის რეალურ პროცედურებთან. მოსამსახურეთა, აგრეთვე მოსამსახურეთა და დაწესებულების კლიენტთა ურთიერთქმედებანი იმგვარია, რომ წარმოუდგენელია მათი ფორმალიზება და მათემატიკური ალგორითმით წარმოდგენა. ასეთ პირობებში ულტრათანამედროვე ტექნოლოგიაც და ყველაზე მოწინავე ტექნიკაც გამოუსადეგარია რეალური გადაწყვეტილებების მისაღებად, შესასრულებლად და საკონტროლოდ. იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად მმართველობის სისტემაზეც. სხვადასხვა დონისა და დარგის მმართველობის ორგანოთა ურთიერთქმედებები, მათი რესურსები და კომპეტენციები რეალურად გაუმიჯნავია, რაც ამ ორგანოების საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე რეორგანიზებისათვის ყველაზე სერიოზული ბარიერია.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ელექტრონული მთავრობისათვის აუცილებელი საინფორმაციო გარემოს პრობლემა. მართალია, საქართველოში დაბალია საინფორმაციო ტექნოლოგიებით და ინფოკომუნიკაციებით სარგებლობის საერთო დონე, მაგრამ თვითონ ელექტრონული მთავრობა უფრო უნდა განვიხილოთ თანამედროვე საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბების, ინფორმაციზაციის ერთ-ერთ სავალდებულო პირობად და არა პირიქით.

იმისათვის, რომ საქართველოში რეალურად შეიქმნას ელექტრონული მმართველობა პირველ რიგში უნდა განხორციელდეს:

ა) მმართველობის სისტემის ძირეული რეფორმა - როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე უნდა გაირკვეს სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ლოგიკური მოდელი - ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, მათი კომპეტენციები, პასუხისმგებლობა, რესურსები, ურთიერთკავშირები და ურთიერთქმედების მექანიზმები და სხვა;

ბ) საჯარო სამსახურის სისტემური და სტრუქტურული რეფორმა - გაირკვეს საჯარო სამსახურის ლოგიკური მოდელი, დაწესდეს სამსახურის სტრუქტურის ლოგიკური კავშირი ფუნქციებთან და კომპეტენციებთან, საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის და შესაბამის პროცედურათა ალგორითმი, საჯარო სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის რაციონალური წესები, ელექტრონული მთავრობის საქმისწარმოების სტანდარტები და ა.შ.;


გ) ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა - აუცილებელია შეიქმნას საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაციის პროგრამები, რომლებიც კონკრეტული დაწესებულების კომპეტენციების, ფუნქციებისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის სრული ინფორმატიზაციის (კომპიუტერიზება, ავტომატიზება, ინტერნეტიზება) ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს; უნდა დამუშავდეს ელექტრონული მთავრობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების (მაგ., მაიკროსოფტის სისტემები - G2C (Government to citizen), G2B (Government-to-business), G2E (Government-to-employee), G2G (Government-to - Government) და შესაბამისი ინტერფეისების ქართული ვერსიები; ასევე აუცილებელია ელექტრონული მთავრობის ქართულენოვანი კონტენტის დამუშავება-დანერგვა;

დ) საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესება - უნდა შეიქმნას საინფორმაციო კომუნიკაციების საყოველთაო ხელმისაწვდომობის სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები; სოციალურად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მომსახურებათა ინფორმატიზება და ამ მომსახურებათა მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომობა; საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომი მასობრივი სასწავლო-საგანმანათლებლო და გამოყენებითი პროგრამების განხორციელება.

ამ მიზნების მიღწევა სხვადასხვა სცენარებით შეიძლება. ამა თუ იმ სცენარის არჩევა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში შესაძლოა განხილული იქნას ელექტრონული მთავრობის ორი - „ზემოდან“ და „ქვემოდან“ შექმნის სცენარი.

ელექტრონული მთავრობის „ზემოდან“ შექმნის სცენარით ყველა დონის - ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მასობრივი გადაყვანა საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან და მოითხოვს სამი ძირითადი მიმართულებით კომპლექსური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას:

- ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- რაციონალური საჯარო სამსახურის შექმნის სახელმწიფო პოლიტიკა.



ელექტრონული მთავრობის „ზემოდან“ შექმნის სცენარი

ელექტრონული მთავრობის „ქვემოდან“ შექმნის სცენარით ელექტრონულ მთავრობათა შექმნა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივით. ამ სცენარის განსახორციელებლად რაიმე პრინციპული ხასიათის საკანონმდებლო შეზღუდვები თვითმმართველ ერთეულებს არა აქვთ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისაგან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეთ. თუ ამ ინიციატივას ბევრი თვითმმართველი ერთეული აპყვა, ეს იქნება ყველაზე უფრო ეფექტიანი დეცენტრალიზაცია რეალურ ქართულ პრაქტიკაში.

თვითმმართველი ერთეულის მიერ ელექტრონული მთავრობის „ქვემოდან“ შექმნა ისეთი ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს, როგორცაა: ლოკალური ინფორმაციზაციის პროგრამული და ნორმატიული უზრუნველყოფა; ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და ადგილობრივი სამსახურების რაციონალური მოდელის შექმნა და განხორციელება; ელექტრონული მთავრობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა; საფინანსო და საკადრო უზრუნველყოფა.

თუმცა ელექტრონული მთავრობა საშუალებას იძლევა მოსახერხებლად, ეკონომიურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები, მაგრამ მნიშვნელოვნად იზრდება ინფორმაციის დაცვის საფრთხეები. ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ამოცანაა და მოითხოვს კიბერუსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას, რაც არცთუ ისე მარტივი ამოცანაა.

#### ლიტერატურა:

1. Linda D. Koontz, Electronic Government, 2003.
2. Wayne Huang, Keng Siau, Kwok Kee Wei Electronic Government Strategies and Implementation, 2005.
3. [www.navigato.ge](http://www.navigato.ge)

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფოკომუნიკაციების საშუალებით მმართველობის ორგანიზების პრინციპი. მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია ელექტრონული მმართველობის ორგანიზებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

განხილულია ელექტრონული მთავრობის შექმნის მიზნები, ელექტრონული მმართველობის შექმნის სცენარები და საქართველოში ელექტრონული მმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

## E-GOVERNMENT ORGANIZATION WITH MODERN TECHNOLOGY IN GEORGIA

Tsiuri Nozadze, Associate Professor

### RESUME

This paper discusses the principles of E-governance through modern information and communication technology. Based on the experience of the advanced countries formulate necessary measures for the organization of E-governance.

Purpose and consider creating E-government, presented a scenario for the creation of E-government Given the necessary measures to create an E-government in Georgia.



## *ბიზნესი და მართვა* *Business and Management*

### **სოფლად კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ ფერმერთა გაერთიანებაშია**

*დავით ბიძინაშვილი, სრული პროფესორი  
ორიონ ქობლანიძე, მოწვეული სპეციალისტი*

საქართველოში ფერმერთა გაერთიანებების საკითხმა წინ წამოიწია. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი, რომელიც სოფლად კოოპერატივების შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის ნაწილია და მიწების გამსხვილებას ისახავს მიზნად. დღეს საქართველოში ფერმერების 78% ფლობს 1 ჰა-მდე სავარგულს და მათთვის მეურნეობა მომგებიანი აღარ არის. მწირი შემოსავლისა და არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის გამო უამრავი გლეხი იძულებული ხდება მიწის დამუშავება საერთოდ შეწყვიტოს.

კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ ფერმერთა გაერთიანებაშია - ასე ვფიქრობთ ჩვენ და ასე ვფიქრობენ ავტორები და სპეციალისტები. ფერმერთა გაერთიანების წასახალისებლად, იგეგმება ტექნიკის უფასოდ ან ლიზინგით გადაცემა.

მთავარი, ალბათ, მაინც საგადასახადო შეღავათებია, რომლებსაც ზემოხსენებული კანონპროექტი ითვალისწინებს. კერძოდ, ლაპარაკია ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლებაზე მიწის გადასახადისგან, რომლის რაოდენობაც ამჟამად 1 ჰა-ზე 87-დან 100 ლარამდე მერყეობს. შესაძლებელია საშელავათო პერიოდის დაწესებაც - სამიდან ხუთ წლამდე. ითქვა ისიც, რომ კოოპერატივები, დონორი ორგანიზაციებისგან გრანტის მიღების შემთხვევაში, 20%-იანი საშემოსავლო გადასახადითაც აღარ დაიბეგრებიან.

მიწის რეფორმის გატარების გზით, რომელიც 1992 წელს დაიწყო, ხელისუფლებამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მასობრივი გაცემა გადაწყვიტა. სხვა გამოსავალი მაშინ არ ჩანდა: ეკონომიკა და საგარეო ურთიერთობები მოშლილი, ხოლო მოსახლეობა უკიდურესად გადატაცებული იყო. მასობრივი სოციალური უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად მიწის ნაკვეთები პრაქტიკულად ყველას, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მკვიდრებსაც დაურიგეს იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა მიწაზე მუშაობის გამოცდილება. სოფლებს 1.25 ჰექტარამდე ფართობი (მაღალმთიან ზონაში - 5 ჰექტარამდე) ერგოთ, ქალაქებს კი - 0.15 ჰექტარი. რეფორმას არ გააჩნდა კონცეპტუალური საფუძვლები და არც გრძელვადიან გათვლებს ემყარებოდა. საკუთარი ხელით მოწეული კარტოფილის, პომიდვრისა თუ სხვა პროდუქტების წყალობით, ხალხი შიმშილს გადაურჩა, თუმცა სანაცვლოდ ქვეყანამ უკიდურესად დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო მიწები მიიღო. დღეს ფერმერთა 78% ერთ ჰექტარამდე სავარგულს ფლობს, ასეთი ფრაგმენტაციის პირობებში კი მეურნეობის წარმოება არამომგებიანი გახდა. მწირი შემოსავლებისა და არათანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის გამო გლეხებმა ვედარც მწყობრიდან გამოსული საბჭოთა ტექნიკის გადაიარაღება შეძლეს და ვერც არათანამედროვე კვალიფიკაციის ამაღლება. შედეგად სახეუა სექტორის კრიზისი, დაცლილი სოფლები და „ელიავასა“ თუ სხვა ბაზრობებზე თავმოყრილი ჩვენი დროის „პროლეტარიატი“.

ჩვენი აზრით, შეზღუდული მიწის, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ფონზე კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ ფერმერთა გაერთიანებაშია. ვინაიდან ამ მიზნის მიღწევა საკმაოდ რთულია, კანონპროექტი ითვალისწინებს კოოპერატივის შექმნას ბარში სულ მცირე ხუთი, ხოლო მთაში - სამი ფერმერის მონაწილეობით, თუმცა, მიწის ფართობზე შეზღუდვები არ არის. ხუთი ფერმერი, შესაძლოა, ერთობლივად 100 ჰექტარზე მეტ მიწის ნაკვეთს ამუშავებდეს. კონკურენტუნარიანობისა და ეფექტურობის ასამაღლებლად, მომავალში კოოპერატივების გამსხვილება მოსალოდნელია.

ისეთი საკითხები, როგორცაა, აგრონომის, ბუღალტრის, თუნდაც იურისტის მომსახურება, გაცილებით იაფი დაუჯდება კოოპერატივს, სადაც ბევრი წევრია გაერთიანებული, რადგან ხარჯი მეტ ადამიანზე ნაწილდება.

რადგან ფერმერებს გამოცდილება საორგანიზაციო საკითხებში ნაკლებად აქვთ, მათ გათვითცნობიერებასა და „დაკვალიანებას“ საკუთარ თავზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო აიღებს ისევე, როგორც მათ რეგისტრაციას, თუმცა, შემდგომში, ამ ფუნქციას სპეციალური არასამთავრობო ორგანიზაცია შეასრულებს. კოოპერატივებს თვითმმართველობის ფორმა ექნებათ და დემოკრატიული პრინციპით იმუშავებენ: ერთი წევრი - ერთი ხმა.

განიხილება აგრეთვე კოოპერაციების შიგნით შეცვლილი სასაქონლო კოდით პროდუქციის მიწოდების დღგ-სგან გათავისუფლების საკითხიც, თუმცა, მხოლოდ 100 ათასი ლარის ფარგლებში.

თუ ერთი კოოპერატივი აწარმოებს ყურძენს და მიჰყიდის მეორე კოოპერატივს, რომელიც მისგან ღვინოს დაამზადებს, ამ შემთხვევაში მეორე კოოპერატივიც გათავისუფლდება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, თუ მესამე კოოპერატივი აღნიშნულ ღვინოს ბოთლებში ჩამოსახამს და გასაყიდად გაიტანს, თავის მხრივ, ისიც დღგ-თი არ დაიბეგრება, ვფიქრობთ, ეს მათთვის მნიშვნელოვანი სტიმული იქნება. პრაქტიკულად, სახელმწიფო სუბსიდირებას განახორციელებს.

ძველი კანონით იურიდიულ პირად რეგისტრაციის დროს კოოპერატივები ავტომატურად ხდებოდნენ მოგების გადასახადის, 100-ათასლარიანი ბრუნვის შემთხვევაში კი - დღგ-ის გადამხდელები, ხოლო თუ თანამშრომელს აიყვანდნენ, მაშინ საშემოსავლოც უნდა ეხადათ. არანაირი ხელშეწყობა არ ჰქონდათ. ცხადია, ამ მხრივ, ეს კანონი წინგადადგმული ნაბიჯია.

თუმცა, მთავარ პრობლემას, ჩვენი აზრით, მაინც ფერმერთა შორის ურთიერთდობის დამყარება წარმოადგენს. რთულია, ერთმანეთში შეთანხმდნენ, როგორ გაანაწილონ შრომა და ფინანსური რესურსები, ქართველებს ინდივიდუალისტური ხასიათი გვაქვს. ცალკე საკითხია მენეჯმენტის ცოდნა. ვფიქრობთ, მათ სერიოზული ტრენინგები დასჭირდებათ.

სოფლის მეურნეობის ყველაზე დიდი თავსატეხი აგროდაზღვევაა. დღემდე პრეცედენტებიც კი არ შეიქმნა წარმატებული აგროდაზღვევისა, რომ ამ მიმართულებით რაიმე სახის დასკვნა მაინც გაკეთდეს. სოფლის მეურნეობა მაღალრისკიან დარგად მიიჩნევა. მსხვილი ბანკები აგრობიზნესის სეგმენტში საერთოდ არ შედიან. აქ ძირითადად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მუშაობენ. თუმცა მათ მიერ გაცემული სესხები პრობლემურია, რადგან მცირე მოცულობისაა, მოკლევადიანი და მაღალპროცენტისა. ზოგადად, მონდომების შემთხვევაში, შესაძლებელია ფერმერმა სესხი აიღოს, მაგრამ რეალურად ისეთი მოცულობის სესხის აღება, რომელიც განვითარებას შეუწყობს ხელს, ძალიან რთულია.

სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქტები საქართველოს ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 20%-ს აკმაყოფილებს. საკრედიტო რესურსის ხელმიუწვდომლობის გარდა, აგრობიზნესის განვითარების კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ბიზნესსაოციაციების ანუ ფერმერული გაერთიანებების არარსებობა შეიძლება. ფერმერთა გაერთიანება ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული და სპეციფიკური საკითხია. აუცილებელია მოხდეს ფერმერული მეურნეობების წახალისება, რადგანაც ყველამ კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ ამ დარგის განვითარებაზე დამოკიდებულია საქართველოს მოსახლეობის 47%-ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ასევე ქვეყნის მთელი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა იაფ და საღ სურსათთან.

შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ეს ყველაფერი კოლექტივიზაციას წააგავს, მაგრამ კოლექტივიზაცია სულ სხვა რამეა, კოოპერირება კი - სულ სხვა. ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში სოფლის მეურნეობა სწორედ ფერმერთა გაერთიანებებზეა დაფუძნებული. შედეგით ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა სოფლის მეურნეობის მხრივ, იქ ზოგიერთ ფერმერთა გაერთიანებებში 1000-1500 კაცი მუშაობს. ამჟამად, რომ ეს ძალიან კარგი გზა არა მარტო დარგის განვითარებისთვის, არამედ ხალხის დასაქმებისთვისაც.

კოოპერატივები დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ პრინციპებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას მეხორბლეთა გაერთიანება, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი ხორბლის მოყვანას, გაყიდვას, კვლავწარმოების ფონდის შექმნას.

უდავოა, რომ კოოპერატივების შექმნა დიდად წახალისებს სოფლის მეურნეობას, რადგან კოოპერატივი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც უფრო ადვილად გაართმევს თავს ამოცანებს და უფრო ადვილად მოიზიდავს ფინანსებს - ინვესტორი ეცდება, ფული გამსხვილებულ მეურნეობაში დააბანდოს. თუ მეურნეობები არ გამსხვილდება, იქ შრომის ნაყოფიერება ყოველთვის დაბალი იქნება. წარმოიდგინეთ, როცა ლაპარაკია 50, 100 ჰა-ზე და ნახევარ ჰა საკარმიდამო ნაკვეთზე - რომელი უფრო შემოსავლიანი იქნება მისი მფლობელისთვის?

კოოპერატიულ გაერთიანებებს ექნებათ შეღავათები გადასახადების მხრივაც. მაგალითად, კოოპერატივებს, რომლებიც შეიქმნება მთიან ან სასაზღვრო რეგიონებში, გადასახადი შეუმცირდებათ მთელი 50%-ით. ერთადერთი საკითხი, რომელიც შეიძლება სადავო გახდეს, ეს კოოპერაციიდან გასვლაა.

ამიტომ, ყველაფერი უფრო დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ კოოპერატიულ გაერთიანებას ყველაფერი გაცილებით იაფი დაუჯდება, რადგან იქ ხარჯი მეტ ადამიანზე ნაწილდება, ინოვაციებიც უფრო მეტად დაინერგება და, ბუნებრივია, ამ დარგის შემოსავალიც ერთიორად გაიზრდება.

ჩვენი აზრით, კანონში ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი: როგორი იქნება ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან, უკეთესია დაბალი გადასახადების დაწესება სოფლის მეურნეობაში, ფერმერები არ უნდა შეაშინონ ისეთი გადასახადით, რომელსაც ისინი ვერ შესწვდებიან. ალბათ საკითხის განხილვას როცა დაიწყებენ, ისეთ ხალხს და ექსპერტებს უნდა დაუძახონ, ვინც ფერმერების პრობლემები ზედმიწევნით იცის. საჭიროა კონსულტაციების გავლაც ქართველ და უცხოელ ფერმერებთან, სპეციალისტებთან, სხვა ქვეყნების გამოცდილებაც უნდა გავიზიაროთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.

#### ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://geostat.ge>
2. <http://maf.ge>
3. <http://moa.gov.ge>
4. <http://parliament.ge>

### რეზიუმე

საქართველოში ფერმერთა გაერთიანებების საკითხმა წინ წამოიწია. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი, რომელიც სოფლად კოოპერატივების შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის ნაწილია და მიწების გამსხვილებას ისახავს მიზნად. დღეს საქართველოში ფერმერების 78% ფლობს 1 ჰა-მდე სავარგულს და მათთვის მეურნეობა მომგებიანი აღარ არის. მწირი შემოსავლისა და არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის გამო უამრავი გლეხი იძულებული ხდება, მიწის დამუშავება საერთოდ შეწყვიტოს.

კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ ფერმერთა გაერთიანებაშია - ასე ვფიქრობთ ჩვენ და ასე ფიქრობენ ავტორები და სპეციალისტები. ფერმერთა გაერთიანების წასახალისებლად იგეგმება ტექნიკის უფასოდ ან ლიზინგით გადაცემა.

## **RURAL FARMERS' UNION ONLY WAY OUT OF THE CRISIS**

**David Bidzinashvili, Full Professor**

**Roin Koblianidze, Specialist under contract**

### **RESUME**

Farmers' unions raised the issue in Georgia. Submitted to the parliament a draft bill, which provides for the establishment of rural cooperatives. The bill is part of agriculture and land development plan aimed at enlargement. Today, 78% of farmers in Georgia 1 acres - to the land and the farm is no longer profitable. Low income and poor public policy because many farmers had to happen to stop the process altogether. Only the farm crisis of the times - that's how we think and how we think about the authors and specialists. To encourage farmers' union, the equipment will be free of charge or lease transfer.

Perhaps the least important tax discounts, which are above the law. In particular, we are talking about full or partial exemption from the land tax, which is currently number 1 ha - at 87 - to 100 GEL. It is possible to establish a grace period - three to five years. It was also said that the co-operatives, donors and grant-making event - 20% of income is not taxed at taxes.

## სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის პრიორიტეტები

*გიული გიგუაშვილი, სრული პროფესორი*

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მოსახლეობის სოციალური დაცვა წარმოადგენს. „სოციალური დაცვა“ - შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც იცავს მოქალაქეებს სოციალური რისკების არახელსაყრელი გავლენისაგან, რასაც სამუშაოს და შრომისუნარიანობის დაკარგვის, ან ავადმყოფობის და სოციალური დეზინტეგრაციის საფრთხე მოსდევს. მის ქვაკუთხედს წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებითა და კანონმდებლობით განმტკიცებული სოციალური გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მიმართულია სოციალური რისკების შედეგების კომპენსირებასა და ადამიანთა ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფაზე.

ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთიანი სივრცე ყალიბდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავენ კიდევ საზოგადოების განვითარების დონეს. თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად გარკვეული რისკის ქვეშ ექცევა სოციალური, პროფესიონალური, ეკოლოგიური, ტექნოგენური, ბიოლოგიური და სხვა მიმართულებით. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ძირეულად იქნას შესწავლილი სოციალური რისკები, რომლებთანაც არის დაკავშირებული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეუძლია მას თავიდან აიცილოს ან შეამციროს მისგან მიყენებული ზარალი, რათა შეძლოს არსებული სოციალური მდგომარეობის შენარჩუნება.

რისკი არის მოსალოდნელი საფრთხის შესაძლო გარემოებები, რომელსაც მოჰყვება სოციალური ან მატერიალური დანაკარგები, შესაძლო ზარალი, წარუმატებლობა რაიმე საქმეში. რისკისთვის დამახასიათებელია მოულოდნელობა და სახიფათო სიტუაციის უცაბედობა. რისკის წარმოქმნა შეიძლება იყოს მიზანმიმართული ან გამოწვეული გაუფრთხილებლობით, ასევე მისი შედეგი გაუაზრებელია ან გააზრებული. გარკვეული რისკის ზემოქმედების ქვეშ სოციალური სუბიექტი შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ საკუთარი ქმედების ან უმოქმედობის შედეგად, არამედ გარემო პირობების ზემოქმედების გამო. ამის მაგალითია ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: უმუშევრობა, პოლიტიკური დამაბულობა, ეკოლოგიური საფრთხე და ა.შ. სოციალური რისკის წარმოქმნა და მისი შედეგების გავლენა როგორც ინდივიდზე, ასევე სოციალურ ჯგუფებზე შეიძლება განპირობებული იყოს თვით იმ ინდივიდის მიერ, რომელმაც თვითონ მიიღო არახელსაყრელი შედეგი თავისი საქმიანობიდან და ამავე დროს ზიანი მიაყენა ცალკეულ სოციალურ ჯგუფებსაც.

სოციალური რისკების ანალიზის მეთოდოლოგიების შესაბამისად რისკის ჯგუფის განსაზღვრის კრიტერიუმად მიღებულია სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები: სქესი, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია და ა.შ. ამ კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლებელია შესწავლილ იქნას ცალკეული სუბიექტები და სოციალური ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ გაუმკლავდნენ ამა თუ იმ რისკს და შეძლონ ადაპტირება რისკთან და ასევე გამოიკვეთოს ჯგუფები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ვერ ეწინააღმდეგებიან რისკს და ყველაზე მეტად განიცდიან მის ზემოქმედებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი და სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელობა.

სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინი „სოციალური რისკი“ განსაზღვრულია, როგორც სიღარიბე, პენსიაში გასვლის ან სამუშაოს დაკარგვის და დაავადების შედეგად. დღეს ამ სახის რისკები ნაკლები სიმწვავისაა, რადგან დაიფარება სოციალური დაცვის სხვადასხვა სისტემით.

სოციალური დაცვა - ეს არის მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუარესების შემთხვევაში სოციალური რისკებისგან დამცავი ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, სამედიცინო და ტექნიკური ღონისძიებების სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს კორპორაციებში, რეგიონებსა და სახელმწიფოში სოციალური მექანიზმების, სხვადასხვა ფონდებისა და სოციალური დაცვის ინსტიტუტების სახით.

სოციალური დაცვის შეფასების კრიტერიუმებად მიიჩნევა შრომითი ცხოვრების ხარისხის სოციალური გარანტიები და აღიარებული ეროვნული მახასიათებლები (ნორმები): საწარმოო სფეროს მდგომარეობა, შრომის დაცვა და უსაფრთხოება; შრომითი დატვირთვის ფსიქოფიზიოლოგიური ნორმატივები; შრომის პირობები და შრომის ანაზღაურება; მშრომელთა ჯანმრთელობის და

შრომისუნარიანობის მდგომარეობა; პროფესიული მომზადების კვალიფიკაციური მაჩვენებლები; კვების პროდუქტების მოხმარების ნორმები და ა.შ.

შრომის საერთაშორისო ბიუროს (შსბ) დეფინიციით „სოციალური დაცვა“ ფართო გაგებით მთელ მოსახლეობას მოიცავს, უფრო ვიწრო ასპექტში კი - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სოციალურ დაცვას და სოციალური დაზღვევას მოიაზრებს. მოცემულ მიდგომას მნიშვნელოვანწილად იზიარებენ ევროპის კავშირის (ეკ) ქვეყნები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალური პოლიტიკის საკითხებს.

სოციალური დაცვის არსებული ეროვნული პრაქტიკები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრუქტურით და სოციალური დაცვის (სავალდებულო დაზღვევის, სახელმწიფო სოციალური დახმარების და სოციალური უზრუნველყოფის) მნიშვნელოვანი ინსტიტუტების კონფიგურაციით. სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების აგების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება აიხსნება მიზეზთა კომპლექსით: ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების დონით, მათი გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებით, სახელმწიფო მოწყობით, კულტურულ-ისტორიული ტრადიციებით, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობით და ა.შ. ამასთან, სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების ევოლუციის განმავლობაში მათი სხვადასხვა ფორმები თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ და იქმნებოდა სახელმწიფო, კერძო და კოლექტიურ-ჯგუფური სოციალური დაცვის ფორმების კომბინაცია, რომლებმაც ჩამოაყალიბა სოციალური დაცვის თანამედროვე მოდელი.

შვედმა მეცნიერმა ესპინგ-ანდერსენმა 2000 წ. შემოგვთავაზა სახელმწიფო მოწყობის იდეოლოგიის ტიპის მიხედვით სოციალური დაცვის სისტემების დაჯგუფება: (Esping-Andersen 2000:156) [1]

**ლიბერალური ტიპი.** სოციალური დახმარების გაწევის კრიტერიუმები შეჭირვებულების შემწეობა, ხასიათდება სახელმწიფოს მისწრაფებით გამიჯნოს სოციალური მხარდაჭერა თავისუფალი ბაზრისაგან და მოახდინოს გამიზნული დახმარება. მისი უმთავრესი მიზანია სიღატაკის აღმოფხვრა. აღნიშნული მოდელი გამოიყენება ყველა ინგლისურენოვან სახელმწიფოსა და დიდი ბრიტანეთში.

**კონსერვატული ტიპი.** სოციალური დახმარების გაწევის კრიტერიუმები - ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმება. ახასიათებს სოციალური დაზღვევის კლასიკური ბისმარკისეული სისტემების გამოყენება, წარსულის დამსახურებებისთვის კომპენსაციური ხასიათის დახმარებისკენ მისწრაფება. უმთავრესი მიზანია: შრომისუნარიან პერიოდში მიღწეული ცხოვრების დონის შენარჩუნება. გამოცდილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, უმეტესწილად გერმანიისკენ ორიენტირებული.

**სოციალ-დემოკრატიული ტიპი.** სოციალური დახმარების გაწევის კრიტერიუმები - მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაზე ან ჯგუფზე მიკუთვნების დადგენილი ფაქტი. ხასიათდება სტანდარტული ფულადი ან ნატურალური შემწეობების (სურსათი) და მომსახურებების გარკვეული კრებულის შეთავაზებით, რომელსაც დახმარების გაუთანაბრებელი ხასიათი აქვს. უმთავრესი მიზანია - შემოსავლის გადანაწილება. გამოიყენება სკანდინავიური სახელმწიფოებში.

საქართველოსთვის უაღრესად აქტუალურია სოციალური პოლიტიკის წარმართვა განვითარებული ქვეყნების საუკუნოვანი გამოცდილებისა და თანამედროვე ტენდენციების გაზიარებით, ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილების - სოციალური დაცვის, სოცურუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ერთიან სისტემაში მოქცევა და ეროვნული სოციალური სისტემის ფორმირება.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის გარკვეულ პერიოდებში სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა, რასაც განაპირობებდა რიგი ობიექტური გარემოებებისა, კერძოდ: შეიარაღებული კონფლიქტები და მათი სავალალო შედეგები; პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, კვალიფიციური სოციალური კადრების არარსებობა და სხვ. ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რადგან საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში პირდაპირ მოითხოვს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკისა და მისი უზრუნველსაყოფი რეფორმების გატარებას.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში თანამედროვე ლიბერალური ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში კონკურენტუნარიანი იქნება. სოციალური პოლიტიკის შემუშავება და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა ამ გარდაქმნების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

თანამედროვე საქართველოში არსებული სოციალური რისკები საკმაოდ მრავალფეროვანია: მოსახლეობის შობადობის შემცირება და დემოგრაფიული დაბერების ტემპების დაჩქარება; უმუშევრობის ზრდა და დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე; მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება

და ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემის არარსებობა; განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ნაკლები ხელმისაწვდომობა; მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის ზრდა; შრომითი უფლებების დაუცველობა; საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარებების ეფექტიანი სისტემის არარსებობა; საყოველთაო სოციალური დაზღვევის არაეფექტიანობა; დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვის სრულყოფა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა, პრაქტიკულად, უცვლელად იმეორებს იმ ტენდენციებს, რაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში იკვეთება: მოსახლეობის დაბერება შეუქცევად ხასიათს ატარებს (საპენსიო ასაკის მოსახლეობა საერთო მოსახლეობის 16.6%-ს შეადგენს, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება); ბავშვთა რიცხოვნობა მცირდება (0-15 წლის ბავშვების ოდენობა 10 წელიწადში 20%-ით შემცირდა); როგორც ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა, ასევე საერთოდ დასაქმებულთა რიცხვი განუხრელად მცირდება (10 წელიწადში საშუალოდ 13%-ით); უმუშევრობა იზრდება (5 წელიწადში 4.3%-ით); საპენსიო უზრუნველყოფის საბიუჯეტო წიხი მატულობს (2010 წელს – ბიუჯეტის 12.6%, 2001 წელს – 13,11; 2012 წელს – 13,5). [2]

ასეთ ვითარებაში ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. კვლევას საჭიროებს იმგვარი მოდელის შერჩევა და დანერგვა, რომელიც გაზრდის ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს არსებული სოციალური რისკების კომპენსირებას. აქედან გამომდინარე, საქართველომ უნდა სრულყოფს სოციალური დაცვის სისტემას: უმუშევრობის დაზღვევა, ჯანდაცვა, სოციალური დახმარებები, პენსიები, რადგან ეს არის სიღარიბესთან ბრძოლის წარმატებული მიდგომა.

სოციალური პოლიტიკის, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის არსის, დანიშნულებისა და მიზნის დღემდე არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, საქართველოში ჩამოყალიბდა ერთიანი სოციალური პოლიტიკისა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარების კონცეფცია, რომელიც აღიარებს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკისათვის, მასში გამოკვეთილია სოციალური დაცვის სფეროს მნიშვნელობა და მისი რეფორმირებისა და ტრანსფორმაციის საკითხები, ინსტიტუციონალური და საორგანიზაციო რეფორმების განხორციელების ეტაპები და სხვ.

ჯერ კიდევ 2011 წელს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათაუნიქტიანი გეგმა“ - მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის (2011-2015), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოციალური პოლიტიკის დახვეწა - მიზნობრიობისა და თანაზომადობის უზრუნველყოფა და სიღარიბის შემცირება; ეფექტიანი და დამისამართებელი საპენსიო და სოციალური დახმარებების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ხანდაზმული მოქალაქეებისთვის ღირსეულ სიბერეს; ფინანსურად მდგრადი საპენსიო და სოციალური დახმარებების სისტემის ფორმირება, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური ტვირთი ბიუჯეტზე უნდა იყოს თანაზომადი ეკონომიკური ზრდისა, საგადასახადო ტვირთის და დემოგრაფიული ცვლილებებისა. [3]

სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფისა და განვითარების შეუქცევადი კურსი აქტიურად გრძელდება დღესაც. საქართველოს სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (იხ. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის) სახელმწიფოს აქტიური მიზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად სოციალური სფერო - საპენსიო რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეფორმა, უმწეო მდგომარეობაში მყოფთა დახმარების სისტემა დასახელდა. [4]

აღნიშნული პროგრამით საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. მთავრობა დაძლევს უმუშევრობასა და სიღარიბეს, უნარიან და მშრომელ მოქალაქეებს შეუქმნის სიმდიდრისა და კეთილდღეობის პირობებს, რისთვისაც განავითარებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს, უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას; შრომისუუნარო მოქალაქეებს შეუქმნის ცხოვრების ღირსეულ პირობებს, რისთვისაც დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოს და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას;

განვითარების სამთავრობო სტრატეგია ითვალისწინებს ოჯახის როლის გააქტიურებას. მთავრობის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდება საკუთარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიება და საკუთარი ცოდნისა და უნარის რეალიზაცია; გაჩნდება დამატებითი შემოსავლები და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა; შემცირდება მოსახლეობის მასობრივი გასვლა საზღვარგარეთ; შემცირდება

სოციალური სიდუხჭირის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი; გაუმჯობესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები.

მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება. კომუნალური ტარიფები დაეფუძნება რეალურ გათვლებს, იქნება გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისი და ქვეყნის მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი. დაკანონდება შეღავათები მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პირველსავე ეტაპზე, საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით. გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამული დაფინანსება. ჩამოყალიბდება დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას და რომლითაც მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება მისი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები.

საქართველოში ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის უნიფიცირებულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული ახალი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა თანდათანობით გახდება ევროპის სოციალური სივრცის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ახალი სისტემის საფუძველი არის მსოფლიოში აღიარებული ისეთი პრინციპები, როგორცაა სამართლიანობა, სოლიდარობა და გარანტირებულობა.

საარსებო მინიმუმს გაუტოლდება სახელმწიფო შრომითი (ასაკით) პენსია, I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მარჩენალდაკარგულთა, პოლიტრეპრესირებულთა, ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა, ომისა და სამხედრო შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტის სახელმწიფო პენსია; გაორმაგდება უკიდურესად გაჭირვებულთათვის სოციალური დახმარების ოდენობა. გაიზრდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარების სისტემა იქნება ფედერალური და უნიფიცირებული, ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველ პირთა შეფასების, მომსახურებისა და ადმინისტრირების ფუნქციები დელეგირებული იქნებათ მუნიციპალურ ორგანოებს. სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები - მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები. სოციალური მომსახურების დაწესებულებათა ქსელის განვითარება დაემყარება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპს.

სამთავრობო სტრატეგიის ძირითადმა მიმართულებებმა ნაწილობრივ უკვე ჰპოვა ასახვა 2013 წლის ბიუჯეტში. ძირითადი პრიორიტეტი სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებებია, სწორედ ამიტომ 2012 წელთან შედარებით ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 2013 წელს იზრდება 535.0 მლნ ლარით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რესურსი იქნა მოძიებული 2012 წელს არსებულ პროგრამებში და მთლიანობაში სოციალური ხარჯები იზრდება 630.0 მლნ ლარზე მეტით. დაფინანსების ზრდა დაკავშირებულია პენსიებისა და სოციალური დახმარებების, ასევე დაზღვევით მოსარგებლე მოსახლეობის ზრდასთან, კერძოდ:

- 2013 წლის პირველი აპრილიდან 67 წლამდე ასაკის პენსიონერის და პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსია გაიზარდა და გაუტოლდა 67 წლის და მეტი ასაკის პენსიონერის პენსიას (125 ლარი);
- 2013 წლის პირველი სექტემბრიდან ყველა ასაკის პენსიონერის და პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსია გაიზრდება საარსებო მინიმუმამდე (150 ლარი) პირველი სექტემბრიდან პირველი ჯგუფის გარდა, სხვა კატეგორიის ინვალიდობის პენსია (ნაცვლად 70 ლარისა), მარჩენალდაკარგულების და პოლიტრეპრესირებულების პენსია (ნაცვლად 55 ლარისა) გაიზრდება და გახდება 100 ლარი;
- 2013 წლის თებერვლიდან ყველა იმ მოქალაქემ, რომელიც ამ ეტაპზე არ სარგებლობდა სახელმწიფო დაზღვევით, მიიღო მინიმალური სადაზღვევო პაკეტი, რომელიც გულისხმობს გადაუდებელი შემთხვევების დროს მკურნალობას, ხოლო ივლისიდან აღნიშნული მოქალაქეები მიიღებენ საბაზისო სადაზღვევო პაკეტს, რაც ითვალისწინებს როგორც გადაუდებელი, ასევე გეგმიური ოპერაციების დაფინანსებას, გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას და სხვ.;
- 2013 წლის პირველი ივლისიდან 57 000 ქულამდე მქონე სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დახმარება გაუორმაგდება.

2013 წლის ბიუჯეტით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთლიანი ასიგნება შეადგენს 670.0 მლნ ლარს, სადაც ძირითადად გაზრდილია სკოლების ვაუჩერული დაფინანსება, რაც იძლევა

საშუალებას ნაწილობრივ გაიზარდოს მასწავლებელთა ხელფასები. ასევე გაზრდილია სტუდენტების სასწავლო გრანტების და მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება.

ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - 2013 წელს დაფინანსდება 48 მლნ ლარით, სადაც გაზრდილია ლტოლვილთა სახლების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული თანხები. აღსანიშნავია, რომ 1 ოქტომბერს წარმოდგენილ პროექტში სამინისტროს დაფინანსება შეადგენდა მხოლოდ 25.0 მლნ ლარს, რაც თითქმის გაორმაგებულია. [5]

ამრიგად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სოციალურად ორიენტირებულ ბიუჯეტზე დაყრდნობით, ქვეყნის სოციალური პოლიტიკის რეალიზაცია, სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება და ევროპულ მოდელთან მისადაგება არ არის სოციალური ხარჯი, არამედ, ეს არის ინვესტიცია სიღარიბისა და სოციალურად დაუცველი ფენის ზრდის თავიდან ასაცილებლად, სოციალური თანხმობისა და მშვიდობის, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

#### ინტერნეტ-რესურსები:

1. [http://www.bsu.edu.ge/social/upload/lilit\\_meloiani\\_disertacia-2013.pdf](http://www.bsu.edu.ge/social/upload/lilit_meloiani_disertacia-2013.pdf)
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <http://geostat.ge>
3. <http://www.newslines.ge/?p=44000>
4. <http://mof.ge/News/5049>
5. [http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=E&sec\\_id=68](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=E&sec_id=68)

### რეზიუმე

სტატიაში: „სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის პრიორიტეტები“ განხილულია სოციალური პოლიტიკისა და სოციალური დაცვის თეორიული ასპექტები, სოციალური რისკების თავისებურებანი და ეროვნული სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი პრიორიტეტები საქართველოში.

## SOCIAL PROTECTION NATIONAL SYSTEM OF PREFERENCES

Giuli Giguashvili, Full Professor

### RESUME

The article: "Social Protection National System of Preferences," discusses the theoretical aspects of social policy and social protection, social risks, characteristics and priorities of the national social security system in Georgia.

### მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში

*ნინო ლიპარტელიანი, სრული პროფესორი  
თეა ანესაშვილი, მოწვეული სპეციალისტი  
მანია გოგიძე, სტუდენტთა საქმის მწარმოებელი*

მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც კარგ გარემოში რეალურ შედეგს მოუტანს როგორც მის რეგიონებს, ისე მთლიანად ქვეყანას. ასეთ პირობებში აუცილებელია სწორი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რას ველით მცირე და საშუალო ბიზნესისაგან. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს



საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სოციალურ პრობლემათა მოგვარებას, მაღალმთიანი რაიონების პოლიტიკის განხორციელებას მთლიანობაში და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას. დღეს საქართველოში ბიზნესის თითქმის ყველა ის სახეა განვითარებული, რომელიც ახასიათებთ განვითარებულ ქვეყნებს. ყველაზე მყარ, უსაფრთხო და ურისკო ბიზნესად შეიძლება უძრავი ქონების, საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბიზნესი ჩაითვალოს. შემდეგ მოდის ვაჭრობა, ტურიზმი, წარმოება, მომსახურება და ა.შ. მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მცირე ბიზნესს ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არიან დაფუძნებულნი. მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა არ ნიშნავს ცუდად მომუშავე საწარმოს დახმარებას. სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისაკენ, რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოიშობა და არათანაბარკონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებაში. მსოფლიო პრაქტიკაში მცირე ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მწირი ფინანსები და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. საწარმოს ზომისა და მეწარმის გამოუცდელობის გამო არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ მეწარმე შეძლებს კრედიტის დროულ დაფარვას. ამგვარი პრობლემები დიდ ზიანს აყენებენ მცირე ბიზნესის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მცირე ბიზნესი იდეალურად ლიბერალურ პირობებში ვერ განვითარდებოდა.

პირველად მსოფლიოში მცირე ბიზნესის დახმარების გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო. სახელმწიფო კერძო საფინანსო სამსახურს აძლევს სესხის ნაწილის დაფარვის გარანტიას. კერძოდ, თუ მცირე მეწარმის მიერ აღებული სესხი არ აღემატება 750 ათას ამერიკულ დოლარს, მეწარმის გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს კრედიტის 75%-ს. ხოლო თუ კრედიტი 100 ათას დოლარს არ აღემატება, გარანტია 80 %-ზე გაიყვანა. ანალოგიური პროგრამა მოქმედებს დიდ ბრიტანეთშიც. გერმანიაში მცირე საწარმოების ინვესტირებისთვის სახელმწიფო გასცემს უსასყიდლო სუბსიდიებს, რომელიც მთლიანი კაპიტალის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს. საფრანგეთში მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე მუშაობს 50-მდე ორგანიზაცია, მათ შორისაა „მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ბანკი«. მცირე ბიზნესის დასაცავად ამერიკის შეერთებული შტატები დაახლოებით 12 მილიარდ დოლარს ხარჯავს ყოველწლიურად, დიდი ბრიტანეთი კი მხოლოდ იაფი კრედიტებისთვის 50 000 ფუნტ სტერლინგს გამოყოფს, ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა საქართველოშიც შეძლებისდაგვარად ცოტა მეტი ყურადღება დათმობოდა მცირე ბიზნესის განვითარებას. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიანად დასაქმებულთა 25% მაშინ, როდესაც ინგლისში ეს მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს, ხოლო გერმანიაში 80%-ს. მცირე მეწარმე, რომელიც საქმეს სრულიად მარტო უძღვება, გათავისუფლებულია სალარო აპარატისგან, მაგრამ ასეთი მეწარმეების წილი ძალიან მცირეა. ასევე ფირმები, რომელთა ბრუნვაც 100 000 ლარზე ნაკლებია, გათავისუფლებულნი არიან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. ბოლო პერიოდში დაიწყო იაფი კრედიტების გაცემა, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მცირე ბიზნესს.

მცირე ბიზნესი საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკონომიკის ხერხემალია. არსებობს სპეციალური გაიდლაინები, რომელიც დამწყებ ბიზნესმენებს ბიზნესის წარმართვას უადვილებს. საჭიროა შემუშავდეს სპეციალური რეჟიმი, რომელიც საშუალებას მისცემს მცირე ბიზნესს განვითარების ახალი ნიშები იპოვოს და კონკურენტულ ბრძოლაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე გაამახვილოს ყურადღება. მცირე ბიზნესის განვითარება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განხორციელების ოპტიმალური და უმოკლესი გზაა. ამდენად, მისი არსებობა-არარსებობის საჭიროებაზე საუბარი ზედმეტი და საჭიროა მისი თავისებურებებისა და პრობლემების უფრო ღრმად დანახვა. მცირე საწარმოს განმასხვავებელი თავისებურება არის ის, რომ მისი ქონება და ბრუნვა შედარებით მცირე მოცულობისაა, საინვესტიციო რესურსები კი საკმაოდ შეზღუდული. პროდუქტის ერთეულზე მისი გაწეული ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ამავე პროდუქტის მწარმოებელი მსხვილი საწარმოსი, რადგან ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ნედლეულის მცირე პარტიებით შესყიდვით უფრო ძვირი ჯდება მარაგის შექმნა. ამას ემატება ტრანსპორტირებისა და სხვა ზედნადები ხარჯები და, საბოლოო ჯამში, მცირე საწარმოს რენტაბელურობა მკვეთრად მცირდება. თუმცა, მომგებიანობის დაბალი დონე მცირე ბიზნესის მაღალი მოქნილობით და ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების მეტი უნარით კომპენსირდება. ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით გადაიარაღება და სხვა სახის პროდუქციის გამოშვება პატარა საამქროსთვის ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მსხვილი საწარმოსთვის. აქედან გამომდინარე, მცირე საწარმოს ნაკლებად მოთხოვება ბიზნესის ხანგრძლივი პერიოდისთვის დაგეგმვა და სერიოზული მარკეტინგული კვლევები, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მსხვილი ბიზნესისათვის.

გადასახადების აუცილებლობას ვერავინ უარყოფს, პროტესტს მხოლოდ ამ გადასახადების ზომა იწვევს. მეწარმე ვერ გადაიხდის იმდენ გადასახადს, რამდენიც ხელისუფლებას სურს. მას მხოლოდ იმდენის გადახდა შეუძლია, რამდენის საშუალებაც აქვს. ეს საშუალება კი მით უფრო მცირეა, რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა. ამჟამად საქართველოში მცირე მეწარმეთა რიცხვი დაახლოებით 85 000-ია. თბილისში თითოეული ასეთი ბიზნესმენის დაქვემდებარებაში საშუალოდ 7-მდე, ხოლო რაიონებში 4-მდე თანამშრომელი საქმიანობს. მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ნახსენები 85 000 მეწარმიდან 35 000 იხდის გადასახადებს. რიცხვებს შორის ასეთი განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის არსებობაა. ექსპერტთა აზრით, ამ პრობლემის მოგვარება გონივრული საგადასახადო პოლიტიკის წარმოებით შეიძლება. სხვადასხვა მონაცემებით ლეგალური მცირე ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში 8-14 პროცენტია. მცირე მეწარმეს სჭირდება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახელმწიფომ მხოლოდ ფიქსირებული გადასახადი გადაახდევინოს, რომლის შემთხვევაში მთავრობა ვერ ჩაერევა და ვერც აკონტროლებს საწარმოს საბუღალტრო საქმიანობას. ეს განაპირობებს მის სტაბილურ განვითარებას და ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო ორგანო. თუმცა, ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მცირე მეწარმეობის ხელშეწყობით არიან დაკავებული. მაგალითად, მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საქართველოს საწარმოთა ხელშეწყობის პროექტი, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების ფონდი, „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს ფონდი და სხვ. მაგრამ მცირე საწარმოები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მეწარმეობაში კვალიფიკაციის ნაკლებობა. ამ ყველაფერს კი მზარდი ინფლაცია ემატება. უსაფუძვლოდ გამყარებული ეროვნული ვალუტა, ზოგადად, ადგილობრივ წარმოებასა და ექსპორტს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. ძვირი ეროვნული ვალუტა ნორმალურ პირობებში აუცილებლად აძვირებს ეროვნულ პროდუქციას. გამყარებული ლარის პირობებში ქართველ მეწარმეს ინფლაციის გარეშე უძვირდება პროდუქცია, ეს ქართულ ნაწარმს არაკონკურენტუნარიანს ხდის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზარზე. ევროკავშირი ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას. საქართველოც ცდილობს ჩაერთოს ამ პროგრამებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ბიზნესის რეგულირების კუთხით არსებული პოზიტივის მიუხედავად, რიგი პრობლემები მოგვარებას საჭიროებს. სახელდობრ, კერძო სექტორის დამოუკიდებლობას ექვეყნე აყენებდა სრულად დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ბიზნესის საქმიანობაში მთავრობის უკანონო ჩარევისგან და საკუთრების უფლების ხელყოფისგან მის დაუცველობას განაპირობებდა; ასევე სუსტია ბიზნეს-სექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ზაზი უნდა გაეკვას ბიზნესს სოფლის მეურნეობაში, რომელიც სახელმწიფოს მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ყოველთვის პრიორიტეტული იქნება აგრარულ სექტორში, რადგანაც სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. მიღებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ფუჭდება და ადგილზე იკარგება. ამის მიზეზი, შეიძლება ითქვას, მრავალია. ერთ-ერთი მთავარი არის ის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია დაბალკონკურენტულია ადგილობრივ ბაზარზე შემოსულ იმპორტულ პროდუქციასთან მიმართებაში. სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს თუ შევუქმნით ისეთ პირობებს, რომ წარმოება მინიმალურად მაინც იყოს რენტაბელური, იგი გამოვა კრიზისიდან და თანდათანობით გახდება კონკურენტუნარიანი. ამის მისაღწევად საჭიროა გატარდეს აგრობიზნესის მხარდამჭერი სხვადასხვა ღონისძიებები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების შემცირებას ენერგორესურსებზე, მინერალურ სასუქებზე, მცენარეთა დაცვის საშუალებებზე და ა.შ.

ბოლო წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აგრარულ სექტორში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაზეც მოწმობს შემდეგი მონაცემები: საქართველოში ციტრუსისა და ვაშლის საკმაოდ დიდი რაოდენობა მოდის და მათი ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია. გასულ წელს ვაშლი, ციტრუსი და ხურმა საკმაოდ ბევრი მოვიდა. რაც შეეხება ვაშლის რეალიზაციას, ის, რაც ექსპორტზე ვერ გავიდა, „ჰიპის“ ქარხანამ შეიძინა. ხურმა - ხილის ეს სახეობა ქვეყანაში ცოტა მოდის და რეალიზებაც ადვილია. რაც შეეხება ციტრუსს, სარეალიზაციო ბაზრები ამ შემთხვევაში თითქმის მოძიებულია. 2009 წელს 120 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალი მოვიდა. მარტო აჭარაში 80.5 ათასი ტონა, სამეგრელოში ციტრუსის მოსავალმა - 5.3 ათასი ტონა, ხოლო გურიაში - 13.1

ათასი ტონა შეადგინა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2009 წლის მარტის მდგომარეობით, ქართული ციტრუსის ექსპორტმა უკრაინაში 42 910 ტონას მიაღწია, აზერბაიჯანში - 19 019 ტონას, სომხეთში - 8 256 ტონას, უზბეკეთში - 175 ტონას, მოლდოვაში - 74 ტონას, ბელორუსში - 120 ტონას. საკონსერვო მრეწველობამ 11 130 ტონა მანდარინის არასტანდარტული ნაყოფი გადაამუშავა, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე 10 820 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაცია მოხდა. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან ამ სახის პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფოს როლი უალტერნატივოა. მომავალში მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყანაში მთავარ პრიორიტეტად იქცევა და ხელს შეუწყობს ქვეყნისა და მისი რეგიონების განვითარებას. საჭიროა კანონის მიღება „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც გაითვალისწინებს რეალობას. მასში პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს ფირმების ფუნქციონირების ორგანიზაციული, საწარმოო, საფინანსო, მატერიალური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსური სისტემის შექმნა და წარმატებით დანერგვა პრაქტიკაში.

ბიზნესის განვითარება საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ფინანსურ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორებს. მათ არსში გარკვევა და პრაქტიკაში გამოყენება ბიზნესმენტა მიერ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის აუცილებელი პირობაა. დღეისათვის აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, თუმცა, ჯერ კიდევ საჭიროა სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება, რათა რეალურად მივიღოთ შედეგები. იმედია, ახლო მომავალში სახელმწიფო შეძლებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფას. მცირე და საშუალო ბიზნესი კი თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას, საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობას და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას.

#### ლიტერატურა:

1. დეისაძე ე., ჩიხლაძე ნ., გაბელაშვილი კ., შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში, ქუთაისის უნივერსიტეტი, „მბმ-პოლიგრაფი“, 2012.
2. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი (NIS) - მოხსენება 2011. ([transparency.ge/nis/ka/2011/ბიზნესი](http://transparency.ge/nis/ka/2011/ბიზნესი))
3. ვაშაკიძე თ., ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში, თბ., 2009.
4. ჟურნალი „მაკრო-მიკროეკონომიკა“, 2008, 2009, 2010.
5. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, 2008, 2009.

#### რეზიუმე

მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც კარგ გარემოში რეალურ შედეგს მოუტანს როგორც მის რეგიონებს, ისე მთლიანად ქვეყანას. ასეთ პირობებში აუცილებელია სწორი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რას ველოთ მცირე და საშუალო ბიზნესისაგან. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სოციალურ პრობლემათა მოგვარებას, მაღალმთიანი რაიონების პოლიტიკის განხორციელებას მთლიანობაში და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას. დღეს საქართველოში ბიზნესის თითქმის ყველა ის სახეა განვითარებული, რომელიც ახასიათებთ განვითარებულ ქვეყნებს.

#### SMALL AND MEDIUM BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

Nino Liparteliani, Full Professor

Tea Anesashvili, Specialist under contract

Mania Gogidze, Manager of Students Work

#### RESUME

Small and Medium Business is an essential and integral part of market economy. It is a sector of the economy, which is a good environment for real tangible benefits for both the region and the entire country. In such conditions, it is necessary to make correct conclusions about what you expect from small and medium-sized businesses. Development of a Small and Medium Business promotes the growth of budget revenues, solve social problems, mountainous regions and the country's overall policy of increasing economic prosperity. Today, almost all the characters have developed business in Georgia, which is characterized by developed countries.

## ონლაინ ყიდვისა და გადახდის პროცედურები და ინტერნეტით გადახდის უსაფრთხოების საკითხები

*თამარ მაკასარაშვილი, სრული პროფესორი  
ლია ნადირაძე, უფროსი მასწავლებელი*

XXI საუკუნეში ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებამ პიკს მიაღწია. წარმოშვა და განვითარდა ბიზნეს-პროცესების წარმოების ახალი და თანამედროვე ხერხები, დაინერგა მოსახერხებელი სერვისები, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს კომპიუტერული ქსელის და ინტერნეტის გამოყენებით შინიდან გაუსვლელად აწარმოონ ყიდვა-გაყიდვა, გადარიცხვები და ანგარიშსწორებები. ონლაინ მომსახურების დევიზია - აითვისეთ ახალი ბიზნეს სივრცე, შესთავაზეთ თქვენი პროდუქცია უფრო მეტ მომხმარებელს და გაზარდეთ გაყიდვები!

ონლაინ სერვისი საშუალებას ქმნის მომსახურება და პროდუქტი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინტერნეტის მეშვეობით და საგადამხდელო საშუალებად გამოყენებული იქნეს ვიზა და მასტერქარდ პლასტიკური ბარათები; გაიყიდოს მომსახურება და პროდუქცია ინტერნეტის საშუალებით; გაიზარდოს გაყიდვების მოცულობა საქართველოს რეგიონებში; გაფართოვდეს გაყიდვების არეალი მსოფლიოს მასშტაბით; შემცირდეს მაღაზიის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული ხარჯები; გახდეს შეთავაზებული მომსახურება და პროდუქტი მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი.

როგორც წესი, ონლაინ მომსახურების სტანდარტული პაკეტის შემადგენლობაში შემოთავაზებულია შემდეგი სერვისი:

- ფასდაკლება ვებდიზაინერულ სტუდიებში;
- ფასდაკლება საფოსტო/კურიერულ მომსახურებაზე;
- უფასო კონსულტაციები პროგრამულ უზრუნველყოფაზე;
- ელ-ფოსტით შეტყობინების მიღება ყოველ განხორციელებულ ტრანზაქციაზე. პრემიუმ პაკეტის შემადგენლობაში კი შემოთავაზებულია შემდეგი სერვისი:
- ელექტრონული მაღაზია დიზაინის შეცვლის შესაძლებლობით;
- კონსულტაცია და ტრენინგი ელექტრონული მაღაზიის ადმინისტრირებისათვის;
- ელექტრონული მაღაზიის ინტეგრაცია სისტემაში;
- ბანკში მულტისავალუტო ანგარიშის უფასო გახსნა;
- დიჯიტალური სრული ინტერნეტ ბანკინგის პროგრამის ინსტალაცია;
- ეს-ემ-ეს ბანკინგის ერთწლიანი მომსახურება;
- ფასდაკლება საფოსტო/კურიერულ მომსახურებაზე;
- ელ-ფოსტით შეტყობინების მიღება ყოველ განხორციელებულ ტრანზაქციაზე.

ფიზიკური მაღაზიების უპირატესობა ინტერნეტ-მაღაზიებთან არის ის, რომ მაღაზიაში ფიზიკურად არსებობს საქონელთან შეხების, მოზომვის შესაძლებლობა, შესაძლებელია შეფასდეს თუ რამდენად პრაქტიკულია ის, უხდება თუ არა სხვა ნივთს; ამასთან, ფიზიკური მაღაზიები, რომლებიც ვაჭრობენ ისეთი საქონლით, რომლის მოზომვა, ჩაცმა, შეგრძნება მეტად მნიშვნელოვანია, უფრო მეტ საქონელს ჰყიდნიან, ვიდრე ამავე ტიპის ინტერნეტ მაღაზიები.

მისი ნაკლია ის, რომ მაღაზიაში სტუმრობის პროცესი არის ხანგრძლივი, ნერვების მომშლელი პროცედურა, რომლის დროსაც ხშირად ვერ ხერხდება საინტერესო და მოსაწონი ნივთის მოძებნა; ფიზიკურ მაღაზიებში დიდ როლს მომსახურე პერსონალიც თამაშობს. პროფესიონალ კონსულტანტს შეუძლია რჩევებით „აიძულოს“ მომხმარებელი შეიძინოს გარკვეული საქონელი. ასევე მოწონებული საქონლის ყიდვის შემთხვევაში, შესაძლოა, დამატებით რაიმე აქსესუარიც შემოაჩვენოს, რომელსაც ასევე იყიდის და, შესაბამისად, ხარჯიც იზრდება.

რაც შეეხება ელექტრონული კომერციის უპირატესობებს, ესენია:

- ანგარიშსწორება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან ვიზა და მასტერქარდ ბარათებით;
- გარანტირებული და დაცული ანგარიშსწორების სწრაფი წარმოება;
- უსაფრთხოების მაღალი ხარისხი, რომელსაც უზრუნველყოფს Verified by VISA და MasterCard SecureCode ტექნოლოგიები. Verified by VISA და MasterCard SecureCode ტექნოლოგიების უპირატესობები:
- არასანქცირებული ტრანზაქციების ძალზედ მცირე რისკი;

- ავტორიზებული ტრანზაქციების გარანტირებული გადახდა;
- ონლაინ შესყიდვებისას მომხმარებლის ნდობის მაღალი ხარისხი.

ელექტრონული კომერცია არის საშუალება, რომელსაც დამატებითი სარგებელი მოაქვს თქვენი მომხმარებლისათვის:

- დროის დაზოგვის შესაძლებლობა;
- შეძენილი პროდუქტის ადგილზე მიტანა;
- ტრანზაქციის განხორციელებისას ბარათის ონლაინ ავტორიზაცია.

ინტერნეტ მაღაზია შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მართვადი ინტერაქტიული ვებ-საიტი, რომელზეც მოთავსებულია ინფორმაცია კონკრეტული პროდუქციის შესახებ, შესაძლებელია ამ პროდუქციის ვირტუალურ კალათაში მოთავსება შემდგომი შეკვეთისათვის, თანხის ონლაინ რეჟიმში გადახდა საკრედიტო ბარათით ან სხვა რაიმე ელექტრონული საგადამხდელო სისტემით და სახლიდან გაუსვლელად პროდუქტის მიღება.

როგორც წესი, ინტერნეტ მაღაზიები კონტენტის (საიტის შინაარსის) სამართავი სისტემით არის აღჭურვილი. არსებობს ბევრი ფასიანი და უფასო კონტენტის მართვის სისტემები, მაგ. პოპულარულ უფასო სამართავ სისტემებს osCommerce (<http://www.oscommerce.com/>) წარმოადგენს.

ელექტრონული კონტენტ სამართავი სისტემა, (ე.წ. „ძრავა“), უზრუნველყოფს ინტერნეტ საიტზე განთავსებული ინფორმაციის დინამიური განახლების შესაძლებლობას, ჩვეულებრივი მაღაზიის მსგავსი პროცესის იმიტირებას. ეს არის პროდუქციის განყოფილებების შექმნა, ფასის თუ სახელწოდების მიხედვით პროდუქციის კატალოგიზაცია, ძიება, პროდუქციის კალათაში განთავსება ვიტრინების დათვალიერების პროცესში, შეკვეთის გაფორმება, ნივთის ღირებულების გადახდა ელექტრონული საგადამხდელო სისტემით, განხორციელებული შეკვეთის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი მიწოდების სერვისისათვის გაგზავნა. „ძრავის“ გამართვა ჰოსტინგზე მარტივად ხორციელდება და როგორც წესი, ასეთ „ძრავებს“ დარგობრივი დიზაინებიც მოჰყვება.

უფრო რთულ და მრავალმილიონიან გაყიდვებზე გათვლილ „ძრავებში“, როგორცაც მაგალითად, [www.amazon.com](http://www.amazon.com) იყენებს, მომხმარებლის გემოვნების შესწავლა ხდება, სისტემა აკვირდება, თუ რას ათვალიერებს კლიენტი და ამ ინფორმაციას იმასხვრებს. სისტემას იმის გარკვევაც შეუძლია, დაახლოებით რა ასაკის და სქესის ხართ. შემდგომ საიტზე განმეორებითი შესვლის შემთხვევაში, საიტი გცნობთ (ქუქების ან IP-ს მეშვეობით) და ცდილობს ცხელი შეთავაზებების განყოფილებაში ზუსტად ის პროდუქტი შემოგთავაზოთ, რომელიც მაქსიმალურად თქვენს გემოვნებას შეესაბამება. არის ინტერნეტ საიტები, სადაც შესაძლებელია შერჩეული ტანსაცმლის თქვენი სხეულის ვირტუალურ მოდელზე მორგება, ბევრი საიტი სთავაზობს ინტერაქტიული კონსულტაციის შესაძლებლობას რეალურ ადამიანთან იმ შემთხვევაში, თუ რამე გაინტერესებთ. რთულ „e-commerce“ სამართავ „ძრავებში“ სასაწყობო და კლიენტებთან ურთიერთობის მართვის სისტემებთან (CRM) მიერთების შესაძლებლობაც არსებობს.

აქ უკვე თითოეული კლიენტის შეკვეთების ისტორია გროვდება, შეკვეთების დინამიკა. შესაძლებელია იმის დაანგარიშება, თუ რა რაოდენობითაა საჭირო თითოეული პროდუქტის დადება, რადგან დიდხანს გაჩერებული პროდუქტი დამატებითი ხარჯია. თუმცა შედარებით მარტივი ძრავები ყველა აუცილებელ ელემენტს შეიცავს, სტატისტიკის და მომხმარებელთა პრიორიტეტების მარტივი ანალიზის შესაძლებლობის ჩათვლით, რომელიც დამწყებ ეტაპზე საკმარისია გამართული ინტერნეტ მაღაზიისათვის. ასეთი ძრავების გამოყენების შემთხვევაში განსაზღვრულია თუ რა უნდა გაითვალისწინოთ მათი შერჩევის პროცესში, როგორ ხდება ინსტალაცია და სხვა ტექნიკური პარამეტრების გამართვა, როგორ ხდება ბანკის ელექტრონულ საგადამხდელო მოდულთან მიერთება. აღნიშნული მოდული ქართველ მომხმარებელს ინტერნეტ მაღაზიებში პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორების შესაძლებლობას აძლევს სახლიდან გაუსვლელად, თან სრულიად უსაფრთხოდ.

ინტერნეტ მაღაზიაში ონლაინ გადახდის სტრუქტურა ფაქტიურად ჩვეულებრივი ფიზიკური მაღაზიის იდენტურია, რომელშიც ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათით ხორციელდება და ორ ძირითად ტიპად იყოფა:

1. გადახდის სისტემა, რომელიც ანგარიშსწორებისას იყენებს მხოლოდ საკრედიტო /სადებეტო ბარათების რეკვიზიტებს, როლებიც გადაიცემა ინტერნეტში დაცული არხის მეშვეობით;
2. გადახდის სისტემები, რომლებიც იყენებს SET ან სხვა ანალოგიურ ტექნოლოგიებს, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი ინტერნეტში დაცული გადახდისათვის. ეს ტექნოლოგია ითვალისწინებს ყოველი მომხმარებლისათვის ციფრული სერტიფიკატის გაცემას.

იმ სისტემების მუშაობის საერთო პრინციპი, რომლებიც უზრუნველყოფენ პლასტიკური ბარათების მოქმედების პროცესს, ითვალისწინებს რიგი თანამიმდევრული ეტაპების გავლას:

- მყიდველი შედის საიტზე, რომელზეც განთავსებულია ფასიანი მომსახურება ან გასაყიდი პროდუქტი და რომელიც ჩართულია პლასტიკური ბარათებით გადახდის წარმოების სისტემაში;
- მყიდველი აფორმებს შეკვეთას, გადახდის საშუალებად ირჩევს პლასტიკურ ბარათს და ადასტურებს შეკვეთას;
- საიტი გადაამისამართებს მყიდველს გადახდის სისტემის ავტორიზაციის საიტზე და იმავდროულად სისტემის სერვერს გადაუგზავნის საკუთარი რეგისტრაციის ინფორმაციას და შეკვეთის ნომერს;
- გადახდის სისტემის საიტი კლიენტთან ქმნის დაცულ კავშირს და მყიდველისაგან იღებს მისი ბარათის რეკვიზიტებს. ეს ინფორმაცია მუშავდება გადახდის სისტემის სერვერზე და არ მიეწოდება გამყიდველს;
- გადახდის სისტემის სერვერი მიმართავს სისტემის ანგარიშსწორების ბანკს, ბანკი ამოწმებს ინფორმაციას გამყიდველისა და ტრანზაქციის შესახებ. შემოწმების რეზულტატების მიხედვით ტრანზაქცია ან არულდება, ან ხდება მისი უარყოფა;
- გადახდის სისტემის სერვერი უგზავნის გამყიდველს ინფორმაციას ტრანზაქციის დასრულების შესახებ;
- სისტემის ბანკი იღებს ფულად გადარიცხვას კლიენტის ბარათის ბანკ-ემიტენტისგან და ახორციელებს სახსრების გადარიცხვას გამყიდველის ანგარიშზე საკომისიო თანხის გამოკლებით.

ბანკის ელ. კომერციის ფუნქციის ინტერნეტ მაღაზიაში ინტეგრაციისთვის საჭიროა ელ. კომერციის სტანდარტიზირებული ფორმის განსაზღვრული ველებით ჩაშენება მაღაზიის ვებ-გვერდზე, რომელიც განკუთვნილია გადახდის ეტაპის განსახორციელებლად. სისტემა არ აძლევს ინტერნეტ მაღაზიის მხარეს მომხმარებლის საბარათე მონაცემებთან წვდომას. ინტერნეტ მაღაზიის ვებ გვერდიდან ბანკის საგადამხდელო გვერდზე გადმოდის ტრანზაქციის უნიკალური კოდი და თანხა, ხოლო კლიენტს საბარათე მონაცემები შეჰყავს უკვე ბანკის საგადამხდელო ვებ-გვერდზე, რომელიც განთავსებულია ბანკის დაცულ სერვერზე. ინფორმაციის მიმოცვლა და მონაცემები დაშიფრულია Verisign SSL სერტიფიკატის მეშვეობით.

გადახდის ღირებულების დაჭერის შემდგომ ბარათის აუტენტიფიკაცია ხორციელდება VISA და MasterCard დირექტორი სერვერებზე და ბარათის გამომშვები ბანკის მხარეს, რის შემდგომაც ხორციელდება უკვე ავტორიზაცია ბანკის საგადამხდელო სერვერზე. ავტორიზაციის სტატუსის შესახებ ბარათის მფლობელის ინფორმირება ხდება იმ წამსვე გადახდის შედეგის გამოტანის გვერდზე, მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ინტერნეტ მაღაზიის გვერდზე დაბრუნება.

პარალელურ ფონურ რეჟიმში მუშაობს სპეციალური ვებ-სერვისი, რომელიც ინტერნეტ მაღაზიის ვებ-გვერდს ატყობინებს ავტორიზაციის შესახებ, რის შემდეგაც მაღაზიის ვებ-სერვისი ახორციელებს ელ.კომერციის სისტემისგან XML ფორმატში ავტორიზაციის დეტალების ამოღებას და ჩაწერას ინტერნეტ მაღაზიის ბაზებში. ეს პროცესი აუცილებელია, რათა მაღაზიის მონაცემთა ბაზაშიც აღიბეჭდებოდეს ინფორმაცია განხორციელებული შენაძენის შესახებ. ასევე საათში ერთხელ ეშვება ელ. ფოსტის დაგზავნის პროგრამა, რომელიც ინტერნეტ მაღაზიის ადმინისტრაციის ელ. ფოსტაზე აგზავნის წერილებს განხორციელებული გადახდების შესახებ.

ელ. კომერციის სისტემა დაწერილია Java-ს პროგრამულ გარემოში. Web-დანართების სარეალიზაციოდ, დღესდღეობით აქტიურ გამოყენებაშია Java (Java NetBeans) და Microsoft .Net. Java NetBeans სისტემა Sun Microsoft Systems კორპორაციისა და NetBeans გაერთიანების მიერ შექმნილი Java ტექნოლოგიის ავტომატიზებული სისტემების დამუშავების ინტეგრირებული გარემოა (IDE), რომელიც წარმოადგენს მრავალფუნქციონალური დანართების ერთობლიობას და უზრუნველყოფს Java Platform Standard Edition (Java SE), Java Platform Enterprise Edition (Java EE) და Java Platform Micro Edition (Java ME) პლატფორმების კომპლექსურ მხარდაჭერას.

Java NetBeans შეიცავს პროგრამული ინსტრუმენტების ფართო სპექტრს, მათ შორის აღსანიშნავია ვიზუალური პროგრამირების, სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის დანართების (XML, BPEL), პირდაპირი და რევერსიული დაპროექტებისთვის (BPD, BPMN, UML) მოდელური არქიტექტურის (Model-driven architecture MDA) ინსტრუმენტული საშუალებები.

Web-სერვისებისა და Web-დანართების შექმნისა და განთავსების მოქნილი საშუალებაა Microsoft .NET Framework - პლატფორმა, რომელიც ბაზირებულია მაღალმწარმოებულ, სხვადასვა პროგრამული ენების გამოყენების სტანდარტზე, ასევე მისი ერთ-ერთი ღირებულებაა არსებული Web-დანართებისა და Web-სერვისების ინტეგრაციის შესაძლებლობა ახალ პროექტში.

.NET Framework შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან - საერთო ენობრივი გამოყენების გარემო (common language runtime), კლასების უნიფიცირებული ბიბლიოთეკა და ASP კომპონენტური ვერსია - ASP.NET.

ASP.NET (Active Server Pages- აქტიური სერვერული გვერდები) - .NET ტექნოლოგიის ნაწილია, რომელიც გამოიყენება მასშტაბური კლიენტ-სერვერული Web -დანართების სარეალიზაციოდ. ინტერაქტიული Web-საიტის ადვილად შესაქმნელად იგი შეიცავს მზა მართვის ელემენტების სიმრავლეს და შესაძლებლობას იძლევა შექმნას დინამიური HTML გვერდები.

ASP.NET-ის დამუშავების დროს მისაწვდომია .NET-ის ყველა კლასი, სპეციალური კომპონენტები, შექმნილი C# ან სხვა ენებზე, მონაცემთა ბაზები და ა.შ. ფაქტობრივად, სახეზეა ყველა ის შესაძლებლობა, რომელსაც იყენებს C# დანართის აგებისას. C#-ის გამოყენება ASP.NET-ში ეფექტურს ხდის დანართის შესრულებას.

ASP.NET ფაილი შეიძლება შეიცავდეს ინსტრუქციების დამუშავებას სერვერისთვის, C#, VB.NET, Jscript.NET ან სხვა პროგრამული ენების კოდებს, რომელთა მხარდაჭერა ხდება .NET პლატფორმით, ნებისმიერი ფორმის შინაარსს, რომელიც გენერირდება რესურსის სახით HTML-ით, ASP.NET -ის ჩადგმული სერვერული მართვის ელემენტებს.

ბანკის ელ. კომერციის სისტემა მუშაობს VerifiedbyVisa და MasterCard SecureCode ტექნოლოგიების მეშვეობით, რაც გულისხმობს ბარათის აუტენტიფიკაციის სამ დონეს (3D Secure). ეს ტექნოლოგია არის შემუშავებული ვიზა და მასტერქარდ საგადახდელი სისტემების მიერ, რომლის მეშვეობით ხდება ბარათის იდენტიფიკაციის კიდევ ერთი ეტაპის გავლა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს თაღლითური ბარათებით განხორციელებულ გადახდებს.

მომხმარებელს ბანკის ელ. კომერციის სისტემით აღჭურვილ ინტერნეტ მაღაზიაში შეუძლია Visa Standart, MasterCard Standart და უფრო მაღალი კლასის ბარათებით სარგებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში, რაც უკვე ბარათის მფლობელ ბანკზეა დამოკიდებული, გადახდის განხორციელება Visa Electron არის შესაძლებელი. გადახდის დროს საჭიროა შემდეგი მონაცემების მითითება: 16-ნიშნა კოდის, ბარათის მოქმედების ვადის და CVV2 (Card Verification Value 2) კოდის, რომელიც ბარათის უკანა მხარეზეა მოთავსებული.

მომხმარებლები და ინტერნეტ-მაღაზიები დაზღვეულები არიან იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა გადაიფიქრა ან მოხდა სხვა რაიმე გარემოება და შეკვეთა გაუქმდა. ტრანზაქციის დასრულება ხორციელდება კლიენტის მიერ საქონლის საბოლოოდ მიღების შემდეგ. მხოლოდ ამ პროცესის შესრულებისას ინტერნეტ მაღაზია საიდენტიფიკაციო ნომერს უგზავნის ბანკს, რათა მან დაასრულოს ფინანსური ოპერაცია და ჩამოაჭრას კლიენტს თანხა ანგარიშიდან. ამ პერიოდამდე თანხა ანგარიშზეა გაყინული. თუ გარიგება არ ხდება, მაშინ მომხმარებელი თავის ფულს უკან იღებს.

გადახდის ელექტრონული სისტემის გამოყენებისას მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ხდება ინტერნეტ-უსაფრთხოების დაცვა. უსაფრთხოება დაკავშირებულია ქსელით გადაცემული მონაცემების უსაფრთხოებასთან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ყველა მონაწილის კეთილინდისიერებაზე (გადამხდელი, თანხის მიმღები, ბანკი და ა.შ.).

გადახდა ინტერნეტით შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გადახდასთან და გარიგებასთან დაკავშირებული მონაცემები არ უნდა მოხვდეს არც ნაწილობრივ და არც სრულად მესამე პირის ხელში;
- ოპერაციის ყველა მონაწილის ავთენტიფიკაცია. ოპერაციის ყველა მონაწილე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საქმე აქვს რეალურ პირთან;
- ინფორმაციის გადაცემა ხარვეზის გარეშე (მონაცემთა მთლიანობა). ინფორმაცია შენახვისა და გადაცემისას დაცული უნდა იყოს არასანქცირებული ცვლილებებისაგან;
- გარიგების უარყოფის შესაძლებლობის გამორიცხვა ოპერაციის ყველა მონაწილისათვის (გარიგების ნოტარიზაცია);
- ოპერაციის მონაწილის მიერ სხვა მონაწილეების შესახებ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობის გამორიცხვა.

#### ლიტერატურა:

1. თურქია ე., ძამანაშვილი ი., ინტერნეტ-ბიზნესი, სტუ, თბ., 2008.

2. სურგულაძე გ., თურქია ე., ბულია ი., Web-აპლიკაციების დამუშავება მონაცემთა ბაზების საფუძველზე (ADO.NET, ASP.NET, C#), სტუ. თბ., 2009.
3. ჯავახაძე გ., ბიზნეს-პროგრამების მართვისას გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი მოდელები და მეთოდები, თბ., 2003.
4. Барановская Т.П и др., Информационные системы и технологии в экономике, М., 2006.
5. Дж.Лодон, К. Лодон, Управление информационными системами, ПИТЕР, 2005.
6. <http://amazon.com/>
7. <http://www.navigator.ge/>

## რეზიუმე

ინტერნეტ მაღაზიაში ონლაინ გადახდის სტრუქტურა ფაქტიურად ჩვეულებრივი ფიზიკური მაღაზიის იდენტურია, რომელშიც ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათით ხორციელდება. საჭიროა სტანდარტიზირებული ფორმის განსაზღვრული ველებით ჩაშენება მაღაზიის ვებ-გვერდზე, რომელიც განკუთვნილია გადახდის ეტაპის განსახორციელებლად. გადახდის ელექტრონული სისტემის გამოყენებისას მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ხდება ინტერნეტ-უსაფრთხოების დაცვა. უსაფრთხოება დაკავშირებულია ქსელით გადაცემული მონაცემების უსაფრთხოებასთან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ყველა მონაწილის კეთილსინდისიერებაზე.

## ONLINE PURCHASE AND PAYMENT PROCEDURES AND SECURITY ISSUES OF PAYMENT BY INTERNET

**Tamar Makasarashvili**, Full Professor

**Lia Nadiradze**, Chief Teacher

### RESUME

Structure of online payment in online shop is factually identical of common physical shop, in which a settlement is implemented by a plastic card. It is necessary to be built-in by standardized form specific fields on the web-page of shop, which is intended for implementation of payment stage. Internet security protection has become important for a user while using electronic system of payment. Security is connected to the security of data passed by the network and is depended on conscientiousness of all members of transaction.

## გაზრდილი ფასები და საარსებო მინიმუმი საქართველოში

*ლეილა მამულაშვილი, სრული პროფესორი  
ირმა მახარაშვილი, მოწვეული სპეციალისტი*

სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯებით განისაზღვრება. თუ ერთმანეთს შევადარებთ საქართველოსა და აშშ-ში მცხოვრები მომხმარებლის სამომხმარებლო კალათებს, დავინახავთ, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. ყველაზე დიდი განსხვავება კი სურსათზე გაწეული დანახარჯების ხვედრით წილშია. კერძოდ, საქართველოს მოქალაქის სამომხმარებლო კალათაში სურსათსა და ალკოჰოლურ სასმელებზე მოდის სამომხმარებლო კალათის 30,3 პროცენტი, ხოლო აშშ-ში კვებაზე მოდის საერთო დანახარჯების 15 პროცენტი. რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით ნაკლებია მის სამომხმარებლო კალათაში სურსათის ხვედრითი წილი, ხოლო დაბალგანვითარებულ ქვეყნებში დანახარჯების ძირითადი წილი სწორედ კვებაზე მოდის, ესე იგი ადამიანი თავისი შემოსავლის ძირითად ნაწილს ხარჯავს კვების პრო-



დუქტების შექმნაზე და ინტელექტუალური განვითარებისათვის კი თანხა აღარ რჩება. საქართველოში წლების განმავლობაში სამომხმარებლო კალათაც ისევე იყო შეკვეცილი, როგორც საარსებო მინიმუმი. სამომხმარებლო კალათა ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რადგან კარგად ასახავს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გათვლებით, 2011 წლის მარტში საარსებო მინიმუმი 160,6 ლარი იყო. 2012 წლის იანვრის მონაცემებით კი 157, 2 ლარი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური განცხადებით, 2010 წელს მომხდარმა ბუნებრივმა კატაკლიზმებმა სხვადასხვა სასურსათო პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვა გამოიწვია, რამაც საგრძნობლად დააზარალა საქართველო.

საერთოდ საკვებ პროდუქტზე ფასების ზრდა თვალსაჩინოა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებიდანაც გამომდინარე. როდესაც შემოსავალი იგივე რჩება, ფასები კი იმატებს სასურსათო პროდუქციაზე, ტრანსპორტზე, კომუნალურ გადასახადსა და განათლებაზე, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი იზღუდება. ფასები იზრდება მაშინ, როდესაც მოთხოვნა ამა თუ იმ პროდუქტზე იმატებს. მაგრამ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ კონკრეტულ პერიოდში ფასების ზრდა მოთხოვნის ზრდას არ გამოუწვევია. მონოპოლიური სექტორების ფაქტორი გადამწყვეტია, რადგან ფასები ხელოვნურად არის გაბერილი მთელ რიგ პროდუქციაზე და მომსახურებაზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია შეცვალა და 2012 წლისათვის სამომხმარებლო კალათა განაახლა. განახლებული სამომხმარებლო კალათა ასახავს მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს სამომხმარებლო ფასების ინდექსს - ინფლაციის მაჩვენებელს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ განახლებულ სამომხმარებლო კალათაში სურსათის ხვედრითი წილი 40%-დან 30%-მდე შემცირდა. საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს ინფლაციის მაჩვენებელზე სამომხმარებლო ფასების გაანგარიშების ახალი მეთოდი და რამდენად ემთხვევა „საქსტატის“ მიერ შედგენილი სამომხმარებლო კალათა მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებს.

2012 წლის სამომხმარებლო კალათა ათი სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება და ის ჯამში 288 სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას შეიცავს. თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი კი ამ კალათაში ასეთია: სურსათს და უალკოჰოლო სასმელებს სამომხმარებლო კალათაში 30.3% უჭირავს, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - 5.5%, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი - 2.6%, საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი - 8.2%, ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა-შეკეთება - 5.1%, ჯანმრთელობის დაცვა - 7.5%, ტრანსპორტი - 12.8%, კავშირგაბმულობა - 5.6%, დასვენება, გართობა და კულტურა - 6.8%, განათლება - 6.1%, სასტუმროები, კაფეები და რესტორნები - 4.4%, სხვადასხვა საქონელი და მომსახურება - 5.0%.

სასურსათო ჯგუფში 90-მდე დასახელების პროდუქტი შედის, რაც ადამიანს არსებობისთვის სჭირდება. „საქსტატი“ სამომხმარებლო კალათის განახლებას ყოველწლიურად გეგმავს. კალათის განახლებაში ამა თუ იმ პროდუქტსა და მომსახურებაზე წონის შეცვლა იგულისხმება. თუ 2010 წელს კალათაში 266 პროდუქტი და მომსახურება შედიოდა, დღეისათვის მათმა რაოდენობამ რამდენიმე ერთეულით მოიმატა. ის მოსახლეობის დანახარჯების ახალ სტრუქტურას ასახავს, რაც უფრო საიმედოს გახდის სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებას - ინფლაციის მაჩვენებელს. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას წარმოადგენს, რომელსაც ევროსტატი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს.

ახალი სამომხმარებლო კალათა, წინამორბედთან შედარებით, როგორც შემადგენლობით, ასევე ხვედრითი წილებით განსხვავდება, კერძოდ, 2010 წლის მონაცემებით, მომხმარებელი საკვებზე 40,1 პროცენტს ხარჯავდა, ახალი მონაცემებით კი მაჩვენებელმა 30,3 პროცენტამდე დაიწია. განსხვავებაა, აგრეთვე, ჯანდაცვისა და გართობის სეგმენტებშიც. ადრე გართობაზე 4,3 პროცენტს და ჯანდაცვაზე 9 პროცენტს ხარჯავდნენ, ახლა კი გართობას 6,8 პროცენტს, ხოლო ჯანდაცვას 12,8 პროცენტს უთმობენ. ახალი კალათიდან ამოღებულია კავშირგაბმულობის ბლოკი და ის ტრანსპორტის კომპონენტზეა მიბმული, აქვეა ინტერნეტის და მობილური ტელეფონის გადასახდელიც. ჯამურად კი გადასახდელებს მიბმული ტრანსპორტის მომსახურების ხვედრითი წილი ახალ კალათაში 12,8 პროცენტია, ხოლო ძველში მხოლოდ ტრანსპორტზე გაწეული ხარჯები - 10,4 პროცენტს უდრის. შესამჩნევი განსხვავებაა განათლების მიმართულებაშიც, ადრე ამ სფეროში მოსახლეობა შემოსავლების 13,9 პროცენტს იხდიდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 6,1 პროცენტია.

საქართველოში ინფლაციის საერთო დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მსოფლიოში ნავთობისა და სურსათის ფასებზე. საქართველოში სასურსათო ინფლაცია უფრო მაღალი, მერყევი და

ხანგრძლივია, ვიდრე არასასურსათო ინფლაცია. მიჩნეულია, რომ 2011 წელს სურსათზე ფასების ყველაზე მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 36 წლის განმავლობაში. სურსათზე ფასების მატება ენერგორესურსების ფასების ზრდამ გამოიწვია. 2012 წლის მონაცემებით საქართველოს ოთხჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოჰქონდა, ვიდრე გაჰქონდა. შესაბამისად, საქართველოში სასურსათო ფასების დამოკიდებულება მსოფლიო ფასებზე კვლავ მაღალი იყო.

როდესაც ადამიანები ბევრს ხარჯავენ სურსათისთვის, ფასის ნებისმიერი ცვლილება დიდ გავლენას ახდენს ინფლაციაზე და, შესაბამისად, სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე. რაც უფრო მცირე ნაწილი სარგებლობს ამა თუ იმ პროდუქტით ან სერვისით, მით ნაკლებ გავლენას ახდენს ის სამომხმარებლო კალათაზე და პირიქით. არსებობს მინიმალური სამომხმარებლო კალათა, სადაც შედის ის აუცილებელი პროდუქტები და მომსახურება, რაც ადამიანს არსებობისთვის სჭირდება - დაწყებული პურით, დასრულებული ინფორმაციის მიღების საშუალებებით. ადამიანი, პირველ რიგში, ცდილობს დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები სურსათზე, უსაფრთხოებაზე, საცხოვრისზე, შემდეგ სამოსზე და ბოლოს არის მაღალი დონის მოთხოვნილებები. საქართველოში ცხოვრების დონის განსხვავება თვალშისაცემია და ფულადი შემოსავლებით ეს არის თანაფარდობა 28/1-თან, ხოლო ფულადი და ნატურალური შემოსავლებით, ყველაზე მდიდრების 10%-ის თანაფარდობა ყველაზე ღარიბების 10%-თან არის 17/1-თან. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია პოსტსაბჭოთა სივრცეში და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში. ყველაზე მაღალშემოსავლიანთა შემოსავლები ყველაზე დაბალშემოსავლიანთა შემოსავლებს დაახლოებით 65-ჯერ აღემატება. ცხადია, მათი მოთხოვნილებები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2012 წლის ივნისში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 149 ლარი შეადგინა, რაც 2011 წლის ივნისისთვის მონაცემებზე 6 პროცენტით ნაკლებია. „საქსტატის“ მიერ წარმოდგენილი საარსებო მინიმუმის მიხედვით, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო თანხის მოცულობა ერთი დღის განმავლობაში 4,96 ლარია.

უკრაინაში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 1197,71 გრივნაა (244,71 ლარი), ლატვიაში - 175,78 ლატი (511 ლარი), ყაზახეთში - 16.119 ტენგე (178,11 ლარი), აზერბაიჯანში - 102 მანათი (212,1 ლარი), ხოლო სომხეთში - 31.000 დრამი (122,27 ლარი).

2011 წლის ივნისში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 158,6 ლარი იყო. სტატისტიკის თანახმად, საარსებო მინიმუმის ასეთი დაბალი მაჩვენებელი 2010 წლის დეკემბრის (149,6 ლარი) შემდეგ არ დაფიქსირებულა. 2012 წლის ივნისში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 132 ლარი შეადგინა, 2011 წლის ივნისში - 140,5 ლარი, საშუალო ოჯახის - 249,9 ლარი (2011 წლის ივნისი - 266 ლარი). ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი, სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წლის ივნისში 132 ლარია (2011 წლის ივნისი - 140,5 ლარი), ექვსსულიანის და მეტის - 351 ლარი (2011 წლის ივნისი - 373,6 ლარი). 18-თვიანი ზრდის შემდეგ, 2012 წლის თებერვლიდან საარსებო მინიმუმი შემცირების ტენდენციით გამოირჩევა.

რაც შეეხება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს, „საქსტატი“ მას 2004 წლიდან იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს, რომელიც განსაზღვრული და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N 111/ნ ბრძანების შესაბამისად. 2004 წლამდე „საქსტატი“ საარსებო მინიმუმის მაჩვენებლების გაანგარიშებას სხვა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ახორციელებდა. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებებით აიხსნება 2004 წლამდე და 2004 წლის შემდგომი პერიოდისთვის გაანგარიშებულ მონაცემებს შორის განსხვავება.

საქართველოს მოქალაქის შემოსავალი მისი ფიზიკური გადარჩენისთვისაა განკუთვნილი - ის შრომობს იმისთვის, რომ იარსებოს. თანაც, წლების განმავლობაში სამომხმარებლო კალათაც ისევე იყო შეკვეცილი, როგორც საარსებო მინიმუმი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სამომხმარებლო კალათაში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს ისეთ დანახარჯებს, როგორც არის წყლის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და ამ ტიპის დანახარჯები, რომლებიც მთელი დანახარჯების 13,9 პროცენტს შეადგენს. აშშ-ის მოქალაქის სამომხმარებლო კალათაში ასეთ დანახარჯებს 3 პროცენტი უკავია, ანუ საქართველოში 4,5-ჯერ მეტი თანხა იხარჯება კომუნალურ გადასახადებზე. აქედან გამომდინარე, საკმაოდ აქტუალურია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფების შემცირება, რადგან მომხმარებელს საშუალება მიეცემა გამოათავისუფლოს თანხა და დახარჯოს თუნდაც კულტურულ და ინტელექტუალურ მოთხოვნებზე. მისასალმებელია, რომ გადასახდების შემცირებას ახალი ხელისუფლება მომავალშიც აპირებს. აშშ-ის

მოქალაქეების სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი - 33 პროცენტი ე.წ. საბინაო ხარჯებზე მოდის.

ქართული სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ აღარ დაიჩაგროს ადამიანის სულიერი მხარე, რაც ახლანდელი სამომხმარებლო კალათის არსებობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ღარიბი ქვეყნის მოქალაქე დაჩაგრულია არა მხოლოდ დაბალი შემოსავლის გამო, არამედ იმიტაც, რომ არა აქვს სულიერი, ინტელექტუალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, შემოსავლები უნდა გაიზარდოს, სამომხმარებლო კალათაში სურსათის წილი შემცირდეს ტარიფების შემცირების გზით. საჭიროა გაუქმდეს ის მახინჯი წესი, რომელიც კომუნალური გადასახადების ერთმანეთზე მიბმას ითვალისწინებს და რომლის ანალოგიც, ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს...

მსგავსი ღონისძიებები არის გარანტი იმისა, რომ ჩვენი სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა სასიკეთოდ შეიცვალოს, რაც დადებით შედეგს მოუტანს საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს.

#### ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
2. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/69198-qarsthusli-sasmomskhmasrebslo-kaslasthis-shuqs-chrdislesbi.html?add=1#ixzz2Wz43IPtY>
3. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/69198-qarsthusli-sasmomskhmasrebslo-kaslasthis-shuqs-chrdislesbi.html?add=1>
4. <http://24saati.ge/index.php/category/business/2012-03-15/26571.html>[www.gsis.org/media/download/EJSEF/imerlishvili\\_consumer\\_basket.pdf](http://www.gsis.org/media/download/EJSEF/imerlishvili_consumer_basket.pdf)
5. [http://www.for.ge/view.php?for\\_id=13645&cat=1](http://www.for.ge/view.php?for_id=13645&cat=1)
6. <http://www.netgazeti.ge/GE/105/business/10821/>

### რეზიუმე

სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯებით განისაზღვრება. თუ ერთმანეთს შევადარებთ საქართველოსა და აშშ-ში მცხოვრები მომხმარებლის სამომხმარებლო კალათებს, დავინახავთ, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. ყველაზე დიდი განსხვავება კი სურსათზე გაწეული დანახარჯების ხვედრით წილშია. ქართული სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ აღარ დაიჩაგროს ადამიანის სულიერი მხარე, რაც ახლანდელი სამომხმარებლო კალათის არსებობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ღარიბი ქვეყნის მოქალაქე დაჩაგრულია არა მხოლოდ დაბალი შემოსავლის გამო, არამედ იმიტაც, რომ არა აქვს სულიერი, ინტელექტუალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, შემოსავლები უნდა გაიზარდოს, სამომხმარებლო კალათაში სურსათის წილი შემცირდეს ტარიფების შემცირების გზით.

## INCREASED PRICES AND THE LIVING AGE IN GEORGIA

Leila Mamulashvili, Full Professor

Irma Makharashvili, Invited specialist

### RESUME

The structure of consumer price index is defined by expenses on products and services necessary for human subsistence. If we compare consumers living in Georgia and the US we will see great difference between them. The greatest difference is in share of food expenses. Georgian consumer price index should have to be changed in the way people do not feel oppressed. This is impossible in conditions of today's consumer price index. Citizens of poor country feel oppressed not only because of their low incomes, but also because they have no opportunities to develop their spiritual, intellectual and cultural possibilities. First of all, the incomes have to be increased and consumer price index must be reduced by reducing tariffs.

## გორი და გორის რაიონი, როგორც ტურისტული ბიზნესის ობიექტი

*ლალი სადალაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
ნანული ქოქაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
მარინე ბუზიაშვილი, მოწვეული სპეციალისტი*

შიდა ქართლში გორი და გორის რაიონი ტურისტული რესურსების მაღალი პოტენციალით გამოირჩევა. მდინარე ტანის ხეობა, წედისის ხეობა, კვერნაკის სერი, უფლისციხე, ლიახვისა და მეჯუდის ხეობები მრავალი ტურისტის ინტერესს გამოიწვევს.

ისეთ ისტორიულ ძეგლებს, როგორცაა ატენის „სიონი“, „უფლისციხე“, „გორიჯვარი“, „სტალინის სახლ-მუზეუმი“, „გორის ციხე“ შეუძლია აღტაცებაში მოიყვანოს ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი.

მდიდარი კულტურული ტრადიციები, საუკუნეებგამოვლილი და მსოფლიოში აღიარებული ქართული სტუმარმასპინძლობა, უცხოელთა მიმართ ტოლერანტობა, მაღალი შინაგანი კულტურა და განათლება საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ ტურიზმის სახეების განვითარებაზე.

მდინარე ტანას ხეობა 30-40 კმ. სიგრძისაა. მისი სათავე გაშლილ ხეობაშია, ხოლო სოფელ ბიისთან 5-6 კმ-ში იწყება „ტანის კარი“, რომლის სიგრძე ზოგ უბანზე 10-12 მეტრს არ აღემატება. გეოლოგიურად ხეობა მეზოზოური, თანამედროვე წყებებითაა აგებული. მას როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრიდან აქვს განშტოებები მიკროხეობების სახით.

მდინარე ტანას ხეობა საუკეთესო რესურსია ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ბუნებრივ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ბუნებაში დასვენების მოყვარული ტურისტებისათვის დროებითი საბანაკო ადგილები მოეწყოს, რომელიც მაქსიმალურად იქნება დაცვილებული ხეობის კედლებს, რათა დაცული იქნეს უსაფრთხოების ზომები.

მდინარე ტანას ხეობაში მრავლადაა ჩანჩქერები, უხვადაა მთის წყაროები, რომლებიც სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბიისის გოგირდის წყალი, რომელიც სამკურნალო დანიშნულებისაა.

ბუნებაში დასვენების მოყვარულთათვის ტანის ხეობა მეტად მიმზიდველია ზაფხულში ქვეითი ტურიზმისათვის და ზამთარში სათხილამურო ტურიზმის ყველა მიმართულებისათვის. ამასთან ტურისტთა განთავსება შესაძლებელია დასახლებულ პუნქტებში სოფლებში: ატენი, ბიისი, ორმოცი, ბოშური, ბნავისი და სხვ. ხეობის ქვედა ნაწილში სოფლის მეურნეობიდან განვითარებულია მეხილეობა-მეხოსტნეობა, ხოლო ზედა ნაწილში კი - მეცხოველეობა და მეფუტკრეობა, რაც ტურისტებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების საშუალებას მისცემს, ამასთან აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივებს ქმნის.

ხეობა განსაკუთრებულია მრავალფეროვანი ეთნიკური შემადგენლობით, რაც ტურისტებისათვის სხვადასხვა კულტურისა და ჩვეულებების გაცნობის საშუალებას იძლევა.

უდიდესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა შემონახული მდ. ტანას ხეობაში: გარდატენი (დანახვისი წმ. გიორგის ეკლესია VI - ს, ვერეს ციხე IX -ს, მწვანე საყდარი - X-XI სს, ორსაყდრის ღვთისმშობლის ეკლესია - გვიანი ფეოდალური ხანა, ღვთისმშობლის ეკლესია - გვიანი ფეოდალური ხანა, წედისის ციხე და ეკლესია - X ს., პატარა და დიდი ატენი: ატენის სიონი „ხეობის მარგალიტი“ - VII ს-ის I ნახევარი; კვირაცხოვლის ეკლესია - VII- IX სს.; ბოზნევი-ბიისის ეკლესია - გვიანი ფეოდალური ხანა, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია - XVI - ს., კვირაცხოვლის და წმინდა გიორგის ეკლესია - გვიანი ფეოდალური ხანა, ქვემო ბოშური - ზემო ბოშური - ფეტვისხევი: მარიაშწმინდის ეკლესია - IX - ს., გაიჩანათუბანი: წმ. გიორგის ეკლესია - XIX ს., ორმოცი: ღვთისმშობლის ეკლესია, მღებრიანი: კლიკის ჯვრის ეკლესია - VII-VIII სს., წითელწყარო: მთადეკულის წმ. გიორგის ეკლესია -IX ს., ნათლისმცემლის ეკლესია XI - ს.; ჭიათას ეკლესია - IX ს., საყვარე: ღვთისმშობლის ეკლესია - XV - ს., წმ. გიორგის ეკლესია - IX ს., ფიცესი: საორბისის წმ. გიორგის ეკლესია - 1152 წ.

მრავალრიცხოვან ტაძრებში წირვა-ლოცვა ქართული მართლმადიდებლური წესით აღევლინება, რაც ხეობაში მომლოცველობითი ტურიზმის განვითარების კარგ პერსპექტივას ქმნის.

ხეობის კულტურული ძეგლების პროპაგანდა საშუალებას მოგვცემს აღნიშნული საკითხით უფრო მეტად დავაინტერესოთ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ტურისტები და შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ხეობაში კულტურული და მომლოცველობითი ტურიზმის ჩასახვისა და განვითარებისა.

რაც შეეხება სატრანსპორტო გზებს, ხეობაში ერთადერთი მოასფალტებული და დროთა განმავლობაში გაფუჭებული არტერიაა გორი-ბოშური, მაგრამ ხეობის განშტოებებში მისვლა მხოლოდ სპეციალური ტრანსპორტითაა შესაძლებელი.

წედისის ანუ ათრევას ხეობა ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა შიდა ქართლში. იგი მიკროხეობაა და ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ძალზე ჰგავს ტანის ხეობას. მცენარეული საფარით კი წედისის ხეობა გაცილებით მდიდარია, განსაკუთრებით მისი ზედა ნაწილი. ხეობა გამოირჩევა მთის წყაროების სიმრავლით. მდინარე ათრევას ნაპირები საუკეთესო ადგილია ბუნებაში დასვენების მოყვარული ტურისტებისათვის.

წედისის ხეობაში საავტომობილო მაგისტრალი არ არსებობს. ხეობამდე მისასვლელი გზებიდან განსაკუთრებულია გორიჯვრიდან გადასასვლელი ბილიკები, საიდანაც მუხრანის გავლით პაკას წყაროსთან მივალთ. აქედან იწყება ულამაზესი ხედები ტყეებითა და მდელოებით. ხეობაში ბინადრობს ისეთი ნადირი, როგორცაა: დათვი, ღორი, მელა და სხვ. აქ უხვადაა გაქვავებული ხეები, რაც განსაკუთრებულ ხიბლს მატებს ხეობას.

წედისის ხეობა საუკეთესო რესურსია სათავგადასავლო ტურიზმისა და სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის. ამასთანავე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, რაც ქმნის კულტურული ტურიზმის განვითარების საფუძველს.

კვერნაქების სერის სამხრეთი ფერდობის ფლატეებში და ქარაფებში მრავალი ხელოვნური გამოქვაბულის ჯგუფია გამოკვეთილი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ქვაში ნაკვეთი 3000 წლოვანი ციხე-ქალაქი უფლისციხე. იგი ანტიკური და შუასაუკუნობრივი, წარმართული და ქრისტიანული ნაგებობების რთულ კომპლექსს წარმოადგენს.

აღსანიშნავია მეორე საუკუნის კლდეში გამოკვეთილი რომაული ყაიდის თეატრი, თამარ მეფის დარბაზი, ბაზარი და მტკვართან დამაკავშირებელი გვირაბი. ტბებიდან აღსანიშნავია ნადარბაზევისა და ნაწრეტის ტბა.

შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შემთხვევაში აღნიშნული ტბები საუკეთესო ტურისტულ-დასასვენებელ ადგილად შეიძლება იქცეს, როგორც წყალ-სათხილამურო და სპორტ-სამეთევზეო ობიექტი.

გორისა და გორის რაიონის განსაკუთრებით ლამაზ და მდიდარ ადგილებს ლიახვის და მეჯუდას ხეობები წარმოადგენენ, სადაც თავმოყრილია უძველესი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა. ამასთან, ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ მოინახულონ ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სახლ-მუზეუმები: სოფ. ვარიანში გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, სოფ. არბოში - ნ. ლომოურის სახლ-მუზეუმი, დიდ მეჯურისხევში - ანასტასია ერისთავ-ხოშტარის სახლ-მუზეუმი, სოფ. მერეთში - ა. ფურცელაძისა და ისაია ფურცელაძის საფლავები და სხვ.

გორის ტურისტულ ცენტრში შემოვიდა: 2011 წ. 24 503 ტურისტი, 2012 წ. 28 196 ტურისტი, მათ შორის უცხოელი 26 600, ქართველი ტურისტი 1596, მათ მიერ შემოსული თანხა 2012 წელს შეადგენს 422 940 ლარს.

იმისათვის, რომ განვითარდეს გორი და გორის რეგიონი, როგორც ტურისტული ბიზნესის ობიექტი, ჩვენი აზრით, საჭიროდ მიგვაჩნია:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება, კერძოდ კომუნიკაციებისა და გზების მშენებლობა;
2. მოწესრიგდეს სამგზავრო ტრანსპორტის სიმწირე და უხარისხობა;
3. ტურისტული ინდუსტრიის კადრების სიმწირე;
4. მოხდეს აღნიშნული კადრების პროფესიონალიზმის ზრდა;
5. მოხდეს ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა და დაინტერესება;
6. მოხდეს მასპინძელი ოჯახების ხელშეწყობისათვის ბანკების მიერ დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა;
7. მოხდეს ტაიმ შერის სისტემის დაფუძნება;
8. მომზადდეს ტურ-ოპერატორები, გაიარონ სპეციალური ტრენინგები;
9. მომზადდეს „მასპინძელი ოჯახები“, შეისწავლონ მათზე დაკისრებული მოვალეობები და მოთხოვნები;
10. მოწესრიგდეს მთლიანი ტურისტული სერვისის საკითხები.

#### ლიტერატურა:

1. ალექსიძე თ., შიდა ქართლის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია, თბ., 2006.
2. ეკოტურიზმი და მისი განვითარების მნიშვნელობა, თბ., 2003.

3. ტურიზმი და საქართველოს მომავალი, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2000, 2001.
4. მენაბდიშვილი ხ., მამისთვალიშვილი ე., ქობულაშვილი თ., ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში, გორი, 2007.

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გორისა და გორის რაიონის როგორც ისტორიული ძეგლების, ისე ბუნებისა და ფლორის მონაცემები, მათი მნიშვნელობა და მიზანი ტურისტული ობიექტების სრულყოფისათვის. ტურისტული ობიექტების სრულყოფისათვის წარმოდგენილი ათი საკითხის სრულყოფა, რომელიც მოცემულია ნაშრომის ავტორების მიერ, სრულყოფს ნაშრომს, როგორც ბიზნესის ობიექტს, რომელთა სრულყოფა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა.

ტურიზმის განვითარება აამაღლებს და გაზრდის შემოსავლებს ბიზნესში, რაც ჩვენი ქალაქის უკეთესი დღის მაჩვენებელია.

### GORI AND THE GORI REGION AS A TOURIST BUSINESS OBJECT

Lali Sadaghashvili, Associate Professor

Nanuli Kokashvili, Associate Professor

Marine Buziashvili, Specialist under contract

### RESUME

The article includes the information about Gori and Gori region historical monuments and nature. The aim of this work, is to improve the structure of turism.

The authors of this article give ten tasks, for improving turism as business subject, which is one of the most important thing.

Improving turism business, and make the better future for our four.

### კომერციულ ბანკებში საპროცენტო პოლიტიკა, განაკვეთები, რისკები და პროცენტების დარიცხვის მეთოდები

*გიორგი ცაავა, მოწვეული დოქტორი*

**სასესხო პროცენტი** - არის ღირებულების (სასესხო კაპიტალის) დროებით გამოყენებაში გასესხების თავისებური ფასი, რომელიც არსებობს სხვადასხვა ფორმებში და ისინი შეიძლება კრედიტის ფორმების, საკრედიტო ურთიერთობის სუბიექტების, ოპერაციების სახეობების, დაკრედიტების ვადების მიხედვით იქნას კლასიფიცირებული.

**საბანკო პროცენტი** - არის სასესხო პროცენტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ფორმა, როდესაც ბანკი საკრედიტო ურთიერთობის ერთ-ერთი სუბიექტის სახით გამოდის. ბანკის მიერ მისაღები შემოსავლის წილი თავისთავად წარმოადგენს კომპენსაციას შუამავლობაზე, ბანკის მიერ თავისთავზე აღებული ვალის დაუბრუნებლობის რისკზე და მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებაზე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში **საბანკო პროცენტის დონე** განისაზღვრება: პროცენტული განაკვეთების ეროვნულ სისტემაზე ზემოქმედი **მაკროეკონომიკური ფაქტორებით** (საკრედიტო

რესურსების მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ინფლაციური მოლოდინები, საკრედიტო რესურსების ბაზარზე კონკურენცია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ეროვნული ეკონომიკის ღიაობა, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, ვალუტების გაცვლითი კურსი, ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობა, გადასახადდაბეგვრის სისტემა და კომერციული ბანკის პოლიტიკის საფუძველში ჩადებული კერძო ფაქტორებით (რომლებიც განისაზღვრება მისი პოზიციით ბაზარზე, ოპერაციის ხასიათით და მისაღები რისკების სიდიდით).

**პროცენტის საბაზრო განაკვეთის (I) გაანგარიშება შეიძლება შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი:**

$$I = r + e + RP + LP + MP,$$

სადაც:  $r$  - არის პროცენტის რეალური განაკვეთი „რისკისგარეშე ოპერაციების“ მიხედვით;

$e$  - არის პრემია, რომელიც სავალო ვალდებულების ვადაზე ინფლაციური მოლოდინების დონის ეკვივალენტურია;

$RP$  - არის პრემია გადასახადის რისკზე;

$LP$  - არის პრემია ლიკვიდურობის დაკარგვის რისკზე;

$MP$  - არის პრემია რისკზე სავალო ვალდებულების დაფარვის ვადის გათვალისწინებით.

იმდენად, რამდენადაც პროცენტები ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით თავისთავად წარმოადგენენ მისი საშემოსავლო ბაზის ყველაზე არსებით მუხლს, ხოლო პროცენტული ხარჯები კი მოსახიდი რესურსების მიხედვით ძირითადი ხარჯების ფორმირებას ახდენენ, ბანკმა ადეკვატური საპროცენტო პოლიტიკის გატარების მიზნით მიღებული (გადახდილი) პროცენტების ნაწილში ბანკის პოზიციის მახასიათებელი რიგი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი უნდა განახორციელოს, როგორებიცაა: პროცენტული მარჟა, საბანკო მომსახურების შიდა ღირებულების კოეფიციენტი, საორიენტაციო პროცენტული მარჟა, ბანკის აქტიური ოპერაციების მინიმალური შემოსავლიანობა.

**პროცენტული მარჟა** - არის შემოსავლის მომტანი აქტივებისაგან მიღებული პროცენტულ შემოსავალსა და ბანკის ვალდებულებების მიხედვით განხორციელებული პროცენტულ ხარჯებს შორის სხვაობა, ყველაზე ხშირად მის გასაანგარიშებლად შემდეგი სახის ფორმულა გამოიყენება:

$$M \text{ ფაქ.} = (D \text{ პრ.} - P \text{ პრ.}) : A \text{ პრ.} \times 100 \%,$$

სადაც:  $M$  ფაქ. - არის ფაქტიურად ჩამოყალიბებული პროცენტული მარჟის სიდიდე პერიოდში;

$D$  პრ. - არის პროცენტული შემოსავლები;

$P$  პრ. - არის ხარჯები პროცენტების გადახდასთან დაკავშირებით;

$A$  პრ. - არის აქტივები, რომლებიც პროცენტების სახით შემოსავლის მომტანებია.

**საბანკო მომსახურების შიდა ღირებულების კოეფიციენტი**, ანუ მინიმალური პროცენტული მარჟა ( $M$  მინ.) - არის პროდუქტიულად განთავსებული სახსრების თითოეულ ლარზე მიღებული საკომისიოებითა და სხვა შემოსავლებით გადაუფარავი დანახარჯები, რომელიც შეიძლება გაანგარიშებული იქნას ფორმულით:

$$M \text{ მინ.} = (PB - D \text{ სხვ.}) : A \text{ მუშ.} \times 100 \%,$$

სადაც:  $PB$  - არის ხარჯები ბანკის საქმიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

$D$  სხვ. - არის სხვა შემოსავლები საკრედიტო დაწესებულების;

$A$  მუშ. - არის ბანკის აქტივები, რომლების დაბანდებულ სახსრებზე შემოსავლის მომტანებია.

**საორიენტაციო პროცენტული მარჟა (M)** - არის მარჟის ის სიდიდე, რომლისაკენაც საკრედიტო გარიგებების განხორციელებისას უნდა მიისწრაფოდეს ბანკი იმისათვის, რომ არა მარტო მის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გადაფაროს, არამედ დაგეგმილი მოგებაც მიიღოს, რაც შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$M = N \text{ სამ.} + M \text{ მინ.} + P \text{ მინ.},$$

სადაც:  $N$  სამ. - არის დანამატი მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებაზე;

$M$  მინ. - არის მინიმალური პროცენტული მარჟა;

$P$  მინ. - არის ბანკის აქტიური ოპერაციების მომგებიანობის მონიმალური ნორმა.

**ბანკის აქტიური ოპერაციების მინიმალური შემოსავლიანობა (D მინ.)** შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$D \text{ მინ.} = CP + N \text{ სამ.} + M \text{ მინ.} + P \text{ მინ.},$$

სადაც:  $CP$  - არის ბანკის მოზიდული რესურსების საშუალო ღირებულება.

**საპროცენტო განაკვეთი** - არის სასესხო კაპიტალზე პროცენტული გადახდების ფარდობითი სიდიდე დროის გარკვეული პერიოდისათვის, ჩვეულებრივად წლის განმავლობაში. იგი გაიანგარიშება

როგორც წლის განმავლობაში პროცენტული გადახდების აბსოლუტური თანხის თანაფარდობა ნასესხები სახსრების საშუალო სიდიდესთან.

პროცენტის საბაზრო დონის ცვალებადობაზე რეაგირების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ **ფიქსირებულ** (დგინდება ნასესხები რესურსების გამოყენების მთლიან პერიოდზე მათი დონის ცალმხრივად გადასინჯვის გარეშე) და **მცურავ** (ჩამოყალიბებულია ორი შემადგენელი ნაწილისაგან: მოძრავი საფუძვლისაგან, რომელიც იცვლება საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად და ფიქსირებული სიდიდისაგან, ჩვეულებრივად უცვლელია დაკრედიტების ან სავალო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის მთლიანი პერიოდის განმავლობაში) **საპროცენტო განაკვეთებს**.

ასევე განასხვავებენ **პროცენტის ნომინალურ და რეალურ განაკვეთებს**, რომელთა შორის ურთიერთკავშირი შეიძლება შემდეგი სახით გამოისახოს:

$$i = r + e, \text{ ან } i = r + e + re,$$

სადაც:  $i$  - არის პროცენტის ნომინალური ან საბაზრო განაკვეთი;

$r$  - არის პროცენტის რეალური განაკვეთი;

$e$  - არის ინფლაციის ტემპი.

სასესხო პროცენტის სხვადასხვა ფორმები პრაქტიკაში მრავალფეროვან საპროცენტო განაკვეთებს განსაზღვრავენ. საბანკო პროცენტების განაკვეთების სისტემა მოიცავს: ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთს, ბანკთაშორისო ფულადი ბაზრის განაკვეთებს, დეპოზიტურ განაკვეთებს მოზიდულ სახსრებზე, პროცენტულ განაკვეთებს კრედიტებზე და მრავალი სხვა.

ცენტრალური ბანკის **სააღრიცხვო განაკვეთი** (კომერციული ბანკების რეფინანსირების განაკვეთი) - არის ცენტრალური ბანკის მხრიდან ოფიციალურად გაცხადებადი კომერციული ბანკების დაკრედიტების განაკვეთი.

**ბანკთაშორისო საპროცენტო განაკვეთები** - არის პროცენტული განაკვეთები კრედიტებზე ბანკთაშორისო ფულად-საკრედიტო ბაზარზე, რომლებიც საბაზრო კონიუნქტურაზე მეტი ხარისხითაა ორიენტირებული.

**დეპოზიტური განაკვეთების** სახეობები დეპოზიტური ინსტრუმენტების ხასიათითა და მათი ვადიანობით განისაზღვრება. დეპოზიტური განაკვეთი ყოველთვის საკრედიტოზე რამდენიმე პუნქტით დაბალია, სხვაობას უწოდებენ სპრედს და სწორედ მის ხარჯზე იფარება ხარჯები ბანკის მუშაობის უზრუნველყოფაზე და მოგების ფორმირება ხორციელდება. კომერციული ბანკის დეპოზიტური ბაზის სტრუქტურა მისი საოპერაციო ხარჯების ფორმირების განმსაზღვრელია და მას ლიკვიდურობის მართვის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. დეპოზიტური ინსტრუმენტები დაიყოფა შემდეგ ჯგუფებად: დეპოზიტები მოთხოვნამდე; ვადიანი დეპოზიტები იურიდიული პირების; დეპოზიტები ფიზიკური პირების; გამოშვებული თამასუქები; დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატები და სხვ. ბანკის სადეპოზიტო ბაზის მახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებს მისი სტრუქტურისა და ფასობრივი პარამეტრების პოზიციიდან წარმოადგენენ:

ა) მოზიდული სახსრების საშუალო რეალური ღირებულება (ლდ) დეპოზიტური ოპერაციების სახეობების მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება მითითებული რესურსების საბაზრო ნომინალური ფასის საფუძველზე და მისი ცენტრალურ ბანკში დეპონირებადი სავალდებულო რეზერვების ნორმატივზე კორექტირებით:

$$\text{ლდ} = \text{საბაზრო ნომინალური პროცენტული განაკვეთი (პგ)} : (100 - \text{სავალდებულო რეზერვის ნორმა});$$

ბ) საბაზრო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (სგ) დეპოზიტური ინსტრუმენტების ცალკეული სახეობების მიხედვით :

$$\text{სგ} = \text{პროცენტების } \text{ჯამი გადახდილი წლის განმავლობაში} : \text{შესაბამისი დეპოზიტის საშუალო მოცულობა } \times 100 \%$$

საბანკო პრაქტიკაში პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. ძირითადი ვალის სიდიდის განსაზღვრის (პროცენტების დარიცხვის ბაზის) მეთოდზე დამოკიდებულებაში განასხვავებენ **მარტივ** და **რთულ** პროცენტებს.

**მარტივი პროცენტები** უპირველეს ყოვლისა მოკლევადიანი დაკრედიტებისას გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ თვეში ერთხელ ან სხვა ვადაში ხორციელდება პროცენტების დარიცხვა და მათი კრედიტორზე გადახდა. მსესხებლის გადასახდის საერთო მოცულობა დავალიანების ძირითადი თანხის გათვალისწინებით ტოლი იქნება:

$$S = P (1 + ni),$$

სადაც:  $S$  - არის კრედიტის მიხედვით გადახდების თანხა საწყისი ვალის გათვალისწინებით;



- P** - არის საწყისი ვალი;  
**i** - არის პროცენტების განაკვეთი;  
**n** - არის სესხის ვადიანობა წლებში.

ძალიან ხშირად საბანკო პრაქტიკაში გვიხდება ოპერაციის განხორციელება, რომელიც პროცენტების დარიცხვის საპირისპიროა (დისკონტირება). ასეთი ამოცანა წარმოიშობა, მაგალითად, დისკონტურ თამასუქებთან გარიგებების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში საადრიცხვო ფასის გაანგარიშებისას შემდეგი სახის ფორმულა უნდა იქნას გამოყენებული:

$$P = S(1 - ni),$$

სადაც: **i** - არის დისკონტური განაკვეთი;

**P** - არის გარიგების ფასი;

**S** - არის თამასუქის ნომინალი;

**n** - არის თამასუქის დაფარვის ვადამდე დარჩენილი დღეების რაოდენობის თანაფარდობა დროით ბაზასთან.

მაგალითად, ბანკი ითვალისწინებს თამასუქს ვალდებულების დაფარვის დადგენილ ვადამდე 20 დღით ადრე. თამასუქის ნომინალია - 100 მლნ ლარი; საადრიცხვო განაკვეთი - წლიური 13 %-ის ტოლია. ამ შემთხვევაში გარიგების თანხა ტოლი იქნება:

$$P = 100(1 - 0,13 \times 20 : 365) = 99 \text{ (მლნ ლარს).}$$

საბანკო პრაქტიკაში **რთული პროცენტის** გამოყენება, როგორც წესი, საშუალოვადიან და გრძელვადიან ოპერაციებში არის შესაძლებელი.

რთული პროცენტების დარიცხვისა და დავალიანების საერთო თანხის განსაზღვრის ფორმულა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

$$S = P(1 + i)^n,$$

სადაც: **S** - არის დავალიანების თანხა გარკვეული პერიოდის შემდეგ;

**P** - არის გაცემული სესხის მოცულობა;

**i** - არის პროცენტის განაკვეთი;

**n** - არის სესხის ვადა წლებში.

მაგალითად, ბანკის მიერ მსესხებელზე გაცემულია სესხი 10000 ლარის მოცულობით, ხუთი წლის ვადით, კრედიტის ვადის დასრულებისას წლიური 10 %-ის გათვალისწინებით. საჭიროა განისაზღვროს დავალიანების სიდიდე ხუთი წლის შემდეგ.

$$S = 10000(1 + 0,1)^5 = 16105 \text{ ლარი.}$$

**პროცენტული რისკი** - არის ფინანსური დანაკარგების ალბათობა საპროცენტო განაკვეთების დონის დროში ცვლილების შედეგად. კომერციულ ბანკებთან მიმართებაში პროცენტული რისკი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც ბანკის წმინდა შემოსავლის შემცირების რისკი (მისი კაპიტალის ღირებულების დაკარგვა) საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად. ამრიგად, პროცენტული რისკი გამოხატავს საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებისადმი მიდრეკილების დონეს.

ბაზელის კომიტეტი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პრინციპებში (1997 წ.) პროცენტული რისკის შემდეგი ოთხი წყარო არის გამოყოფილი: **ფასის ცვლილების რისკი; შემოსავლიანობის მრუდის ცვლილების რისკი; საბაზისო რისკი; ოფციონებთან დაკავშირებული რისკები.**

**საპროცენტო პოლიტიკა** - ფართო თვალსაზრისით არის საპროცენტო განაკვეთების მართვის მეშვეობით ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან მიმართებაში ღონისძიებების ერთობლიობა.

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა მომართულია წმინდა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე საბანკო ოპერაციებიდან, საკრედიტო რისკის დაზღვევიდან და ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის მართვისაგან.

საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით ბანკი შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას ახორციელებს:

- ისახავს მიზნებს, რომელთა რეალიზაციაზე საპროცენტო პოლიტიკის განხორციელება მიმართული;
- განსაზღვრავს ბანკის მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს, ასევე ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დადგენისა და გადახედვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების წესს;
- ადგენს საბანკო ოპერაციებზე მაქსიმალურ და მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს, ასევე იძლევა საჯარიმო და შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთების განმარტებას;

- განსაზღვრავს ბანკის ქვედანაყოფს, რომელიც საპროცენტო რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელი;
- ამტკიცებს მეთოდებს, რომელსაც ბანკი პროცენტული რისკის შესაფასებლად იყენებს;
- ადგენს ინსტრუმენტარიებს, რომელიც პროცენტული რისკის შეზღუდვისათვის გამოიყენება.

#### ლიტერატურა:

1. Лаврушин О.И., Банковское дело: учебник, Москва, КНОРУС, 2009. – 768 с.
2. Ричард Томас, Количественные методы анализа хозяйственной деятельности (Пер. с англ.), Москва, Издательство «Дело и Сервис», 1999. – 432 с.
3. ინგოროყვა ა., ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა (სახელმძღვანელო), ტომი I, თბ., გამომცემლობა „გრაალი“, 2011. – 470 გვ.

### რეზიუმე

ბანკის მიერ მისაღები შემოსავლის წილი თავისთავად შუამავლობაზე, ბანკის მიერ თავისთავზე აღებული ვალის დაუბრუნებლობის რისკზე და მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებაზე კომპენსაციას წარმოადგენს. საბანკო პროცენტის დონე განისაზღვრება სასესხო პროცენტის ნებისმიერი ფორმისათვის დამახასიათებელი მაკროეკონომიკური ფაქტორებითა და კონკრეტული ბანკის საპროცენტო პოლიტიკის განხორციელების საფუძველში ჩადებული კერძო ფაქტორებით.

პროცენტის საბაზრო დონის ცვლილებებზე რეაგირების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ფიქსირებულ და მცურავ საპროცენტო განაკვეთებს. საბანკო პრაქტიკაში პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება და განასხვავებენ მარტივ და რთულ პროცენტებს.

პროცენტულ რისკთან მიმართებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი წყაროები: ფასის ცვლილების რისკი, შემოსავლიანობის მრუდის ცვლილების რისკი, საბაზისო რისკი, ოფციონებთან დაკავშირებული რისკები. საპროცენტო პოლიტიკა - არის ეკონომიკური ურთიერთობების საპროცენტო განაკვეთების მართვის მეშვეობით რეგულირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ერთობლიობა.

### INTEREST RATE POLICY AT COMMERCIAL BANKS, RATES, RISKS AND THE METHODS OF DETERMINING THE INTEREST RATE

Giorgi Tsaava, Invited Doctor

#### RESUME

The share of income obtainable by the bank, is compensation for mediation, the risk of non-repayment of debt received by the bank and the credit score of the borrower. The level of bank interest is determined macroeconomic factors to any form of borrowing, and private factors underlying the interest rate policy of the particular bank.

By the degree of response to changes in the market rate of interest distinguish fix and floating interest rates. The banking practice various methods of charging interest and distinguish simple and compound interest.

With respect to interest rate risk are the following sources: The risk of price changes, changes in the yield curve risk, basis risk, the risks associated with options. Interest rate policy - a set of measures to regulate economic relations by managing interest rates.

## თავისუფალი ინდუსტრიული ზონები – მითი თუ რეალობა

*გიორგი ხანთაძე, მოწვეული დოქტორი*

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ფინანსური გლობალიზაციის მასშტაბების ზრდამ, კონკურენციული გარემოს გაფართოებამ და დახვეწამ დღესდღეობით ახალი გამოწვევების წინაშე დაგვყენა. ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო გახდა მეტი ნოვაციებისა და რეფორმების დანერგვა-განხორციელება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებულ ნაწილს (ტერიტორიასა თუ სეგმენტს) წარმოადგენს, სადაც შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემაა შემოღებული, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტებში) არ გამოიყენება.

კონცეპტუალური თვალსაზრისით, ზონის ორ სახეობას განასხვავებენ. ერთი მათგანი ტერიტორიულ მიდგომას ეყრდნობა და მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიას წარმოადგენს, სადაც ზონის ყველა რეზიდენტზე ზონაში დადგენილი ეკონომიკური საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმი ვრცელდება. მეორე კონცეპტუალური მიდგომა ფუნქციონალურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს შეღავათიან რეჟიმს, რომელიც გარკვეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ გამოიყენება იმის მიუხედავად, თუ ეკონომიკური აგენტი, რომელიც ამ სახეობის საქმიანობას ეწევა, ქვეყნის რომელ ნაწილში მდებარეობს. თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია მათი სპეციალიზაციის ნიშნით ზონების შემდეგ ძირითად სახეობებს განსაზღვრავს: საბაჟო, სავაჭრო, სამრეწველო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სერვისული. თავისუფალი საბაჟო ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთ უმარტივეს ფორმას წარმოადგენს. მას ტრანზიტული, კონსიგნაციური და სხვა თავისუფალი საწყობები მიეკუთვნება, რომლებშიც საქონელი ქვეყანაში ძირითადად მოქმედი კანონმდებლობიდან განსხვავებულ რეჟიმში განთავსდება. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი საბაჟო ზონების ფუნქციონირება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული. ყველაზე ფართოდ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ზონების სხვადასხვა მოდიფიკაციაა გავრცელებული. ისინი, როგორც წესი, შეზღუდულ ტერიტორიულ უბნებს (რომელთა ფართი რამდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრს შეიძლება არც კი აღემატებოდეს) წარმოადგენენ, სადაც სავაჭრო ოპერაციები და საქონლის შეფუთვა, დახარისხება, დადამღვა ხორციელდება. ასეთი ზონების ორგანიზაციული სტრუქტურების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია, მათ მიეკუთვნება როგორც ე.წ. „DUTY FREE“-ის ტიპის მაღაზიები, ასევე სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც სავაჭრო შეღავათებს ადგენენ. საყურადღებოა, რომ საქართველოში თავისუფალი სავაჭრო ზონებიც უკვე კარგა ხანია რაც მოქმედებს, მაგალითად, საცალო ვაჭრობის ობიექტები, რომლებიც აეროპორტებში, ნავსადგურებსა და სხვა მსგავს ადგილებშია განლაგებული. საქართველოს ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოსთან აქვს დადებული.

სამრეწველო-საწარმოო ზონები საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით იქმნება. ასეთ ზონებში რეგისტრირებული ეკონომიკური აგენტები მნიშვნელოვანი საგადასახადო და სხვა შეღავათებით სარგებლობენ. გარდა ამისა, ასეთ ზონებში საწარმოების რეგისტრაციის, ინვესტირების, მოგების რეპატრაციის, უცხოელ ფიზიკურ პირთა ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების გამარტივებული ადმინისტრაციული წესები მოქმედებს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კიდევ ერთი სახეობა სამეცნიერო-ტექნიკური ზონებია, რომელთა ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას ტექნოპარკები წარმოადგენენ. ამ ზონების ჩამოყალიბების ყველაზე აქტიური პერიოდი გასული საუკუნის 70-80-ან წლებზე მოდის. ისინი განსაკუთრებულ სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებენ და მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ირგვლივ კვლევითი, საპროექტო და სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების მიზნით იქმნებიან. სამეცნიერო-ტექნიკური ზონების უმრავლესობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, ვინაიდან მათი შექმნა და შემდგომი ქმედითუნარიანობა სერიოზულ სუბსიდირებასთანაა დაკავშირებული.

სერვისული ზონების სპეციალიზაცია სხვადასხვა სახეობის მომსახურებისათვის (მაგალითად, საბანკო, სადაზღვევო, ტურისტული, სატრანსპორტო და სხვა საქმიანობისათვის) შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას გულისხმობს. სერვისული ზონების მეტად პოპულარულ სახეობას ოფშორული ზონები წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად კუნძულებზე, ან ზღვისპირა ტერიტორიებზე იქმნება.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ოფშორული ზონები ხშირად „ჭუჭყიანი ფულის“ („გათეთრების“ მიზნით) დაბანდების და სხვადასხვა სახეობის საფინანსო თაღლითობის ცენტრებად იქცევიან.

გარდა ყველა ზემოთ აღწერილი ზონის ნაირსახეობისა, მსოფლიო პრაქტიკაში აგრეთვე კომპლექსური თავისუფალი ზონების შექმნაცაა მიღებული, რომლებიც ორი, ან რამდენიმე სახეობის ზონის შერწყმულ მოდელებს წარმოადგენენ.

თანამედროვე ეტაპზე ფართო განვითარებას პოულობს ახალი ეკონომიკური ურთიერთობების - თავისუფალი ეკონომიკური ზონების და ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება. ერთობლივი საწარმოების შექმნისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გაირკვეს, რა აინტერესებს რომელიმე ქვეყნის ტრანსნაციონალურ კორპორაციას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შეღწევის დროს. ეს მოტივი შეჯერებული უნდა იქნეს ერთობლივი საწარმოს შექმნისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბებისას. საზღვარგარეთ კაპიტალს იზიდავს შემდეგი ფაქტორები:

1. ხელი მიუწვდეს შედარებით იაფ მინიმალურ რესურსებზე;
2. შეაღწიოს ბაზარზე, რომელსაც გააჩნია იმპორტის შეზღუდული მყიდველობითი უნარი;
3. გამოიყენოს მაღალკვალიფიციური, შედარებით იაფი მუშახელი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება მსოფლიოს ბაზრებისათვის;
4. გამოიყენოს ქვეყნის მეცნიერული მიღწევები და ტექნიკური გამოკვლევები ახალი სახის საქონლის წარმოებისათვის, რომელსაც მაღალი კონკურენტუნარიანი თვისებები გააჩნია.

როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნების კაპიტალის მიზიდვას ცდილობს, ქვეყანას უნდა აინტერესებდეს:

1. ხელი მიუწვდეს საზღვარგარეთის ტექნოლოგიებზე;
2. შეავსოს დაგროვების შინაგანი წყაროები;
3. გამოიყენოს საზღვარგარეთის ქვეყნის მართვის სისტემის მოწინავე მეთოდები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის;
4. შეამციროს იმპორტი და მასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯები;
5. გაზარდოს ექსპორტის მასშტაბები, განსაკუთრებით მზა საქონლის და არა ნედლეულის გატანის სახით;
6. ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილიზაციას.

ჩამოთვლილი ინტერესები, ცხადია, ყოველთვის არ ემთხვევა პარტნიორი ქვეყნების ინტერესებს, რის გამოც, საჭიროა, მათი ურთიერთშეჯერება და, ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე დაყრდნობით, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო ბიზნესის განვითარება. ასევე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა მყარდება ვაჭრობის გზით. ამჟამად, ყველა ტვირთი, რომელიც გადის სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში, ჯგუფდება საექსპორტო, საიმპორტო და სატრანზიტო ტვირთებად. არსებობს აგრეთვე ე. წ. „სხვა ტვირთების“ კატეგორიაც, რომელსაც მიეკუთვნება სხვადასხვა საფოსტო გზავნილები. ქვეყნის საზღვრების გადაკვეთის შემთხვევაში, საქონელი და სხვადასხვა ტვირთი ექვემდებარება სახელმწიფო დაბეგრვას, რომელიც ხორციელდება სპეციფიკური საბაჟო გადასახადების გზით. საბაჟო გადასახადები უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დაცვას და არეგულირებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობას. არსებობს საბაჟო გადასახადების შემდეგი სისტემები: 1. სპეციალური; 2. ადვალური და 3. კომბინირებული სისტემა. სპეციფიკური ბაჟი დაწესებულია ცალკეული საქონლის წონის გაზომვისა და ცალობის მიხედვით ფიქსირებული ოდენობის გადასახადის სახით. ადვალური ბაჟი წესდება საბაჟო ღირებულების მიხედვით. საბაჟო ღირებულება განისაზღვრება საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის საქონლის ფასისა და იმ ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, რომელიც არ შედის ანგარიშ-ფაქტურაში. ასეთი ხარჯები შედგება ტრანსპორტის დატვირთვა-გადმოტვირთვის, გადატვირთვისა და სადაზღვევო გადასახადისაგან საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე, აგრეთვე, საკომისიო და საბროკერო ანაკრებების ხარჯებისაგან. და ბოლოს, საბაჟო ღირებულებებში შედის ინტელექტუალური საკუთრების გადასახადები, რომელიც ეხება საბაჟო საქონელს, რომელიც იმპორტიორმა (ექსპორტიორმა) უნდა გადაიხადოს. ეს უკანასკნელი პირდაპირ თუ ირიბად, გადასახადის სახით, ჩადებულია იმპორტის (ექსპორტის) პირობებში. მსოფლიო პრაქტიკაში როგორც საიმპორტო, ისე საექსპორტო საქონელზე საბაჟო გადასახადებისათვის იყენებენ გადასახადების სხვა ფორმებსაც, რომელთა დაწესება ექვემდებარება მსოფლიოს კანონმდებლობას და ცალკეული ქვეყნის საბაჟო კანონებსა და დებულებებს. სახელმწიფოს მიერ საშუალო ოპერაციების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ნედლეულის ფასებსა და იმპორტირებული საქონლის ფასებს შორის სხვაობის ხარჯზე მოგების გადიდებისათვის, სახელმწიფოს ხაზინის ბიუჯეტის შემოსავალში აისახება საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების სახით. ამჯერად, როცა ყალიბდება კურსი, მეწარმეთა ასეთი შემოსავალი კერძო, ან კიდევ კოლექტიური მითვისების წყაროდ იქცევა და მას

თან ახლავს შესაბამისი მოვლენები, ცხადია, ასეთ ოპერაციებს ქვეყნის ეკონომიკისათვის სარგებლობა მოაქვს სათანადო კანონმდებლობის პირობებში. საჭიროა მოქმედება არა აკრძალვის პრინციპით, არამედ უნდა შეიქმნას პირობები - მოტივაცია საბაზრო წონასწორობის უზრუნველყოფისათვის, სამეწარმეო საქმიანობის ყოველმხრივ განვითარებისათვის. მათ შორის, ქვეყნისათვის ხელსაყრელობის პრინციპზე უნდა შეიქმნას პირობები საზღვარგარეთული წარმოების არა მარტო შედეგების (საქონლისა და მომსახურების) მოზიდვისათვის, არამედ თვით წარმოების განვითარებისათვის, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი საბაჟო სისტემა, რომელიც გულისხმობს შემოზიდული საქონლისადმი საბაჟო ტარიფებისაგან გათავისუფლებისა და შეღავათების დაწესებას. ასეთი ღონისძიება განპირობებულია ქვეყანათაშორის ურთიერთხელსაყრელი გაცვლის სტიმულირებისათვის. ასეთი შეღავათებით ხელი უნდა შეეწყოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ზრდას. იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზღვისპირა რეგიონების განვითარებისათვის მათი საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა, როგორც წესი, განვითარებად ქვეყანაში იქმნება. საქართველო სწორედ განვითარებადი ქვეყნის რიგშია. ამიტომ, ასეთი ზონების შექმნის მსოფლიო გამოცდილება სასარგებლო საქმედ უნდა ჩაითვალოს. თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, როგორცაა საგადასახადო შემოსავლების დაწესება შეღავათიანი ტარიფების შემოღების გზით. ასეთ ზონებში არცთუ ისე იშვიათად შეღავათებს აწესებენ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, ეს უკანასკნელი გულისხმობს გარკვეული ახალი ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირების მიზნით საგადასახადო განაკვეთების შემცირებას. თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში საქონლის შეტანა-გამოტანისას შეიძლება მოიხსნას საბაჟო კონტროლი. ასეთი კონტროლი ხორციელდება მხოლოდ იმპორტიორი ქვეყნის მხრიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი მეწარმეობისა და ბიზნესის დამკვიდრებისათვის სასარგებლოა იმპორტირებული რესურსებისა და ნედლეულის ბაზაზე განხორციელდეს საბოლოო პროდუქციის წარმოება მისი ექსპორტირების მიზნით. ბიზნესისათვის მომგებიანია თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში საქონლის შესყიდვა, რადგან იგი მხოლოდ თავიანთი ქვეყნების საბაჟო კონტროლს გაივლის.

რაც შეეხება საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბებას, იგი ამ თვალსაზრისით ქმნის ხელსაყრელ საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ, სამართლებრივ და სხვა სახის შეღავათებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობისათვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალის ქვეყანაში შემოდინებას, ამ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

ჩვენი თვალსაზრისით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა არ მოახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და სახელმწიფო არ აიღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს. იგი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და არც საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

მიუხედავად ბევრი დადებითისა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას აქვს სუსტი მხარეებიც, კერძოდ, ის, რომ ზონაში ანგარიშსწორება ხორციელდება ნებისმიერ ვალუტაში, თუ საქართველოში ეს იქნება მხოლოდ ერთი ზონა, მაშინ იმის ალბათობა რომ მას ექნება რაიმე უარყოფითი ზეგავლენა დანარჩენ ტერიტორიაზე, თითქმის ნულის ტოლია. მაგრამ კანონი ზონების რაოდენობას არ ზღუდავს. ასეთი ზონების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, საფრთხე შეექმნება ლარის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოყენებას.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზოგიერთ ზონაში არ მოქმედებს ადგილობრივი იურისდიქცია. ჩვენ ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა (იმედი მაქვს, რომ ამას სულ მალე მოვახერხებთ), მაგრამ რამდენად ვართ მზად საქართველოში შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა კიდევ უფრო ნაკლებად შევძლებთ ტერიტორიების გაკონტროლებას, ამას დაფიქრება სჭირდება.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს გეოპოლიტიკურ გარემოს და დაფიქრდებით, რამდენად არის ასეთი ზონის შექმნა გამართლებული, მაშინ მივხვდებით, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდანაც, როგორცაა: აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი დაიწყებს შემოდინებას რუსული რუბლი, აზერბაიჯანული მანათი და სომხური დრაჰმა (რადგან ასეთ ზონებში ნებისმიერ ვალუტაზე შეიძლება ვაჭრობა). ეს კი ერთიორად მეტ ინტერესს გაუჩენს ჩვენი მეზობელი ქვეყნების ბიზნესმენებს, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს (ისევე, როგორც აზიის ქვეყნებს) ევროპასთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ექნებათ, თუკი, რა თქმა უნდა, ეს ზონა ფოთის შემოგარენში დაარსდება.

საქართველოში საინვესტიციო კლიმატის და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად არანაკლებ დიდი როლი შეასრულა ვაჭრობის მსოფლიო

ორგანიზაციამ (ვმო), რაც განსაკუთრებით ნათლად აისახება ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის წესებზე, საგარეო ვაჭრობის მიმდინარეობაზე და ა.შ. სულ უფრო მყარდება ურთიერთობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ამ ზონის მოქმედების მთავარი მიმართულება უნდა იყოს: ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის, ასევე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარება, რის შედეგად მიღწეულ იქნება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დიდი სეგმენტის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

#### ლიტერატურა:

1. Thomas Farole and Gokhan Akinci, – Special Economic Zones: Progress, Emerging Challenges, and Future Directions (Directions in Development), 2011.
2. Global Free Trade and Industrial Zones Law and Regulations Handbook by USA International Business Publications, 2009.
3. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
4. [www.economy.ge](http://www.economy.ge)

### რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ფინანსური გლობალიზაციის მასშტაბების ზრდამ, კონკურენციული გარემოს გაფართოებამ და დახვეწამ დღესდღეობით ახალი გამოწვევების წინაშე დაგვყენა. ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო გახდა მეტი ნოვაციებისა და რეფორმების დანერგვა-განხორციელება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებულ ნაწილს (ტერიტორიასა თუ სეგმენტს) წარმოადგენს, სადაც შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემაა შემოღებული, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტებში) არ გამოიყენება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, როგორცაა საგადასახადო შემოსავლების დაწესება შეღავათიანი ტარიფების შემოღების გზით. ასეთ ზონებში არცთუ ისე იშვიათად შეღავათებს აწესებენ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, ეს უკანასკნელი გულისხმობს გარკვეული ახალი ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირების მიზნით საგადასახადო განაკვეთების შემცირებას.

## FREE INDUSTRIAL ZONES – MYTH OR REALITY

Giorgi Khantadze, Invited Doctor

### RESUME

Moving to market economics, increase of financial globalization scales, broadening of competitive surroundings and improvement have made us face the new challenges. It has become necessary to establish-fulfillment of more novelties and reforms for development of the country.

Free economic zone represents a separate part (territory or segment) of national economic space, where such a special system of rebates and stimulation is introduced which is not used on the rest territory of the country.

For normal functioning of free economic zone is needed acting of such economic levers as establishment of tax incomes by means of rebate tariffs. In these zones the rebates are stated for the functional point of view, the last considers diminishing of tax rates for achievement of some new technology stimulation.

## საგარეო ვაჭრობის რეგულირება საქართველოში

*თეა ხორგუაშვილი, სრული პროფესორი*

აღბათ, არავისთვის საეჭვო არ არის, რომ ვერცერთი ქვეყანა, მიუხედავად მისი ადამიანური და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალისა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გარეშე ცივილიზებულად ვერ განვითარდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენების პირობებშიც კი, ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალთახედვიდან გამომდინარე, თავისი მუდამ მზარდი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება არ შეუძლია. ამიტომ აუცილებელია ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის დივერსიფიცირებული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება-განმტკიცება. უდავოა, რომ მცირე ქვეყნებისათვის, რომლებიც ბუნებრივი რესურსებით ისედაც საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო ზოგიერთებს იგი ძალიან მცირე ან საერთოდ არა აქვთ, მხოლოდ საკუთარი ადამიანური და ფინანსური რესურსებით მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილება საკმაოდ რთულია.

თანამედროვე პირობებში ყველაზე დიდი რესურსებით მდიდარი ქვეყნისთვისაც კი საერთაშორისო გაცვლა, საგარეო ვაჭრობა და ყველაფერი ის, რაც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს მიეკუთვნება, ნორმალური არსებობისათვის აუცილებელია. ჩაკეტილი ეკონომიკური მოდელით უკეთესი ცხოვრება შეუძლებელია. ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული რესურსები, განვავითაროთ და გავაღრმავოთ საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები – სწორედ ესაა დღეს მთავარი და რეალურად ამაშია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობა.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკურად სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო რეალურად არ არსებობს. საზოგადოდ, მცირე ქვეყნებთან შედარებით, დიდი ქვეყნები უფრო დამოუკიდებლები არიან, მაგრამ დიდ ქვეყნებშიც შესაძლოა, სრული დამოუკიდებლობის მძაფრი პოლიტიკის გამო, მომხმარებლები დაზარალდნენ.

ეკონომიკის გახსნილობას თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობები. იგი, აღრმავებს რა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, არ ხსნის, ერთი მხრივ, წინააღმდეგობას ქვეყანათა თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტაციასა და, მეორე მხრივ, შიდა ბაზრების დაცვასა და საქსპორტო ექსპანსიის სტიმულირებას შორის. ამ წინააღმდეგობათა დამღევეა ან შერბილება შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით.


საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან, წარმოებისა და მეცნიერების სპეციალიზაციიდან და სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციიდან გამომდინარეობს. მისი აღმოცენება და განვითარება ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთკავშირითა და ურთიერთდამოკიდებულებით განისაზღვრება. შრომის საერთაშორისო დანაწილება და, შესაბამისად, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება-განვითარება ქვეყნის ბუნებრივ და შეძენილ ფაქტორებზე, ასევე სოციალურ, ეროვნულ, ეთნიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ პირობებზეა დამოკიდებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეკონომიკური საზღვრების ლიბერალიზაცია თანდათანობით გაღრმავდა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ეკონომიკაში საგარეო ფაქტორების გამოყენებას, უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების დანერგვას. ეკონომიკური კავშირების გამართივებამ შექმნა დამატებითი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების საერთაშორისო საწარმოო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. ამასთანავე, ეკონომიკის ღიაობა არ ხსნის სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. ქვეყნის ეკონომიკა უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიანობის, კონკურენტუნარიანობის და ეროვნული უსაფრთხოების პრინციპების დაცვას. ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშავოს ექსპორტ-იმპორტისა და კაპიტალის მიგრაციის სტრატეგია, აგრეთვე საბაჟო, სავალუტო, საგადასახადო, საკრედიტო და ინვესტიციური პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ეკონომიკაში მათ მაქსიმალურ ჩართვას.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს

გამარტივებულ საგარეო სავაჭრო რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ბოლო რამდენიმე წელია მატების ტენდენციით ხასიათდება. მაჩვენებლების ზრდაში იმპორტის მოცულობას უფრო მეტი წვლილი მიუძღვის, ვიდრე ექსპორტს.



დიაგრამა 1.

2012 წლის მონაცემებით სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 34,8% შეადგინა. კვლავ ლიდერობს თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა. ამ ქვეყნებს 2008 წლიდან ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში პირველი სამი ადგილი უცვლელად უკავიათ.

იმპორტიც, ისევე როგორც ექსპორტი, ზრდის ტემპებით ხასიათდება. 2010 წელს 9213,364 მლნ ლარით განისაზღვრა. ეს მაჩვენებელი 2011 წელს კიდევ უფრო გაიზარდა და 11665,436 გახდა. 2012 წელს იმპორტმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და 12782,802 მლნ ლარი შეადგინა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა მზარდი ტემპებით ხასიათდება. სწორი სავაჭრო პოლიტიკა, ეკონომიკური ურთიერთობები, ბევრ განვითარებულ ქვეყანასთან ეკონომიკური კავშირები უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე და მყარი პოზიციის დაკავებას საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებში.

**ლიტერატურა:**

1. დოლონაძე გ., „საქართველოს ექსპორტის სტიმულირებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები“, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 9, თბ., 2011.
2. მესხია ი., საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2011.
3. პაპავა ვლ., არატრადიციული ეკონომიკის, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011.
4. www.geostat.ge
5. www.economy.ge
6. www.wto.org
7. www.fas.ge



## რეზიუმე

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის უპირველესი ობიექტია ის საქონელი და მომსახურება, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით ქვეყნებს შორის მოძრაობს. დღევანდელ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო სისტემები და მექანიზმები კარგადაა აპრობირებული და მისაღებია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის, ეკონომიკის სტაბილური განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში, განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

### REGULATION OF FOREIGN TRADE IN GEORGIA

Tea Khorguashvili, Full Professor

### RESUME

The first objects of international economical relation are goods and service, which move between countries through international trade. At present, because marketing systems and mechanisms are approved very well and reception words, stable development of economic is impossible without meddling of state. It follows, that role of state regulation of international trades, realized arrangement receipt results is actual.

## სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

### *Social Sciences and Law*

### პლატონი და კალოკაგათია

*ნუგ ზარ აბრამიშვილი, სრული პროფესორი*

„კალოკაგათია“ ძველ საბერძნეთში წარმოადგენდა ადამიანობის, კაცური კაცობის იდეალს (სიტყვასიტყვით - „კალოს“ – სილამაზე, „აგათოს“ – სიკეთე).

„კალოს“ აღნიშნავდა როგორც გარეგნულ, ისე შინაგან სილამაზეს და მომხიბვლელობას. ის ასევე გამოითქმებოდა კაცზე, რომელიც უყოყმანოდ იხდიდა თავის მოქალაქეობრივ ვალს და თანაც ისე, რომ პატივისცემას და ქება-დიდებას იმსახურებდა. რაც შეეხება „აგათოს“-ს, ის აღნიშნავდა კეთილს, ღირსეულს, სრულქმნილს, აღტაცების ღირსს.

„კალოკაგათია“ იყო ადამიანში ადამიანურ სიქველეთა მთლიანობის გამომთქმელი სიტყვა, რომელიც მოიცავდა ფიზიკური და სულიერი სილამაზისა და სრულყოფილების თითქმის ყველა ნიუანსს; შეიძლება ითქვას, რომ კალოკაგათია ესაა ადამიანის დაუცხრომელი ქმედითობის გზით ფიზიკური და ზნეობრივი იდეალის მიღწევა, მისი ხორცშესხმა და დამკვიდრება.

ქმედითობის გარეშე არ არსებობს კალოკაგათია, ამტკიცებს არისტოტელე: „ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კარგი თვისება, მაგრამ ეს თვისება შეიძლება უქმად იყოს. როგორც ოლიმპიურ თამაშებში გვირგვინით ამოვბენ არა ყველაზე ლამაზებს, ან ყველაზე ძლიერთ, არამედ მხოლოდ ასპარეზობის მონაწილეებს (ვინაიდან მხოლოდ მათ შორის არიან გამარჯვებულნი), ზუსტად ასევე, ცხოვრებაშიც მხოლოდ ისინი აღწევენ კალოკაგათიას, რომელნიც მოქმედებენ. სამაგიეროდ ამნაირი ადამიანის ცხოვრება თავისთავადაა სასიამოვნო; ვინაიდან ტკბობა - სულიერი განცდაა და ყველას სიამოვნებს მხოლოდ ის, რაც უყვარს. ასე მაგალითად, ცხენების მოყვარულს ცხენები მოსწონს, სანახაობების

მოყვარულს - თეატრი, ხოლო ყოველივე სამართლიანობის მოყვარისთვის სიმართლეა მოსაწონი. სიქველის მოყვარისთვის კი - ყოველგვარი სიქველე“. (არისტოტელე, ნიკომაქეს ეთიკა, I, 9).

ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ რა შინაარსს დებდა პლატონი კალოკაგათიის ცნებაში.

კალოკაგათიის მატარებელი, ძველი, პლატონამდელი, არისტოკრატიული გაგებით, რომლის ნაკვალევსაც ვხვდებით დიალოგებში „ხარმიდესი“ და „პროტაგორა“, იყო ადამიანი, რომელიც ეკუთვნოდა ძველ, ცნობილ, მდიდარ, არისტოკრატიულ გვარს.

„პროტაგორაში“ ფილოსოფოსთა დიალოგს ესწრება სოფისტ პროდიკეს მოსწავლე აგათოსი, რომელსაც კალოკაგათია ახასიათებს ბუნებით, გარეგნობით კი ძალიან ლამაზია. დიალოგში ერთმანეთისგან გამიჯნულია გარეგნული სილამაზე და ბუნებითი კალოკაგათია.

„ხარმიდესში“, როცა საუბრობენ ახალგაზრდა, ლამაზ ხარმიდესზე, ნათქვამია: „ხარმიდეს შენ ასე იმიტომ გამოირჩევი ყველასაგან, რომ ათენში არ გვეგულება ორი ოჯახიც კი, რომელთაც შეეძლოთ დაებადათ კალოკაგათიის მატარებელი ისე, როგორც შეუძლია შენს ოჯახს. (პლატონი, ხარმიდესი, 157e – 158 a)

პლატონის დიალოგებში ვხვდებით კალოკაგათიის კიდევ ერთ სახეს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ინტელიგენტურ-სოფისტური კალოკაგათია, რასაც თავს მიაკუთვნებდნენ V-IV საუკუნეების ბერძნული ინტელიგენციის წარმომადგენლები. ითვლებოდა, რომ თუ ადამიანმა იცის ბევრი, განათლებულია, აღზრდილია და კულტურული - ლამაზი და კარგია ანუ კალოკაგათიის მატარებელია.

პროტაგორა დიალოგ „პროტაგორაში“ ამბობს: „ მე ყველაზე მეტად შემიძლია დავეხმარო ადამიანს გახდეს ლამაზი და კეთილი“, თუმცა მოხმობილი მაგალითები ვერ გვიჩვენებენ, რა ფილოსოფიურ შინაარსს სდებდა პლატონი ამ ცნებაში.

ამაში დიდ დახმარებას გაგვიწევს დიალოგი „ტიმეოსი“. „ტიმეოსის“ მიხედვით, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ხორციელი და სულიერი სიმრთელე, სიკეთეს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ, ვიდრე ბოროტებას, ხოლო ყოველივე კეთილი მშვენიერია, მშვენიერება კი - თანაზომადობაშია. ადამიანის მშვენიერებასაც თანაზომადობა განაპირობებს. როცა საქმე ჯანმრთელობას და ავადმყოფობას, სიქველესა და ბიწს ეხება, არაფერია უფრო არსებითი, ვიდრე თანაზომადობა ან არათანაზომადობა სულსა და სხეულს შორის.

„როდესაც მძლავრი და ყოველმხრივ დიადი სული მეტისმეტად სუსტ და უმწეო სხეულშია მოქცეული, ან როცა სული და სხეული საპირისპირო თანაფარდობით ერწყმიან ერთმანეთს, მთელი არსება აღარ შეიძლება იყო მშვენიერი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ირდევს სწორედ ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი - თანაფარდობა, ხოლო, როცა ეს თანაფარდობა მკვეთრად ვლინდება ადამიანში, ესაა ყველაზე მშვენიერი და საამო სანახაობა“...

„...როცა სული სხეულთან შედარებით მეტისმეტად მძლავრია და თან ფიცხი, ის არყვეს, შინაგანი სნეულებებით ავსებს და ამაბუნებს სხეულს, როცა თავდავიწყებით ეწაფება კვლევა-ძიებას.

ცოდნის შეძენის ხარბი სურვილით ანთებულმა სულმა შეძლება გადაწვას მთელი სხეული, და პირიქით, როცა დიდი და სულზე მძლავრი სხეული აზროვნების მწირსა და უმწეო უნარს ერწყმის, მაშინ, რაკილა ადამიანს ბუნებით ორგვარი სურვილი ამოძრავებს უპირატესად, რომელთაგანაც ერთი ხორციელია - სმა-ჭამის მოთხოვნილება, მეორე კი ყველაზე ღვთაებრივი, რაც გააჩნია თითოეულ ჩვენთაგანს, კერძოდ, აზროვნებისკენ ლტოლვა, - უფრო მძლავრი ნაწილის მიდრეკილება იმარჯვებს, რაც ზრდის და ამრავლებს მის ძალამოსილებას, მაშინ როდესაც სული ჩლუნგდება, სწავლის უნარს მოკლებული და გულმავიწყი ხდება, რაც ადამიანისთვის ყველაზე საშინელი სნეულების - უმეცრების მიზეზი და წყარო ხდება“. (პლატონი, ტიმეოსი 87c,d, 88b)

პლატონის აზრით, ორივე ამ სნეულებას მხოლოდ ერთი წამალი აქვს, სული და სხეული ერთდროულად უნდა ვწვრთნათ, რომ შევინარჩუნოთ მათი წონასწორობაც და სიმრთელეც, მათემატიკოსმაც და, საერთოდ ყველამ, ვისი შრომაც დიდ გონებრივ დამაბულობას მოითხოვს, გიმნასტიკური ვარჯიშებით უნდა გაიკაჟოს სხეული და პირიქით, იმან ვინც მხოლოდ თავისი სხეულის განვითარებაზე ზრუნავს, მუსიკისა და ყოველივე იმის წყალობით, რაც ფილოსოფიად ითვლება, სულიც უნდა წვრთნას და ავარჯიშოს, თუკი სურს მართებულად ფლობდეს კალოკაგათიას.

პლატონისთვის კალოკაგათიისკენ მიმავალი გზის საწყისი ეტაპია პოეტური და მუსიკური აღზრდა. დიდ პოეტთა: ეპიკოსთა, ლირიკოსთა და ტრაგიკოსთა ის ქმნილებები, სადაც მხატვრულადაა ხორცშესხმული მშვენიერება, სიკეთე, სიამაგე, თავდაჭერილობა, სამართლიანობა, კეთილგონიერება, დიდსულოვნება... „საიდანაც იფრქვევა მშვენიერების ნათელი. ცხოველმყოფელი სიო, რომელსაც მოაქვს ადამიანის სულისთვის სიმრთელე და სიჯანსაღე“ (პლატონი, სახელმწიფო, გვ. 108). რადგან ბიწიერების ნიმუშებზე აღზრდილი სული, როგორც შხამიანი მცენარით ნასაზრდოები იმდენ სიმყრალეს და

სიბინძურეს შეიწოვს, რომ მას მალულად და ნაჩუმათევად შეეპარება და ბოლოს მთლიანად მოიცავს საზარელი სენი - ხრწნილება.

რაც შეეხება მუსიკური ხელოვნების მნიშვნელობას, ის ყველაზე ღრმად წვდება ადამიანის სულს და უჩვეულო ძალით აღელვებს მას. „რიტმსა და ჰარმონიას თან ახლავს კეთილსახიერება და ისინი კეთილსახიერებითვე მოსავენ სულსაც. მშვენიერების თავყვანისმცემლად ქცეული სული, რომ აღიქვამს და შეისისხლხორცებს მას, მშვენიერებით ისულდგმულებს და თვითონაც მშვენიერი და კეთილი გახდება (პლატონი, სახელმწიფო, გვ. 108).

თუ ადამიანში ერთმანეთს ერწყმის ხორციელი და სულიერი სილამაზე, ხოლო ორივე ეს სილამაზე ერთი და იმავე წყაროდან იღებს დასაბამს - არაფერია უფრო მშვენიერი.

მუსიკური აღზრდის კვალდაკვალ ადამიანის აღზრდა გიმნასტიკით უნდა გაგრძელდეს. ამ მხრივაც გულმოდგინე წვრთნაა საჭირო ბავშვობიდან მოყოლებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში. „წვრთნა ჭაბუკს სულიერი ძალამოსილების განსამტკიცებლად სჭირდება და არა მხოლოდ ფიზიკური ძალისა. ამ მხრივ ის მკვეთრად განსხვავდება ათლეტებისგან, რომლებიც მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ უფრო ძლიერები გახდნენ. ვინც მხოლოდ გიმნასტიკას მისდევს, მეტისმეტად ტლანქი და უხეში ხდება, ხოლო ვინც მარტოდენ მუსიკურ ხელოვნებაში იწაფავს თავს, - უფრო სათუთი ხდება. არადა სიტლანქე სათანადო აღზრდით წარმართული - სიმამაცეში გადაიზრდება, ხოლო თვინიერება - სიბრძნისა და მუსიკური ხელოვნების მოყვარე სულის ბუნება, რომელიც უნიათობასა და უხერხემლობას უახლოვდება სათანადო აღზრდის წყალობით, თავმდაბლობად და კრძალულებად გარდაიქმნება.“ (პლატონი, სახელმწიფო, გვ. 120)

როცა ორივე ეს თვისება ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ადამიანი მამაცია და თავდაჭერილი.

ოლიმპიოდორე „პლატონის ცხოვრებაში“ როცა აღწერს პლატონის აღზრდას, წერს: „სიტყვიერება, მუსიკა და პალესტრა, ასეთი იყო ის სამი საგანი, ბავშვებს რომ ასწავლიდნენ ათენში; მაგრამ არა უმიზნოდ, არამედ იმ მიზნით, რომ სიტყვიერების ცოდნას განევითარებინა გონება, მუსიკას სიტლანქისაგან დაეცვა მათი სული, ხოლო პალესტრასა და გიმნასიონებში წვრთნას ფუჭი ვნებების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეზრდნენ მათი სხეული“. (პლატონი, ადრეული დიალოგები, გვ. 378)

მუსიკური და გიმნასტიკური ხელოვნება, პლატონის აზრით, ადამიანთათვის ღვთაებრივი საჩუქარია იმ მიზნით, რომ სიმამაცე და სიბრძნე ჩაუნერგოს ადამიანებს.

ვინც ყველაზე უკეთ უხამებს ერთმანეთს გიმნასტიკურსა და მუსიკურ ხელოვნებას და როგორც ერთს, ისე მეორეს სათანადო თანაფარდობით უსადაგებს თავის სულს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან უკვე მიაღწია კალოკაგათიას.

პირველად პლატონთან ვხვდებით აზრს, რომ კალოკაგათია სულისა და სხეულის თანაზომადობა, ჰარმონიაა. კალოკაგათია ესაა ვითარება, როცა ერთდებიან და ერთიანდებიან სულისა და სხეულის სტიქიები. იზადება არსი, რომელიც იმდენადაა სული, რამდენადაც სხეული: სული, სიცოცხლე, სიბრძნე, ცოდნა, გონება - ეს ყველაფერი იქცევა სხეულად, იქცევა ხილულად, ხელშესახებად და პირიქით, სხეული, ნივთიერება, მატერია, ფიზიკური სტიქია ცოცხლდება, სუნთქავს, იძენს საზრისს, იქცევა მარად შემოქმედ გონად, სიბრძნედ.

სულისა და სხეულის ერთიანობა, სრული თანხვედრა, სრული განურჩევლობა, როცა უკვე აღარ გვაქვს აღარც სული, აღარც სხეული, არის განსხეულებული, ხილული სული და სულიერად ცოცხალი სხეული, - აი რა არის კალოკაგათია პლატონთან.

#### ლიტერატურა:

1. არისტოტელე, ნიკომაქეს ეთიკა, თბ., 1994.
2. პლატონი, ტიმეოსი.
3. პლატონი, ხარმიდესი.
4. პლატონი, პროტაგორა.
5. პლატონი, სახელმწიფო, თბ., 2003.
6. პლატონი, ადრეული დიალოგები, თბ., 1977.

#### რეზიუმე

პირველად პლატონთან ვხვდებით აზრს, რომ კალოკაგათია სულისა და სხეულის თანაზომადობა, ჰარმონიაა. კალოკაგათია ესაა ვითარება, როცა ერთდებიან და ერთიანდებიან სულისა და სხეულის სტიქიები. იზადება არსი, რომელიც იმდენადაა სული, რამდენადაც სხეული: სული, სიცოცხლე, სიბრძნე,

ცოდნა, გონება - ეს ყველაფერი იქცევა სხეულად, იქცევა ხილულად, ხელშესახებად და პირიქით, სხეული, ნივთიერება, მატერია, ფიზიკური სტიქია ცოცხლდება, სუნთქავს, იძენს საზრისს, იქცევა მარად შემოქმედ გონად, სიბრძნედ.

**PLATO AND KALOKAGATHIA**  
**Nugzar Abramishvili, Full Professor**  
**RESUME**

For the first time we come across with the thought at Plato that kalogakatia is an equality and harmony of soul and body. Kalokagatia is a condition when soul and body elements come together, get unified. There arises the essence which is a soul and a body as well: soul, life, wisdom, knowledge, mind – all of these will turn into body, becomes apparent, and vice versa, body, materia, phisical elements, comes to life, breathes, gains a sense, becomes eternal creative mind an wisdom.

**სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპი**

*ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი*

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვნად შეიცვალა სამოქალაქო კანონმდებლობა. გაიზარდა სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტთა უფლებები და შესაძლებლობები. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ სამოქალაქო კანონმდებლობაში მრავალი ახალი ინსტიტუტის დამკვიდრება გამოიწვია. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპი, რომელიც სახელმეკრულებო სამართლის საფუძველს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპის დამკვიდრებით ხელმეკრულებამ სამოქალაქო ურთიერთობებში ახალი დანიშნულება შეიძინა და ის სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად იქცა.

კერძოსამართლებრივი ნორმებისა და დებულებების პრაქტიკაში დამკვიდრება და განმტკიცება წარმოადგენს ხანგრძლივ პროცესს, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპის ჩამოყალიბება და განვითარება. თანამედროვე პირობებში სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპმა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში უმთავრესი ადგილი დაიმკვიდრა.

„იმ საზოგადოებაში, რომელშიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთ უპირველეს მარეგულირებელ საშუალებად მიიჩნევა ხელმეკრულება, როგორც საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი“<sup>3</sup> ყოველთვის დგას სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობის და დანიშნულების გარკვევის საკითხი. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში აღნიშნული პრინციპის დამკვიდრება ძირითადად მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო; ხოლო რაც შეეხება ევროპულ ქვეყნებს, აქ მისი დანიშნულება სამოქალაქო კანონმდებლობის ფარგლებს გასცდა. მაგალითად: გერმანიაში სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპს მიიჩნევენ, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას არა მხოლოდ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ ზოგადადაც<sup>4</sup>.

საქართველოს კონსტიტუციაში სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპი პირდაპირ არაა განმტკიცებული. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ის გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომელშიც მითითებულია, რომ: „2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა...“

<sup>3</sup> Андреев В.К. ГК РФ и новейшее законодательство // ГИП-1996. - № 4. - С. 116

<sup>4</sup> Struck G. Vertragsfreiheit - Em Grundrecht? // Demokratie und Recht. - Koln, 1988, - Jg.16, H.1.-S.39-49.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ევალეზა, უზრუნველყოს თავისუფალი ეკონომიკური კონკურენციის განვითარება, ხოლო თავისუფალი კონკურენციის პირობებში სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი უდავოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფომ თავისუფალი ეკონომიკა კონტროლის თვალსაწიერს მიღმა არ უნდა დატოვოს; მან უნდა იზრუნოს, რომ საბაზრო კონკურენცია ნამდვილად შედგეს და ბაზარზე მონოპოლია გამოირიცხოს<sup>5</sup>.

სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპის პირველ გამოვლინებას უკვე ვხვდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლში, რომლის თანახმადაც: „სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს.“

აღნიშნული ფაქტი მხოლოდ სიმბოლური როდია; მას უდიდესი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. კერძოდ, ამით კანონმდებელს უნდოდა ეთქვა, რომ თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის პრიორიტეტს ეკონომიკური ურთიერთობების თავისუფლება და მისი ხელშეწყობა წარმოადგენს.

სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპის ფარგლების შეზღუდვა სამართლიანობის პრინციპის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს, კონსტიტუციას შეესაბამებოდეს და კანონს ეფუძნებოდეს. სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპის, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწყისის, შეზღუდვა წარმოადგენს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და კერძო ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვას (არეალის შემცირებას), რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესებით.

საბოლოო ჯამში, სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი და მისი ფარგლები მხოლოდ ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: მოიძებნოს გონივრული კომპრომისი საზოგადოებრივ აუცილებლობასა და პირად ინტერესებს შორის<sup>6</sup>.

სახელმეკრულეზო თავისუფლება ეს არის ცნება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მხარეებს იმოქმედონ თავიანთი ნების შესაბამისად.

შვედეთის მარკეტინგის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ სახელმძღვანელოებში ძალიან მარტივად არის ნათქვამი, რომ სახელმეკრულეზო თავისუფლება ეს არის უფლება მხარეებმა თავად აირჩიონ თუ ვისთან, რა შინაარსით და პირობებით სურთ ხელმეკრულეზის დადება. იქვე არის აღნიშნული, რომ სახელმეკრულეზო თავისუფლება წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა მხარეებისათვის, რათა მათ იმოქმედონ დამოუკიდებლად. გამყვიდეველის და მყიდველის უფლება, შეთანხმდნენ ფასზე, წარმოადგენს არსებით და უმნიშვნელოვანეს უფლებას.

მაგრამ სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი, როგორც თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა, არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად შეუზღუდავი.

სახელმწიფომ, რა თქმა უნდა, გარკვეულ სფეროებში უნდა შეზღუდოს ხელმეკრულეზის თავისუფლად დადების შესაძლებლობა<sup>7</sup>.

სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს კონტრაქტების უფლებამოსილებების ერთობლიობას, ამიტომაც ეს უფლებამოსილებები იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ თავად კონტრაქტები დაინტერესდებიან ამით.

სწორედ სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპი ზრდის კონტრაქტების ინტერესს, ვინაიდან მათ შესაძლებლობა ეძლევათ, გააერთიანონ ინტერესები (მიზნები, სურვილები) სამართალთან და პირიქით.

სახელმეკრულეზო თავისუფლების პრინციპზე საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველივე აზვაცში. ამით კანონმდებელს სურდა, ხაზი გაესვა ეკონომიკური პრიორიტეტისათვის. აღნიშნული მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ არ უნდა მოხდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უხეში ჩარევა, არ უნდა შეფერხდეს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საკუთარი უფლებების განხორციელება.

<sup>5</sup> ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 268-269, კომენტარი ლევან იზორიასი

<sup>6</sup> Морозова Л. А. Принципы, пределы, основания ограничения прав и свобод человека по российскому законодательству и международному праву, Государство и право, 1998 №7 С.20

<sup>7</sup> ULF Bernitz, Svensk marknadsratt, 2nd ed. Uddevalla 1986, p. 14

საქონლის თავისუფალი გადაზიდვის უფლება, კონკურენციის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და მონოპოლიური საქმიანობის დაუმეგობრობა პირდაპირ არის განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში: „...სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.“<sup>8</sup>

სახელმწიფო თავისუფლების პრინციპი, სუბიექტური შეზღუდვების გარეშე, კერძო საკუთრების უფლებასთან ერთად, თანამედროვე სამოქალაქო სამართლებრივი წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს<sup>9</sup>.

სახელმწიფო თავისუფლების პრინციპის არსებობის აუცილებლობაზე მეტყველებს ასევე სახელმწიფო ურთიერთობების სწრაფი განვითარება, რაც არა მხოლოდ რაოდენობრივად იზრდება. შერშენევიჩი წერდა, რომ მხარეები საგანგებოდ არიდებენ თავს ხელმწიფოებაში სხვადასხვა არამთავარი პირობების ჩადებას, რათა ხელმწიფოებები მაქსიმალურად მარტივი და გასაგები იყოს. შესაბამისად, საჭიროა გამოცდილი იურისტის თვალი, რომ განისაზღვროს ხელმწიფოების ძირითადი იურიდიული ბუნება. გარდა ამისა, ყოფითი პირობები ხელმწიფოების ახალი სახეების განვითარებას უფრო და უფრო უწყობენ ხელს.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო თავისუფლების პრინციპი არცერთ ეპოქაში არ ყოფილა შეუზღუდავი და ეს იყო აბსოლუტურად გამართლებული, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუზღუდავი სახელმწიფო თავისუფლების არსებობა გამოიწვევდა სამოქალაქო ბრუნვის პარალიზებას.

სახელმწიფო თავისუფლების პრინციპის განვითარების ისტორია ასევე განსხვავებულია მისი შეზღუდვის ხარისხის მიხედვით. ეს, უმეტესწილად, განპირობებულია შეზღუდვის ფარგლებით და ბუნებით, ხოლო ხელმწიფოების თავისუფლების პრინციპის აბსტრაქტული ცნების შინაარსი ნაკლებმნიშვნელოვანია.

ტერმინი „თავისუფლება“ შეფასებითი კატეგორია გახლავთ და, შესაბამისად, ფილოსოფიურ ცნებად მიიჩნევა.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბ., 2001.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, გამომცემლობა სამართალი, თბ., 2001.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბ., 2000.
6. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2005.
7. ბესარიონ ზოიძე, საერთო (ინგლისურ-ამერიკული) სამართლის გავლენა ქართულ სამოქალაქო კოდექსზე, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 1999, პირველი-მეორე კვარტალი
8. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.
9. ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007.
10. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა სამართალი, 2000.
11. როლფ კნიპერი, მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის თაობაზე პროფესორ სერგო ჯორბენაძის პატივსაცემად, სერგო ჯორბენაძე 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996.
12. თამარ ზარანდია, სახელმწიფო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 2005.
13. სოფო როინიშვილი, ხელმწიფოების თავისუფლება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №3
14. რომის 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელმწიფოებათა შესახებ“

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30-ე

<sup>9</sup> Шершеневич Г. Ф. Учебник русского гражданского права (по изданию 1907г.) М. 1995, с. 308

15. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ. 2004
16. ევროპული თანამეგობრობის 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა დათქმების არამართლზომიერი გამოყენების შესახებ
17. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №4
18. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, №1
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბ., 2003
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2007, 5 ივნისი, საქმე №ას-7-362-07
21. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი
22. რუსეთის სამოქალაქო კოდექსი
23. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი
24. შვეიცარიის კანონი ვალდებულებითი სამართლის შესახებ
25. Андреев В.К. ГК РФ и новейшее законодательство // ГиП-1996.
26. Struck G. Vertragsfreiheit - Em Grundrecht? // Demokratie und Recht.- Koln, 1988.
27. P. S. Atiyah, the Rise and Fall of Freedom of Contract, 1979.

## რეზიუმე

ხელშეკრულების მხარეებს შორის სრული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია, ვინაიდან ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ კანონის მიერ მათ თანასწორად მიჩნევაზე, არამედ მათ ეკონომიკურ თანასწორობაზეც, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმ მიზნების მიღწევა, რაც საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსს დაუსახა კანონმდებელმა. კერძოდ, ეს არის სამოქალაქო ბრუნვის სწრაფი ტემპით განვითარება და საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლა. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა როგორც საყოველთაო კეთილდღეობის მოტანა, ასევე ეკონომიკური ეფექტურობის ზრდა.

## PRINCIPLE OF CONTRACT FREEDOM

Ivane Balakhashvili, Senior Teacher

## RESUME

Agreement between the parties with full equality can not be achieved, since this depends not only on the law, by considering them in terms of equality, but also their economic tanastsorobaze, which is virtually impossible in the conditions of market economy. However, in the absence of the principle of contractual freedom would have been impossible to achieve those objectives, as set legislator of the new Civil Code. In particular, it is the rapid turnover of the development of the market economy system. Without the principle of contractual freedom would be impossible to bring general prosperity as well as economic efficiency, growth.

## ძალადობის გაგება სისხლის სამართალში

*იოსებ გაბარაევი, მოწვეული სპეციალისტი*

„ძალადობა მონობაა; იგი აიძულებს ადამიანს მცდარი წარმოდგენა შეიქმნას როგორც ღმერთზე, ასევე ყველაფერზე, რაც მის გარშემოა. ამიტომ იგი ჩაკეტილი რაიხია (სამფლობელოა). ძალადობისაგან განთავისუფლება ნიშნავს, გამოიქცე ამ რაიხიდან, რათა შეაღწიო სხვა რაიხში, რომლის არსებობის შესახებ ადამიანთა დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვს. ეს არის სიყვარულის სამფლობელო“. ეს სიტყვები ფრანგული წარმომოხობის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ლიტერატორს, ფილოსოფოსს და ანთროპოლოგს, პროფესორ რენე ჟირარს ეკუთვნის და ნათლად გამოხატავს

ძალადობის დაპირისპირებას თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან ღირებულებებთან: სიყვარულთან, სათნოებასა და ადამიანობასთან.

მთელი ისტორიული გზა, რომელიც კაცობრიობამ განვლო დღემდე, წარმოდგენილია სოციალური ყოფის ორი ფორმით – ომით და მშვიდობით. ძალადობის ეპოქა ყოველთვის ცვლის არაძალადობრივს და პირიქით. ხშირად საზოგადოება ერთდროულად ცხოვრობს თავისი ყოფის ამ ორ ასპექტში და სწორედ ამიტომ, ძალადობის პრობლემა მიეკუთვნება კაცობრიობის მრავალწლოვან და ხანგრძლივ პრობლემათა რიცხვს. ყველაზე მეტად კი სამწუხარო ისაა, რომ ძალადობა ესაა ისეთი სოციალური ნაკლი კაცობრიობისთვის, რომელსაც ვერ აღმოფხვრი; ის უბრალოდ განიცდის გარეგნულ და თვისებრივ ცვლილებებს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე.

ძალადობა საზოგადოებრივი პრობლემაა და დღევანდელ საზოგადოებაში იმდენად იმატა ძალადობრივმა ქმედებებმა, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმად იქცა, თანაც ისე, რომ ამას ვერც კი ამჩნევს ბევრი ჩვენგანი.

ზოგადად, ძალადობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე კრიმინოლოგიური კატეგორია, თუმცა არსებული ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ძალადობაზე, მხოლოდ როგორც სისხლისსამართლებრივ კატეგორიაზე ვისაუბრებ.

ძალადობის, როგორც ცნების, მრავალი განმარტება არსებობს. მართალია სისხლის სამართლის კოდექსი უშუალოდ არ იძლევა ძალადობის განმარტებას, მაგრამ სისხლის სამართლის თეორიაში ძალადობა განმარტებულია როგორც წინასწარგამიზნული ძალის გამოყენებითი ქმედება, რომელსაც შედეგად მოსდევს დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა.

თანამედროვე ცივილიზაციისათვის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს დანაშაულებრივი ძალადობა, როგორც სოციალური ძალადობის ყველაზე ცუდი თვისებების მქონე ფორმა. დანაშაულებრივი ძალადობის სოციალური ღირებულება უზარმაზარია და მოიცავს არა მარტო ადამიანურ, არამედ მატერიალურ დანაკარგებსა და ხარჯებს. ჩვენი ქვეყანა დღესდღეობითაც გადის ძალადობის ტალღას საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. ძალადობით ჩადენილი დანაშაულები გამოირჩევა მართლწინააღმდეგობის და საზოგადოებრივი საშიშროების მეტად მაღალი ხარისხით და შედეგთა განსაკუთრებული სიმძიმით და ხშირად საზოგადოებრივ ურთიერთობებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ძალადობით ჩადენილი დანაშაულებისათვის. ასეთი დანაშაულებრივი შემადგენლობის 52 სახეა მოცემული მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელთა ჩადენა ძალადობით ხდება და ისინი სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი.

დანაშაულებრივი ძალადობა, როგორც სისხლის სამართლის კატეგორია მოიცავს განზრახი დანაშაულების ისეთ სისტემას, რომელიც ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს აყენებს ადამიანს. დანაშაულებრივ ძალადობას მთლიანობაში და მისი სახეების მიხედვით ცალ-ცალკე, აქვს საკუთარი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომელიც გააჩნია თითოეულ დანაშაულებრივ შემადგენლობას მისი ინდივიდუალობის გათვალისწინებით, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობით გამოხატული ძალადობრივი დანაშაული.

ძალადობა სისხლის სამართალში, ესაა ადამიანის პირადი უსაფრთხოების დანაშაულებრივი ხელყოფა მისი ნების წინააღმდეგ, მსხვერპლისათვის ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის განზრახ, არამართლზომიერად მიყენების ფორმით.

განასხვავებენ ძალადობის ორ ფორმას: ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას.

ფიზიკური ძალადობა ესაა ადამიანის ფიზიკური უსაფრთხოების დანაშაულებრივი ხელყოფა მისი ნების წინააღმდეგ ფსიქიკური ზიანის განზრახ, არამართლზომიერად მიყენების ფორმით. ფიზიკური ძალადობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს წარმოადგენს ფიზიკური ზიანი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ბიოლოგიურ გარემოში მავნე ცვლილებას და უსპობს მას პირად ფიზიკურ კეთილდღეობას. შეიძლება გამოიყოს ფიზიკური დაზიანების სამი სახე: სიკვდილი, ჯანმრთელობის დაზიანება და ფიზიკური თავისუფლების დაკარგვა; ჯანმრთელობის დაზიანება, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს მძიმე, საშუალო სიმძიმის და მსუბუქ დაზიანებად და ასევე უმნიშვნელო დაზიანებად, კერძოდ, ფიზიკური ტკივილი, ფიზიკური ტანჯვა, უმწეო მდგომარეობა.

ფსიქიკური ძალადობა ესაა ადამიანის ფსიქიკური უსაფრთხოების დანაშაულებრივი ხელყოფა მისი ნების წინააღმდეგ ფსიქიკური ზიანის განზრახ, არამართლზომიერად მიყენების ფორმით. ფსიქიკური ძალადობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს წარმოადგენს ფსიქიკური ზიანი, რომელიც იწვევს ადამიანის ემოციურ სფეროში მავნე ცვლილებებს, უარყოფით, მავნე ფსიქიკურ მდგომარეობაში



აყენებს მას. ფსიქიკური დაზიანება შეიძლება დაიყოს: დანაშაულის საფრთხის შიში, უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა (აფექტი), უარყოფითი ემოციური მდგომარეობა, რომელიც არ არის აფექტი და ფსიქიკური ტანჯვა.

ძალადობრივი დანაშაულის არსისა და ბუნების მიუხედავად, ობიექტური მხრივ განასხვავებენ ძალადობრივი დანაშაულების ორი ტიპის შემადგენლობას: პირველი, როცა ობიექტური მხრივ ქმედების ძირითადი საფუძველი არის ძალადობა და მეორე, შემადგენლობები, როცა ძალადობა წარმოადგენს ძირითადი ქმედების ჩადენის საშუალებას.

რთული ძალადობრივი დანაშაულის კვალიფიკაციისას, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობისას და მათ შორის კონკურენციის დროს, მოცემული დანაშაულების სისხლისამართლებრივი კვალიფიკაციისას საჭიროა მხედველობაში იქნე მიღებული ბრალის ფორმა საზოგადოებრივად სამიში შედეგებიდან გამომდინარე, ასევე განსაზღვრული იქნეს ჩადენილი ძალადობის შესაბამისი სიმძიმის სასჯელი, ხოლო რაც შეეხება ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის მუქარის დროს კვალიფიკაციის საკითხებს, უნდა დადგინდეს, რამდენად რეალურად განხორციელებადი იყო ასეთი მუქარა.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა ძალადობის სისხლისამართლებრივ გაგებას, კანონმდებელი მხოლოდ ძალადობის შემადგენლობის ჩადენის ფორმების ფორმულირებით შემოიფარგლა, რომელიც ყოველთვის გადმოცემულია და ასახულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ძალადობრივი დანაშაულის ცალკეულ შესაბამის შემადგენლობებში. სწორედ ამიტომ არ დგას ძალადობის ცნების ასახვის აუცილებლობა სისხლის სამართლის კოდექსში, თუმცა კანონმდებლობის სრულყოფისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. სასურველია, სამართალშეფარდების და სწორი კვალიფიკაციის მარტივად განსაზღვრის მიზნით კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში შემოიტანოს ძალადობის, მისი სახეების – ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის, ასევე ძალადობის მუქარის საკანონმდებლო დეფინიცია; შესაბამის მუხლებში გადმოსცეს და ასახოს ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის საკანონმდებლო გაგება, რათა უშუალოდ კანონმდებლობამ დაარეგულიროს, თუ რა ჩაითვლება ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობად, რითაც თავიდან იქნება აცილებული ამ ორი ცნების თვითნებური განსაზღვრა, რათა არ მოხდეს პასუხისმგებლობის დიფერენციაციის პრინციპის დარღვევით პირის მსჯავრდება. ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს და გაუადვილებს შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობას ძალადობრივ დანაშაულებზე მომუშავე პრაქტიკოს თანამშრომლებს.

#### ლიტერატურა:

1. შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბ., 2012.
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კრებული, თბ., 2008.
3. წულაია ზ., კრიმინოლოგია, თბ., 2005.
4. სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2013.

#### რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში განხილულია ძალადობის, როგორც სისხლისამართლებრივი კატეგორიის არსი და ბუნება. საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ისტორიული გზა, რომელიც კაცობრიობამ განვლო დღემდე, წარმოდგენილია სოციალური ყოფის ორი ფორმით – ომით და მშვიდობით. ძალადობის ეპოქა ყოველთვის ცვლის არამაღალდობრივს და პირიქით. ხშირად საზოგადოება ერთდროულად ცხოვრობს თავისი ყოფის ამ ორ ასპექტში და სწორედ ამიტომ, ძალადობის პრობლემა მიეკუთვნება კაცობრიობის მრავალწლოვან და ხანგრძლივ პრობლემათა რიცხვს, რაც ხაზს უსვამს მოცემული საკითხის აქტუალობას. შეთავაზებულია სხვადასხვა საკანონმდებლო წინადადებები ძალადობის ცნების, მისი სახეების და ძალადობის მუქარის დეფინიციის კანონმდებლობაში შემოტანასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ნაშრომი საინტერესოა როგორც ძალადობის საკითხების შესწავლით დაკავებული პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ისე იურიდიული ფაკულტეტის სპეციალობის სტუდენტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

## DEFINITION OF VIOLENCE IN THE CRIMINAL LAW

Ioseb Gabaraevi, Specialist under contract

### RESUME

This paper discusses the violence was caused as a criminal categories of essence and nature, the issue is important to the extent that the historical way in which humanity has passed, the social life of two ways - through war and peace. Violence was caused by a shift in the epoch is always non-violent and vice versa. Often people live their lives simultaneously in two respects, and that is why violence was caused by perennial problem belongs to humanity, and a long list of problems, underlining the question. Suggested a variety of legislative proposals in the concept of violence, threats of violence on his face, and with the introduction of the definition in the legislation.

The work is interesting to study the issues involved in the violence was caused by practicing lawyers and for law faculty students and other persons interested in the subject.

### სასამართლოს დადგენილებაზე ზომების მიუღებლობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შედეგები

*გიორგი გიორგაძე, სრული პროფესორი*

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა იყოს სამართლიანი გარემოს შექმნა, რადგან თვით ყველაზე მიუკერძოებელი და ობიექტური სასამართლო გადაწყვეტილება კარგავს ძალას მისი ეფექტური აღსრულების გარეშე. ამისათვის, ერთი მხრივ, საჭიროა საზოგადოებაში სათანადო მენტალობის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რაც ყველას ვალია: ხელისუფლების, პირველ რიგში, არასამთავრობო სექტორის, და თითოეული ჩვენთაგანის; მეორე მხრივ, საჭიროა სათანადო რეგულაციების შემუშავება, რათა თავიდან ავიცილოთ მოჩვენებითი სამართლიანობის არსებობა, ცალკეული პირებისათვის დაუსჯელობის სინდრომის შექმნა და საზოგადოების წევრთა უფლებების დარღვევა. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ამავე საკითხს ეხება და უფრო განვრცობილად არეგულირებს მას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. ხოლო მესამე პუნქტის თანახმად კი - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მინდა სწორედ ამ კუთხით შევხვო ერთ საკანონმდებლო ხარვეზს, რომელიც არსებობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და რომლითაც იგნორირებულია კონსტიტუციისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>2</sup> მუხლი, რომლის თანახმად, თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების განუხილველად დატოვება ან მათში აღნიშნული კანონების დარღვევების თავიდან აცილებისათვის ღონისძიებათა მიუღებლობა, აგრეთვე კერძო განჩინებაზე (დადგენილებაზე) ან წარდგინებაზე დაგვიანებული პასუხის გაცემა, გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე, **ე.ი. ჯარიმა გათვალისწინებულია 3 ლარამდე** (ხაზგასმა ჩემია გ.გ.). აღნიშნული დარღვევა შედის მმართველობის დადგენილი წესის ხელმეოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თავში. ცნობისათვის, ამავე თავში შედის მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა, რომელიც იწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ

სამუშაოებს ერთიდან ექვს თვემდე ვადით, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული – ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

თუ ამ ორი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სანქციებს შევადარებთ ერთმანეთს, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან შედარებით, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, კანონმდებელი არაფრად მიიჩნევს, სასამართლო ხელისუფლების როლსა და მნიშვნელობას ქვეყანაში, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე აკნინებს.

ახლა შევხვით ამ სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ხარვეზს. როგორც აღვნიშნე, მართალია მატერიალური კანონმდებლობით სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, მაგრამ ამავე კოდექსში საკანონმდებლო ხარვეზის არსებობის გამო, ამ ნორმის რეალიზება შეუძლებელია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თუ ვინ უნდა აღძვას საქმე ე.ი. ვინ უნდა შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (იხ. ამავე კოდექსის მუხ. 240). შესაბამისად, ამ სამართალდარღვევის საქმის განხილვა და დამრღვევისათვის სახდელის დაკისრება შეუძლებელია. საქმის აღძვრის წესი ამ სამართალდარღვევის დაწესებისთანავე არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა ამ საქმის განმხილველ ორგანოდ სასამართლო განისაზღვრა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კოდექსის 252-ე მუხლის მეორე ნაწილით, სხვა სამართალდარღვევებთან ერთად, განისაზღვრა 173<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის სავალდებულო დასწრება. ამავე მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.

ამ ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გამოცხადება 90-იან წლებში იღებს სათავეს და აღნიშნულ გარემოებათა გამო იგი თავიდანვე მკვდარად შობილი ნორმა იყო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედებულ სასამართლო სისტემაში ადმინისტრაციული მოსამართლის ინსტიტუტი კანონმდებლობით აღარ არსებობდა, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოთ აღნიშნულ 252-ე მუხლში ტერმინი „ადმინისტრაციული სასამართლო (მოსამართლე)“ დღესაც ფიგურირებს.

სამოსამართლო პრაქტიკაში იყო პრეცედენტი, როდესაც მაშინ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურატურის მაღალჩინოსნის მიმართ, ორი პირის უკანონო დაპატიმრებისათვის და მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, კერძო განჩინება იქნა გამოტანილი, მაგრამ მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა, მიუხედავად სასამართლოს მხრიდან მისთვის არაერთგზისი შეხსენებისა, საერთოდ არ გააკეთა რეაგირება მასზე დაქვემდებარებული პროკურორის ამ სამართალდარღვევაზე და სასამართლოს არ აცნობა დარღვევაზე რეაგირების შედეგები, რითაც ჩაიდინა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის შესახებ წერილობით ეცნობა საქართველოს პრეზიდენტს და ეთხოვა, საკანონმდებლო ინიციატივით შესულიყო საქართველოს პარლამენტში, რათა აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორებულიყო, ასევე მიეღო ზომები გენერალური პროკურორის მიმართ. ალბათ, საინტერესოა ამ მიმართვის შედეგი - შემდგომში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან საერთოდ ამოიღეს სასამართლო ქვედებარე საქმეებიდან ამ სამართალდარღვევის განხილვა (იხ. მუხლი 208. 2006 წლიდან), ამ სასამართლოს კი ჩამოართვეს სისხლის სამართლის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიებების საკითხის განხილვა-გადაწყვეტის უფლება (2005 წლიდან). უმაღლესი ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დაცულ სიკეთეზე, ბუნებრივია, ხელს უწყობს გარკვეულ თანამდებობის პირებს დაარღვიონ ადამიანის უფლებები, თუნდაც ისეთი უფლება, როგორცაა ადამიანის თავისუფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშეუვალია.

სამწუხაროდ, აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დღესაც იგივე მდგომარეობაა, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გადაუღებელი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანას საჭიროებს.

### ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009.
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 20/02/1998.

### რეზიუმე

ნაშრომი ეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებულ პროცესუალურ საკანონმდებლო ხარვეზს, რის გამოც შეუძლებელია სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების განუხილველად დატოვების ან მათში აღნიშნული კანონების დარღვევების თავიდან აცილებისათვის ღონისძიებათა მიუღებლობის, აგრეთვე კერძო განჩინებაზე (დადგენილებაზე) ან წარდგინებაზე დაგვიანებული პასუხის გაცემისათვის თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა, რომელიც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 173<sup>2</sup> მუხლით. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით გამოთქმულია მოსაზრებები.

### ADMINISTRATIVE-LEGAL RESULTS OF INADMITABILITY ON THE COURT DECISION Giorgi Giorgadze, Full Professor RESUME

This work refers to the legislative procedural shortcomings existing in the Code of Administrative Offences of Georgia, which makes it impossible to make official answerable for administrative law due to private judgment of the court (resolution) or leave a judge without examination of the submission or rejection of activities for preventing violation of these laws, also for delayed response to private judgment (resolution) or submission, which is provided according to the Article 173 of the same Code. To rectify this shortcoming opinions are expressed.

### ნიკო ნიკოლაძის დაცვითი სიტყვა 1879 წელს თბილისის სასამართლო პალატაში

*შალვა ვანიშვილი, მოწვეული დოქტორი*

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე 1879 წელს როგორც გაზეთ „ობზორის“ რედაქტორი პოლიტიკური არასაიმედობის მიზეზით არაერთხელ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მაგრამ იგი ყოველთვის წარმატებით აცამტვერებდა მასზე წაყენებულ ბრალდებებს.

1879 წელს ნიკო ნიკოლაძემ ორჯერ წარმოთქვა დაცვითი სიტყვა. პირველად თბილისის ოლქის სასამართლოში, ხოლო მეორედ თბილისის სასამართლო პალატაში.

თავის დაცვით სიტყვებში, რომლებიც სასამართლო მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, ნიკოლაძემ სამარცხვინო ბოძზე გააკრა თავისუფალი, პროგრესული აზრის შემბოჭველი და კულტურის მოსისხლე მტერი - მეფის ცენზურა, დღის სინათლეზე გამოიტანა, რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის ბიუროკრატიის ანტიხალხური პოლიტიკა, თვითმპყრობელური სისტემის დახვსებულება და პროგრესისათვის შეუფერებლობა და მკაფიოდ დაახასიათა პრესის სავალალო მდგომარეობა.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვა გამოირჩევა ლოგიკური ბუნებით, იურისპრუდენციის ღრმა ცოდნით და ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ბატონო მოსამართლენო! ჩემი თავისდაცვა ძალაუვნებურად უნდა შევუფარდო ეს-ეს არის თქვენს მიერ მოსმენილ საბრალდებო სიტყვას და, ასე ვთქვათ, ვებდაფებ გავყვე სასამართლო პალატის ბ-ნი პროკურორის თანაშემწის არგუმენტაციას.

ამიტომ უპირველეს ყოვლისა შევეხები იმ მოჩვენებით წინააღმდეგობას, რაც ბრალმდებელს სურს მომაწეროს. ბრალმდებელი ამტკიცებს, თითქოს „ობზორის“ რედაქცია წინ აღუდგა ცენზორის მელიქ-მელრაბოვის კომპეტენტურობას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ცენზორმა დაიწყო გაზეთის სტატიების აკრძალვა. იგი თვლის, რომ უკეთეს დაცვის თვალსაზრისს გაიზიარებთ და მელიქ-მელრაბოვს არაკომპეტენტურად ცნობთ, მაშინ მე მსჯავრი უნდა დამედოს „ობზორის“ მთელი რიგი იმ ნომრების უცენზუროდ გამოშვებისათვის, რომლებიც ნებადართულია იმავე არაუფლებამოსილი ცენზორის მელიქ-მელრაბოვის მიერ. ამ უკანასკნელი აზრის წინააღმდეგ მე დავას არ ვაპირებ, მაგრამ, პალატა რა თქმა უნდა, დამეთანხმება, რომ მე ბრალს მადებენ „ობზორის“ რიგი ნომრების გამოშვებაში, სათანადო საცენზურო ხელისუფლების ნებადართველად, მაშინ ბრალმდებელმა, ხელისუფლებამ ეს საქმე უნდა მოსპოს და აღძრას ჩემს მიმართ ახალი დევნა ბრალის დადებით დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია სასჯელთა დებულების არა 1029-ე მუხლით, არამედ იმავე დებულების 1024-ე მუხლით. როგორც ცნობილია, პირველით მე დავისჯები ჯარიმით 50 მანეთის რაოდენობით, მაშინ როდესაც მეორე მუხლი სასჯელს ითვალისწინებს სამთვიან პატიმრობას ციხეში. მაგრამ იმ შემთხვევაში, უკეთეს ჩემს მიმართ აღძრული იქნება ასეთი ახალი დევნა, მე იმედი მაქვს წარვუდგინო სასამართლოს ჩემი უდანაშაულობის სრულიად საკმაო მტკიცებულებები. რაც შეეხება ბრალმდებლის იმ შენიშვნას, თითქოს მე ვეწინააღმდეგები არაკომპეტენტური ცენზორის მხოლოდ აკრძალვით მოქმედებას, მაშინ, როდესაც ვსარგებლობ მისი ყველა ნებადართული მოქმედებით, უნდა გავახსენო ბ-ნ პროკურორის თანაშემწეს, რომ საოლქო სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში, რაც სამსჯავრო სხდომის ოქმიდან ჩანს. მე თვითონ ვუწოდებ ამ საფუძველს არა მარტო ფორმალობა, არამედ ფორმალისტურობაც.

„ობზორის“ ცენზორად მელიქ-მელრაბოვის დანიშვნისას ბეჭვდითი სიტყვის შესახებ კანონების დარღვევის მრავალრიცხოვან მტკიცებათა შორის მე მივუთითებდი ერთ-ერთ მაგალითზე, რაც დაშვებულია სწორედ იმ ხელისუფლების მიერ, რომელმაც მე საბრალდებო სკამზე დამსვა იმავე კანონებისადმი უპატივემულობაში ბრალის დადებით.

პირადად მე კი ყოველთვის ვაცხადებდი პროტესტს „ობზორის“ მიმართ მელიქ-მელრაბოვის მიერ როგორც ნებადართულ, ისე აკრძალულ მოქმედებათა წინააღმდეგ და თუ ჩემი პროტესტების მიუხედავად იგი „ობზორის“ ცენზორად რჩებოდა, ამაში მე ბრალი სრულიადაც არ უნდა დამედოს. ჩემს მიერ მისთვის საცენზურო ფურცლების გაგზავნა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩემს მიერვე მისი კომპეტენტურობის აღიარებად.

შეიძლება გაზეთის დროულად გამოშვებისათვის ზრუნვა მე მაიძულებდა დავმორჩილებოდი ხელისუფლების უსწორო განკარგულებას, მაგრამ განა ცოტაა შემთხვევები, როდესაც ჩვენს, ბ-ნო პროკურორის თანაშემწევ და თქვენც, ბატონო მოსამართლენო, იძულებული ვართ დავემოჩილოთ ძალზე დამყარებულ თვითნებობას? განა, ამის გამო, თვითნებობა აღარ იქნება თვითნებობად, განა თქვენი დამორჩილება მას აკურთხებს და კანონად აქცევს? ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემი განმარტების შემდეგ ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, თითქოს მე ჩემს თავს ვეწინააღმდეგებოდე და გადავალ პროკურორის სიტყვის იმ ნაწილზე, რომელიც შეიცავს ცდას სრულიად კანონიერ ღონისძიებას და წარმოადგინოს აღმოსავლურ ენებზე გამოცემების ცენზორის თითქოს დროებით დანიშვნა რუსული გამოცემების ცენზორად.

ბ-ნი პროკურორის თანაშემწე, სისხლის სამართლის საპროცესო წესდების მე-12 მუხლზე მითითებით, ამ დანაშაულს ხსნის და ამართლებს „კანონების საერთო აზრით“. იგი ამბობს: „თანამდებობა თავისუფალი იყო, საჭირო იყო მისი დაკავება, და ისეთი პირი უნდა დანიშნულიყო ამ თანამდებობაზე, რომელიც მსგავს საქმიანობას ეწეოდაო. მაგრამ, ბატონებო, თქვენ კარგად იცით, რომ რაიმე თანამდებობის დროებით შესრულებაც მოხელეებს ეკისრებათ არა ზეპირი დავალებით, არამედ უმაღლეს ხელისუფალთა წერილობითი ბრძანებებითა და მიწერილობებით. სად უნახავთ, რომ ასეთი განკარგულებების წერილობითი კვალი არ რჩებოდეს და სად, რომელ უწყებაშია დაშვებული ურთიერთობათა ასეთი დაუდევრობა?

მოწმე ფურცელამემ კი პირდაპირ განაცხადა აქ, პალატაში, რომ არავითარი წერილობითი განკარგულება მას არ მიუღია და არავითარი წერილობითი წინადადება არ გაუკეთებია. ამ განცხადების გამო მე ბ-ნ პროკურორის მიერ გატარებული ანალოგიის მიუხედავად-არავითარი საფუძველი არ შემიძლია კანონიერად ვცნო რუსული გაზეთის ცენზორად მელიქ-მელრაბოვის დანიშვნა. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ აგრეთვე, რომ არავითარი თანამდებობა არ შეიძლება ვაკანტური იყოს

ზედიზედ რამდენიმე წელიწადი. რუსულ ენაზე გამოცემის ცენზორის თანამდებობა ჩვენთან ვაკანტური იყო 1874 წლიდან, ცენზორ კოვალენსკის სიკვდილის დროიდან, მხოლოდ 1876 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში მას „ასრულებდა“ ვინმე ბ-ნი ველისარი, რომელმაც ომის მოახლოებისთანავე საცენზურო უწყება საინტენდატო უწყებით შეცვლა. მანამდე და მის შემდეგაც რუსულ გამოცემათა ცენზორებად იყვნენ ხან მელიქ-მედრაბოვი და ბაქრაძე, ხან კავკასიაში მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოს მოხელენი ბ-ნი ჟელიაბოვსკი და რობაროვსკი (ამ სამმართველოს საიდუმლო განყოფილების გამგე), „დროებით მივლინებულნი საცენზურო კომიტეტში, ხან ბ-ნი ბოგაჩევი, ერევნის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორი, როგორც ბ-ნმა ფურცელაძემ გამოსთქვა, კომიტეტში „გამოსაცდელად“ გაგზავნილი. მაშ, როგორ, ნუთუ მთელი ამ დროის განმავლობაში არ შეიძლებოდა თბილისი ადგილებისა და ჯამაგირების მრავალრიცხოვან მაძიებელთა შორის ისეთი, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი პიროვნების შერჩევა, რომელიც რუსულ ლიტერატურას იცნობდა და საცენზურო წესდება 24-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფიებდა? ნუთუ ჩვენი განაპირა ქვეყნის რუსულმა პრესამ არ დაიმსახურა იმდენი პატივისცემა, რომ იგი ხელ-ფეხ შებოჭილი უნდა გადაეცათ ისეთი მოხელეების უკონტროლო და უაპელაციო განკარგულებაში, რომელთაც არ იციან, მაგალითად, რომ გენერალი ბეტრიშჩევი დიდი მთავრის ამალის წარჩინებული პიროვნება კი არა, გოგოლისეული ტიპია, გაზეთის მიერ სასაცილოდ ასაგდებად ხელმისაწვდომი? განა ეს არ ნიშნავს ბეჭდვითი სიტყვის ძლიერების, მნიშვნელობისა განვითარებისათვის ძირის გამოთხრას?

ბ-ნი პროკურორის თანაშემწე ამ საკითხზე არ ჩერდება. იგი შეიპყრო ცდუნებამ ცენზურის მიმართ ჩემი დამოკიდებულება წარმოვიდგინოთ თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო, რაც შეიძლება უარყოფითი სახით. მისი სიტყვით ცენზურა და ცენზორები რედაქციას როგორც ქველმოქმედი მამები ეპყრობიან: ცენზორების „შეწყალებებს“ თურმე საზღვარი არა აქვს. ისინი ღამით შრომობენ, ღამითვე ღებულობენ რედაქტორებს პირადი განმარტებისათვის, ეთანხმებიან მათ სტატიების გაშვებაზე, რედაქტორს კი, ხომ ხედავთ, არამც თუ გული არ უჩუყდება, იგი არამც თუ მადლობას არ უხდის და ხოტბას არ ასხამს ცენზორს, არამედ ღამე თავსაც კი ესხმება და თვითნებობს. საბრალო ცენზორები! მაგრამ ცენზორების თითქოს დაჩაგრული უმანკოება სინამდვილეში ასე არ მოჩანს. ისინი ღებულობენ 2400 და 3000 მან. ვერცხლის ფულს წელიწადში, გარდა ჯილდოებისა და დაწინაურებისა, განა თუ რისთვის? იმისათვის, რომ სადამობით, მყუდრო კაბინეტში, აუჩქარებლად კითხულობენ იმას, რის წაკითხვაშიაც დანარჩენი მომაკვდავნი ფულს იხდიან. გთხოვთ დააკვირდეთ, ჯერ ერთი, დღისით ბ-ნ ცენზორებს სრულიად არავითარი საქმე არა აქვთ და სამსახურში დაკავებული არ არიან, და მეორეც, ისინი ბეჭდვით ნაწარმოებებს კითხულობენ უკეთესი სახით, ვიდრე ფულის გადამხდელი საზოგადოება, რადგანაც ნიჭიერების ყველა ნაპერწკალი, აზრის მთელი სიმახვილე, ყოველი საგულისხმო ამბავი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ბანალობას სცილდება, მათ მიერ უმოწყალოდ იშლება და მკითხველ საზოგადოებამდე არ აღწევს.

თავმჯდომარე: ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დაცვის საგანს სცილდებით, როდესაც ცენზორების ხელფასსა და მეცადინეობას ვრცლად ეხებით?

ბრალდებული: როდესაც ბრალდებელი მე მსახავს უმაღლიერო ქმნილებად, რომელიც ცენზორების ურიცხვ შეწყნარებაზე, თითქოს ძალადობით და უზრდელობით ვპასუხობ, მე ვფიქრობ, რომ ამ „შეწყნარებათა“ ხასიათისა და ღირსების ზუსტი განსაზღვრა პირდაპირ ეხება ჩემი თავისდაცვის არსს.

იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ ცენზორს შეიძლება ბრალი დაედოს მხოლოდ ზედმეტ შემწყნარებლობაში ბ-ნი პროკურორის თანაშემწე პირდაპირ აცხადებს, რომ ძალადობასა, თვითნებობასა და შევიწროებაში დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. ვეთანხმები, რომ ღამით თავდასხმა არ არის მოსაწონი და ულამაზოა, მაგრამ განა ღამითვე არ მესხმოდა მე თავს ცენზურა, როდესაც ძალით მართმევდა სტამბაში, ნაშუადამევს 5-6 საათზე, მის მიერ ნებადართულ ფურცლებს, მაშინ, როდესაც გაზეთის ნომერი იბეჭდებოდა მისი ყველა წანაშლების მიხედვით? და ეს ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა. განა ღამით არ დამესხნენ მე პოლიციელები, როდესაც სტამბაში მოვიდნენ, ცენზურის მიერ მთლიანად ნებადართული, გაზეთ „ობზორის“ უკანასკნელი ნომრის დასაკავებლად? ძალადობა ძალადობის წილ და თვითნებობა თვითნებობის წილ! მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ცენზურასთან გასწორებული ვართ. ამიტომ უცნაურობაზე მეტად მიმაჩნია, რომ ბ-ნი პროკურორის თანაშემწე გმობს და ჰკიცხავს მხოლოდ ერთი მხარის და ისიც უსუსტესი მხარის ძალადობასა და თვითნებობას. თუმცა კი იგი ამბობს, რომ კარგი იყო თუ ცუდი, სწორი თუ კანონსაწინააღმდეგო ცენზორის მოქმედება და განკარგულებანი, ისინი უცილობლად სავალდებულო იყო რედაქციისათვის.

ხელისუფლების სწორ და სამართლიან განკარგულებათა წინააღმდეგ, შეშლილების გარდა, არასდროს არავინ ამხედრდება, და თუ თქვენ გსურთ, რომ ყველა უყოყმანოდ და ნებაყოფლობით

დაგემორჩილონ, მოახერხეთ თავშეკავება და მუდამ სამართლიანი და გონიერნი იყავით. მაშინ არ დაგჭირდებათ ძალის გამოყენება. მაგრამ არავითარი ძალა არ კმარა იმისათვის, რომ ყველასათვის სავალდებულო გახადოს აშკარად უსწორო და უგუნური განკარგულებანი, რომელთა მოწონება და გამართლება პროკურორის თანაშემწესაც კი არ ძალუძს.

მართალია უგუნური განკარგულებისადმი დამოჩილების მოთხოვნასთან ერთდროულად ბრალმდებელი გვარწმუნებს, რომ არსებობს უფროსებთან გასაჩივრების საშუალებაო, მაგრამ მართლაც ასეა საქმე? განა ყოველთვის შეიძლება ჩივილი, განა ყოველთვის ისურვებს და შესძლებს ზემდგომი უფროსი გამოსწოროს ის, რაც ჩადენილია მისი აგენტების უაზრო და უსწორო მოქმედებათა შედეგად? ვარწმუნებ ბ-ნ პროკურორის თანაშემწეს, რომ მე უმიზეზოდ არ გადამიწვევტია თვითნებობა, არამედ ამოვწურე ყველა კანონიერი საშუალება ბეჭდვითი სიტყვის უფლებების დასაცავად. ვსინჯე ჩივილიც და მრავალჯერ ვსინჯე. მრავალჯერ წარვადგინე კავკასიაში მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოში და თვით დიდ მთავართან მეფის ნაცვალთანაც საცენზურო კომიტეტის მიერ აკრძალული სტატიები. სამართლიანობა მავალებს განვაცხადო, რომ უმრავლეს შემთხვევაში სამხარეო უმაღლესი ხელისუფლება ნებართვას იძლეოდა ამ სტატიების დასაბეჭდად. ბედკრული სტატიები მიბრუნდებოდა ძვირფასი წარწერით - „ნებას ვრთავ“, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უკვე მცირედენ ინტერესსაც კი არ იწვევდნენ, რის გამოც ვერ დაიბეჭდებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სანამ ჩემი საჩივარი ჩვენი ბიუროკრატიის ყველა ინსტანციებს და წვალბას გაივლიდა, სანამ საცენზურო კომიტეტი თავის განმარტებას წარადგენდა, სანამ მოხსენება დამზადდებოდა, სანამ მას წარუდგენდნენ ჯერ მთავარ სამმართველოს უფროსს, შემდეგ უკანასკნელი მეფისნაცვლის თანაშემწეს და ბოლოს იგი მეფისნაცვალს, და სანამ ქალაქი მისგან ბრუნდებოდა, ორი სამი თვე გადიოდა, სტატიის გამომწვევი ინტერესი კი ქრებოდა და იკარგებოდა. დაბეჭდავთ დღეს თუ არა სტატიას მაგალითად, ბერლინის კონგრესის შესახებ?

საოლქო სასამართლოში მე უკვე მოვიყვანე პუბლიცისტი გოლოვაჩევის აზრი ცენზორის მოქმედებაზე ყოველგვარი საჩივრების უსარგებლობის შესახებ. მკითხველი საზოგადოება გაზეთში ეძებს სადღეისო საკითხებზე გამომხატურებას. და რა ღირსებისა იქნება გაზეთი, რომელიც ბ-ნ პროკურორის თანაშემწის რჩევის მიხედვით, რამდენიმე დღით ადრე წარადგენს სტატიებს ცენზურაში და თავისი წერილებითა და ცნობებით მთელი კვირით დაიგვიანებს? და აი, ამიტომაც, ბ-ნ მოსამართლენო, ჩვენ ჟურნალისტებს არ შეგვიძლია ვისარგებლოთ პროკურორის თანაშემწის რჩევებით. ყოველდღიური პრესის საქმე არ არის სასამართლო საქმე. სადაც დამშვიდებული სინდისით შეიძლება დარღვეული უფლების ან შელახული ჭეშმარიტები აღდგენის უცადო ათეული წლების განმავლობაში, სანამ ჩვენი პროცესები გრძელდება.

ეს პროცესი ნ-ბო მოსამართლენო, გამომახილია ამჟამად მნიშვნელოვნად შეცვლილი მდგომარეობისა. ახლა, ბატონებო, ადგილობრივი გაზეთები სულს ძლივსდა ღაფავენ. ეს იმიტომ ხდება, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი საზოგადოება შეპყრობილია ცხოვრების პირველხარისხოვანი უამრავი საკითხებით, ადგილობრივ პრესას არ შეუძლია გამოეხმაუროს ამ საკითხებს. ცხადია, რომ მკითხველ საზოგადოებას არ აინტერესებს ის ბანალობანი, რაზედაც მხოლოდ შეიძლება ახლა ჩვენში წერა. მე არ ვიცი რისთვისა და ვისთვის არის საჭირო, ვისი სასარგებლოა ბეჭდვითი სიტყვის ეს დისკრედიტაცია, არ ვიცი ვინ იგებს იმ უკუნეთში, რაც დაამყარა ჩვენ თავზე ცენზურამ. მაგრამ, სამწუხაროა, რომ საჯარო სასამართლოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, სასამართლო პალატის ბ-ნი პროკურორის თანაშემწე, ამ ბრძოლისა და საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, ივიწყებს რა საჯაროობისა და საჯარო სასამართლოს ტრადიციებს, ასე გადაჭრით დგება მათ მხარეზე, ვინც ლიტერატურას ასამარებს, რომელსაც შებოჭილს აძლევს მელიქ-მელრაზოვებისა, ვარძივესკების და კომპანიის განკარგულებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ასე არ მიუდგებით საქმეს თქვენ ბატონო მოსამართლენო. საოლქო სასამართლოში მე ვითხოვე ჩემთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რაშიც მე ვნახულობდი პირველ ნაბიჯს პროვინციული პრესის განთავისუფლებისაკენ. ასეთივე თხოვნითა და იმედით მოგმართავთ ახლა თქვენ და გთხოვთ თქვენი ავტორიტეტით დაამტკიცოთ ჩემს მიმართ საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი.

## რეზიუმე

1879 წელს ნიკო ნიკოლაძემ ორჯერ წარმოთქვა დაცვითი სიტყვა, თბილისის სასამართლო პალატაში, სადაც ამხილა რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის ბიუროკრატიული პოლიტიკა. მისი სიტყვები, რომლებიც გამოირჩევიან იურისპრუდენციის ღრმა ცოდნით და ლოგიკური სრულყოფილებით იცავენ

პროგრესული პრესის პრინციპებს, სავალალო მდგომარეობაში რომ იყო და სულს უხუთავდა ცარიზმის სისხლიანი რეჟიმი.

იგი სთხოვდა თბილისის სასამართლო პალატას დაემტკიცებინათ მის მიმართ საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი ხანგრძლივი ბრძოლითა და ოფლის ღვრით რომ მოიპოვა.

**NIKO NIKOLADZE'S SPEECH FOR THE DEFENCE IN THE CHAMBER OF TBILISI COURT  
IN 1879  
Shalva Vanishvili, Invited Doctor  
RESUME**

In 1879 Niko Nikoladze delivered a speech for the defence two times in the Chamber of Tbilisi Court where he exposed bureaucratic, antinational police of Russian political regime. His words which are distinguished with profound knowledge of jurisprudence and logical completeness defend the principles of progressive press which was in poor condition and was suffocated by the bloody Tsarist regime.

He asked the Chamber of Tbilisi Court to approve the verdict of non guilty passed toward him by the District Court which he gained with a long time struggle and great effort.

**ჟურნალისტიკის დეონტოლოგია**

*მარია შერაზადიშვილი, სრული პროფესორი*

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ინფორმაციის გავრცელების სფეროში დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითიც შეიტანა. თუ არცთუ ისე შორეულ წარსულში ინფორმაციის გადაცემაზე მონოპოლიას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (გაზეთი, ჟურნალი, რადიო, ტელევიზია) ფლობდნენ, დღეს ინტერნეტის საშუალებით პრაქტიკულად ნებისმიერს შეუძლია აცნობოს მსოფლიოს, რაც სურს. ტექსტის ამგვარმა „გათავისუფლებამ“ ინფორმაციის გადაცემის, შერჩევის და რედაქტირების არსებული ჩამოყალიბებული მოდელის ნგრევა გამოიწვია. მედიასივრცეში ხარისხიანი ინფორმაციის გვერდით გამუდმებით ჩნდება კომპრომატი, შეურაცხყოფა, ჭორი, ლანძღვა-გინება, უხამსი ფოტოები, ვიდეორგოლები, უწიგნური რეპლიკები და უხეში კომენტარები, დაუსაბუთებელი ბრალდებები და ა.შ. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ ბევრი ვერც კი ამჩნევს, როგორ ემუქრება ეს ნიაღვარი წალეკვით სულიერ ფასეულობებს. ყოველივე ეს ხომ მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის, ცხოვრების ჩვეულებრივ გარემოსთან ასოცირდება. სწორედ ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია ჟურნალისტიკის სფეროში დეონტოლოგიური წესების - პროფესიული ღირსების კოდექსის დანერგვა და განმტკიცება.

დეონტოლოგია ბერძნული სიტყვაა (deon - აუცილებელი, logos - მოძღვრება) და ჟურნალისტიკის პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების ერთობლიობას ნიშნავს. არსებობს „ჟურნალისტიკის დეონტოლოგიის“ რამდენიმე განმარტება:

„დეონტოლოგია - ეს არის ეთიკის ნაწილი, რომელიც განიხილავს მოვალეობის და პასუხისმგებლობის პრობლემებს, ასევე ზნეობრივი ქცევის პრინციპებს“, - აღნიშნულია „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ [2; 164], სხვა განსაზღვრებით, „დეონტოლოგია არის ჟურნალისტიკისთვის შესაფერისი პროფესიული ქცევის, მოთხოვნების, ნორმების, პრინციპების სისტემა“ [3; 55). ყველა განსაზღვრებაში ფიგურირებს ცნებები - „ზნეობა“, „მოვალეობა“, „პასუხისმგებლობა“, „ნორმა“. ჟურნალისტს მოეთხოვება გამოკვეთილი მსოფლმხედველობა, ინტელექტუალური შესაძლებლობების დემონსტრირება, განსაზღვრული ენობრივი, ზნეობრივი, სამართლებრივი ნორმების ცოდნა.



პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი გარდაქმნების დროს ჟურნალისტიკის განვითარებაზე გავლენას ახდენს რიგი პროცესებისა, როგორცაა:

**პოლიტიკური:** საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური წყობის ცვლა, იდეოლოგიური ორიენტირების და პრიორიტეტების ცვლილება;

**ეკონომიკური:** საბაზრო ეკონომიკის მოდელზე ორიენტაცია;

**სოციალური:** საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილება, მისი ფენებად დაყოფა;

**ფსიქოლოგიური:** ზნეობრივი ორიენტირების ცვლილება, ფასეულობათა გადაფასება. დღის წესრიგში დგება მოთხოვნილება - შევიშალოთ საზოგადოებრივ მოვალეობაზე კონკრეტული წარმოდგენის პრინციპული საფუძველი, გამოვიშალოთ მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, ჩამოვყალიბოთ პროფესიონალისადმი წაყენებული მოთხოვნები, მისი უფლებები და ვალდებულებები. საკითხი მეტად აქტუალურია დღეს, როცა ჟურნალისტიკა სოციალური კავშირების დისპარმონიის, მსოფლიოში ადამიანის არასტაბილურობის ანარეკლი ხდება.

განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი: შემფოთებას იწვევს ჟურნალისტების მზარდი ინტერესი კრიმინალური პრობლემატიკისადმი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სულ უფრო მზარდი ენობრივი აგრესია აღიქმება, როგორც ხელისუფლების აგრესიულობის გამოძახილი იმ ადრესატისადმი, რომლის უფლებას და ინტერესებსაც ის უნდა იცავდეს. როგორც ცნობილია, ადრესატზე მოქმედებს არა მარტო ძალადობის აღწერა, ჩვენება, არამედ ჟურნალისტის ერთგვარად „მტრული ენაც“, რომლითაც ინფორმაციაა მოწოდებული. ბევრი ჟურნალისტი, იქნებ გაუცნობიერებლადაც, მეტისმეტად გატაცებულია სიტუაციის „გამუქებით“, თითქოს ერთგვარ „კმაყოფილებასაც“ გრძნობს ძალადობის შემცველი ინფორმაციის მოწოდებისას.

ინფორმაციის საშუალებანი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ოპერატიულად და დაწვრილებით მოგვაწვდის ინფორმაციას. ძნელად მოიძებნება გახეთი, ჟურნალი თუ ინტერნეტგამოცემა, კრიმინალურ თემატიკას რომ არ აშუქებდეს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ერთი საინფორმაციო საშუალება „ცუდი“ ამბების მხოლოდ მოწოდებით იფარგლება, მეორე კი ამ თემას რამდენიმე სვეტს უთმობს. ზოგიერთი მათგანი, პირდაპირ ვიტყვით, სუსტი ნერვების ადამიანთათვის არ არის განკუთვნილი. ყურადღებას იქცევს, პირველ რიგში, არასტანდარტული სათაურები. ზოგიერთი მათგანი წაკითხვისთანავე შოკს გგვრის. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს (ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არ არის კრიმინალური ამბების ამსახველი სპეციალიზებული გამოცემები): „ლაფანყური საშინელი სიმართლის მოლოდინშია“, ფოტოზე გამოსახულია საფლავზე მტირალი დედა: „ჩემი 19 წლის ბიჭი უკვე მესამედ ამოთხარეს საფლავიდან“ (კვირის პალიტრა, 13. 05. 2013); „საქართველოს „ნომერ პირველი ტერორისტი“ თავისუფალია!“.. (კვირის პალიტრა, 10.06.2013); „ქეთევან ბახტაძე: „საბაში“ ხანძარი მეიჯარე პაატა კაჭარავამ განზრახ გააჩინა... ვფიქრობთ, რომ მას მთავრობა მფარველობს“ (რეზონანსი, 28. 06. 2013); „ელისო კილაძე: თავდაცვის სამინისტროში წამებისთვის გასამართლებული პირები მუშაობენ“ (ქრონიკა +, 28. 06. 2013); წალკაში 10 წლის ბავშვი გაგუდული იპოვეს (ქრონიკა +, 25. 06. 2013).

ვანალიზებთ რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენასა და სტილს, ვთვლით, რომ ე.წ. „შავი“ სათაურების გამოყენება პროფესიული ჟურნალისტური ეტიკის დარღვევად უნდა ჩაითვალოს. ყურადღების გამუდმებით ცხოვრების უარყოფით მხარეებზე გამახვილებით ავტორი, ნებსით თუ უნებლიეთ, მკითხველს ნეგატიურ მოვლენათა ყოველდღიურობას აჩვენებს. ამავდროულად, ინფორმაცია, რომელსაც მკითხველი თუ მსმენელი იღებს, დესტრუქციულად მოქმედებს მის ცნობიერებაზე, ქვეცნობიერებაზე და, საერთოდ, მის ქცევაზე. ადამიანი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება. მნიშვნელობა აქვს პუბლიკაციათა რაოდენობას, მათს მოცულობას, შინაარსს, სტრუქტურას. პერიოდულად მიწოდებულმა მსგავსმა ინფორმაციამ შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანის ფსიქიკაზე, მსოფლიო სურათის მისეულ აღქმაზე. ეს ყოველივე არღვევს ადრესატის, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მომხმარებლის, უფლებას და საჭიროს ხდის ზომების მიღებას ვერბალური აგრესიის სამართლებრივი რეგულირებისათვის. აქტუალობის მხრივ კრიმინალი მხოლოდ პოლიტიკას ჩამოუვარდება და, ზოგჯერ, ერთგვარად, გართობის თემადაც იქცევა. ამით მკითხველის წარმოდგენაში კრიმინალი ხდება ყოველდღიურობის ნაწილი, ჩვეულებრივი ამბავი.

პირადი ცხოვრება, უფრო სწორად, მისი ხელყოფა - თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემური თემაა, აქტუალური არა მხოლოდ ტექსტური ინფორმაციის დონეზე. დღეს პირადი ცხოვრების შემცველი არც ერთი პუბლიკაცია ფოტოსურათის გარეშე არ ქვეყნდება. ბეჭდურ მედიასა და ინტერნეტგამოცემებში გვხვდება სურათები, რომლებიც, ალბათ, სპეციალურ გამოცემებს „დაამშვენებდა“. მედიასაშუალებებით ვრცელდება ფოტოები, რომლებზეც ასახულია დასახიჩრებული გვამები, მკითხველისაკენ მომართული იარაღი, გათხრილი საფლავები და სხვა შოკისმომგვრელი კადრები. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება

„ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი“, რომლის 6.1 მუხლში წერია: „ჟურნალისტმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს სამართალდარღვევის ან უბედურ ფაქტებთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისას. ის უნდა ეცადოს, თავისი საქციელით საფრთხეში არ ჩააგდოს ადამიანთა სიცოცხლე. ასეთი მოვლენების აღწერისას გაუმართლებელია დაზარალებულის, ექვმიტანილის ან მათი ნათესავების ვინაობის დასახელება ან ისეთი ინფორმაციული მასალის გამოქვეყნება, რაც აშკარად, ამ პირთა იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა“ [1; 4]. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტმა უნდა მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია ტრაგიკული მოვლენების შესახებ და ხაზი გაუსვას ამ მოვლენათა სოციალურ დანიშნულებას, მეორე მხრივ, ფოტოგრაფი იღებს უმწეო ადამიანს მისთვის დრამატულ მომენტში, რამაც შეიძლება სულიერი ტრავმა მიაყენოს როგორც ფოტოზე აღბეჭდილს, ისე მის ახლობლებს. ფოტოგრაფი, რომელმაც გადაიღო კადრები და რედაქტორი, რომელმაც მათი გამოქვეყნების ნებართვა გასცა, არა მარტო უნდა იზიარებდნენ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანების ტრაგედიას, არამედ უნდა გრძნობდნენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას ამ ადამიანების და მათი ახლობლების წინაშე. არ შეიძლება, მკვლევლობის შესახებ ინფორმაციის შემცველ პუბლიკაციაზე თანდართულ ფოტოსურათს ჰქონდეს წარწერა: „სახლი, რომელშიც მკვლევლობა მოხდა“. რა უნდა იგრძნონ დაზარალებულთა ახლობლებმა ამ ფოტოსურათის დანახვისას? ზედმეტად მიგვაჩნია იმის გამეორება, რომ ჟურნალისტი თანაგრძნობას უნდა გამოხატავდეს იმ პირთა მიმართ, ვინც უბედურება გადაიტანა, ახლობელი დაკარგა.

„ჟურნალისტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს სტიქიურ ან სხვა უბედურ შემთხვევებში. მან ასეთი შემთხვევების დროს პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა და სამსახურებრივი მოვალეობა მეორე პლანზე დააყენოს. ასეთ დროს დაუშვებელია დაზარალებულთა გრძნობებით მანიპულირება“, - წერია „ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსის“ 6.4 მუხლში [1; 4].

თანამედროვე საზოგადოება წარმოდგენილია ინფორმაციის გარეშე. ინფორმაცია ცხოვრებაში ორიენტირების საშუალებას იძლევა. პრობლემა ისაა, რომ მიწოდებული ინფორმაცია ყოველთვის არაა კონსტრუქციული, ზოგჯერ მან შეიძლება დესტრუქციული გავლენა მოახდინოს ადამიანის ცნობიერებაზე, ქვეცნობიერებაზე და, საერთოდ, მის ქცევაზე. სიტყვის თავისუფლების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტის საკომუნიკაციო ქმედება შეესაბამებოდეს ეთიკურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს და რეალიზებული იყოს პასუხისმგებლობის და პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხით.

### ლიტერატურა:

1. ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი, 2011.
2. Князев А. А., Энциклопедический словарь СМИ, Бишкек: Изд-во КРСУ, 2002, стр.164.
3. Лозовский Б. Н., Журналистика: краткий словарь, Екатеринбург: Изд-во Урал. ун-та, 2004, стр. 116.

### რეზიუმე

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ინფორმაციის გავრცელების სფეროში დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითიც შეიტანა. დღეს ინტერნეტის საშუალებით პრაქტიკულად ნებისმიერს შეუძლია აცნობოს მსოფლიოს, რაც სურს. ტექსტის ამგვარმა „გათავისუფლებამ“ ინფორმაციის გადაცემის, შერჩევის და რედაქტირების არსებული ჩამოყალიბებული მოდელის ნგრევა გამოიწვია. მედიასივრცეში ხარისხიანი ინფორმაციის გვერდით გამუდმებით ჩნდება კომპრომატი, შეურაცხყოფა, ჭორი, ლანძღვა-გინება, უხამსი ფოტოები, ვიდეორგოლები, უწიგნური რეპლიკები და უხეში კომენტარები, დაუსაბუთებელი ბრალდებები და ა.შ. დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია ჟურნალისტიკის სფეროში დეონტოლოგიური წესების - პროფესიული ღირსების კოდექსის დანერგვა და განმტკიცება.

შემფოთებას იწვევს ჟურნალისტების მზარდი ინტერესი კრიმინალური პრობლემატიკისადმი. ადრესატზე მოქმედებს არა მარტო ძალადობის აღწერა, ჩვენება, არამედ ჟურნალისტის ერთგვარად „მტრული ენაც“, რომლითაც ინფორმაცია მოწოდებული. ყურადღების გამუდმებით ცხოვრების უარყოფით მხარეებზე გამახვილებით ავტორი, ნებისთი თუ უნებლიეთ, მკითხველს ნეგატიურ მოვლენათა ყოველდღიურობას აჩვენებს.

თანამედროვე საზოგადოება წარმოდგენილია ინფორმაციის გარეშე. ინფორმაცია ცხოვრებაში ორიენტირების საშუალებას იძლევა. პრობლემა ისაა, რომ მიწოდებული ინფორმაცია ყოველთვის არაა

კონსტრუქციული, ზოგჯერ მან შეიძლება დესტრუქციული გავლენა მოახდინოს ადამიანის ცნობიერებაზე, ქვეცნობიერებაზე და, საერთოდ, მის ქცევაზე. სიტყვის თავისუფლების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტის საკომუნიკაციო ქმედება შეესაბამებოდეს ეთიკურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს და რეალიზებული იყოს პასუხისმგებლობის და პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხით.

## DEONTOLOGY OF JOURNALISM Marika Sherazadishvili, Full Professor RESUME

Development of information technologies has not only positive but also negative affects on spreading information. Nowadays, actually, anyone can spread desired information about anything on Internet. Such “liberalization” of a text caused destruction of existing established model of information transmission, selection and editing. Along with high quality information there constantly appear compromising evidences, humiliations, gossips, abuse, obscene photos, videos, illiterate remarks and rude comments, unproved accusations etc. Today, as never before, there is an urgent need to establish deontological ethics – introduction and reinforcement of professional code in journalism. Journalists’ growing interest in criminal issues causes a lot of concern. Addressee is affected not only by describing, showing violence, but also by a kind of “hostile language” of a journalist in which the information is provided. Author, by paying attention to negative sides of life, intentionally or unintentionally, makes readers get used to daily negative events.

Modern society is hardly to imagine without information. information makes it possible to get better orientation in life. The problem is that delivered information is not always constructive. It can have destructive impact on human conscious, conscious and on his/her behavior. In the terms of freedom of speech it is particularly important that journalists’ communicative behavior corresponded to ethical and aesthetical requirements and was realized by high quality of responsibility and professionalism.

### სააგენტო ხელშეკრულება ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

*ელგუჯა ჭანტურია, ასოცირებული პროფესორი*

სააგენტო ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე (აგენტი) ვალდებულია შეასრულოს მეორე მხარის (პრინციპალის) დავალებით იურიდიული და სხვაგვარი მოქმედება თავისი სახელით, მაგრამ პრინციპალის ხარჯზე ან პრინციპალის სახელითა და ხარჯით.

სააგენტო ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური და, როგორც წესი, სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.

ძირითადად ინგლისის სასამართლოს პრაქტიკით შექმნილი სააგენტო ხელშეკრულება დღევანდელ პირობებში არა მარტო ფართოდ გამოიყენება ქონებრივ მიმოქცევაში საერთო სამართლის ქვეყნებში, არამედ ასევე ითვლება საერთაშორისო გარიგებების ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ სახედ. შემთხვევითი არაა, რომ სავაჭრო სამართლის უნიფიკაცია ვრცელდება სააგენტო ხელშეკრულების ურთიერთობათა სფეროზეც.

სააგენტო ხელშეკრულება შეიძლება მიმართულ იყოს აგენტის მიერ როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედებების შესრულებისაკენ, რომელთა საბოლოო მიზნად ითვლება სახელშეკრულებო მოვალეობების დამყარება პრინციპალსა და მესამე პირს შორის. როგორც წესი, აგენტი<sup>10</sup> მოქმედებს პრინციპალის სახელით და, შესაბამისად, მის მიერ ან მისი დახმარებით დადებული გარიგებები წარმოშობენ უფლებებსა და მოვალეობებს უშუალოდ პრინციპალისათვის. სასამართლოს პრაქტიკა

<sup>10</sup> აგენტი (ლათ.agens – მოქმედი) – სავაჭრო გარიგების შუამავალი (ფირმა, საწარმო ან ფიზიკური პირი), რომელიც სააგენტო ხელშეკრულების ძალით ასალებს სამრეწველო კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციას (ისე, რომ არ იძენს მასზე საკუთრების უფლებას) და იღებს გარკვეულ საკომისიო შემოსავალს. - იხ.: გერა დავარაშვილი. საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი, თბ.: „მეცნიერება“, 1991, გვ. 11;

დასაშვებად მიიჩნევა მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებას აგენტის მიერ სხვა გზებითაც მასზე პრინციპალის მიერ დაკისრებული დავალებების შესასრულებლად. კერძოდ: ა) აგენტს უფლება აქვს იმოქმედოს საკუთარი სახელით, არ შეატყობინოს მესამე პირს პრინციპალის არსებობის შესახებ; ბ) აგენტს შეუძლია მიუთითოს, რომ მოქმედებს პრინციპალის დავალებით და ხარჯით და არ დაასახელოს მისი ვინაობა.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოქმედებს აგენტი ურთიერთობებში მესამე პირებთან, მის მიერ განხორციელებული გარიგებების ეკონომიკური შედეგები გადადის პრინციპალზე. აღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად ევროპის ეკონომიკური კავშირის სასამართლოს მიერ სააგენტო ხელშეკრულებების რომის ხელშეკრულების მუხ. 85-დან ამოღებისათვის<sup>11</sup>.

სააგენტო ხელშეკრულება უმნიშვნელოვანესი საფუძველია სავაჭრო წარმომადგენლობის მიხედვით ურთიერთობების დამყარებისათვის. არ არის გათვალისწინებული რაიმე განსაკუთრებული ფორმის ხელშეკრულება. აგენტისა და პრინციპალის ურთიერთობები შეიძლება წარმოიშვას წერილობით ან ზეპირი შეთანხმებით, მხარეთა შესაბამისი ქცევით. ამავე დროს ევროპის ეკონომიკური კავშირის დირექტივის მე-13 მუხლი იმპერატიული წესით ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი მხარის თხოვნით სააგენტო ხელშეკრულების შინაარსი და მისი შემდგომი დამატებები უნდა იყოს დაფიქსირებული მეორე მხარის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში.

იმისათვის, რომ აგენტის მოქმედებები ავალდებულებდეს პრინციპალს, ისინი უნდა იყოს განხორციელებული მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აგენტის უფლებამოსილება შეიძლება იყოს პირდაპირ გამოხატული და ნაგულისხმევი. არაპირდაპირ გამოხატული უფლებამოსილება ნებისმიერი სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. გამონაკლისს წარმოადგენს უფლებამოსილება პრინციპალისათვის ხელშეკრულების „ბეჭდით“ შესრულებაზე, რაც ასევე უნდა იყოს გაფორმებული დოკუმენტის „ბეჭდით“ სახით. ნაგულისხმევად ითვლება ისეთი უფლებამოსილებები, რომლებიც კი არ არიან პირდაპირ გამოხატულნი, მაგრამ ითვლებიან აუცილებლად პრინციპალის დავალების აგენტის მიერ ჯეროვანი შესრულებისათვის. შემთხვევით არ არის, რომ ასეთი უფლებამოსილებები ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში ხშირად განისაზღვრება როგორც თანმხლები. ნაგულისხმევი უფლებამოსილებების ბუნება და მოცულობა დამოკიდებულია თითოეული კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებზე.

სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა გამოყოფენ აგენტის უფლებამოსილებას, რომლებიც პრინციპალის ისეთ ქცევიდან გამომდინარეობენ, რომელიც მესამე პირებს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ აგენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. ლაპარაკია ე.წ. ხილულ უფლებამოსილებებზე, რომელიც ემყარება უარის თქმის უფლების პროცესუალურ შეზღუდვას. სავაჭრო მიმოქცევის საჭიროებებით არის განპირობებული აგენტისათვის უფლებამოსილების მინიჭება აუცილებლობის მიხედვით. ჩვეულებრივ აქ მხედველობაშია შემთხვევა, როდესაც აგენტი ფლობს პრინციპალის საქონელს, მაგრამ აქვს მათ მიმართ შეზღუდული უფლებამოსილებები. პირველ აუცილებელ პირობად ამისათვის ითვლება პრინციპალის ინტერესების დაცვისათვის საჭირო საგანგებო კომერციული მოქმედება. მეორე პირობა – პრინციპალისაგან შესაბამისი მითითებების მიღების შეუძლებლობა აგენტისათვის.

სააგენტო ხელშეკრულებების მხარეთა ურთიერთობები შემდეგნაირად წესრიგდება: აგენტი ვალდებულია:

1. შეასრულოს პრინციპალის დავალება პირადად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უფლებამოსილებათა სუბდელეგაციის შესაძლებლობა ხელშეკრულებით ან საქმიანი ჩვეულებებით არის გათვალისწინებული. საკუთარი თავის სხვა პირით შეცვლისას აგენტს ეკისრება პასუხისმგებლობა მისი მოქმედებებისათვის პრინციპალის წინაშე;

2. შეასრულოს პრინციპალის მითითებები, გამოიჩინოს ამასთან სათანადო გულისხმიერება და უნარ-ჩვევები;

3. არ გაუმჯავნოს მესამე პირებს დავალების პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ასევე არ გამოიყენოს ამგვარად მიღებული ინფორმაცია პრინციპალთან კონკურენციის მიზნით;

4. არ დაუშვას მდგომარეობა, რომლის დროსაც პირადი ინტერესები აღმოჩნდებოდა წინააღმდეგობაში პრინციპალის მიმართ მოვალეობებში. ამ მიზეზით, მაგალითად, პრინციპალის

<sup>11</sup> იგულისხმება 1957 წლის 25 მარტს რომში ხელმოწერილი ერთ-ერთი ხელშეკრულება: ხელშეკრულება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ. - იხ.: სერვერის ევროპა მეშვეობით (<http://evropa.eu.int>).

თანხმობის გარეშე აგენტს არ აქვს უფლება თვითონ შეიძინოს საქონელი, რომელიც მან პრინციპალის დავალებით უნდა გაყიდოს;

5. მიაწოდოს პრინციპალს აუცილებელი ინფორმაცია;

6. ცალ-ცალკე შეინახოს პრინციპალისათვის მიღებული ფული და საქონელი.

აგენტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა პრინციპალის წინაშე მესამე პირის მიერ მოვალეობის შესრულებისათვის, რომელთანაც ის შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში პრინციპალის ხარჯით. გამონაკლისად ამ პრინციპიდან ითვლება სააგენტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად აგენტმა საკუთარ თავზე აიღო დელკრედერეს<sup>12</sup> პირობები.

პრინციპალის ძირითად მოვალეობად ითვლება აგენტისათვის გასამრჯელოს გადახდა, ეს ვალდებულება გამომდინარეობს ხელშეკრულების პირდაპირ გამოხატული და ნაგულისხმევი პირობებიდან. სააგენტო ხელშეკრულებებში ჩვეულებრივ გათვალისწინებულია გასამრჯელოზე აგენტის უფლება, მისი ოდენობა და გადახდის ხერხიც. ხელშეკრულებებში ასეთი პირობების პირდაპირი გამოხატულების არარსებობის შემთხვევაში ასეთი უფლება მაშინ იგულისხმება, როდესაც აგენტად ის პირი გამოდის, რომელმაც სარეწის სახით განახორციელა იურიდიული მოქმედებები სხვა პირის ხარჯებით და ინტერესების შესაბამისად.

გასამრჯელოზე უფლების წარმოშობის მომენტის განსაზღვრა, აგრეთვე მისი გადახდის ვადისა, დამოკიდებულია სააგენტო ხელშეკრულების მხარეთა შეხედულებაზე. ამ საკითხებზე სპეციალური დადგენილებების არარსებობის შემთხვევაში უფლება გასამრჯელოზე აგენტს უჩნდება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მომენტში, ჩვეულებრივ მესამე პირთან გარიგების შესრულებისას. ამ მომენტში უჩნდება მას უფლებაც მოითხოვოს კუთვნილი თანხის გადახდაც. ასეთი მდგომარეობა ყოველთვის არ არის ხელსაყრელი პრინციპალისათვის. ამიტომ გავრცელებულ პრაქტიკად ითვლება ხელშეკრულებაში იმ პირობის ჩართვა, რომლის თანახმადაც უფლება გასამრჯელოზე, აგრეთვე მისი გადახდის ვადა დგება აგენტის დადებული გარიგების მესამე პირის მიერ შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს გასამრჯელოზე აგენტის უფლების შეძენის დაკავშირების ტენდენცია მის მიერ დადებული გარიგების როგორც მესამე პირის, ისე პრინციპალის მიერ შესრულებასთან.

თუ აგენტს გამოეყოფა გარკვეული ტერიტორია ან კლიენტების გარკვეული წრე, მას აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს აგრეთვე გასამრჯელოზე იმ გარიგებებისათვის, რომლებიც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იყო დადებული პრინციპალისათვის მისი მონაწილეობის გარეშე პირებთან მისი რაიონიდან ან მისი წრის კლიენტებთან.

სასამართლო პრაქტიკაში გასამრჯელოზე უფლების მიმართ სააგენტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აგენტის განსაკუთრებული უფლებების ქონისას მხედველობაში მიიღება მინიჭებული უფლების ბუნება.

თუ აგენტი გამოდის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახით, აქვს უფლება გასამრჯელოზე იმ გარიგებებისათვის, რომლებიც პრინციპალმა დადო სხვა აგენტის ჩართვით.

აგენტს არ შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს გასამრჯელოზე იმ შემთხვევაში, თუ გარიგებას მესამე პირთან აგენტზე მიმაგრებული ტერიტორიიდან დებს უშუალოდ პრინციპალი.

იმ შემთხვევაში, თუ აგენტს ენიჭება მონოპოლიური და განსაკუთრებული უფლება, მას შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელო ასეთი გარიგებისათვისაც მესამე პირებთან, რომლებიც დადებული იყო უშუალოდ პრინციპალის მიერ.

უფლება გასამრჯელოზე, როგორც წესი, ქარწყლდება სააგენტო ხელშეკრულების მოქმედების დასრულებისთანავე. თუმცა სასამართლო პრაქტიკა გარკვეულ პირობებში უშვებს გამონაკლისს, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც პრინციპალი აგრძელებს გარიგებების დადებას იმ პირებთან, რომელთანაც აგენტის მეშვეობით პრინციპალის მიერ პირველად იქნა დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობები. ბუნებრივია, ასეთი უფლებები გასამრჯელოზე განმეორებითი დაკვეთისათვის აღიარებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტო ხელშეკრულების განმარტება გამორიცხავს მხარეთა სხვა განზრახვას.

ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში განმეორებითი დაკვეთებისათვის გასამრჯელოზე აგენტის უფლების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება სააგენტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განსაზღვრა. თუ ხელშეკრულება გარკვეული ვადითაა დადებული, მისი მოქმედების შეწყვეტისას

<sup>12</sup> დელკრედერე (იტალ. del credere – ნდობით): – პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ გაცემულ შესრულებაზე, რომელსაც თავის თავზე იღებს კომისიონერი. იგი არა მარტო ყიდის საქონელს, არამედ გარანტიასაც იძლევა, თუ მყიდველი გადახდისუნარო აღმოჩნდება. ამავე ტერმინით აღინიშნება თვითანაზღაურებაც. - იხ. Юридический энциклопед. словарь.: (Советская энциклопедия), 1987, გვ.103.

აგენტი კარგავს უფლებას გასამრჯელოზე განმეორებითი დაკვეთებისათვის<sup>13</sup>. სხვაგვარი მდგომარეობა დამახასიათებელია იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საქმე გვაქვს ხელშეკრულებასთან მისი მოქმედების ვადის გარეშე, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა არ უკარგავს აგენტს უფლებას გასამრჯელოზე იმ გარიგებებისათვის, რომლებიც პრინციპალმა იმ პირებთან დადო, რომლებთანაც ხელშეკრულების შეწყვეტამდე აგენტის მეშვეობით პირველად იყო დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობები.

პრინციპალი ვალდებულია აუნაზღაუროს აგენტს დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები იმ პირობით, თუ აგენტი მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ხარჯები ექვემდებარება ანაზღაურებას იმის მიუხედავად, არის ხელშეკრულება სასყიდლიანი თუ უსასყიდლო. განსაკუთრებული წესები მოქმედებს იმ აგენტებთან მიმართებაში, რომლებმაც იურიდიული მოქმედებები განახორციელეს სხვა პირთა ხარჯებით და ინტერესების შესაბამისად სარეწის სახით. ასეთ აგენტებს არ აქვთ უფლება იმ ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც მათ გასწიეს ჩვეულებრივი კომერციული საქმიანობის პროცესში, თუ ასეთი ხელშეკრულება სხვა პირობებს არ შეიცავს. თუმცა ანაზღაურდება აგენტის მიერ გაწეული ხარჯები პრინციპალის მიერ მოწონებული იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია დავალების შესრულებასთან. მაგალითად, ვალდებულებები, დაკავშირებული პრინციპალის საქონლის ტრანსპორტირებასთან, დაზღვევასთან, სასამართლოში ან არბიტრაჟში სარჩელის შეტანასთან.

პრინციპალი ვალდებულია აუნაზღაუროს აგენტს ზარალი იმ შემთხვევაში, თუ აგენტი კარგავს უფლებას გასამრჯელოზე პრინციპალის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების გამო მესამე პირთან აგენტის მიერ განხორციელებულ გარიგებასთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოთხოვნები გასამრჯელოს გადახდასთან, ხარჯების და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, აგენტს აქვს უფლება დააკავოს საქონელი, საქონლის განმკარგავი დოკუმენტები და პრინციპალის სხვა ქონება, რომელიც მის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება.

როგორც უკვე აღინიშნა, მესამე პირებთან გარიგებების დადებისას აგენტს შეუძლია იმოქმედოს სამგვარი სახით.

იმის მიხედვით, თუ როგორ გამოდის აგენტი პრინციპალის დავალების შესრულებისას, განისაზღვრება აგენტისა და პრინციპალის ურთიერთობები მესამე პირთან. თუ აგენტი მოქმედებს პრინციპალის სახელით, უფლებები და მოვალეობები აგენტის მიერ დადებული გარიგებებიდან წარმოიშობა პრინციპალისათვის. მესამე პირის წინაშე აგენტს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ამ საერთო წესიდან მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისია დასაშვები.

სხვაგვარი მდგომარეობა დამახასიათებელია იმ შემთხვევისათვის, როდესაც აგენტი პრინციპალისათვის გარიგების დადებისას საკუთარი სახელით გამოდის. მესამე პირი, შეიტყობს რა საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას, უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით წაუყენოს მოთხოვნები გარიგების შესრულების შესახებ ან აგენტს ან პრინციპალს. მის მიერ გაკეთებული არჩევანი ართმევს მას მეორე მხარისადმი მოთხოვნის წაყენების უფლებას. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მოქმედება უნდა იქნეს განხილული როგორც გაკეთებული არჩევანის დამამტკიცებელი, წყდება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით<sup>14</sup>. აგენტის გამოსვლის მეთოდის მიუხედავად პრინციპალს შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები აგენტის მიერ დადებული გარიგებიდან უშუალოდ მესამე მხარეს იმ პირობით, თუ აგენტს ექნება ამა თუ იმ მოქმედების შესრულების უფლებამოსილება.

სააგენტო ხელშეკრულება, როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების ვადის გასვლით, მიზნის მიღწევით, ხელშეკრულების ბათილად ცნობის გამო, ხელშეკრულება წყდება რომელიმე მხარის გარდაცვალების, ან პრინციპალის ან აგენტის გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაშიც. ხელშეკრულების მოქმედების ავტომატურად შეწყვეტის საფუძველია, აგრეთვე, პრინციპალის სულით ავადმყოფობა.

სააგენტო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს რომელიმე მხარის განცხადებით. ასეთი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს „გონივრულობის“ მოთხოვნებს, უპირველეს ყოვლისა, იმ ვადასთან მიმართებაში, რომელშიც ასეთი განცხადება შეიძლება იყოს გაკეთებული. თუ ერთი მხარის მიერ გაკეთებული განცხადება ნიშნავს ხელშეკრულების დარღვევას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზარალის შესაბამისი ანაზღაურება.

<sup>13</sup> Гражданское и торговое право зарубежных государств, II том.М.: «Международные отношения», 2006, гл. 173.

<sup>14</sup> Гражданское и торговое право зарубежных государств, II том.М.: «Международные отношения», 2006, гл. 174.

კონტინენტალური ევროპის სახელმწიფოებისათვის სააგენტო ხელშეკრულება უცნობია<sup>15</sup>. ურთიერთობები, რომლებიც მოწესრიგებულია ინგლისურ-ამერიკულ სამართალში სააგენტო ხელშეკრულებით, კონტინენტალურ სამართალში რეგულირებულია დავალებისა და კომისიის ხელშეკრულებით. ამასთან დაკავშირებით ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზეა გასამახვილებელი ყურადღება. 1986 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ეეგ) საბჭომ მიიღო დირექტივა №86/635 ეეგ-ის სახელმწიფოთა დამოუკიდებელი სავაჭრო აგენტების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კოორდინაციის შესახებ<sup>16</sup> (შემდგომ – ეეგ-ეს დირექტივა ან დირექტოვა). დირექტივის შესაბამისი დებულებები შემუშავდა კონტინენტალური სამართლის ნორმების, უწინარეს ყოვლისა, სავაჭრო წარმომადგენლების შესახებ გერმანული სამართლის მიხედვით. ამიტომ დირექტივის რეალიზაციას გერმანიაში 1989 წელს, საფრანგეთში 1991 წელს არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში. დირექტივის თანახმად, სავაჭრო აგენტებს შეეძლოთ მხოლოდ მოლაპარაკებების წარმოება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება სხვა პირის სახელითა და ხარჯით. თუმცა დირექტივის რეალიზაციის შემდეგ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა დირექტივის მოქმედება გაავრცელეს სხვა ხელშეკრულებებზეც, სავაჭრო აგენტებს მიენიჭათ უფლება ნასყიდობის ხელშეკრულების გარდა იჯარის, სხვა მომსახურების გაწევის ხელშეკრულებების დადებისა.

დირექტივა აახლოებს ისეთი საკითხების მოწესრიგებას, როგორცაა სავაჭრო წარმომადგენლის ცნება, ანაზღაურების უფლება და ანაზღაურების ოდენობა, ანაზღაურების უფლების წარმოშობის ვადის დადგენა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი და ა.შ. თუმცა სავაჭრო წარმომადგენელთან დადებული შეთანხმება, უმთავრესად, კვალიფიცირებულია როგორც დავალების ხელშეკრულება.

#### ლიტერატურა:

1. დავარაშვილი გ., საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი, თბ., „მეცნიერება“, 1991, გვ. 11;
2. <http://evropa.eu.int>
3. Юридическая энциклопед словарь.: (Советская энциклопедия), 1987, გვ. 103.
4. Гражданское и торговое право зарубежных государств, II том, М.: «Международные отношения», 2006, გვ. 173.
5. М.В. Кротов, Агентирование. - Гражданское право. Учебник часть II ./под .ред. А.П. Сергеева ,Ю.К. Толстого. М.: “Проспект”, 1997, გვ. 574-581.
7. Право международной торговли, Слоарь—Справочник. М., Славия, 1997, გვ. 9.
8. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., „სამართალი“, 1999, გვ. 181.
9. ამილახვარი ზ., ამილახვარი გ., საერთაშორისო ბიზნესის სამართალი, თბ., „ინოვაცია“, 2006, გვ. 69-70.
10. სამოქალაქო სამართალი, ტომი II, ავტ. კოლექტივი, პროფ. მ.მ. აგარკოვის და პროფ. დ.მ. გენკინის რედ., თბ., თსუ გამომც., 1947, გვ. 123, 139.
11. В.В. Ансон Договорное право, М., юридич. литература, 1984, стр. 382-384.
12. Гражданское и торговое право капиталистических государств, часть I, М., Международные отношения, 1983, გვ. 121-122.

#### რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ცნება სააგენტო ხელშეკრულება, მისი შინაარსი და იურიდიული ბუნება. ასეთი შეთანხმება განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული საერთაშორისო ბიზნეს მექანიზმების თანამედროვე მსოფლიოში. აქ წარმოდგენილია აგენტის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ამოქმედდა ინგლისურ ამერიკული კანონით. ავტორი გვამღევეს დეტალურ ანალიზს ზემოთ აღნიშნულ თემაზე, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქართული პრაქტიკისათვის.

<sup>15</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სააგენტო ხელშეკრულებას.–იხ. М.В. Кротов Агентирование.-Гражданское право.Учебник часть II ./под .ред. А.П. Сергеева ,Ю.К. Толстого. М.:”Проспект”,1997, გვ. 574 - 581

<sup>16</sup> იხ: Право международной торговли.Словарь – Справочник. М., Славия ,1997 გვ. 9

**AGENCY CONTRACT IN THE ENGLISH-AMERICAN LAW**  
**Elguja Chanturia**, Associate Professor  
**RESUME**

The presented article deals with the notion of the agency agreement, its content and juridical nature. Such kind of agreement is viewed as one of the mostly spread international business arrangements in the contemporary world. Here are presented the agent's rights, obligations and responsibilities put into practice in the English-American law. The author gives us the detailed analysis of the above mentioned theme which is quite important and interesting for our Georgian jurisprudence as well.